

ჯონ ბავირი

პანტსელარი ავტორი

მოუმიშეპა

ღვთისა

ღვთის მიმართ ჯანსაღი

მოკრძალებიანი სამტარი

გზა თქვენს ცხოვრებას

ბარდამენის


ძვირფასო მეგობარო!

ღვთის მიმართ მოკრძალება აღწერს პატივისცემის გრძნობას, რომელსაც თან ერთვის შიში და განცვიფრება. ეს გახლავთ ჯანსაღი და ნმიდა შიში ღვთისა, რომელიც ყოველი მორწმუნის უმთავრესი საძიებელი უნდა იყოს, რადგან უზენაესის ყოველი აღთქმის საფუძველი სწორედ ის გახლავთ.

ამგვარი მოშიშების ფლობის სიკეთე განუზომელია და მოიცავს მეტ სიბრძნეს, ღმერთთან სიახლოვეს, დღეგრძელობას, პატივს, დაცვას და ხანგრძლივი მემკვიდრეობის შენებას. ნმიდა წერილი ნათლად აღწერს, თუ როგორ უახლოვდება ღმერთი იმ ადამიანებს, რომლებიც მორჩილებასა და ჭეშმარიტებაში დაუღალავად მიჰყვებიან. იესო ამ სათნოებას ყველაფერზე ძვირფასად მიიჩნევდა – ჩვენც იგივენარად მოქცევის გონიერება გვმართებს.

მოგიწოდებთ, რომ უსიცოცხლო და ამქვეყნიური ქრისტიანული რელიგია ღმერთთან ახლო, ხანგრძლივ, აზრიან, ნაყოფიერ და ამავსებელ ურთიერთობაში გაცვალოთ, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი დამთრგუნველი შიშისა და შფოთვისგან!

თქვენი ძმა ქრისტეში,



ჯონი
JohnBevere@ymail.com




MessengerX

 **Messenger**
INTERNATIONAL

მოუიშება ღვთისა

ღვთის მიმართ ჯანსაღი მოკრძალების საოცარი
გზა თქვენს ცხოვრებას გარდაქმნის

ჯონ ბეპირი

The Awe of God, by John Bevere, Georgian

© 2023 Messenger International

MessengerInternational.org

Originally published in English as The Awe of God,

Additional resources in Georgian by John and Lisa Bevere are available

for free download and video streaming at: **MessengerX.com** and on the **MessengerX App**.

To contact the author: JohnBevere@ymail.com

This book is a gift from Messenger International and is

NOT FOR SALE

„მომიშება ღმერთისა“ ჯონ ბევერისგან, ქართულად

© 2023 Messenger International

MessengerInternational.org

ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე: The Awe of God,

დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე ჯონ და ლიზა ბევერებისგან მიიღეთ უფასოდ

ჩამოსათვირთი მასალებისა და ვიდეო-ნაკადის სახით: **MessengerX.com** და ასევე

MessengerX App.

ავტორთან კონტაქტისთვის ისარგებლეთ შემდეგი ელექტრონული ფოსტით:

JohnBevere@ymail.com

ეს წიგნი Messenger International-ის საჩუქარია და განსაზღვრული არ არის გასაყიდად.



App Store არის Apple Inc.-ის აშშ-სა და სხვა ქვეყნებში რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი. Google Play და Google Play logo არის Google LLC-ის სავაჭრო ნიშანი.

ჩემს საუცხოო მეუღლეს, საუკეთესო
მეგობარს და ნანატრ სიყვარულს
– ლიზა ბევირს.

„უფლის მოშიში ქალი კი განდიდებული იქნება“.
იგ. 31:30

ეს წიგნი ჩვენი ქორწინების მეთოთხმეტე წელს დავწერე.
ყოველი მომდევნო წელი კიდევ უფრო კარგი იყო და
შესაძლებლობა რომ მომცემოდა, შენზე ხელმეორედ
ვიქორწინებდი გულისფანცქალით.
სიტყვები უძღურია იმ სიამისა და სიხარულის
გამოსახატად, რასაც ჩემს გულს ანიჭებ.
შენი სიყვარულისა და მხარდაჭერის გარეშე ის
კაცი არ ვიქნებოდა, რასაც დღეს წარმოვადგენ.
გონიერი, სასიამოვნო, ძლიერი, თავგადასავლების
მოყვარული და დიდებული ქალი ხარ.
საუკუნოდ მიყვარხარ!

შინაარსი

როგორ უნდა იმოგზაუროთ წინამდებარე წიგნში?	VII
შესავალი	XI

კვირა 1: მოშიშვა ღვთისა

1. ღვთის საგანძური.....	3
2. სხვადასხვა სახის შიში.....	11
3. რა არის წმიდა მოშიშვა?.....	19
4. ღვთის ხელშესახები თანდასწრება.....	27
5. დაუვიწყარი საღამო.....	35
6. უყურე მას!.....	43
7. ღვთის დიდება.....	51

კვირა 2: ჩვენი პიროვნების გამოვლინება

8. თქვენი ფასეულობა.....	59
9. საბედისწერო დაპირისპირება.....	67
10. ღმერთი არ ხედავს.....	75
11. მოშიშვა და თრთოლვა.....	83
12. გადამდები ფარისევლობა.....	91
13. სამი სახება.....	99
14. საუკუნო გადანყვეტილებები.....	107

კვირა 3: გადაულახავი სინამდვილე

15. ადამიანის შიში.....	115
16. სახელის დარქმევა.....	121
17. ბოროტებისგან განმორება.....	129
18. დღეგრძელობა.....	137
19. საკუთარი თავის განწმედა.....	145
20. ჩვენი ძიება.....	153
21. სურვილი და ძალაუფლება.....	161

კვირა 4: ჩვენი პასუხი ღვთის სიტყვაზე

22. ღვთის სიტყვაზე თრთოლა.....169
23. დაუყოვნებლივ.....177
24. ამას აზრი არ აქვს.....185
25. არანაირი სარგებელი.....193
26. სასიკეთო ტკივილი.....201
27. დასრულებულია.....209
28. როგორ ხდება სინდისის დადაღვა?.....217

კვირა 5: ღმერთთან სიახლოვე

29. სად იწყება სიახლოვე?.....225
30. სხვა იესო.....233
31. არ გიცნობ!.....241
32. უფლის საიდუმლო.....249
33. შიდა სამზარეულო.....257
34. პირისპირ.....265
35. ჩემი მეგობრები ხართ.....273

კვირა 6: საგანძურის სარგებელი

36. მისი აღთქმების დაფუძნება.....281
37. შიში, რომელიც ნებისმიერ სხვა შიშს დევნის.....289
38. მემკვიდრეობა.....297
39. ყველაზე მნიშვნელოვანი.....305
40. წარმატებული ცხოვრება.....313
41. კარგად დასრულება.....321
42. საგანძურის პოვნა.....329

დანართი: ღვთიური სიდიადისთვის თვალის შევლება.....341
შენიშვნები.....349

როგორ უნდა იმოგზაუროთ წინამძღვარე წიგნში?

ძვირფასო მკითხველო!

ეს არ გახლავთ უბრალო სიტყვა. ეს ცხოვრების სამუდამოდ გარდაქმნელი სიტყვაა, თუ ირწმუნებით და შესაბამისად იმოქმედებთ. სრული დარწმუნებით გელაპარაკებით, რადგან ამ წიგნში მოყვანილმა სხვადასხვა ჭეშმარიტებამ ჩემი და უამრავი სხვა ადამიანის ცხოვრება შეცვალა. როცა რჩევას მეკითხებიან, იქნება ეს ქორწინების, ოჯახის თუ მსახურების პრობლემა, დაუყოვნებლივ ვპასუხობ იქედან, რაც მასშია გადმოცემული.

მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბევრი დრო და დაფიქრებული ლოცვა დამიჭირდა სათქმელის სათანადოდ წარდგენისთვის. თანამედროვე ცხოვრების დინებების გამო – ჩვენი გრაფიკისა და აჩქარებული ნაბიჯების გათვალისწინებით – გადავწყვიტე, რომ წიგნის შინაარსი პატარა ლუკმების სახით მომეწოდებინა, რომ თქვენთვის ადვილი ყოფილიყო თითოეული მათგანის სიღრმისეულად გადამუშავება.

ერთი შეხედვით შეიძლება იფიქროთ, რომ წიგნი ამ სახით ბიბლიის ყოველდღიურ შესწავლას წააგავს, მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ასე სულაც არ არის. ნება მომეცით, აგისსნათ! წერილის შესწავლის გეგმა ყოველი დღისთვის განსხვავებულ თემას ითვალისწინებს და აუცილებელი არ არის შემჭიდროებულ და სისტემურ სათქმელს გადმოგვცემდეს. მიუხედავად მსგავსებისა, ყოველი მომდევნო დღის საკითხავი წინა თავს ეყრდნობა და ტიპური, დოკუმენტური წიგნის ფორმატს ქმნის. მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ თავად წყვეტთ, თუ როგორ წაიკითხავთ. მისი დასრულება ერთ-ორ დღეშიც შეიძლება, თუ ასე გირჩევნიათ, მაგრამ დაბეჯითებით გირჩევთ, რომ ამ საქმეს ექვსი (დღეში ერთი თავი) ან სამი (თითო თავი დილა-სალამოს) კვირა მოანდომოთ.

როგორ უნდა იმოგზაუროთ წინამდებარე წიგნში?

თითოეული თავის დასასრულს ხუთ დამხმარე საშუალებას იპოვით, რომელიც წიგნის შინაარსის სარგებელს კიდევ უფრო გააღრმავებს. ამ განყოფილებას „გათავისება“ ვუწოდეთ. ის 5 ნაწილისგან შედგება:

1. **მონაკვეთი:** ჩაფურთავ ადგილს წმიდა წერილიდან, რომელიც მნიშვნელოვანია იმ დღის სათქმელისთვის ან შინაარსს არ ეხება, მაგრამ მას სიღრმეს მატებს. დაბეჯითებით გირჩევთ, რომ ეს ადგილები დაიხეპიროთ!
2. **თემა:** ეს გახლავთ კონკრეტული თავის დედააზრი მისი მნიშვნელობის გადმოსაცემად. განმეორებით ნახვა მის შედეგიანობას გააძლიერებს და თავის გადახედვისას შინაარსის სწრაფად აღდგენაში დაგეხმარებათ.
3. **დაფიქრება:** მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მეფსალმუნე აცხადებს: „ვიფიქრებ შენს დადგენილებებზე და დაფუკვირდები შენს გზებს“ (ფს. 119:15). ღვთის სიტყვას არაერთხელ ვაბრუნებთ გონებაში და ვაანალიზებთ, თუ როგორ გამოგვადგება ცხოვრებაში ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით. თუ ასე მოვიქცევით, წერილი გვეუბნება, რომ ჩვენი გზები სიკეთით და წარმატებით წარიმართება (იხილეთ ი.ნ. 1:8, ფს. 1 და 1 ტიმ. 4:15).
4. **ლოცვა:** აქ თანდართული იქნება ლოცვა, რომელიც თავის სწავლებას ასახავს. არსებითია, რომ ღმერთმა მოისმინოს ჩვენი ხმა. მას საშუალება უნდა მივცეთ, რომ შეგვცვალოს მისი სიტყვის თანახმად.
5. **ალიარება:** გვეუბნებიან, რომ *სიკვდილი* და *სიცოცხლე* ჩვენი ნათქვამის ხელშია (იხილეთ იგ. 18:21). როცა ვალიარებთ ჩვენთვის, ჩვენი სულის, სამშვინველისა და სხეულისთვის ნათქვამ ღვთის სიტყვას, მისი ნების შესაბამისად ვიცვლებით. ეს გამოცდილი გზა გახლავთ ცხოვრების სისრულის მისაღწევად.

კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, რომ წიგნში გადმოცემულ ჭეშმარიტებებს თქვენს გულსა და გონებაში შეღწევის საშუალება მისცეთ. მომდევნო კვირების მანძილზე ამ ჭეშმარიტებებში ყოველდღიური დამკვიდრება მათით სრულად ავსებაში დაგეხმარებათ და ფესვს გაიდგამს თქვენს ცხოვრებაში. ეს უბრალო ინ-

როგორ უნდა იმოგზაუროთ წინამდებარე წიგნში?

ფორმაციაზე მეტია; ეს ჩვენს ღმერთთან დაახლოებაში ზრდის გზა გახლავთ. ასევე გირჩევთ, რომ თავების კითხვა და ხუთნაწილიანი „გათავისება“ დღიურის შევსებით მოახდინოთ. ყოველდღიურად გადაიტანეთ თქვენი ლოცვები დღიურში, რომ უკან დაბრუნებისას გაიხსენოთ, თუ რა გაგიცხადათ სულიწმიდამ.

აი, კიდევ რამდენიმე რეკომენდაცია: პირველი, სმარტფონის ან საათის მეშვეობით დააფიქსირეთ დრო, რასაც ერთი თავის წაკითხვას, „გათავისების“ გავლას და დღიურის შევსებას ანდომებთ. ნუ იჩქარებთ; ეს არ გახლავთ რბოლა. დროის დანიშვნის მიზანია მომდევნო თავების განსახილველად საჭირო გონივრული გეგმის შედგენა თავის დამუშავების საშუალო მაჩვენებლის დადგენის მეშვეობით.

მეორე, შეეცადეთ, ჩვევა გამოიმუშავოთ და არაფერს მისცეთ უფლება, რომ იმ დღისთვის დადგენილი გეგმიდან გადაგახვევინოთ. ვლოცულობ და ვიმედოვნებ, რომ ღმერთი იგივეს მოიმოქმედებს თქვენში ამ წიგნის მეშვეობით, რაც ჩემში მოახდინა გასული ორმოცი წლის მანძილზე.

მესამე, სიტყვას მეტი სარგებელი მოაქვს, როცა ვასწავლი ან მეგობრების ჯგუფთან ერთად განვიხილავ. როცა ერთი თავის განხილვას დაასრულებთ სულიწმიდასთან ერთად, მეგობრები შემოიკრიბეთ და მათ გაუზიარეთ უფლისგან ნაჩვენები! ეს რეგულარულად გააკეთეთ!

ვლოცულობ, რომ უფრო დაუახლოვდეთ ღმერთს *ღვთიური მოკრძალების* განხილვის პროცესში. პირველივე თავიდან დაწყების ნაცვლად მნიშვნელოვანია შესავლის წაკითხვა, რადგან მისი მეშვეობით ჩვენი გულები განსახილველი მასალისთვის მომზადდება. როცა წიგნს დაასრულებთ, ვისურვებდი, გამეგო, თუ რა გავლენა მოახდინა ღვთის მიმართ ნმიდა მოკრძალებამ თქვენს რწმენასა და ცხოვრებაზე.

პატივისცემით,
ჯონ ბევირი

P. S. შეხსენება, რომ არ გამოტოვოთ შესავალი! ვლოცულობ, რომ ღმერთმა აანთოს ცეცხლი თქვენში ნმიდა მოკრძალების განსავითარებლად და მთლიანად ჩაეფლოთ წიგნის სათქმელში!

შესავალი

შიში. ადამიანები წლების მანძილზე ცდილობდნენ მის ამოძირკვას. ბევრი იკვლევდა ან ებრძოდა მას და ცდილობდა საკუთარი ცხოვრებიდან მისი ზეგავლენის მოშორებას. ჩვენს ყურადღებას იქცევს პრეზიდენტი ფრანკლინ დ. რუზველტის ცნობილი გამონათქვამი: „ერთი რამ, რისიც უნდა გვეშინოდეს, თავად შიშია.“ ხმები ყველა პლატფორმიდან გაჰყვირიან, რომ შიშის დაძლევის გზები უნდა ვიპოვოთ. ამ თემაზე – თუ როგორ მოვახერხოთ ეს – ასეულობით კი არა, ათასობით დამხმარე სახელმძღვანელოს პოვნა შეგვიძლია. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული უამრავ ადამიანს ნახავდით სამოსზე გაბედულად დაბეჭდილი სიტყვებით: „არა შიშს!“ შეუპოვრად ვცდილობთ ცხოვრებიდან ყოველგვარი სახის შიშის მოშორებას.

ეს ბრძოლა გონივრული, კეთილშობილური და წინდახედული ჩანს, რომელიც მრავალ ფრონტზეა გაშლილი, მაგრამ ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ *ყველა შიში როდია ცუდი*. მაშ, რა საჭიროა ეს აკვიატება? დარწმუნებული ვარ, რომ ამის მიზეზი ყველა სახის შიშის ერთ ქვაბში ხარშვაა, რომელსაც გამაფრთხილებელი წარწერა ადევს: „საზიანოა!“. მართებულია თუ არა ეს მოსაზრება?

პირველი, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ მართლაც არსებობს *დამანგრეველი* შიშის სახეობები, თუნდაც ერთი შეხედვით წინდახედულების იერი ჰქონდეთ. თუ ფულისა და ქონების დაკარგვის გვეშინია, ამ აზრით შეცურობილი ვხდებით და საბოლოოდ, ძუნწ და ხელმოჭერილ ადამიანებად ვიქცევით, რომლებიც ფულს და აქტივებს სხვა ყველაფერზე მეტად ეთაყვანებიან. თუ მეუღლის დაკარგვის გვეშინია, ამ პიროვნებას მეტისმეტად ვენებებით ან მისი ყოველი მოქმედება ჩვენში ეჭვს იწვევს. ნებისმიერ შემთხვევაში შედეგი

შესავალი

სამწუხაროა და საბოლოოდ, ურთიერთობას ანგრევს. თუ რაიმე სასიამოვნო შემთხვევის უცაბედად გამორჩენის ფესვგადგმული შიში გვაქვს (FOMO), ახალი გატაცებებისა და განცდების ძიებაში ვართ, რაც ჯანსაღი ერთობის, რეალური კავშირებისა და მიძღვნის თანმხლები დიდი მშვიდობის ხარჯზე მოხდება. თუ შეილება უსაფრთხოება გვალეღვებს, საყარაუდოდ, მათ ზრდას დავაბრკოლებთ ჩახშობით ან უთავბოლო საქციელის ნახალისებით. სია უსასრულო ჩანს.

მეორე მხრივ, *კონსტრუქციული* შიში სასარგებლო სიბრძნეს წარმოშობს. ორი ათასი ფუტის სიმაღლის კლდიდან ჩამოვარდნის შიში გვაძლევს კიდესთან მეტისმეტად მიახლოებისგან თავშეკავების სიბრძნეს, საიდანაც შეიძლება ადვილად დავსრიალდეთ. დათვი გრიზლის შიში იმდენ გონიერებას გვატებს, რომ მისი ბელები არ გავალიზიანოთ. მესამე ხარისხის დამწვრობის შიში გვაიძულებს დამცავი ხელთათმნის ჩაცმას, როცა ცხელი ღუმლიდან ტაფას ვიღებთ.

და მაინც, ასეთ გონივრულ შიშსაც კი შეუძლია სარგებლის მოტანის გარდა ჩვენი ცხოვრების დამახინჯება და დაკნინება. ჩამოვარდნის გაუმკლავებელი შიში ხელს შეგვიშლის თვითმფრინავით მგზავრობაში, თუ მან საფუძვლიანად გაიდგა ფესვი. გრიზლის მოუთოკავი შიში ტყეში საამო გასეირნებას მოგონებად გვიქცევს, ხოლო დამწვრობის მიღების შიში გაზქურას დაგვაშორებს, რომ ვერ ვისიამოვნოთ სახლში მომზადებული გემრიელი კერძებით.

რეალური კითხვა, რომელიც საკუთარ თავს უნდა დავესვათ, ასეთია: *რის უნდა გვეშინოდეს ყველაზე მეტად?* ეს გაცილებით უკეთესი საძიებელი საქმეა, ვიდრე დამანგრეველი შიშების მოშორება ან კონსტრუქციულობის მართვა. ეს გონივრული კითხვაა და სათანადო პასუხის მოძიების შემთხვევაში ყველა სხვა ტიპის შიშებს შორეულ პერსპექტივაში მოაქცევს, ხოლო ჩვენს ცხოვრებას გაამდიდრებს – ახლაც და მარადისობაშიც. იგი კეთილგონივრული და ამავსებელი ცხოვრების გზას ანათებს. ბიბლიას ბევრი რამ აქვს სათქმელი შიშის თაობაზე და მაშენებელი აგური ასეთია: „უფლის შიში სიბრძნის სათავეა“ (იგ. 1:7) – არა ნებისმიერი სიბრძნის, არამედ ღვთისგან მოსული სიბრძნისა. ეს ცუდი დასაწყისი როდია.

ამრიგად, იფიქრეთ შემდეგზე: იქნებ სწორად წარმართული შიში *სათნობაა?* იქნებ ღვთისმოშიშება მასთან ნამდვილი

ურთიერთობისკენ მიმავალი პარადოქსული ბილიკია? რა მოხდება, თუ წმიდა მოშიშება მართლაც აღებს სიცოცხლის სისავსის კარს, რასაც ქრისტეს მიმდევრები საუკუნეების განმავლობაში იღებდნენ? იქნებ ასეთი შიში ყველა სხვა სახის შიშს დევნის – საკუთარი საქმის დაწყების, მშობლიური ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებების, შვილების უსაფრთხოების, ჰიპოქონდრიული აზროვნების შიშს, რომელიც ადამიანისთვის დამანგრეველია და გონებრივ სნეულებას და დეპრესიას იწვევს (ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება)?

ნიგში მოგზაურობის სტარტისთვის ნება მომეცით, ქეშმარიტების ოთხი განცხადება გავაკეთო:

1. ადამიანები ვართ და ბუნებრივია, გვეშინია;
2. ღვთის მიმართ მოკრძალება და შიში გაცილებით მშვენიერი და დამაახლოვებელია, ვიდრე ზოგიერთი ამის წარმოდგენას ბედავს;
3. ღვთის შიში ყველა სხვა დამანგრეველ შიშს შთანთქავს;
4. ღვთის შიში ყოველივე სასიკეთოს დასაწყისია;

მავანნი მართებულად შეგვახსენებენ, რომ ბიბლია 365-ჯერ მოგვინოდებს – „ნუ გეშინია!“ აქედან მრავალი ქრისტიანი ასკვნის, რომ ღმერთს არ სურს, რაიმეს გვეშინოდეს. თუმცა ეს მუხლები *დამანგრეველ* შიშს ეხება. გარდა ამისა, თითქმის 200 მუხლის მოყვანა შემოძლია, სადაც ბიბლია *ღვთისმოშიშებისკენ* მოგვინოდებს. ასევე არსებობს სამწუხარო ნაწილი: ნებისმიერი ცხოვრებისეული შიშის (ღვთისმოშიშების სათნოების ჩათვლით) ამოძირკვის მცდელობაში, ჩვენი რწმენის ეს სფერო გამოუკვლეველი, გამოუცდელი და უსარგებლო აღმოჩნდა.

უფლის შიში ყველაზე დიდებული, აღფრთოვანების მომგვრელი და იმაზე მეტი სიხარულის მომტანია, ვიდრე წარმოგვიდგენია. შესწავლის მსვლელობაში მინდა გაჩვენოთ, თუ როგორ უნდა ვმართოთ შიში, განსაკუთრებით და ყველაზე მეტად კი, ღვთისმოშიშების სათნოება, რაც სიცოცხლის კარს გაგვიღებს ჩვენი წარმოსახვის მიღმა. მხოლოდ ასე შევძლებთ სრული გაბედულებით დაფხვდეთ ყველაფერს, რასაც ცხოვრება მოგვითმის. ჩარლზ სპარჯენის სიტყვებით, „ღვთის შიში გახლავთ ყველა სხვა შიშის სიკვდილი; იგი მძლავრი ლომის მსგავსად დევნის სხვა შიშებს.“¹

შესავალი

იმედი მაქვს, რომ წიგნის კითხვისას სრულად ჩაეფლობით ამ სათნოებაში, მოიხსნით რელიგიურ ფასადს იმისას, რასაც ღვთის შიში არ წარმოადგენს და აღმოაჩენთ მის სიკეთეს, თუ როგორ აყენებს ჩვენს ფეხებს მყარ საფუძველზე. დიახ, ბოროტის არ უნდა გვეშინოდეს, მაგრამ დააკვირდით, თუ როგორ გიშლით ხელს უფლის შიშის სათნოების გაუაზრებლობა, რომ თქვენი ცხოვრება საოცარი მშვენიერებით გაიფურჩქნოს.

მოდით, იმის გამოკვლევით დავინყოთ, თუ რაოდენ საოცარია ჩვენი ღმერთი!

ამას ჩვენ „ღვთისმოშიშებას“ ვუწოდებთ.

მომზადება ფართისა

პირა 1

უფლის შიში მისი
საგანძურია, რჩეული
სამკაული, რომელსაც ...
მეტისმეტად ძვირფას
ადამიანებს აძლევენ.

– ჯონ ბუნიანი

1 | ღვთის საბანძური

რა მოხდება, თუ ერთი ფარული სათნოების შესახებ შევიტყობთ, რომელიც მთელი ცხოვრების გასაღებია? იგი ჩვენი არსებობის მიზანს ააშკარავებს და ჩვენი შემოქმედის თანდასწრებას, დაცვასა და უზრუნველყოფას იზიდავს. ეს გახლავთ ყოველგვარი კეთილშობილური ბუნების ფესვი, ყოველგვარი ბედნიერების საძირკველი და საჭირო რეგულირებას გთავაზობთ ნებისმიერ არამეგობრულ ვითარებაში, რომელსაც ცხოვრებაში გადააწყდებით. ამ სათნოების მტკიცედ პყრობა თქვენს ცხოვრებას გაახანგრძლივებს, ჯანმრთელობას შეგძენთ, წარმატებას და უსაფრთხოებას მოგიტანთ, ნაკლოვანებას აღმოფხვრის და კეთილი მემკვიდრეობის გარანტიას მოგცემთ.

მეტისმეტად კარგად ჟღერს, რომ სიმართლე იყოს, არა? შესაძლოა, გაინტერესებთ, ხელში რომ წიგნი გიჭირავთ, ფანტასტიკის ჟანრიდან ხომ არ არის? გარწმუნებთ, ასე არ გახლავთ და სრულ სიმართლეს ვამბობ.

აღბათ, ზოგიერთი ამ რეალობის წინაშე დადგომისას ჩაიცი-ნებს და შეგვეკამათება: „ასეთი სათნოება არ არსებობს!“ და მაინც, ზემოთქმული აღთქმები, უდავოდ, ყველაზე ბრძენი ადამიანის მიერ ითქვა, ვისაც კი ოდესმე დედამინაზე უცხოვრია. უფრო მეტიც, მან ეს სიტყვები ჩვენი შემოქმედის შთაგონებით დანერა და ყველა სიტყვა შეუცდომელია!

მოპიპება ღვთისა

მიუხედავად ამისა, სოლომონი ქვეყნიური ცხოვრების დასასრულამდე მის მიერ აღწერილი ნეტარებიდან ჩამოვარდა, რადგან მისმა გულმა სიბრძნის წყარო მიატოვა და შესაბამისად, კარგი ცხოვრების გზიდანაც გადაუხვია.

ნება მომეცით, ეს ისტორია მოკლედ გაიმბოთ. ბავშვობაში სოლომონს წვრთნიდნენ და ხსენებული სათნოების შეძენა შეძლო. ის კეთილშობილურ თვისებებში მყარად ფესვგადგმული იზრდებოდა და შინაგანი წვდომაც კარგად განუვითარდა. მან წინამძღოლობის საფეხურები სწრაფად გაიარა და მილიონობით ადამიანის მმართველად იქცა. ღვთის ძიებამ საოცარი სიბრძნე არგუნა. ფაქტობრივად, მისთვის გაუგებარი ძნელად თუ რამე იქნებოდა. მის კალამს ათასობით ბრძნული გამონათქვამი და ასობით საგალობელი ეკუთვნის: „ლაპარაკობდა ცხოველებზე, ფრინველებზე, ქვეწარმავლებზე, თევზებსა და ხეებზე: ლიბანის კედრიდან - კედელზე მცოცავ უსუპამდე“ (1 მეფ. 4:33).

ამ ბრძენკაცმა წარმატების, სიმდიდრისა და სახელის არგაგონილ და განუცდელ სიმაღლეს მიაღწია. მეფეები, დედოფლები, ელჩები და მაღალი რანგის წინამძღოლები შორეული ქვეყნებიდან მოდიოდნენ მასთან ყოფნის, მისი სიბრძნის მოსმენის, მისი გუნდის საოცარი ერთობის ხილვის მიზნით და შთაბეჭდილების ქვეშ რჩებოდნენ სიახლეებით, რაც ამ დიდი მეფის ერის ძლიერებასა და დოვლათს ქმნიდა. ეს ყველაფერი იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ ერთმა დედოფალმა არც კი დაიჯერა, სანამ თავისი თვალით არ იხილა. მეფესთან გარკვეული დროის დაყოფის შემდეგ მან ასე წამოიძახა: „არ ვუჯერებდი სიტყვებს, ვიდრე მოვიდოდი და ჩემი თვალით ვიხილავდი; აჰა, თურმე ნახევარიც კი არ მსმენია: იმაზე მეტი სიბრძნე და სიმდიდრე გქონია, ვიდრე გაგონილი მქონდა. ნეტარია შენი ხალხი და ნეტარ არიან შენი მსახურნი, რომლებიც მუდმივად დგანან შენ წინაშე და ისმენენ შენს სიბრძნეს“ (1 მეფ. 10:7-8).

ნაკითხულიდან ჩანს, რომ მისი ხალხი ბედნიერი და ნაყოფიერი იყო თავის ძალისხმევაში. სიღარიბე არ არსებობდა; მისი სამეფოს ყველა ოჯახს საკუთარი სახლი და ბალი ჰქონდა. ისტორია მოწმობს, რომ „ზღვის ქვიშასავით ურიცხვი იყო იუდა და ისრაელი. ჭამდნენ, სვამდნენ და მხიარულობდნენ“ (1 მეფ. 4:20). ისინი სიმშვიდესა და უსაფრთხოებაში ცხოვრობდნენ.

დრო გავიდა და ეს სახელგანთქმული წინამძღოლი გადასცდა ბილიკს, რომელიც მის მიღწევებს ასულდგმულებდა. ის ბრძენი შეიქნა საკუთარ თვალში და ჩათვალა, რომ ჩვენს მიერ განსახილველი სათნოების სიბრძნე აღარ სჭირდებოდა. სავალი დაკარგა და საბოლოოდ, საშინელ ცინიკოსად ჩამოყალიბდა. მისი განუხსჯელობით ის ერთადერთი არ დაზარალებულა, არამედ ყველა, ვისაც უძღვებოდა.

მისთვის ცხოვრებამ აზრი დაკარგა. დაწერა ისეთი დამაკნინებელი განცხადებები, როგორიცაა: „ყველაფერი დამღლელია, კაცი ვერ შეძლებს ყველაფრის მოყოლას“¹, „რაც იქნება, ის უკვე იყო და, რაც უკვე მოხდა, ისევ ის მოხდება: არაფერია ახალი მზის ქვეშ“². კიდევ უფრო შთამბეჭდავია მისი განაცხადები: „სიკვილის დღე [სჯობს] შობის დღეს“³ და „გამრუდებულს ვერ გაასწორებ და არარსებულს ვერ დათვლი“⁴. ფაქტობრივად, მან მთელი წიგნი მიუძღვნა ცხოვრების უაზრო არსებობის თვალსაზრისს. მისთვის ყველაფერი ამაო იყო.

ეს ერთი კაცი შედარებით მოკლე დროში წარმატების უმაღლესი მწვერვალებიდან შემზარავი პესიმიზმის სიღრმეებში ჩაეშვა. თანამედროვე ფსიქოლოგების დიდი ნაწილი მის შემთხვევას მანიაკალური დეპრესიის დიაგნოზს დაუსვამდა. როგორ შეიძლებოდა ერთი ადამიანი ასეთ უკიდურესობაში გადავარდნილიყო?

კარგი ამბავი: მისი ისტორია სასოწარკვეთილების უფსკრულთ არ სრულდება. ის ისევ დაუბრუნდა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სათნოებას. არ ვიცით, რამდენი თვე ან წელი მოანდომა პირქუში წიგნის წერას, მაგრამ ბოლო თავი მისი გამოჯანსაღების მინიშნებას გვაძლევს. ის სხვადასხვა ფორმით შვიდჯერ შეგვახსენებს: „გახსოვდეს შენი შემოქმედი“. მისი საბოლოო სიტყვები ასეთია:

„ისმინე ყოველივე ამის დასკვნა: გეშინოდეს ღვთისა და დაიცავი მისი მცნებანი, რადგან ეს არის უმთავრესი [შესაქმის სრული, თავდაპირველი მიზანი, ღვთიური განჭვრეტის დანიშნულება, ხასიათის ფესვი, ყოველგვარი ბედნიერების საფუძველი, ყველა მოუგვარებელი გარემოების და პირობების რეგულირების საშუალება მზის ქვეშ] ყველა ადამიანისთვის“. (ეკლ. 12:13)

მოშიშება ღვთისა

ჯილდოდ დადგენილი სათნოება სხვა არაფერია, თუ არა ღვთისმოშიშება. ავტორი, მეფე სოლომონი მას სრული და უხვი ცხოვრების წინაპირობად მიიჩნევს. წერილში ვკითხულობთ: „ვინ არის კაცი მოშიში უფლისა? მას უჩვენებს გზას, რომელიც უნდა აირჩიოს“ (ფს. 25:12). ეს გზა ფართოდ ცნობილი არ გახლავთ. სამწუხაროდ, ბევრი სიბნელეში მყოფი მეფე სოლომონივით დარწმუნებულია, რომ წარმატებას და ბედნიერებას საკუთარი სიბრძნე მოუტანს. წმიდა შიში ჩვენი შემოქმედის სიბრძნესთან უწყვეტ კავშირს უზრუნველყოფს. მან ერთადერთმა იცის, თუ რა გაგვამტკიცებს და რა დაგვლუპავს.

წმიდა მოშიშების მნიშვნელობა იმდენად აღემატება სხვა სათნოებებს, რომ წერილი მას იესოს ამავსებელს უწოდებს (ეს. 11:3). ასევე საოცარია შემდეგი მუხლი: „ღვთისმოშიშება ... მისი საგანძურია“ (ეს. 33:6). შეჩერდით და ერთი წუთით დაფიქრდით: მოშიშება ყოვლისშემძლე ღმერთს აამებს და მის საგანძურად ითვლება. განსაცვიფრებელია! მალე ამ საკვირველ რეალობას ჩავუღრმავდებით, მაგრამ ჯერ მეფე სოლომონს დავუბრუნდეთ.

რატომ დავიწყე სათქმელი მისი წარმატების, მარცხისა და საბოლოო აღდგენის ამბით? ჩემი მსახურების პირველ წლებში ერთმა ბრძენმა წინამძღოლმა მეტად საყურადღებო განცხადება გააკეთა, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში ვითვალისწინებდი. მან თქვა: „ზოგად პრინციპად ვაქციე ძალაუფლების პოზიციაზე ისეთი ადამიანის ნაწევისგან თავის შეკავება, რომლის ცხოვრება სრულყოფილი ჩანს“.

როცა მიზეზით დაინტერესდნენ, მან ასე უპასუხა: „ადამიანის ხასიათის შესახებ უფრო მეტს ვსწავლობ მარცხზე მისი რეაქციით, ვიდრე სხვა რამით. იღებენ პასუხისმგებლობას, ინანიებენ და იზრდებიან მიღებული გამოცდილების შედეგად თუ თავს იმართლებენ და თითო სხვისკენ იშვებენ? სწორედ აქედან ვასკვნი, არის თუ არა ადამიანი შესაფერისი დასაკისრებელი პასუხისმგებლობისთვის“. აი, რა ვისწავლე აქედან: *ეს მიანიშნებს, თვლის თუ არა ადამიანი სიბრძნეს ყველაზე ამაღლებულ სათნოებად.*

სოლომონმა სრულად ვერ გააცნობიერა ღვთისმოშიშების ფასეულობა მიუხედავად იმისა, რომ სულიწმიდის შთაგონებით განისწავლა! ამრიგად, მისთვის დასაშვები იყო გვერდზე გადახვევა. დაცემის წინ ღვთის შიში უკვე აღარ მიაჩნდა საგანძურად

და სიამედ. მას არ თვლიდა საკუთარი მოტივებისა და ქმედებების ურყევ საფუძვლად. ნაბორძიკების, დაცემის განცდისა და საბოლოო აღდგენის შემდეგ სრულად გაისიგრძეებანა სიბრძნის ძალის მთელი სიდიადე.

ანალოგიურის შესახებ წერს პავლე მოციქული:

„ვთრგუნავ და ვიმონებ ჩემს სხეულს, რადგან ვშიშობ, სხვებს რომ ვუქადაგებ სახარებას, თვითონ უღირსი არ აღმოვჩნდე [ვერ გავუძლო გამოცდას, არ მომიწონონ და უარმყონ, როგორც ყალბი]“. (1 კორ. 9:27 MSG)

პავლე კარგად ხვდებოდა მისთვის ღვთის სულის მიერ მინდობილი სიბრძნის გაფრთხილების მნიშვნელობას და მეფე სოლომონის მსგავსი შეცდომა არ დაუშვია. მას ღვთის აღთქმის დაფარული ჭეშმარიტებები გაეცხადა, რომლებიც უამრავ ადამიანს გაათავისუფლებდა. თუმცა ღვთის შიშის უგულვებელყოფის და მასში მყარად დარჩენაზე უარის თქმის შემთხვევაში ისიც უიმედო ცინიკოსი გახდებოდა – შეუსაბამო, მოუნონარი და თვალთმაქცობის გამო უგულვებელყოფილი.

ღვთისმოშიშებაზე, როგორც ყველაზე სასურველ საგანძურზე ჩაჭიდება გვაძლიერებს, რომ ჭეშმარიტების მორჩილება შევძლოთ. ასე თუ ვიქცევით, მოშიშება სიცოცხლის გზაზე დარჩენაში გვეხმარება, რასაც ნიშანდობლივი საზღაური მოჰყვება.

იმ დროს, როცა ადამიანთა უმრავლესობა შიშს მავნე და დამაზიანებელ გრძნობად თვლის, უფლის შიშის სასარგებლო და სასურველ სათნოებად გამოცხადება ალოგიკური ჩანს. თუმცა წმიდა წერილზე დაყრდნობით გარწმუნებთ, რომ მისი გათავისება სიცოცხლის ბილიკზე დარჩენის ძალას მოგვცემს. აქ ჩვენ ღმერთთან ნამდვილ მოზიარეობას და ცხოვრების შემცვლელ სარგებელს ვიპოვით. მათგან უდიდესია იესო ქრისტეს დამსგავსება. ამრიგად, დავინწყით ჩვენი მოგზაურობა ღვთისმოშიშების აღმოსაჩენად.

გათავისება

მონაკვეთი: დაგიდგება უსაფრთხო ჟამი, ხსნის, სიბრძნისა და ცოდნის სიუხვეში; და ღვთისმოშიშებაში - რომელიც მისი საგანძურია. (ეს 33:6)

თემა: წმიდა მოშიშება ღვთის საგანძურია; ის ჩვენს მფლობელობაში უნდა იყოს.

ლოცვა: ძვირფასო, ზეციერო მამა, გთხოვ, რომ უფლის შიშის აღმოჩენის მოგზაურობაში შევიცნო ის, მისით ვიცხოვრო და მისით ვისიამოვნო! დაე, ის გახდეს ჩემი საგანძური, როგორც შენთვის არის. მან მომცეს სრული და წარმატებული ცხოვრებისთვის საჭირო სიბრძნე და ცოდნა, რაც შენს თვალს ეამება. გარდა ამისა, სინათლე მოვიდეს ჩემთვის ძვირფას ადამიანებში და ყველამ აღიაროს მისი ფასეულობა, ვისთანაც ურთიერთობა მექნება. ჩემო უფალო და მხსნელო, ამას გთხოვ იესო ქრისტეს სახელით, ამინ!

აღიარება: არჩევანს ვაკეთებ, რომ წმიდა შიში ცხოვრების დიდი საგანძურად მივიჩნიო და ამის გაკეთება კეთილგონივრული სიცოცხლის გზაზე დარჩენაში დამეხმარება.

გეშინოდეს ღვთის, მაგრამ
ნუ შეგაძრწუნებს იგი.

– ჯ. ა. სპენდერი

2|სსპაღასსპა სასის შიში

1994 წლის ზაფხულში ერთ საეკლესიო კონფერენციაზე მსახურების განწევა მთხოვეს, რომელიც შეერთებული შტატების სამსრეთ-აღმოსავლეთში მდებარეობდა. ეს დიდი თემი გახლდათ, რომელმაც ორი წლით ადრე ოთხკვირიანი ძალმოსილი გამოღვიძება განიცადა მსოფლო მასშტაბის მახარებლის წინამძღოლობით. გამოღვიძებამ ყურადღება გაამახვილა ღვთის სიკეთეზე, სიყვარულსა და სიხარულზე; ამან მრავალი ადამიანის ცხოვრება სასიკეთოდ შეცვალა. სამწუხაროდ, ეკლესია მიღებულ გამოცდილებაზე გაიყინა და აღარ გააგრძელა ღვთის გულის ძიება. შედეგად, მათი წინსვლა შეჩერდა და წონასწორობა დაკარგეს.

იმ დროისთვის წმიდა შიშის აღმოჩენის გზაზე ვიდექი. მის მნიშვნელობას ვხედავდი, მაგრამ მის შემეცნებაში ჯერ კიდევ ვიზრდებოდი, ამიტომ ჩემი მიგნებების საჯაროდ გაზიარებისგან თავს ვიკავებდი. მიუხედავად ამისა, ძლიერი გრძნობა გამიჩნდა, რომ მღელვარება გვერდზე გადამედო და უფლის მიმართ მოშიშების განსახილველად პირველივე საღამოს მსახურებაზე მელაპარაკა.

კათედრასთან დავდექი და მორწმუნეთა თემს ჩემი შეზღუდული გაგებიდან ვესაუბრე. თავდაჯერება არ შემმატა მსმენელთა არაფრისმთქმელი და ურეაქციო სახეების ხილვამ. ისე ჩანდა,

მოზიზება ღვთისა

რომ ჩემი სიტყვები ყრუ კედელს ეჯახებოდა. შეფასებაში სწორი აღმოვჩნდი და მალე მივხვდი, რა იყო ამის მიზეზი.

მეორე საღამოს თაყვანისცემის შემდეგ უფროსი პასტორი კათედრასთან გამოვიდა. ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი რიგითი შესავალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. თხუთმეტი წუთის განმავლობაში მისწორებდა წინა საღამოს ნალაპარაკევს. მან გაბედულად განაცხადა: „ღვთის შიში მხოლოდ ძველი აღთქმის დროს იყო მნიშვნელოვანი. ახლა კი ჩვენ, ქრისტიანებს არ გვმართებს „სიმბდალის სულის“ ქონა“. ამის დასტურად 2 ტიმ. 1:7 მუხლი მოიყვანა.

წინა რიგში ელდანაცემი ვიჯექი და თავი კომპარში მეგონა. რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო უხერხული მდგომარეობა იქმნებოდა. ის განაგრძობდა: „ახალი აღთქმა გვეუბნება, რომ „სიყვარულში არ არის შიში და სრულყოფილი სიყვარული დევნის შიშს“ (1 იოან. 4:18). ამრიგად, ჯონმა წინა საღამოს შეცდომით გვასწავლა და მინდა ამ სწავლებისგან დაგიცვათ.“ მისი დეტალურად შემუშავებული შესწორება კიდევ რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

როცა დაასრულა, ჩემდა გასაკვირად, ისევ კათედრასთან მომიწვია. ახლაც მახსოვს, როგორ მივდიოდი იქეთკენ და ჩემთვის ვფიქრობდი: *როგორ უნდა მოვემსახურო ხალხს მას შემდეგ, რაც გააკეთა? ეს არ უნდა მომხდარიყო.* თუმცა ასე მოხდა და მთელი ძალის მობილიზება დამჭირდა, რომ იქედან არ გავქცეულიყავი. რთული იყო აზრზე მოსვლა, რომ არაფერი ვთქვათ კონფერენციაზე დამსწრეთათვის სიცოცხლის მიმნიჭებელი სიტყვის გადაცემაზე.

ვლაპარაკობდი, მაგრამ გონებაში სულ მისი ნათქვამი მიტრიალებდა. მისი სიტყვების შერყევა არ შემეძლო. განცდა სურეალისტურიც იყო და საშინელიც. რამდენჯერმე მიწევდა მოსაზრებების გამეორება, რომ სწორი მიმართულება შემენარჩუნებინა. გამუდმებით ვებრძოდი გრძნობებს, რომლებიც ამბობდნენ: *დაივიწყე ყველაფერი, ლაპარაკი შეწყვიტე და აქედან წადი! საცოდაობა იყო! მოკლე სიტყვის შემდეგ მსახურება მათ დავუთმე, თავად კი სასტუმროში დავბრუნდი და სანოლში ჩავწექი თავგზააზნეული და გარიყული.*

მეორე დილას სასტუმროს მახლობლად წყნარი სამშენებლო ადგილი ვიპოვე. იმჟამად მუშები არსად ჩანდნენ. ბეჯითად

ვილოცე ღვთის წინაშე და მისგან შესწორებას ველოდი. გულწრფელად ვკითხე: „უფალო, ზიანი ხომ არ მივაყენე შენს ეკლესიას? სიცრუე ხომ არ ვასწავლე? ბორკილებში ხომ არ მოვაქციე შენი ერი?“

კიდევ გავაგრძელე ლოცვა და ლაპარაკისას თანდათან მივხვდი, რომ რაღაც იცვლებოდა. უკვე აღარ მეპარებოდა ეჭვი ჩემი სწავლების სისწორეში და მეტის გაგება მოვინდომე წმიდა შიშის თაობაზე. ეს იყო ჩემი გულის სიღრმიდან ამოსული ღაღადი და მომხდარი ძალიან მიკვირდა. ღვთისგან უკმაყოფილება არ მიგვრძნია. პირიქით, მივხვდი, რომ ნასიამოვნები იყო იმით, რაც გავაკეთე. მან არაერთი მუხლი გამახსენა ახალი აღთქმიდან, სადაც ლაპარაკი იყო უფლის შიშზე. თავგზააჩეული აღარ ვიყავი და ხმამაღლა, სრული დაჟინებით ვევედრებოდი: „მამა, მინდა გავიაზრო, რა არის ღვთის შიში და მასში ვიარო!“

ახალი აღთქმის ავტორებმა მართლაც დაწერეს სიტყვები, რომლებიც პასტორმა მოიყვანა, მაგრამ მათ სხვა რამეც მრავლად თქვეს:

- პავლე მოციქული წერს: „შიშითა და ძრწოლით იღვანეთ თქვენს სახსნელად (ფილ. 2:12).
- ის კიდევ ერთხელ გვარიგებს: „ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სინმიდე“ (2 კორ. 7:1).
- ებრაელთა წერილის ავტორი გვეუბნება: „გამოვიჩინოთ მადლიერება, რომლითაც ვემსახურებით ღმერთს სათნოდ, მონინებითა და მოშიშებით“ (ებრ. 12:28).
- პეტრე მოციქული წერს: „თუ მამას უწოდებთ იმას, ვინც მიუკერძოებლად, ყველას საქმეთა მიხედვით განიკითხავს, მაშინ მოშიშებით გაატარეთ თქვენი ხიზნობის დრო“ (1 პეტრ. 1:17).
- მოციქული იუდა აცხადებს: „სხვანი კი შიშით იხსენით“ (იუდ. 23).
- ასევე იესო შეგვაგონებს: „ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ შეუძლია. უფრო მეტად იმის გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვაც შეუძლია და სხეულისაც გენაში“ (მათ. 10:28).

მოზიზება ღვთისა

შემიძლია გავაგრძელო და მომდევნო თავებში სხვა მუხლებსაც მოვიყვან, მაგრამ იმედი მაქვს, სათქმელს მიმიხვდით: *წმიდა შიში* ახალი აღთქმის ჭეშარიტებაა. ზემომოყვანილი მუხლები მცირე ნაწილია იქედან, რაც უფალმა ლოცვისას გამახსენა.

იმ დილას მიხვდი, რომ პასტორმა „სიმხდალის სული“ და „ღვთის შიში“ ერთმანეთში აურია. მათ შორის უზარმაზარი სხვაობაა, რაც თვალსაჩინოდ ჩანს შემთხვევიდან, როცა მოსემ ისრაელი ერი სინას მთაზე მიიყვანა ღმერთთან შესახვედრად.

როცა მთელი ერი შეიკრიბა, მოსე მთაზე ადის თავდაპირველი შეხვედრისთვის. ყოვლისშემძლე მას ეგვიპტიდან სასწაულებრივი გამოხსნის მიზანს უცხადებს:

„ასე უთხარი იაკობის სახლს და აუნყე ისრაელის შვილებს: ხომ ნახეთ, რა დავმართე ეგვიპტელებს; არწივის ფრთებზე აგიყვანეთ და ჩემთან მოგიყვანეთ“. (გამ. 19:3-4)

უმთავრესი მიზანი, რის გამოც ყოვლისშემძლე ღმერთმა ხალხი იხსნა, *ყველა მათგანის* მასთან შეკრებაა. მას მოენატრა ისინი და მათთან შეხვედრა მოინდომა, რომ მოსესავით გაეცნოთ ღმერთი. და მაინც, სამი დღის შემდეგ, როცა უზენაესი მთაზე ჩამოვიდა მათ წინაშე წარსადგენად, ხალხმა უკან დაიხია. მათ შეძრწუნებულებმა შესძახეს მოსეს: „შენ გველაპარაკე და მოგისმენთ, ოღონდ ღმერთი ნუ დაგველაპარაკება, თორემ დავიხოცებით“ (გამ. 20:19). წინამძღოლმა მათი ნუგეშისცემა გადანყვიტა და ასე უთხრა: „ნუ გეშინიათ, თქვენს გამოსაცდელად მოვიდა ღმერთი, რომ მისი შიში გქონდეთ და არ შესცოდოთ“ (გამ. 20:20).

ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ მოსე წინააღმდეგობაში მოდის: „ნუ გეშინიათ“, რადგან ღმერთი მოვიდა, რომ „მისი შიში გქონდეთ“. ნუთუ ის ორივე მხარესთან თამაშობს? არავითარ შემთხვევაში. უბრალოდ, მოსე განასხვავებს „ღვთისგან შეძრწუნებას“ და „უფლის შიშს“. კიდევ ვიმეორებ, რომ მათ შორის განსხვავება დიდია.

ვინც ღვთისგან შეძრწუნებულია, დამალვას ცდილობს. გაიხსენეთ ედემის ბაღში ადამი და ევა როგორ დაემალნენ ღმერთს შეცოდების შემდეგ. მათი ასეთი რეაქცია ერთადერთი არ გახლავთ. წმიდა წერილში არაერთგზის არის ნაჩვენები

ქცევის ამგვარი ტიპი იმ პიროვნებათა ცხოვრებაში, რომლებიც სიბნელეში დადიან.

ღვთისმომშიმ ადამიანს კი დასამალი არაფერი აქვს. ის შეძრწუნებული არ გარბის ღვთის თანდასწრებიდან. ამას ცხადყოფს ფაქტი, რომ მოსე მაშინვე მიუახლოვდა ღმერთს, როცა ხალხმა უკან დაიხია. ღვთისმომშიმი ადამიანი თავს არ უსვამს ასეთ კითხვას: „რამდენად შორს შეიძლება წავიდე ღვთისგან ისე, რომ არ შევცოდო?“ არა, ის ამბობს: „მინდა ღმერთთან ახლოს ვიყო და ისე დავშორდე ცოდვის საზღვარს, რომ მას თითქმის აღარ ვხედავდე“.

ამრიგად, სანამ წმიდა შიშს განვმარტავთ და მის სარგებელს განვიხილავთ, ჯერ ის გავარკვიოთ, რა არ წარმოადგენს შიშს. *ეს არ გახლავთ ღვთისგან თავზარდაცემა და მისგან შორს გაქცევა. როგორ შევძლებთ ისეთ პიროვნებასთან სიახლოვეთ ვისიმოვნოთ, ვინც გვაძრწუნებს? ღვთისგან შორს წასვლა მისი სურვილის საპირისპიროა. ფსალმუნებში ვკითხულობთ: „შენ უთხარი ჩემს გულს: ეძიეთ ჩემი სახე! შენს სახეს მოვძებნი, უფალო“ (ფს. 27:8). დაინახეთ სიახლოვის მონოდება? მას სურს: დაგიახლოვოთ, ურთიერთობა გქონდეთ, ერთად იცინოთ, სხვადასხვა რამეს უზიარებდეთ და ცხოვრება ერთად გაატაროთ. მეფსალმუნე ასევე წერს: „საიდუმლო უფლისა მისი მოშიშეებისთვისა“ (25:14). ასეთია მყარი რეალობა: ღმერთს თქვენთან ძალზე ახლო ურთიერთობა სურს. დარწმუნებული იყავით, რომ წმიდა შიში სიახლოვს არ აცხრობს, პირიქით, ღმერთთან ურთიერთობას აძლიერებს.*

გათავისება

ონაკვეთი: „ნუ გეშინიათ, თქვენს გამოსაცდელად მოვიდა ღმერთი, რომ გულში ღრმა და მოკრძალებული შიში ჩაგინერგოთ, რათა არ შესცოდოთ!“ (გამ. 20:20 MSG.)

თემა: წმიდა შიში არ ნიშნავს ღვთისგან შეძრწუნებას და შორს გაქცევას. ის გულისხმობს მისგან შორს ყოფნის შიშს.

დაფიქრება: რა მთავარი მიზანი ამოძრავებდა ღმერთს, როცა ისრაელი ეგვიპტიდან გამოყავდა? რა მიზანს ისახავს ღმერთი ახლა, როცა ქვეყნიერების მონობიდან მიხსნის?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, მადლობას გიხდის სიმბდალის სულისგან ჩემი ხსნისთვის უფალ იესო ქრისტეს მეშვეობით! გთხოვ, ჩამინერგო წმიდა შიში, რომ არ შევცოდო შენს წინააღმდეგ, რათა ცოდვამ არ წამიყვანოს შენთან მოზიარეობისგან, რაც ორივეს სურვილია! ამას გთხოვ იესო ქრისტეს სახელით, ამინ!

ალიარება: ღმერთმა მომიწოდა, რომ მასთან ძალზე ახლოს ვიყო; ამიტომ მასთან მიახლოების შიში არ მაქვს, არამედ მინდა, მის მიმართ მოწინებით და თრთოლვით ვიარო, რომ არ შევცოდო.

ღვთისმოშიშება მისი
გონიერი ქმნილებების
ერთ-ერთი უპირველესი
და უდიდესი მოვალეობა
გახლავთ.

– ჩარლზ ინგლისი

3 | რა არის წმიდა მოშიშება?

ერთი წინადადებით, აბზაცით ან თუნდაც თავით შეუძლებელია წმიდა შიშის განსაზღვრა. ეს იგივეა, რომ ღვთის სიყვარულის სრული სპექტრის ახსნა სცადოთ იგივე მოცულობის სივრცეში. ამას თავები დასჭირდება და ამ შემთხვევაშიც კი შორს ვიქნებით ოსტატობისგან ჩვენი გაგების გამო. ფაქტობრივად, დარწმუნებული ვარ, რომ წმიდა სიყვარულის და წმიდა შიშის სიღრმეების შესწავლას მარადისობას მოვანდომებთ.

ამ განმარტების შემდეგ ნება მომეცით, რომ წმიდა შიშის განსაზღვრების ზოგადი გეგმა შემოგთავაზოთ! გადახედეთ თქვენს ბავშვობას, როცა გასაფერადებელ ნიგნსა და ფერად ფანქრებს გაძლევდნენ! შლით ნიგნს, ირჩევთ გვერდს და ხედავთ გასაფერადებლად გამზადებულ დანაყოფებს. ანალოგიურად, ეს თავი დაგანახებთ საზღვრებს, მაგრამ მის გაფერადებას მთელი ნიგნი დასჭირდება. მარტო ამ თავის ნაკითხვა ზოგად წარმოდგენას შეგიქმნით წმიდა შიშზე, მაგრამ მისი გარდამქმნელი ქეშმარიტებების შესახებ ვერაფერს გაიგებთ.

წინა თავში დავადგინეთ, რომ უფლის შიში მის თანდასწრებას არ გვაშორებს, არამედ მასთან გვაახლოვებს. კარგ და საოცარ მოკრძალებას ღმერთთან ახლოს მივყავართ. ამ მტკიცე საფუძვლის ჩაყრა მნიშვნელოვანია, სანამ გავაგრძელებდეთ.

ზოგიერთი ამბობს, რომ ღვთის შიში მხოლოდ მოკრძალებით თაყვანისცემას ნიშნავს. სწორედ ეს სიტყვები მაქვს გაგონილი საყოველთაოდ ცნობილი მსახურების მხრიდან კათედრაზე, საუბრებში და ლიდერებთან სადილობისას. მიუხედავად იმისა,

მოშიშება ღვთისა

რომ ეს საწყისი განმარტებაა, შორს გახლავთ სრულყოფილი სურათისგან. ეს იმას ჰგავს, ღვთის სიყვარულს „მომთმენი და სიკეთით სავსე“ რომ უწოდოთ (1 კორ. 13:4). თუ ამაზე შევჩერდებით, მიზანს სრულიად ავცდებით.

როცა მე და ლიზამ ორმოც წელს გადავაბიჯეთ, სახლში საყოველთაოდ პატივდებული წინამძღოლის სიძე გვეწვია, რომ მის კომპანიაში ინვესტირების შესაძლებლობაზე დაგვლაპარაკებოდა. შეხვედრა რამდენიმე საათს გაგრძელდა და ახლაც განსაკუთრებით მახსენდება, რა სიკეთესა და მოთმინებას იჩენდა ჩვენს მიმართ. მის ქცევას რომ დაკვირვებოდით, თქვენც მოსიყვარულე ადამიანად ჩათვლიდით. თუმცა რამდენიმე დღის ლოცვის შემდეგ მე და ლიზას არ გაგვიჩნდა ინვესტირების სურვილი. ახლა მიხარია, რომ ასე მოხდა, რადგან ის პიროვნება წლების მანძილზე სასჯელს იხდიდა თავის კომპანიაში პონცის სქემის (პირამიდის მსგავსი სქემა) მასშტაბური გამოყენების გამო.

იყო თუ არა ეს ადამიანი მომთმენი და კეთილი? რასაკვირველია! დადიოდა სიყვარულში? არავითარ შემთხვევაში! რატომ? იმიტომ, რომ წერილი ამბობს: „ღვთის სიყვარული ის არის, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს“ (1 იოან. 5:3). ქურდობა ეგოისტური საქციელია და ღვთიური სიყვარულის მცნებას არღვევს (ეფეს. 4:28). მცირეწლოვანის გამხრწნელი კეთილი და ზოგჯერ მომთმენიც ჩანს თავიდან, მაგრამ ახალგაზრდა სიცოცხლეს ანგრევს. მას უყვარს ბავშვი? არანაირად!

ანალოგიურად, წმიდა მოშიშების მხოლოდ მონინებულ თაყვანისცემამდე დაყვანა მიზანს აგვაცდენს და სხვა მიმართულებით წაგვიყვანს. ამრიგად, ჯერ მონახაზი გავაკეთოთ და ფერებით მომდევნო თავებში შევავსოთ სწავლებების, წმიდა წერილიდან მაგალითების და ისტორიების მეშვეობით. სანამ დავიწყებდეთ, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ წმიდა შიშის განსაზღვრებისას, ცოტა არ იყოს, შემამფოთებელ სიტყვებს მოისმენთ. მიუხედავად ამისა, გარწმუნებთ, რომ საპირისპირო ჭეშმარიტია. დარჩით ამ სიტყვის მთლიანობაში და აღმოაჩინეთ, რომ წმიდა შიში სიყვარულისა და დაცვის საჩუქარია ჩვენი შემოქმედისგან, რომელიც სრული მზრუნველობით მოგვიცავს და ვენატრებით.

დასაწყებად ახალი აღთქმის ბევრი მუხლი გამოდგება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს კონკრეტული მონაკვეთი სწორ ელფერს მისცემს ჩემს სათქმელს:

„ამიტომ ჩვენ, ვინც შეუძრავ სამეფოს ვლებულობთ, გამოვიჩინოთ მაღლიერება, რომლითაც ვემსახურებით ღმერთს სათნოდ, მონინებითა და მოშიშებით. რადგან ჩვენი ღმერთი მშთანთქმელი ცეცხლია“. (ებრ. 12:28-29)

თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ გამოყენებულია ორი ტერმინი: *მონინება* და *მოშიშება*. უკვე ცხადი ხდება, რომ წმიდა შიშის მხოლოდ მონინებამდე დაყვანა შეუძლებელია. სხვა შემთხვევაში გამოდის, რომ ავტორი ორჯერ იმეორებს ერთი და იმავე სიტყვას. ესენი არა მარტო ინგლისურშია განსხვავებული ტერმინები, არამედ ბერძნულშიც: *aidōs* და *eulábeia*.

მონინება პირველი ბერძნული სიტყვის შესანიშნავი თარგმანია. *The Complete Word Study Dictionary* მონინებას განმარტავს, როგორც „საფუძვლიან თაყვანისცემას, მთრთოლვარე პატივისცემას“¹. მომწონს ამ ოთხი სიტყვის ერთიანობა; მათზე დაფიქრებას ჩვენი გაგება სხვა დონეზე აჭყავს!

მეორე ტერმინი, *მოშიშება*, გულისხმობს „მოკრძალებული შიშის განცდას“. მისი განმარტებისთვის *Noah Webster's dictionary*-ის 1828 წლის თავდაპირველ გამოცემას მივმართე. აი, რა ვიპოვე: „შიში; რაიმე დიდისა და შემადრწუნებლის მიერ მოგვრილი განცდა; შიშისა და მოკრძალების დაცემა; შიშის ზარით ან პატივისცემით მოსული ზეგავლენა.“² ნუ შეგაშფოთებთ სიტყვები *შემადრწუნებელი* და *შიშის ზარი*. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული ლექსიკონი ამ სიტყვებს იყენებს, ერთი რამ გახსოვდეთ: წმიდა შიშს ახლოს მოყავხართ და არ განგიზიდავთ. ამრიგად, უნდა დავსვათ კითხვა: აქვს თუ არა ამ სიტყვებს დადებითი და ჯანსაღი მხარე? დარწმუნებული ვარ, რომ წერილი ამას გვაჩვენებს და ჩვენც მალე დავინახავთ, როცა მოგვიანებით ფერს დავამატებთ.

დავინყოთ ჩვენი განსაზღვრებების ჩამოთვლით. ღვთის შიში ნიშნავს მის მიმართ *მოკრძალებას* და სრულ *მოშიშებას*.

ღვთისმოშიშება მის წმიდად შერაცხვას და დიდი პატივის მიგებას ნიშნავს.

მოზიზება ღვთისა

ღვთისმოშიშება მისი დაფასება, თაყვანისცემა და ყველასა და ყველაფერზე მაღლა დაყენებაა.

როცა ღვთის გვეშინია, მისი გულისნადები გვაღელვებს. გვიყვარს, რაც მას უყვარს და გვძულს, რაც მას სძულს. (ყურადღება მიაქციეთ, რომ აქ არ არის ნათქვამი „არ მოგვწონს“, რაც მას სძულს, არამედ „გვძულს“, რაც მას სძულს). მისთვის მნიშვნელოვანი ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი ხდება. რაც მას ნაკლებად აინტერესებს, არც ჩვენ გვინტერესებს.

ღვთისმოშიშება ცოდვის სიძულვილია.

ღვთისმოშიშება უსამართლობის სიძულვილია.

ღვთისმოშიშება ყოველგვარი ბოროტებისგან განრიდება, იქნება ეს აზრი, სიტყვა თუ მოქმედება. ეს არის მაცდური ლაპარაკისგან თავშეკავება. ეს არ არის იმის თქმა ან გარეგნულად გამოვლენა, რაც პიროვნებას გულში არ უდევს და არ ფიქრობს. მას ჩვენი გარეგანი ქცევები შინაგან აზრებთან, მოტივებსა და მრწამსთან შესაბამისობაში მოჰყავს.

ღვთისმოშიშება მისი და ადამიანების წინაშე ნამდვილი თავმდაბლობით სიარულია.

ღვთისმოშიშება არის მისთვის ქების შესხმა, გაღმერთება, მადლიერება და შესაფერისი თაყვანისცემა.

ღვთისმოშიშება ნიშნავს, რომ მიუძღვნა მას ყველაფერი, რაც ეკუთვნის.

ღვთისმოშიშება მის წინაშე თრთოლას ნიშნავს შიშითა და აღფრთოვანებით. ეს არის მისი სიტყვისა და თანდასწრების მიმართ სრული ყურადღების გამოხატვა.

ღვთისმოშიშება მისი მორჩილებაა. ეს არ გახლავთ უბრალო სურვილი, არამედ შინაგანი ძალა, რომელსაც მისი ნების შესრულებამდე მიყავხართ ნებისმიერი მსხვერპლის ფასად. ჩვენ გულმოდგინებით, საკუთარი ნებით და დაუყოვნებლივ ვემორჩილებით მაშინაც კი, როცა სარგებელს ან აზრს ვერ ვხედავთ და საქმე დასრულებამდე მიგვყავს.

ღვთისმოშიშება ნებისმიერი ჩივილის, ნუნუნის ან უკმაყოფილებისგან თავშეკავებას ნიშნავს.

ღვთისმოშიშება არის პატივისცემა და უფლის უშუალო თუ გადაცემული ძალაუფლების მორჩილება, სადაც არ არსებობს არავითარი გამონაკლისი, თუ ზემდგომი ცოდვის ჩადენას არ მოგვთხოვს.

უფლის მოშიშება ჩვენს ზრახვებს, აზრებს, სიტყვებსა და მოქმედებებს აყალიბებს.

ახლა ნაწილობრივ ჩამოვთვალოთ წმიდა შიშის სარგებელი. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი უამრავი ბიბლიური ალთქმიდან მათთვის, ვინც ამ დაპირებების შესაბამისად ცხოვრობს.

უფლის შიში ღმერთთან ძალზე ახლო ურთიერთობის ქონის დასაწყისია. ჩვენ მისი მეგობრები ვხდებით და მისი საიდუმლოებები ჩვენთვის ცნობილი ხდება.

უფლის შიში სიბრძნის, გაგების და ცოდნის საწყისია. ის გვაძლევს შორსმჭვრეტელობას და მკაფიო ღვთაებრივ მიმართულებას.

უფლის შიშის მეშვეობით ვიზრდებით საკუთარ გადარჩენაში და იესოს ვემსგავსებით.

უფლის შიში სუფთაა; ის ნამდვილ სინმიდეს წარმოშობს ჩვენს ცხოვრებაში.

უფლის შიშში დამკვიდრება წარმოქმნის გაბედულებას, სიმამაცეს და დაცულობას. იგი შთანქავს ყველა სხვა შიშს ადამიანების შიშის ჩათვლით.

უფლის შიში გვაძლევს იდენტობას, ნაყოფიერს გვხდის და გამრავლების ძალას გვაძლევს.

უფლის შიში უზრუნველყოფს ანგელოზთა შემწეობას, სურვილების ასრულებას, უსასრულო წარმატებას, კეთილშობილებას, ზეგავლენას, დღეთა სიმრავლეს, ნაყოფიერ დღეებს, ცხოვრების სიხარულს, ბედნიერებას, საამო შრომას, სხეულის კურნებას და კიდევ მრავალ სხვა რამეს.

უფლის შიში მარადიულია – არასოდეს გაქრება. უფლის შიში ძვირფასი საჩუქარია ჩვენი ზეციერი მამისგან.

გათავისება

მონაკვეთი: ამიტომ ჩვენ, ვინც შეუძრავ სამეფოს ვღებულობთ, გამოვიჩინოთ მადლიერება, რომლითაც ვემსახურებით ღმერთს სათნოდ, მონინებითა და მოშიშებით. რადგან ჩვენი ღმერთი მშთანთქმელი ცეცხლია. (ებრ. 12:28-29)

თემა: ღვთის შიში არის იმის სიყვარული, რაც ღმერთს უყვარს და იმის სიძულვილი, რაც ღმერთს სძაგს. მისთვის მნიშვნელოვანი ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი ხდება. რაც მისთვის არარსებითია, ჩვენც არ ვანიჭებთ მნიშვნელობას.

დაფიქრება: როგორ გამოიყურება ჩემთვის ღვთის დაფასება, პატივის მიღება და თაყვანისცემა ყველასა და ყველაფერზე მეტად პრაქტიკულ ასპექტში?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, მასწავლე, როგორ ვიქონიო შენი სახელის, სიტყვის, თანდასწრებისა და ყველაფერ იმის მოშიშება, რასაც წარმოადგენ! დაე, მიყვარდეს და სიამოვნებას ვიღებდე წმიდა შიშით! წმიდა სულო, ამ მოგზაურობის მანძილზე მასწავლე დ გამიზიარე ღვთის გზები! დაე, ჩემ მიერ ნაკითხული არ დარჩეს ცარიელ ინფორმაციად, არამედ ჩემი ცხოვრება გარდაქმნას უფალ იესო ქრისტეს მსგავსებაში! ამას გთხოვ იესო ქრისტეს სახელით, ამინ!

ალიარება: დაე, ჩემი სიტყვები და გულის ფიქრები სიამის მომტანი იყოს ღვთის თვალში!

მთელი მისი ბუნება
გვიბრძანებს მის
პატივისცემას, რადგან
ეს უკიდურესად ნმიდა
რამ გახლავთ. მისი
სახელი განცვიფრების
გამომხატველია, რომელიც
აგდებით არასოდეს უნდა
იქნეს მოხსენიებული და არც
წრფელი მოტივისა და გულის
სრულად გადაშლის გარეშე
იქნეს ციტირებული.

– ჩ. ჰ. სპარჯენი

4 | ღვთის ხელშეხსახები თანდასწრება

როგორც ადრე აღვნიშნე, ღვთის შიში პარადოქსული ჩანს. როცა სიტყვა *შიში* გვესმის, ჩვენი გონება მაშინვე მავნებელ და საზიანო მდგომარეობას წარმოიდგენს. და მაინც, გარწმუნებთ, რომ ღვთის შიში გაბედულების, კომფორტისა და დაცვის უდიდესი ძალა გახლავთ, რომელიც კი შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერ არსებას ამ სამყაროში. ამ ჭეშმარიტებას წიგნში მოგზაურობისას აღმოვაჩინეთ. თავდაპირველად კი წმიდა შიში ორ მთავარ კატეგორიად დავყოთ:

1. ღვთის თანდასწრებაზე კრძალვა და
2. მის სიტყვაზე თრთოლა

ორივეზე ვიმსჯელებთ, მაგრამ ჯერ პირველის ხაზგასმით დავიწყეთ. მეფსალმუნე აცხადებს: „დიდად საშიშია ღმერთი წმიდანთა კრებულში, შიშის მომგვრელია ის მის ირგვლივ მყოფთა შორის“ (ფს. 89:7). ყურადღება მიაქციეთ რომ მარტო საშიში კი არა, „დიდად“ საშიში წერია. აი, მყარი ჭეშმარიტება: ვერასოდეს იპოვით ღვთის საოცარ თანდასწრებას ისეთ გარემოში, სადაც მას მოკრძალებით და მოწინებით არ ეპყრობიან.

მოზიზება ღვთისა

1997 წლის იანვარში ეს ჩემთვის რეალობად იქცა. ბრაზილიის დედაქალაქში ეროვნულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლა მთხოვეს. აღტაცებული ვიყავი ამ დიდ ერში პირველად მოგზაურობის გამო.

თვითმფრინავი ბრაზილიაში ადრე დილით დაეშვა და ჩემს ოთახში ლოცვის, მომზადების და დასვენებისთვის კიდევ ერთი დღე მქონდა. იმ საღამოს, როცა არენას ვუახლოვდებოდი, შეუძლებელი იყო არ შემენიშნა ავტომობილების სიმრავლე, რომლებიც დიდ მწკრივებად ავსებდნენ ქუჩებს, სანამ ჩვენ მივუახლოვდებოდი. როგორც მოსალოდნელი გახლდათ, პარკინგის მოედანი გადავსებული დაგვხვდა – ჩანდა, რომ კონფერენციაზე დამსწრეთა ნაკლებობა არ იგრძნობოდა.

არენამდე მიმაცილეს და რამდენიმე ლიდერთან შეხვედრის შემდეგ პირდაპირ პლატფორმისკენ გავემართე. ექსტაზით ველოდი ღვთის თაყვანისცემას ათასობით მონყურებულ მორწმუნესთან ერთად. მიუხედავად ამისა, ჩემმა აღფრთოვანებამ დიდხანს არ გასტანა. მალევე შევნიშნე, რომ ღვთის თანდასწრება ატმოსფეროში აღარ იგრძნობოდა. შევფიქრიანდი; ეს მორწმუნეთა კონფერენცია იყო და თაყვანისცემის გუნდიც ერში საუკეთესო შეერჩიათ. მაშ, რატომ აღარ იყო ღვთის თანდასწრება?

სანამ გავაგრძელებ, ნება მომეცით, რამდენიმე საკითხი განვმარტო ღვთის თანდასწრების თაობაზე! წერილი ორ ტიპს გვაჩვენებს. პირველი მისი ყველგანმყოფელობა გახლავთ. დავითი მონმობს: „სად წავუვალ შენს სულს და შენს სახეს სად გავექცევი? ზეცაში ავიდე - იქ ხარ, ქვესკნელში ჩავიდე - იქაც ხარ! ... წყვდიადიც კი არ იქნებოდა შენთვის ბნელი! (ფს.139:7-8,12). ეს არის ღვთის თანდასწრება, რომელიც გვპირდება: „არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ“ (ებრ. 13:5).

მეორე ტიპის თანდასწრება ჩანს იესოს ნათქვამში: „მეც შევიყვარებ მას და მე თვითონ გამოვეცხადები“ (იოან. 14:21). სიტყვა *გამოცხადება* გახლავთ ბერძნული *ემფანიზო* და ნიშნავს „ხილულად გამოჩენას ... პიროვნების ძალზე ახლოს გაცნობას და გაგებას“. ეს მაშინ ხდება, როცა ღმერთი გონებისა და გრძნობისთვის აღსაქმელად გვეცხადება. იესო ამბობს: „სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქ ვარ, მათ შორის“ (მათ. 18:20). ამკარაა, რომ ლაპარაკი არ არის ღვთის ყველგანმყოფელ თანდასწრებაზე. ასე რომ ყოფილიყო, მსგავ-

სი განცხადების გაკეთება არ დასჭირდებოდა. აქ საუბარია მის გამოვლენილ თანდასწრებაზე. იმ არენაზე სწორედ ეს თანდასწრება არ იგრძნობოდა. ამას ძალიან კარგად ვხვდებოდი, ამიტომ თვალეები დავხუჭე და სულიწმიდას ვკითხე: *სად არის შენი თანდასწრება?*

თვალეები გავახილე თუ არა, რაღაც შევნიშნე, რომელიც ადრე მხედველობიდან გამომრჩა, მაგრამ ახლა ცხადი გახდა. ადამიანთა უმრავლესობა თაყვანისცემაში ჩართული არ იყო. ნაწილს ხელეები ჯიბეში ეწყო, სხვებს მკერდზე გადაეჯვარედინებინათ და გარშემო უზრუნველად ან მოწყენილი სახით იყურებოდნენ. ქალები ხელჩანთებში იქექებოდნენ; უმრავლესობა სცენის გარშემო გაშლილიყო ან წასახემსებლის საყიდლად მიემურებოდა ბუფეტის სტენდებთან. უამრავი დამსწრე იცინოდა და ერთმანეთთან საუბრობდა. მათი ქცევა არაფრით განსხვავდებოდა ბრბოს განწყობისგან, რომელიც შოუს დაწყებას ელოდება. ჩემთვის ვიფიქრე: *ეს ნამდვილად მალე შეწყდება და ადამიანები თაყვანისცემაში ჩაერთვებიან.* თუმცა საქმე ასე მარტივი არ აღმოჩნდა.

ჩემდა გასაოცრად, თაყვანისცემის საგალობლები ჩათავდა და მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი წერილიდან მონაკვეთის წასაკითხად წამოდგა. არაფერი შეიცვალა, გარდა იმისა, რომ მუსიკის გარეშე დიალოგში ჩართული ადამიანების ხმადაბალი ჩურჩული გარკვევით მესმოდა. ბრაზმა შემიპყრო. არც კი მჯეროდა, თუ რის მონმე გავხდი.

ამის შემდეგ ღვთის სულის წყნარი ხმა გავიგონე გულში: *მინდა პირდაპირ წინ აღუდგე ამას!*

როცა წარმადგინეს, შემალღებულ სცენაზე ავედი თარჯიმანთან ერთად. გადავწყვიტე არაფერი მეთქვა და უბრალოდ, ხალხისთვის მეცქირა. დავასკენი, რომ მათი ყურადღების მიპყრობის ერთადერთი შესაძლო ხერხი კათედრასთან ყოველგვარი აქტივობის შეწყვეტა იქნებოდა. ამან იმუშავა. ერთი წუთით სრულმა სიჩუმემ ყველანი მოიზიდა. ადამიანთა მოძრაობა შემცირდა. ახლა მათი მზერა სცენისკენ იყო მიპყრობილი. ვიცოდი, რომ ყველა მე მომჩერებოდა.

სალამო არ დავიწყე სიტყვებით: „დიდებულია, რომ ბრაზილიაში ვარ!“ ან „მადლობა, რომ მომიწვიეთ!“. მათთვის არც თავი გამიცვინია. უბრალოდ, მკაცრად დავსვი კითხვა: – რა ხასიათზე დადგებით, როცა თქვენ პირდაპირ მაგიდასთან მჯდარი მოსაუბ-

მოზიზება ღვთისა

რე ყურადღებას არ მოგაქცევთ და უინტერესო სახით ჭერს მი-
აჩერდება ან ვილაც სხვა ადამიანთან წამოიწყებს დიალოგს?

მცირე ხნით დუმილის შემდეგ კითხვას თავად ვუპასუხე:

– არ მოგეწონებათ, არა?!

უფრო შორს წავედი:

– რა მოხდება, თუ მეზობელი კარზე ყოველი მიკაკუნებისას
უინტერესო სახით გამოგხედავთ და გეტყვიან: „ოჰ, ისევ შენ
ხარ?“ კიდევ მოგინდებათ მასთან მისვლა?

ცოტა ხნით კიდევ შევჩერდი და კითხვას ვუპასუხე:

– არავითარ შემთხვევაში!

შემდეგ განვაცხადე:

– ნუთუ გგონიათ, რომ სამყაროს მეფე თავის თანდასწრებას
გამოავლენს ან იმ ადგილას დაილაპარაკებს, სადაც მას პატივის
არ სცემენ და მოკრძალებით არ ეპყრობიან?

ამ მომენტისთვის კითხვას მტკიცედ ვუპასუხე:

– არასოდეს!

ასე გავაგრძელე:

– ამ ქვეყნის პრეზიდენტი რომ დამდგარიყო სცენაზე, თქვენს
სრულ ყურადღებას და პატივისცემას მიიღებდა. აქ რომ თქვენი
საყვარელი ფეხბურთელი მოსულიყო, უმრავლესობა აღტაცები-
სგან სკამზე ჯდომასაც ვერ მოახერხებდა და მის ყოველ სიტყ-
ვას გაფაციცებით მოუსმენდა. რამდენიმე წუთის წინ ღვთის სი-
ტყვა წაიკითხეს, მაგრამ თქვენ ყურადღება არც მიგიქცევიათ.
ეს თქვენთვის უშინაარსო ხმაური აღმოჩნდა!

მომდევნო ოთხმოცდაათი წუთი ხალხს უფლის შიშზე ვე-
ლაპარაკე. ბუზის გაფრენას გაიგონებდით. გაოგნებული იყვნენ
ჩემი დაპირისპირებით, მაგრამ მაინც ყურადღებით ისმენდნენ.

როცა დავასრულე, მოწოდება გავაკეთე:

– თუ მორწმუნე ხარ, მაგრამ წმიდა მოშიშება გაკლია და
მონანიება გსურს, ადექი!

იქ მყოფთა 75 პროცენტი უყოყმანოდ წამოდგა. არენას ღვთის
გამოვლენილმა თანდასწრებამ გადაუარა, თუმცა ჯერ ლოცვაც
არ იყო წარმოთქმული. ხალხმა ტირილი და მოთქმა დაიწყო,
როცა ღვთის საოცარი თანდასწრება მათ ცხოვრებას შეეხო.
წმიდა შიშს არავინ გაუქცევია. პირიქით, ახლოს მოიზიდა ისინი.

რაც ამის შემდეგ მოხდა, ჩემი ორმოცწლიანი მსახურების
ერთ-ერთი ყველაზე საოცარი განცდა გახლავთ. სანამ ამ ამ-
ბავზე გადავიდოდეთ, ასეთი სიტყვებით დავასრულოთ:

ღვთის ხელშეხმება თანდასწრება

„მისი ხმა შემომესმა და გავიგონე თუ არა მისი სიტყვები, ძილქუში დამეცა მინაზე პირქვედამხობილს. და, აჰა, ხელი შემეხო და წამომაყენა აცახცახებული მუხლებსა და ხელის გულებზე. მითხრა: „დანიელ, პატივდებულო კაცო! ჩაუკვირდი სიტყვებს, რომლებსაც გეტყვი და დადექი შენს ადგილზე, რადგან წარმოგზავნილი ვარ ახლა შენთან“. ეს სიტყვები რომ მითხრა, კანკალით წამოვდექი“. (დან. 10:9-11)

დანიელი ძვირფასი იყო ღვთის თვალში, მაგრამ მეტის ატანა ვერ შეძლო და მინაზე დაემხო. მიუხედავად იმისა, რომ ის წამოაყენეს, კანკალი არ შეუწყვეტია. თუ ეს მაცნე ანგელოზის წინაშე მოხდა, რა იქნება, როცა თავად ღმერთი გამოჩნდება?

გათავისება

მონაკვეთი: დიდად საშიშია ღმერთი წმინდანთა კრებულში, შიშის მომგვრელია ის მის ირგვლივ მყოფთა შორის. (ფს. 89:7)

თემა: ღვთის გამოვლენილ თანდასწრებას მხოლოდ იქ ვიპოვით, სადაც მას უკიდურესი პატივისცემით ეპყრობიან.

დაფიქრება: რას ნიშნავს ღვთის თანდასწრებაში თრთოლა? როგორ უნდა გამომადგეს ეს პრაქტიკაში, როცა მარტო ვარ? როცა მეგობრებთან ერთად ვარ? როცა საჯარო სივრცეში ვარ? როცა საეკლესიო მსახურებაზე ვარ?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, პატიებას გთხოვ ყველა იმ დროისთვის, როცა თაყვანისცემის ვითარებაში ზერეულე, შეუფერებელი დამოკიდებულებით ჩავერთე! მაპატიე, რომ შენი თანდასწრება არ დავაფასე და უბრალოდ მივიჩნიე. დაე, იესოს სისხლმა გამწმიდოს! თავს ვიმდაბლებ შენს წინაშე და შეცვლისთვის საჭირო მადლს გთხოვ! მინდა, ვაცნობიერებდე და პატივს მივაგებდე შენს თანდასწრებას იმის მიუხედავად, თუ სად ვარ ან რას ვაკეთებ! მინდა, ყოველთვის მოკრძალებული მოშიშებით ვიცხოვრო. ამას გთხოვ იესო ქრისტეს სახელით, ამინ!

ალიარება: ყოველთვის სრული ყურადღებით მოვეკიდები ღვთის სიტყვის მოსმენას და პატივს მივაგებ მის თანდასწრებას სიტყვით თუ საქმით.

ლოცვის წინ შეეცადეთ,
გააცნობიეროთ,
ვის თანდასწრებას
უახლოვდებით, ვისთან
დალაპარაკებას აპირებთ და
გახსოვდეთ, ვის მიმართავთ.

– ტერეზა ავილა

5 | დაუპინყარი სალამო

მარკოზის სახარება ამონმებს უფალზე, რომელიც მონაფეებთან შრომობს: „განამტკიცებდა სიტყვას თანამდევი ნიშნებით“ (მარკ. 16:20). ეს თანამშრომლობა მაშინ დაიწყო, როცა იესო ზეცად ამალდა და ახალი აღთქმა არსად არ გვეუბნება მისი შეწყვეტის შესახებ უფლის მეორედ მოსვლამდე.

მოდით, იმ სალამოს მსახურებას დავუბრუნდეთ ბრაზილიაში! როდესაც შიშის უქონლობის გამო მონანიების მონოდება გაკეთდა, ხალხის 75 % ფეხზე წამოდგა. თავი დაჯხარე და ხმამალა ვილოცე: „უფალო ღმერთო, დაამონმე შენი სიტყვა ამ სალამოს!“

მალე აუდიტორიიდან ტირილის ხმა მომესმა. მომდევნო რამდენიმე წუთში იქაურობა ღვთის თანდასწრების ტალღამ ავსო და დამსწრეთა გულები განახლა და განმიდა. მისი ჩაცხრომის შემდეგაც დარჩა საოცარი სიმშვიდის შეგრძნება.

ადამიანებს სიტყვიერად არ მოუნანიებიათ ან ულოციათ, მაგრამ ღვთის თანდასწრება მათ შეცვლილი გულების შედეგად გამოვლინდა. მოგვიანებით, როცა ამაზე ვფიქრობდი, მივხვდი, რატომაც არ დაელოდა უძლები შვილის მამა მისგან პატიების მოსმენას და თავად გაიქცა შესახვედრად. ვაჟის გულში მომხდარი ცვლილება სახლში დაბრუნების შესაბამის საქციელში გამოიხატა. შედეგად მამისგან მხურვალე ჩახუტება და კოცნა მიიღო. ჩანდა, რომ ბრაზილიის სტადიონზეც იგივე მოხდა.

მოზივება ღვთისა

განსაკუთრებული მომენტი დადგა. ხალხი მონინებული სი-ჩუმისა და გულაჩვილების მდგომარეობაში იყო. გონივრული მეჩვენა მათი ნაძლოლა მონანიების ლოცვაში და დიდი გარჩევის უნარი არ დასჭირვებია იმის დანახვას, რომ მათი სიტყვები წრ-ფელი და გულითადი იყო. ლოცვის შემდეგ ღვთის თანდასწრების კიდევ ერთმა ტალღამ წალეკა არენა. კიდევ გავიგონე გულამომ-ჯდარი სლუკუნი და ტირილი, თუმცა ამჯერად უფრო ძლიერად. მართლაც მშვენიერი იყო, მაგრამ რამდენიმე წუთში შეწყდა.

მადლიერი ვიყავი ამ განახლებისთვის, რომელიც ღვთის ორი მშვიდობიანი და საოცარი გამოვლინების შემდეგ შევიგრძენით. ყველანი მოლოდინით ვიყავით აღვსილნი, რადგან ატმოსფერო ღვთიური სიმშვიდითა და წესრიგით განიმსჭვალა. ამ სი-წყნარეში ღვთის ჩურჩული გავიგონე გულში: *კიდევ ერთხელ გამოვავლენ თავს.*

ხმამალა წარმოვთქვი გაგონილი, მაგრამ არავის გვექონდა წარმოდგენა, თუ რა მოხდებოდა – კიდევ ერთი განსხვავებული შეხვედრა გველოდა. ძნელია იმის გაზიარება, თუ რა მოხდა, რადგან სიტყვებით ამის აღწერა შეუძლებელია. რასაც ახლა დავწერ, თითიდან გამონოვილი, უფრო მეტიც, არარეალური მოგეჩვენებათ, მაგრამ ოც წელზე მეტი ხნის შემდეგაც უამრავი ადამიანი დაამონწმებს იქ განვითარებულ მოვლენებს.

წარმოიდგინეთ, რომ ტყეში დგახართ, სადაც ძლიერი ქარიშხალი მძვინვარებს. ხეთა კენწეროებიდან ქარის მძლავრი ქროლის ხმა გესმით. მისი შეგრძნება არ შეგვიძლია, მაგრამ ხმა გვესმის. თითქმის პარალელურად დამსწრე ხალხში მხურვალე ლოცვებმა და ტირილმა იფეთქა. მათი ხმები გრგვინავდა, მაგრამ ქარის ხმა აღემატებოდა. გავშეშდი. შიში, თითქმის ძრწოლა მომგვარა მისმა თანდასწრებამ. ვერ ვმოძრაობდი, ველარ ვლაპარაკობდი და მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ჰაერში ისეთი ძალაუფლება იგრძნობოდა, რომლის მსგავსი არასდროს მენახა. *ეს უკვე აღარ იყო აბბა მამაოს თანდასწრება, არამედ ჩვენი წმიდა, საშიში და ძლიერი მეფის გამოვლინება!*

ქარის ღმუილი, დაახლოებით, ოთხმოცდაათი წამი გაგრძელდა. ის თანდათან მიწელდა, მაგრამ ტალღა მაინც დარჩა, რის გამოც ზოგი ტიროდა, ზოგი გონდაკარგული იწვა, სხვები მათი წინა სკამების ზურგს უკან ჩავარდნენ – ყველა ერთად კი საშინელმა თრთოლამ მოგვიცვა. ეს მოვლენები დაახლოებით

ათი წუთი გაგრძელდა. არაფრის თქმა არ შემეძლო; სინყნარემ და მდუმარებამ დაისადგურა. მსახურების წარმართვა იქაურ წინამძღოლს გადავებარე და სხვების თანხლებით უხმაუროდ გავემართე ჩემი მანქანისკენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ იმ სალამოს წამყვანი სოლო შემსრულებელი და მისი ქმარი შემომიერთდნენ. ქალი ავტომობილში ჩაჯდა თუ არა, მაშინვე წამოიძახა:

– ქარის ხმა გესმოდათ?

არ მინდოდა, მე დამემოწმებინა ამის შესახებ. მერჩინა, სხვას ეთქვა, რაც სინამდვილეში მოხდა. ამიტომ, ასე ვუპასუხე:

– იქნებ თვითმფრინავმა გადაიარა დაბალ სიმაღლეზე? (მთლიანი არენის კედელსა და გადახურვას შორის სავენტილაციო ნაპრალი იყო, საიდანაც გარეშე ხმები უფრო ადვილად შემოდის, ვიდრე დახურულ კონსტრუქციაში).

წინა სავარძელში მჯდარი ქალი შემობრუნდა და გაოგნებული სახით მითხრა:

– არა, ეს ღვთის სული იყო!

მისი ქმარი უფრო წყნარი პიროვნება გახლდათ, მაგრამ საუბარში ისიც ჩაერთო:

– არა, სერ, ეს არ იყო თვითმფრინავი!

მე ვკითხე:

– საიდან იცით?

მან მიპასუხა:

– არენის გარე პერიმეტრზე დაცვის თანამშრომლები და პოლიციელები იყვნენ და მათგან უმრავლესობა ურწმუნოები არიან. როცა ქარის ხმა გაიგონეს, შიგნით შემოცვივდნენ და ჩვენს გუნდს ჰკითხეს შენობიდან გამომავალი ქარის ქროლვაზე. უფრო მეტიც, ხმის მთავარ აპარატურასთან ვიდექი (მას სურდა დარწმუნება, რომ ხმები სწორად იყო დარეგულირებული მისი ცოლის სიმღერის დროს). ხმის სისტემიდან ერთი ბგერაც კი არ გამოსულა; დეცობალების მაჩვენებელს ქარის ქროლვის მთელ დროში არაფერი უჩვენებია.

მისმა ცოლმა კი ცრემლისღვრით განაგრძო:

– მთელ შენობაში ცეცხლის ენების ვარდნას ვხედავდი და ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ყველგან ანგელოზები იყვნენ.

მძლოს ვთხოვე, რომ პირდაპირ სასტუმროში მივეყვანე. გზაში ხმა არ ამოგვიღია. იმ სალამოს, მოგვიანებით ჩემი

მოზიზება ღვთისა

ოთახის აივანზე რამდენიმე საათი ვიჯექი. ერთადერთი, რის კეთებაც შემეძლო, ღვთის თაყვანისცემა გახლდათ. საღამოს შთაბეჭდილებებით სავსე ვიყავი.

მეორე დილას, როცა შენობაში შევედი, სრულიად სხვაგვარი ატმოსფერო დაგვხვდა. ღვთის თანდასწრების გამოვლინება, რამაც ასეთი ზეგავლენა მოახდინა წინა საღამოს მსახურებაზე, ისე იგრძნობოდა. ღვთისმოშიშება ისე აღდგა ხალხის გულებში და ახლა მის თანდასწრებას და კურთხევას საოცარი გზით განიცდიდნენ.

უკვე აღვნიშნე, რომ რამდენიმე დაამონმა იმ საღამოს მომხდარისა და მათ ცხოვრებაში ამ მოვლენის ზეგავლენის თაობაზე მიმონერის, ელექტრონული წერილებისა თუ პირადი საუბრების მეშვეობით. 2016 წელს ბრაზილიის ქალაქ გოიანიაში გამგზავრება მომიხდა, რომ თორმეტი ათასი წინამძღოლის წინაშე სიტყვით გამოვსულიყავი. დამხვედრი პასტორის პირველი სიტყვები ხელის ჩამორთმევის შემდეგ ასეთი იყო:

– ოცი წლის წინ ბრაზილიის იმ მსახურებაზე ვიყავი, სადაც ქარი ქროდა. მას შემდეგ ჩემი ცხოვრება სრულიად შეიცვალა.

ის ეკლესიათა ქსელის წინამძღოლი გახლავთ, რომლის წევრთა საერთო რიცხვმა 300 000-ს გადააჭარბა, სულ რაღაც, თექვსმეტი წლის მანძილზე.

როცა ჩემი ცოლი 2019 წელს ბრაზილიაში იმყოფებოდა კონფერენციაზე მსახურებისთვის, სხვა მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა უთხრა, რომ ოცი წლის წინ იმ საღამოს ესწრებოდა, სადაც ქარი ქროდა. ქალმა დაუმონმა, რომ მას შემდეგ მისი ცხოვრება შეიცვალა.

ღვთის თანდასწრებაში ყოფნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი მორწმუნის სულიერი სიჯანსაღისთვის. ჩემთვის ძალიან ძნელი იყო ღვთის თანდასწრებაში შესვლა ლოცვების დროს. ერთ დღესაც რაღაც მოვიმოქმედე და ეს შემთხვევით მოხდა. გადავწყვიტე, რომ ლოცვა გალობით ან რაიმე სიტყვების წარმოთქმით არ დამეწყო. უბრალოდ, ჩვენი ღვთის საოცრებასა და სიწმიდეზე ვფიქრობდი. მეყსეულად აღმოვჩნდი მის თანდასწრებაში. გადავწყვიტე, მეორე დღესაც ასე მოვქცეულიყავი და იგივე შედეგი მივიღე. მესამე დღესაც იგივე მოხდა.

შევეფიქრიანდი და უფალს ვკითხე:

– უფალო, რატომ მიაღვილდება შენი თანდასწრების განცდა ამ ბოლო სამ დღეს?

გავიგონე სულიწმიდის ნათქვამი:

– როგორ ასწავლა იესომ ლოცვა თავის მოწაფეებს?

საუფლო ლოცვის ციტირება დავიწყე: „მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი ...“. და უცებ წამოვიძახე: „ეს არის! იესომ თავის მოწაფეებს ღვთის თანდასწრებაში წმიდა მოშიშებით და კრძალვით შესვლა ასწავლა!“ ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა.

დავითი ამ ჭეშმარიტებას შემდეგი განაცხადით ადასტურებს: „მონინებით გცემ თაყვანს შენს წმიდა ტაძარში“ (ფს. 5:7). ღმერთი ჩვენი მამაა, იესო ჩვენი უფალი და მხსნელია, ხოლო ღვთის სულს სიღრმისეულად ვუყვარვართ. გარდა ამისა, გაიხსენეთ, რომ ახალ აღთქმაში ღმერთს „მშთანთქმელი ცეცხლი“ ეწოდება (ებრ. 12:29). იესოს დანახვამ იოანე, მისი საყვარელი და უახლოესი მოწაფე, მკვდარივით დასცა ძირს (გამოცხ. 1:17), ხოლო სულიწმიდა არის ის, ვინც ღვთის ძალმოსილებას ავლენს მთელი ქალაქის ყურადღების მისაპყრობად (საქმ. 2), შენობებს აზანზარებს (საქმ. 4) და ბევრ სხვა საოცარ საქმეს სჩადის.

აი, დასკვნითი ჭეშმარიტება: *სადაც უფლის მიმართ მონინებას იჩენენ, იქ მისი თანდასწრება ვლინდება.*

გათავისება

მონაკვეთი: ვიყავი თქვენთან ... შიშითა და დიდი თრთოლვით. ჩემი სიტყვა და ქადაგება ჩემი სიბრძნის დამარწმუნებელი სიტყვებით კი არ იყო, არამედ სულისა და ძალის გამოვლინებით, რათა თქვენი რწმენა იყოს არა კაცთა სიბრძნით, არამედ ღვთის ძალით. (1 კორ. 2:3-5)

თემა: უფლის შიში ატმოსფეროს ცვლის. ის ქმნის სულიწმიდის ძალის გამოვლინების გარემოს, სადაც ჩვენი და სხვების ცხოვრება იცვლება.

დაფიქრება: ველოდებოდი და მწამდა ღვთის თანდასწრებისა და ძალის გამოვლინება? როგორ შეიცვლება ჩემი ლოცვითი ცხოვრება, როცა მას წმიდა შიშით მივუახლოვდები? როგორ შევძლებ ამ ცვლილების მოტანას?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, თუ აქამდე ვაბრკოლებდი შენი თანდასწრების გამოვლინებას წარსული გამოცდილებების გამო ან სხვათა მიერ დანესებული შეზღუდვების გავლენის ქვეშ მოვყევი, თუ რის გაკეთება შეგიძლია, მომიტევე! შენს თანდასწრებაში წმიდა მოშიშებით შემოვალ და არავითარ აკრძალვას არ მოგახვევ თავს. გთხოვ, გაზარდე, რისი თხოვნა და ფიქრი ან რაზე დაიმედება შემიძლია შენი ძალის გამოვლინებისას! გთხოვ, გააკეთე ეს ჩემი უფლის, იესოს განსაზღვრულად და ჩემი გავლენის სფეროში მყოფი ადამიანების სამსახურებლად! ამას გთხოვ იესოს სახელით! ამინ!

აღიარება: არაფერია შეუძლებელი, თუ ვირწმუნებ და ღმერთს წმიდა მოშიშებით მივუახლოვდები.

როცა მას პირისპირ
ვხედავთ მთელ მის წმიდა
საოცრებასა და ბრწყინვალე
დიდებაში, წარმოუდგენლად
მოგვეჩვენება, რომ ოდესმე
დაუდევარი აზრები
მოგვდიოდა მასთან
დაკავშირებით.

– ჯოი დოუსონი

6 | უყურე მას!

ჩვენი ნმიდა შიში ღვთის სიღიადის გაცნობიერების პროპორციულად იზრდება. თუმცა არსებობს რეალობა: „ღიღია უფალი და საქებარია. ფრიად, ჩაუნვდომელია მისი სიღიადე“ (ფს. 145:3). ამრიგად, ღვთის ღიღება ჩვენი გაცნობიერების უნარს სცილდება. მისი ღიღება გამოუკვლეველი და მიუნვდომელია, არ აქვს საზღვრები ან შეზღუდვა. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით ჩვენი გაგება უნდა გავაფართოვოთ.

დაახლოებით, ძვ. წ. 742 წელს, როცა მეფე ყუზია გარდაიცვალა, ესაია წინასწარმეტყველი ზეცად იქნა აყვანილი. მან ტახტზე მჯდომი და ფრიად ამაღლებული უფალი იხილა მთელი მისი სიღიადით. ღვთის საოცრებით აივსო უზარმაზარი არენა, რომელიც სავარაუდოდ, მილიარდზე მეტ ადამიანს იტევდა.

არა მარტო ესაია იყო განცვიფრებული და შეძრწუნებული შემოქმედის ხილვით, არამედ აღფრთოვანებული იყო ძლიერი ანგელოზებით, რომელთაც სერაფიმები ერქვათ და ღვთის ტახტს დასტრიალებდნენ. ამ შიშისმომგვრელი არსებების პირიდან ესაიამ შემდეგი სიტყვები მოისმინა:

„ნმიდაა, ნმიდაა, ნმიდაა ცაბაოთ უფალი! სავსეა მისი ღიღებით მთელი დედამინა!“ (ეს. 6:3)

ბევრი ჩვენგანისთვის ნაცნობია კლასიკური ჰიმნი: „ნმიდა, ნმიდა, ნმიდა“, რომელიც იგივე სიტყვების მოიცავს და 1800 წელს დაიწერა ჯონ ბაქუს დაიკსის მიერ. ის მთავარი ჰიმნი იყო ეკლესიებში ორას წელზე მეტი ხნის განმავლობაში და საბო-

მოზიზება ღვთისა

ლოოდ, თაყვანისცემის გულშიჩამწვდომ მელოდიად ჩამოყალიბდა. თუმცა ეს შორს იყო იქედან, რაზეც ესაია მოწმობს.

ის ძლიერი ქმნილებები წყნარ სიმღერას როდი უგალობდნენ ღმერთს, რომ მას თავი კარგად ეგრძნო! ისინი ასე პასუხობდნენ დანახულს! ღვთის უკიდევანო სიდიადის რომელიმე ახალი მხარე გამუდმებით ვლინდება და ყველანი ერთხმად შესძახიან: „წმიდა, წმიდა, წმიდა ...!“

სერაფიმები სამჯერ არ იმეორებდნენ სიტყვას „წმიდა“. როცა ესაიას მსგავს ებრაელ ავტორს რომელიმე სიტყვის ხაზგასმა სურდა, მას ორჯერ წერდა. ამას იესოს განცხადებებშიც ვხედავთ: „ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო! როდი შევა ცათა სამეფოში“ (მათ. 7:21). თქვენ რომ მათე ყოფილიყავით, რომელიც იესოსთან იჯდა და უსმენდა, მისი ხმის მნიშვნელოვნად გაძლიერების მოწმე იქნებოდით, როცა სიტყვა უფაღს წარმოთქვამდა. ამ ხაზგასმის აღსაწერად, მათემ ის ორჯერ ჩაინერა. ინგლისურ ენაში იგივე ეფექტის მისაღებად შრიფტის გამუქებას ან დახრას მივმართავთ.

იშვიათად ხდება, რომ ებრაელმა ავტორმა სიტყვა მესამეჯერ გამეორებით გამოკვეთოს. ფაქტობრივად, ეს მხოლოდ რამდენჯერმე ჩანს წმიდა წერილში. ეს სიტყვას ან წინადადებას ხაზგასმის უმაღლეს ხარისხში აიყვანდა. არსებითად, ამ ანგელოზების ხმები ისე ჭექდნენ, რომ იმ მასიური არეალის კარიბჭეები ირყეოდნენ.

როცა ჩვენი ოჯახი ფლორიდაში გადავიდა, აღმოვაჩინეთ, რომ იქაურ სახლებში სარდაფები არ იყო, რადგან გრუნტის წყლები მიწის ზედაპირთან ახლოს მდებარეობდა. ჩვენი სახლის მშენებელმა გაგვაფრთხილა: „თუ თქვენ რაიონს ტორნადო დაემუქრება, შიდა ოთახის კარის წირთხლთან დადექით. ეს სახლის ყველაზე მყარი ნაწილია.“ დაუფერებელია იმაზე ფიქრი, რომ ესაიამ განსაკუთრებულად ახსენა იმ მძლავრი ზეციური სამყოფელის წირთხლები. როგორც ჩანდა, იმ ძლიერი ანგელოზების ხმებისგან მთელი სტრუქტურა ირყეოდა.

როგორი იყო ესაიას პასუხი უფლის დიდების ხილვაზე? ეს არ ყოფილა: „ოჰო, ესეც ასე!“

არა მან შეჰყვირა: „ვაი! დავიღუპე, რადგან ბაგეუწმიდური კაცი ვარ“ (ეს. 6:5). იფიქრეთ ამ რეალობაზე: ეს არის ღვთისნიერი კაცი – წინასწარმეტყველი, რომელიც იგივე წიგნის

წინა თავში შესძახის: „ვამათ, ვინც ბოროტებას სიკეთეს უწოდებს და სიკეთეს — ბოროტებას; ვამათ, ბრძენთ საკუთარ თვალში. ვამათ, ძლიერთ ღვინის სმაში და ძლევამოსილთ მის ჩამოსხმაში!“ (ეს. 5:20-22, ავტორის პარაფრაზი). სულ რაღაც ერთი თავის შემდეგ ესაია ღვთის დიდებულებას ავლებს თვალს და ცოდვილთა გამო ვაება იცვლება საკუთარ თავზე წუხილით: „ვამათ, დავიღუპე!“ (6:5). მას ეგონა, რომ იცოდა, მაგრამ ახლა იმით უფრო არის დაინტერესებული, ვინ არის ყოვლისშემძლე ღმერთი. ისიც კარგად უწყის, თავად რას წარმოადგენს ამ წმიდა ღვთის წინაშე. რა შედეგი მოიტანა ამ შეხვედრამ? მისი წმიდა მოშიშება ბევრად გაიზარდა!

ანალოგიურ გამოხმაურებას სხვა ადამიანების ცხოვრებაშიც ვხედავთ, რომლებმაც უფალი დიდებაში იხილეს. რას ვიტყვით იობზე? ყოვლისშემძლე მის შესახებ ამბობს: „თუ შეგინიშნავს ჩემი მსახური იობი? არავინაა მასავით უბინო“ (იობ. 1:8). შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რომ ამას ღმერთი თქვენზე ან ჩემზე ამბობს? ალბათ, სიხარულისგან ხტუნვას დაიწყებდით! და მაინც, ეს კაცი ღვთის დიდებას ხვდება და შესძახის: „ყურმოკვრით გიცნობდი; ახლა კი გხედავენ ჩემი თვალები. ამიტომ უკან ვიხევ და ვინანიებ მტვერსა და ნაცარში“ (იობ. 42:5-6).

რას ვიტყვით ეზეკიელზე? მან უფალი იხილა და დაწერა: „უფლის დიდების მსგავსი რამ იყო, რაც ვიხილე; პირქვე დავემხე“ (ეზეკ. 1:28).

რა მოხდა აბრაჰამის შემთხვევაში? ვკითხულობთ, რომ უფლის ხილვისას „დაემხო აბრაამი პირქვე“ (დაბ. 17:3).

როცა ღმერთი დიდებით გამოჩნდა სინას მთაზე, „იმდენად საშინელი იყო ეს სანახაობა, რომ მოსემ თქვა: „შეძრწუნებული ვარ და ვკანკალებ“ (ებრ. 12:21).

უფლის საყვარელი მოწაფე, იოანე მოციქული ასე წერს ჩვენს განდიდებულ იესოსთან შეხვედრის შესახებ: „ვიხილე და მკვდარივით დავეცი მის ფერხთით“ (გამოცხ. 1:17).

ზემომოყვანილი ჩამონათვალი სრული არ გახლავთ. წმიდა წერილში ბევრი ანალოგიური შემთხვევა არის აღწერილი.

ეკლესიის შედარებით ახალი ისტორიის მანძილზე, დაახლოებით, 1266-დან 1273 წლამდე თომას აკვინელი *Summa Theologica*-ს წერდა, რომელსაც მის ნაშრომებს შორის უმნიშვნელოვანესად თვლიდა. ერთხელაც ის ღმერთს შეხვდა ისეთი ძალმოსილი

მოზიზება ღვთისა

გზით, რომ მისი თვალთახედვა სრულიად შეიცვალა და უცებ შეწყვიტა წერა. ერთი მისი მეგობარი, რეჯინალდი არწმუნებდა, რომ მუშაობა გაეგრძელებინა, მაგრამ აქვინელმა ასე უპასუხა: „ჩემი შრომა დასრულდა. იმასთან შედარებით რაც გამეცხადა, მას ჩალის ფასი აქვს“.¹

ისრაელის ისტორიის ერთ პერიოდში ღმერთმა თავის ერს წმიდა შიშის განახლება სთხოვა რამდენიმე მიზანმიმართული კითხვის მეშვეობით. ესაიამ, რომელიც უფლის დიდებას უყურებდა, იკითხა: „ვინ მომართა უფლის სული? ვინ განასწავლა იგი თავისი რჩევით? ვისთან თათბირობდა, ვინ მისცა გონიერება? ვინ ასწავლა სამართლის ბილიკი და ვინ ჩააგონა გზა ცოდნისა და გონიერებისა? ... ვის მიამსგავსებთ ღმერთს? რას შეადარებთ მას?“ (ეს. 40:13-14,18).

შემდეგ ღმერთმა პირდაპირ ჰკითხა: „და ვის მიამსგავსებთ, რომ გავეტოლო?“ (ეს. 40:25).

თუ ისტორიის მანძილზე ოდესმე ყოფილა ამ კითხვებზე დაფიქრების და არა უგულისყუროდ მოკიდების დრო, ეს თანამედროვეობა გახლავთ. დღესდღეობით, ბევრი ჩვენგანი მეტისმეტად მოიცვა ინფორმაციული ნაკადების შემოტევამ, რომლებიც გამუდმებით ავსებენ ჩვენს გონებას და არ გვიტოვებენ სივრცეს და დროს ამ არსებით კითხვებზე პასუხის საპოვნელად. წმიდა შიშის განვითარების პროცესი შეფერხებულია და შედეგად, უამრავ მორწმუნეს ადვილად იტაცებს გულისთქმების, მოხვეჭისა და ადამიანური მიღწევებით განპირობებული სიამაყის ქვეყნიური სისტემის ძალა.

ანალოგიურად, განუწყვეტლივ ვიბომბებით ნიჭიერი ათლეტების, ულამაზესი ჰოლივუდის ვარსკვლავების, უნარიანი მუსიკოსების, ბიზნესის გურუების, ხარიზმატული ლიდერებისა და სხვა მსგავსი ინდივიდების ქება-დიდებით. მათი დიდება გაჰყვინის ტელევიზიით, სოციალური მედიით, ჟურნალ-გაზეთებითა და უამრავი საჯარო პლატფორმის საშუალებით. ტრაგიკული რეალობა ის გახლავთ, რომ ერთი შეხედვით უწყინარი ინფორმაციისა და ადამიანური მიღწევების ფრაგმენტები მეტისმეტად გვიზიდავს, მეტიც, უფლის მშვენიერების ხილვის დიად მოპატიჟებას გვაშორებს.

ერთი წამით მაინც რომ შევჩერდეთ, შინაგანში ჩავიხედოთ და ღვთის სიდიადეს თვალი შევავლოთ, გავიზრდებით, გავძლიერდებით და დავმშვიდდებით. ჩვენ აღთქმა მოგვეცა:

„ვინაიდან ღმერთმა, რომელმაც ბრძანა, სინათლე გამობრწყინებულიყო ბნელიდან, ჩვენი გულებიც გაანათა; რათა მოეცა ღვთის დიდების შემეცნების სინათლე, რომელიც ქრისტეს სახეზეა“. (2 კორ. 4:6)

ჩვენი სამშვიდველის სიმშვიდეში სულიწმიდასთან ერთობის შედეგად შეგვიძლია იესოს ვუყუროთ და მის სიტყვაზე ვიფიქროთ. მისი სახის ხილვისას ღვთის დიდება ჩვენს გულებს ანათებს და შედეგად, წმიდა მოშიშების დონეს მალლა სწევს. თანდათან ვემსგავსებით ესაიას და ზემოჩამოთვლილ სხვა დიდ ადამიანებს, რომლებიც უფალთან ერთად დადიოდნენ, მას აამებდნენ, ალტკმებს იმკვიდრებდნენ და ცხოვრება კარგად დაასრულეს. საუკეთესო შემთხვევაში, უფლის ყურების დაპირებას ვიღებთ, რომ „გარდავისახებით დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან“ (2 კორ. 3:18).

ვის ხატებად გინდა გარდაისახოთ – ჩვენი დროის ცნობილის სახეების თუ სამყაროს შემოქმედის მსგავსად? გონივრულად აირჩიეთ, გაითვალისწინეთ მოსმენილი და მას მიაპყართ მზერა.

გათავისება

მონაკვეთი: თაყვანი ეცით უფალს წმიდა მონინებით; თრთოდე მის წინაშე, მთელო ქვეყნიერებაე! (ფს. 96:9)

თემა: ჩვენში არსებული წმიდა შიში ღვთის სიდიადის გააზრების პროპორციულად იზრდება.

დაფიქრება: რა მოხდება, თუ დღის განმავლობაში სამჯერ გამოვყოფ გარკვეულ დროს, რომ მოვიშორო გარეგანი ზეგავლენა და ღვთის სიდიადეზე ვიფიქრო? ღირს თუ არა ამისთვის დროის დათმობა? ვიქნები თუ არა მეტად ნაყოფიერი ყოველდღიურ ცხოვრებაში, როცა ჩემში წმიდა შიში გაიზრდება და საბოლოოდ, უფრო გონიერს გამხდის?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, გთხოვ, რომ იესოს განახლებული ხედვა მომცე! შენი სიტყვა მპირდება, რომ მისი მზერისას მის სახებად გარდავიქმნები და დიდებიდან დიდებაში გადავალ. დაე, გაიზარდოს ჩემში წმიდა მოშიშება შენი დიდების გააზრების კვალობაზე. ამას გთხოვ იესო ქრისტეს სახელით, ამინ!

ალიარება: იესოს ხატად გარდავიქმნები დიდებიდან დიდებაში.

**ადამიანები პატივს
მიაგებენ ერთმანეთს
და არა ღმერთს.**

– ჰენრი დევიდ სოროუ

7 | ღვთის ღიღება

წმიდა შიშზე ვერ ისაუბრებთ ღვთის ღიღების განხილვის გარეშე. ამას გარკვეულწილად შევეხეთ წინა თავში, მაგრამ ახლა სიღრმეში შევიდეთ.

მოკვდავ სხეულს არ შეუძლია ღვთის ღიღების თანდასწრებაში ყოფნა. წინასწარმეტყველი აბაკუმი ამბობს, რომ „მზის სხივივით არის მისი ნათელი, შუქს ღვრის მისი ხელი, იქ იმალება მისი ძალა“ (3:4). პავლე წერს, რომ იესო მკვიდრობს „მიუწვდომელ სინათლეში, რომელიც არავის უხილავს ადამიანთაგან და არც ძალუძს მისი ხილვა“ (1 ტიმ. 6:1). იგივეს გვეუბნება ებრაელთა წერილის ავტორი, რომ ღმერთი მშთანთქმელი ცეცხლია (12:29).

ამ განცხადებების მოსმენის შემდეგ ნუ იფიქრებთ ხის ნაჭრებით გაჩაღებულ ცეცხლზე, რომელიც გწვავთ, მაგრამ მასთან მიახლოება შესაძლებელია. ამის ნაცვლად წარმოიდგინეთ უფრო კაშკაშა მშთანთქმელი ცეცხლი – რას იტყვით ჩვენი დედამიწის მანათობელ მზეზე? ის მშთანთქმელი და მიუწვდომელია, თუმცა ეს მაგალითიც არ გამოგვადგება, რადგან წერილი გვეუბნება: „ღმერთი არის ნათელი და არავითარი სიბნელე არ არის მასში“ (1 იოან. 1:5). რაც არ უნდა კაშკაშა იყოს მზე, მას ბნელი ლაქებიც აქვს. ფაქტობრივად, პავლე წერს: „შუადღისას, მეფევე, გზაზე ციდან გადმოსული, მზეზე ბრწყინვალე სინათლე ვიხილე“ (საქმ. 26:13).

პავლეს არ უხილავს იესოს რეალური სახე; მან მხოლოდ უფლისგან გამოსული ნათელი იხილა, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის კაშკაშა მზეც კი დაჩრდილა! ეს არ იყო დილის ან ნაშუადღევის მზე, არამედ სწორედ შუადღის მწველი მზე.

მოშიშება ღვთისა

მთელი პლანეტის არაერთი ადგილი მინახავს ხშირი მოგზაურობის განმავლობაში. ზოგჯერ მზის სათვალეების წამოღება მავნიყდებოდა. ბევრგან მათ გარეშე იოლად გავდიოდი, თუმცა არა ახლო აღმოსავლეთში. ჩემი პირველი ვიზიტის დროს დავრწმუნდი, რომ სათვალეები აუცილებელი იყო. მათ გარეშე გამუდმებით თვალების მოჭუტვა მიწვედა, რადგან სხვაგვარად შეუძლებელი იყო კაშკაშა ნათების არიდება. მზე აქ მკვეთრად ანათებს სამი მიზეზის გამო: უდაბნოს მშრალი კლიმატი, ხმელეთის ღია ფერი და ამრეკლავი ბუნება, ასევე, ეკვატორთან ახლოს მდებარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ისე ინტენსიური არ იყო დილით ან მოგვიანებით დღის განმავლობაში, შუადღეზე დამცავი სათვალეების გარეშე დაბრმავებაც შეიძლებოდა.

ახლა დავფიქრდეთ იმაზე, რაც ეს-ეს არის წავიკითხეთ. პავლე აცხადებს, რომ იესოსგან მომდინარე ნათელი ახლო აღმოსავლეთის კაშკაშა მზეზე მეტად ანათებდა! მისი დიდება მზის ბრწყინვალეობას მრავალგზის აღემატება.

ეს ხსნის იოელისა და ესაიას ნათქვამს, რომ მზე და მთვარე დაბნელდება და ვარსკვლავები შუქს აღარ გამოსცემენ იესოს მეორედ მოსვლის დღეს (ეს. 13:9-10; იოელ. 2:31-32). ნება მომეცით, დავაკონკრეტო! როცა ნათელ ღამეს გარეთ გავდივართ, რას ვხედავთ? ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. რა ხდება, როცა დილას მზე ამოდის? ვარსკვლავები ქრებიან. ისმის კითხვა: ვარსკვლავები სადმე გარბიან მზის ამოსვლისას და შემდეგ მისი ჩასვლისას უკან ბრუნდებიან ღამის ცაზე? ამ კითხვის პასუხი ცხადი „არა“ გახლავთ. მაშ, რა ხდება? ვარსკვლავთა დიდება სხვაგვარია, ხოლო მზის დიდება გაცილებით მაღალ საფეხურზეა. ამრიგად, როცა მზე ამოდის, თავისი მეტი სინათლით ვარსკვლავებს ჩრდილავს.

როცა იესო დაბრუნდება, მისი დიდება მრავალგზის გადააჭარბებს მზის ნათელს და დააბნელებს, თუმცა მზე ნათებას არ შეწყვეტს! ახლა შეგვემნათ თუ არა უკეთესი წარმოდგენა უფლის დიდებაზე? დარწმუნებული ვარ, სწორედ ამიტომ შესძახებს მრავალი ადამიანი მთებსა და კლდეებს: „ზედ დაგვეციოთ და დაგვმალეთ ტახტზე მჯდომარის პირისგან და კრავის რისხვისგან“ (გამოცხ. 6:16).

ახლა კი მთავარი კითხვა: რაში გამოიხატება ღვთის დიდება? ამაზე საპასუხოდ მოსეს თხოვნას მივმართოთ: „მახილვინე შენი დიდება“ (გამ. 33:18).

დიდების აღმნიშვნელი ებრაული სიტყვა გახლავთ *ქაბოდ*. სტრონგის ბიბლიურ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „რაიმეს წონა“. მასში ასევე იგულისხმება ბრწყინვალეობა და პატივი. ამრიგად, მოსემ ღმერთს სთხოვა, რომ მთელი თავისი სიდიადით ჩვენებოდა. ყურადღებით დააკვირდით ღვთის პასუხს:

„ჩამოვატარებ მთელ ჩემს *სიკეთეს* შენს წინ და *განვაცხადებ ჩემს სახელს 'უფალი'*“. (გამ. 33:19)

ღმერთი მოსეს მოთხოვნილი დიდების პასუხად „მთელ თავის სიკეთეს“ სთავაზობს. *სიკეთის* აღმნიშვნელი ებრაული სიტყვა ნიშნავს „სიკეთეს ფართო გაგებით“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არაფერია დამალული.

ამის შემდეგ ღმერთი ამბობს, „განვაცხადებ ჩემს სახელს 'უფალი'“. სანამ ქვეყნიური მეფე სატახტო დარბაზში შებრძანდება, მაცნეები მის სახელს აცხადებენ. ამას თან სდევს დაფდაფების ხმა და მისი უდიდებულესობა ბრწყინვალეობით შედის დარბაზში. მეფის სიდიადე ვლინდება და სასახლის კარზე შეუცდომლად ხვდებიან, ვინ არის მეფე. თუ იგივე მეფე საკუთარ ქალაქში ჩვეულებრივად ჩაცმული გაისეირნებს თანმხლებთა გარეშე, გამვლელებმა შეიძლება ვერ იცნონ.

წინა თავში გავიგეთ, რომ უფლის დიდება იესო ქრისტეს პიროვნებაში გამოვლინდა. ბევრი ამონიშნავდა იესოს ხილვის და მისი სახის დანახვის შესახებ. ეს სრულიად შესაძლებელია, მაგრამ არა მისი სრული დიდების გამოვლენისას. პავლე ამას ასე აღწერს: „რადგან ახლა ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში, მაშინ კი პირისპირ ვიხილავთ“ (1 კორ. 13:12). მისი დიდება დაფარულია თუნდაც ეს იყოს სქელი ღრუბელი, როგორც ძველ აღთქმაში. რატომ? არცერთ ხორციელს არ შეუძლია ცოცხალი დარჩეს მისი სახის ხილვისას.

პირველი, ვისაც იესო ელაპარაკა აღდგომის შემდეგ, მარიამ მაგდალელი იყო, მაგრამ ქალს მეზაღე ეგონა (იოან. 20:15-16). მოწაფეებმა სანაპიროზე თევზი ჭამეს იესოსთან ერთად, მაგრამ თავიდან ვერ იცნეს (იოან. 21:9-10). იგი ორ მოწაფესთან ერთად მიდიოდა ემაუსის გზაზე, მაგრამ „თვალეები დახშული ჰქონდათ“ (ლუკ. 24:16). ყველა ზემოჩამოთვლილმა იხილა მისი სახე, რადგან მთელი თავის დიდებით არ წარმდგარა მათ წინაშე.

მოშიშება ღვთისა

ზოგიერთებმა იხილეს უფალი ძველ აღთქმაში, მაგრამ არ უნახავთ მისი სრული დიდების გამოცხადება. უფალი აბრაჰამს ეჩვენა მამრეს მუხნართან, მაგრამ არა თავისი დიდებით (დაბ. 18:1-2). იაკობი ღმერთს ეჭიდებოდა, მაგრამ არა სრულ დიდებაში მყოფს (დაბ. 32:24-30). იეშუამ უფალი იხილა იერიხოს მახლობლად, რომელიც ამონვდილი მახვილით წარუდგა. იეშუა დაინტერესდა, იყო თუ არა იგი ისრაელის მხარეს. როცა მისი ვინაობა შეიტყო, პირქვე დაეცა და თაყვანი სცა. სიას აგრძელებს გედეონი, სამსონის მშობლები და ბევრი სხვა.

ამის საპირისპიროდ, იოანე მოციქულმა უფალი სულში იხილა მთელი თავისი დიდებულებით, როცა კუნძულ პატმოსზე იმყოფებოდა. იოანემ მისი სახის ნათება სრული ძლიერებით მბრწყინავ მზეს შეადარა და მკვდარივით დაეცა. როგორ შეძლო მოციქულმა მისი სახის დანახვა? ის არ იყო სხეულში, არამედ სულში. იგივე მოხდა ესაიას შემთხვევაშიც. მეორე მხრივ, მოსემ ვერ შეძლო ღვთის სახის ხილვა, რადგან მოკვდავ სხეულში იმყოფებოდა.

უფლის დიდება ყველაფერია, რაც ღმერთს ღმერთად ქმნის. მთელი მისი თვისებები, ძალაუფლება, ძალა, სიბრძნე – პირდაპირი გაგებით, არის ღვთის განუზომელი წონა და სიდიადე. არაფერია დამალული და უკან მოტოვებული! მან თავისი თითებით განათავსა ვარსკვლავები ცაზე და ყოველ მათგანს სახელი უწოდა. მან ერთადერთმა გადაზომა სამყარო – თავისი ხელის ზომით. მხოლოდ მას შეუძლია მთელი დედამიწის ხელში დაჭერა ისე, თითქოს ქვიშის მარცვალი აელოს. მას წყლის ყოველი წვეთი გაზომილი აქვს ხელისგულით. თავისი სასწორით აწონა დედამიწა და მთები. იგი ერთადერთია, ვისაც გულის თვალებით ვხედავთ და საბოლოოდ, მის ხატებად გარდავისახებით დიდებიდან დიდებაში!

მხოლოდ მას უყვარვართ სიღრმისეულად და იმდენად, რომ საშინელი სასჯელის საკუთარ თავზე აღება გადანყვიტა, რათა მისი ოჯახის ნაწილი გაემხდარიყავით. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ამით აღტაცებული ვარ!

გათავისება

მონაკვეთი: კურთხეული და ერთადერთი ხელმწიფე, მეფეთა მეფე და უფალთა უფალი, ერთადერთი, ვისაც უკვდავება აქვს და მკვიდრობს მიუღწეველ სინათლეში, რომელიც არავის უხილავს ადამიანთაგან და არც ძალუძს მისი ხილვა; მას პატივი და საუკუნო ხელმწიფება, ამინ! (1 ტიმ. 6:15-16)

თემა: უფლის დიდება ყველაფერია, რაც ღმერთს ღმერთად ქმნის. მთელი მისი თვისებები, ძალაუფლება, ძალა, სიბრძნე – პირდაპირი გაგებით, არის ღვთის განუზომელი წონა და სიდიადე. არაფერია დამალული და უკან მოტოვებული!

დაფიქრება: წარმოვიდგინე ისეთი ბრწყინვალე ნათელი, რომელშიც არავითარი სიბნელე, ჩრდილი ან ბუნდოვანება არ არის. წარმოვიდგინე, რომ ეს სინათლე ჩემს გულში ანათებს. რატომ მომივა თავში აზრად ან მენდომება მისგან რამის დაფარვა? ეს შეუძლებელია.

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, გთხოვ, შემაძლებინო შენი დიდების გაცნობიერება! არ მინდა, რომ ეს ჩემთვის ჩვეულებრივი რეალობა, გაუბრალოებული საგანი იყოს ან რამე ისეთი, რაზეც ზოგჯერ დავფიქრდები ხოლმე! მინდა მისი მასშტაბი და სინამდვილე იმაზე მეტად გამიცხადდეს, ვიდრე ჩემს გარშემო არსებული ქვეყნიერება! დაე, შენი დიდება მუდამ ჩემს გულსა და გონებაში იყოს! ამას გთხოვ იესოს სახელით, ამინ!

აღიარება: ქრისტეში ქვეყნიერების სინათლე ვარ, რომელიც მის დიდებას ასხივებს ყველა შემხვედრთან.

ჩვენი პიროვნების გამოვლინება

კვირა 2

ღვთის უნდა გვეშინოდეს
მისი სიყვარულიდან
გამომდინარე
და არა პირიქით –
გვიყვარდეს მისი
შიშის გამო.

– წმიდა ფრანცისკ სალსელი

8 | თქვენი ფასეულღბა

ეს ნაწილი მოიცავს წონად და გარკვეულწილად, დამარწმუნებელ თემებს. ამიტომ, სანამ გავაგრძელებდეთ, შევეჩერდეთ და გავიღრმავოთ ჩვენ მიმართ ღვთის წარმოუდგენელი სიყვარულის გაგება! დავინყებ ძლიერი და თითქმის შემადწრწუნებელი განაცხადით იესოსგან, რომელიც ამ განყოფილებაში ჩვენი დიალოგის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება. თუ მის სიტყვებს კონტექსტის გათვალისწინებით არ წავიკითხავთ, არასწორად გავიგებთ და ჩვენში არაჯანსაღი შიში ჩაისახება. მამ ასე, გთხოვთ, ეს მონაკვეთი მორჩილი გულით და ღვთისადმი მონიწებით წაიკითხოთ:

„გიჩვენებთ, ვისი უნდა გეშინოდეთ: გეშინოდეთ იმისა, ვისაც მოკვლის შემდეგ გეენაში ჩაგდების ხელმწიფება აქვს. აჰა, გეუბნებით, მისი გეშინოდეთ“. (ლუკ. 12:5)

იესო გვეუბნება, რომ ღვთის უნდა გვეშინოდეს და ამას ერთხელ არ ამბობს. მითითების საზგასმა რამდენჯერმე გამეორებით ხდება. გამორჩეულად იპყრობს ჩვენს ყურადღებას მისი გამაოგნებელი სიტყვები – „გეენაში ჩაგდება“. მკაცრი ნათქვამია! და მაინც, დავაკვირდეთ მის მომდევნო განაცხადს:

მოპიზება ღვთისა

„განა ხუთი ბელურა ორ ასარად არ იყიდება? მაგრამ არც ერთი მათგანი დავინწყებული არ არის ღვთის წინაშე. თქვენს თავზე კი ყოველი თმაც დათვლილია. ნუ გეშინიათ, ბევრ ბელურაზე უკეთესნი ხართ“. (ლუკ. 12:6-7)

ყურადღება მიაქციეთ, რომ კურსივით გამოცხადი „გეშინოდეთ ღვთისა“ მე-5 მუხლში და „ნუ გეშინიათ“ მე-7 მუხლში. კიდევ ერთხელ ვხედავთ განსხვავებას *წმიდა შიშსა* და *არანწმიდა შიშს* შორის. საკმარისი არ მეჩვენება და კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, რომ წმიდა შიში არ ნიშნავს ღვთისგან თავზარის დაცემას და საბოლოოდ, მისგან შორს წასვლას, თუმცა *არანწმიდა შიში* სწორედ ამას გვაძულებს. აუცილებელია, ვიცოდეთ განსხვავების შესახებ და მყარად დავფუძნდეთ ამ ჭეშმარიტებაში.

იესო შთამბეჭდავი, თითქმის შემადრწუნებელი განცხადებით იწყებს და ერთ ამოსუნთქვაში იმასაც გვეუბნება, რომ ღვთისთვის მეტად ფასეულნი ვართ. არსებითად, იგი ააშკარავებს, რომ მისთვის დიდი საგანძურს წარმოვადგენთ და სწორედ ამიტომ გვაძლევს წმიდა მოშიშებას. ეს ნიჭი დაგვიცავს იმით, რომ სიცოცხლის წყაროსთან ახლოს გვამყოფებს და დაგვაშორებს იმას, რაც დაგვანგრევს: *ადამიანის შიშს*, რომელიც წმიდა შიშის საპირისპირო პოლუსია. ეს ორი რამ ჩვენი მომდევნო მსჯელობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ სანამ განხილვას დავინწყებდეთ, ჯერ ჩვენს *ფასეულობაზე* ვისაუბროთ.

იესოს თანახმად, ღვთისთვის ძვირფასი ხართ ისე, რომ თქვენი თმებიც კი დათვლილი აქვს. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ადამიანთა უმრავლესობას თავზე საშუალოდ 100 000 ღერი თმა აქვს. თუ ოთახში 10 000 ადამიანს მოათავსებთ, გგონიათ, მიხვდებით, ვის ექნება 99 569 ღერი თმა? შესაბამისი ადამიანი კიდევაც რომ გამოიცნოთ, რაოდენობაში მაინც შეცდებით, რადგან რიგითი ადამიანი დღეში 50-დან 100 ღერამდე თმას კარგავს. ღმერთმა კი იცის, რამდენი თმა გაქვთ თავზე ყოველ მოცემულ მომენტში! რას გვეუბნება ეს ინფორმაცია? იმდენად ძვირფასი ვართ, რომ ჩვენზე განუწყვეტილად ფიქრობს. დავითი წერს:

„რაოდენ ძვირფასია ჩემთვის შენი ზრახვანი, ღმერთო, და რაოდენ დიდია მათი რიცხვი. დავთვალო - ქვიშაზე

უმრავლესია. ვიძინებ ამ ფიქრებში, ვიღვიძებ და, ისევ შენთან ვარ“. (ფს. 139:17-18)

ყველანაირი ქვიშა! იფიქრეთ ყოველგვარ ქვიშაზე, რაც დედამიწაზე არსებობს, იქნება ეს სანაპიროებზე, უღაბნობესა თუ გოლფის მოედნებზე. ეს წარმოუდგენელი რიცხვია! მეცნიერებისა და მათემატიკის ენთუზიასტები გვეუბნებიან, რომ ზომისა და სიმჭიდროვის გათვალისწინებით სანაპიროს ერთ კუბურ ფუტში, დაახლოებით, ხუთასი მილიონიდან ერთ მილიარდამდე ქვიშის მარცვალია.¹ ჩვენს გონებას გაუჭირდება მხოლოდ ფლორიდის სანაპიროს ქვიშის მარცვლების უზარმაზარი რაოდენობის წარმოდგენა. თუმცა დაფიქრდით ამაზე: მთელი პლანეტის ქვიშის მარცვლები რომ შეკრიბოთ, მაინც არ იქნება იმ ფიქრების რაოდენობის ტოლი, რამდენსაც ღმერთი თქვენზე ფიქრობს!

საკუთარ თავს ასეთი კითხვა დაუსვით: რაზე ფიქრობთ მეტწილად? ალბათ, ნაკლებად მოგდით აზრები ისეთ საგანზე, რასაც არ აფასებთ. მე და ლიზა გარკვეულ ნივთებს აღმოვაჩინეთ ხოლმე ყოველ წელს, როცა ქრისტეშობას სარდაფის კარადებს მივადგებით. ამას აღმოჩენა იმიტომ ვუნოდე, რომ იმ ნივთების არსებობა აღარც გვახსოვს. ისინი მთელი წლის განმავლობაში არ მახსენდება, რადგან დიდად ფასეულ საგნებს არ წარმოადგენენ. გარდა ამისა, ჩვენი ქორწინების ორმოცი წლის მანძილზე ლიზას შესახებ მოსული ფიქრები რომ დავნომრო, მათი შესაბამისი ქვიშის მარცვლები, ალბათ, ნახევარ ფეხსაცმლის ყუთს თუ გაავსებდა. ეს დაახლოებით ორასი მილიონი აზრია და ყოველ 6.3 წამზე ერთი აზრი მოდის. ქმარი, რომელიც ასე ხშირად ფიქრობს თავის ცოლზე, უკიდურესად შეყვარებულ ადამიანად ჩაითვლება.

ღვთის ფიქრები შენს შესახებ პლანეტის ყველა ქვიშის მარცვლის საერთო რაოდენობას აღემატება! შეგიძლიათ ამის წარმოდგენა? აი, რა არის გასაოცარი: ღმერთი არ აზვიადებს! ჩვენს გარშემო უამრავი ადამიანია, რომელთა განცხადებები ჭეშმარიტებისგან შორს არის, მაგრამ ღმერთი იოტისოდენადაც არ ცრუობს. მას ტყუილის თქმა არ შეუძლია. ამრიგად, როცა ამბობს, რომ თქვენზე უფრო მეტად ფიქრობს, ვიდრე ჩვენი პლანეტის ქვიშის მარცვლების საერთო რაოდენობაა, ეს უზარმაზარი რიცხვია!

მოზიზება ღვთისა

მოდით, კიდევ უფრო შორს წავიდეთ! კერძოდ, როგორია ჩვენი ფასი? საგნის ფასს მყიდველი განსაზღვრავს. ჩემი ვაჟი სპორტული ნივთების აუქციონს ესწრებოდა, რადგან მისი კომპანია ბილ რასელის მაისურის შექმნით დაინტერესდა, რომელიც მას 1960 წლის ჩემპიონატზე ეცვა. აუქციონის მესვეურებმა გაყიდვა გადადეს, რადგან მაისურის თანხამ რეკორდული 1 044 000 \$ შეადგინა! რაც არ უნდა დიდებული მოთამაშე იყოს ბილ რასელი, მის მაისურში ან ნებისმიერი NBA-ს კალათბურთელის უნიფორმაში რამდენიმე ასეულ დოლარსაც კი არ გადავიხდი. ეს მხოლოდ ქსოვილის ნაჭერია.

საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს, რა ფასი გვაქვს ხალხის თვალში, რადგან ეს ცვალებადია. უფრო მეტიც, ქვეყნიერებას არ აქვს ადამიანთა დაფასების დიდი გამოცდილება ისე, როგორც გვმართებს. მილიონობით ჩვილი დედის მუცელშივე პოულობს სიკვდილს. ნუთუ ადამიანები აფასებენ მათ სიცოცხლეს? რას ვიტყვით გოგონებზე და ქალებზე, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლნი არიან მეძავთა ჩათვლით? მათ დამატყვევებლების თვალსაზრისით, ასეთების ფასი რამდენიმე ასეული დოლარით განისაზღვრება.

ღმერთია ერთადერთი, რომელიც ამ სამყაროში ნამდვილ ღირებულებას აწესებს და არა ადამიანი. და თუ კიდევაც აფასებენ რაიმეს, იესო გვაფრთხილებს: „რაც ამაღლებულია კაცთა შორის, სიბილნეა ღვთის წინაშე“ (ლუკ. 16:15). იგი ასევე მნიშვნელოვან განაცხადს აკეთებს: „რა სარგებლობა აქვს ადამიანს, თუნდაც მთელი ქვეყანა შეიძინოს, სულს კი დაკარგავს? ან რას გაიღებს ადამიანი თავისი სულის სანაცვლოდ?“ (მათ. 16:26).

ერთი ნუთით იფიქრეთ ქვეყნიერების მთელ სიმდიდრეზე. წარმოიდგინეთ მრავალმილიონიანი სახლები, მშვენიერი მიწის ნაკვეთები, ძვირფასი თვლები და ლითონები, ძვირფასი მანქანები, იახტები და თვითმფრინავები. ამის აღქმა თითქოს შეუძლებელია. ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, მთელი შიდა პროდუქტის რაოდენობა 84.97 ტრილიონი დოლარია. ეს წარმოუდგენლად დიდი თანხაა. და მაინც, იესო გვეუბნება, რომ ასეთ სიმდიდრეში საკუთარი ცხოვრების გაცვლა ნამგებიანი გარიგებაა!

მაშ, როგორია თქვენი ფასი? პავლე წერს: „ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი“ (1 კორ. 6:20). ღმერთი აკეთებს განაცხადს და თქვენს ფასს აწესებს. ეს შემდეგ სიტყვებში ჩანს: „ვინაიდან

ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ *მისცა* თავისი მხოლოდშობილი ძე“ (იოან. 3:16). ოჰო, ეს გაცილებით აღემატება ბილ რასელის მაისურის საფასურს! ღმერთმა თავისი სანუკვარ საგანძურს გაგვიტოლა ფასით. აი, საოცარი ჭეშმარიტება: ერთი პენიტაც ნაკლები ფასი რომ გვექონოდა, ვიდრე იესოს აქვს, გარიგება არ შედგებოდა – ღმერთი ძვირს არ გადაიხდიდა ნაკლებად ფასეულში. ახლა ხვდებით, რაოდენ ძვირფასი ხართ ღვთის თვალში?

ხედავთ, რამდენად უყვარხართ ღმერთს? იესო ამაღელვებელ განცხადებას აკეთებს ერთ ლოცვაში:

„იცოდეს წუთისოფელმა, რომ შენ მომავლინე და ისე შეიყვარე ისინი, როგორც მე შემიყვარე“. (იოან 17:23)

ეს მეტისმეტად წარმოუდგენელია გასააზრებლად! ღმერთს ისე ვუყვარვართ, როგორც იესო უყვარს. თუმცა შესაძლებელია, იფიქროთ, რომ *იესო მხოლოდ თავისი მოწაფეებზე ლაპარაკობდა*. ეს არასწორია, რადგან იგი განმარტავს: „მხოლოდ ამათთვის არ გთხოვ, არამედ იმათთვისაც, ვინც მათი სიტყვით მიწმუნებენ“ (იოან. 17:20). თუ იესო ქრისტესი გწამთ, ამას აკეთებთ უშუალოდ მისი სიტყვების ან მოწაფეების მოწმობის დაჯერებით. მიუწვდომელია ღვთის სიყვარულის სიღრმე და ფასი, რომელიც თქვენ დაგდოთ.

რაკი ეს ჭეშმარიტება მტკიცედ დავამკვიდრეთ, მოდით, გავაგრძელოთ მეტის გაგება წმიდა შიშის ღვთიურ საჩუქარზე, რაც ასე მნიშვნელოვანია მასთან ურთიერთობაში!

გათავისება

მონაკვეთი: ვერ გამოიხსნის კაცს თავისი ძმა, ვერ მისცემს ღმერთს მის გამოსასყიდს; რადგან ძვირია მისი სიცოცხლის გამოსახსნელი, ვერ გადაიხდის უკუნისამდე, რომ სამარადისოდ იცოცხლოს და არ იხილოს საფლავი. (ფს. 49:7-9)

თემა: არც ერთი გონიერი ადამიანი წამგებიან გარიგებაზე არ წავა, რომ ძვირფასი ნაკლებად ფასეულში გაცვალოს. ანალოგიურად, ღმერთი არასოდეს დათანხმდება წამგებიან საქმეს. ღმერთმა თქვენ გამოსასყიდად მხოლოდშობილი ძის სიცოცხლე გადაიხადა, რაც ნიშნავს, რომ მის თვალში იესოსავით ფასეული ხართ. თქვენ ირგვლივ მყოფ ადამიანებსაც ისევე აფასებს, როგორც იესოს.

დაფიქრება: იმის გათვალისწინებით, თუ რამხელა ფასი დასდო იესომ ჩემს სიცოცხლეს, როგორ ვუყურებ ახლა საკუთარ თავს? რა გავლენას მოახდენს ეს ჩემს ხედვაზე და გარშემომყოფთა მიმართ მოპყრობაზე?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, მადლობას გიხდი ჩემი სიცოცხლის ასე ძვირად დაფასებისთვის, რომ იესოც კი გაეცი ჩემს სანაცვლოდ. იესო, მადლობა, რომ საკუთარ თავზე მეტად დამაფასე და ჩემი კუთვნილი სასჯელი იტვირთე. წმიდაო სულო, გთხოვ, სრულად გამაცნობიერებინე გულსა და გონებაში, თუ რამდენად შემიყვარე და დამაფასე, რომ მეც ასევე მიყვარდეს სხვები. იესოს სახელით, ამინ!

აღიარება: მეყვარება და დავაფასებ სხვებს ისე, როგორც ღმერთს ვუყვარვარ და მაფასებს.

როცა ღვთის სიყვარულზე
ვეადაგებთ, არსებობს იმის
დავინწყების საფრთხე,
რომ ბიბლია, პირველ რიგში,
ააშკარავებს არა ღვთის
მიმართ სიყვარულს, არამედ
მის ძლიერ და მანათობელ
სინმიდეს და ამ სინმიდის
ცენტრში სიყვარულია
მოთავსებული.

– ოსვალდ ჩემბერსი

9 | საბედისწერო დაპირისპირება

პირველ განყოფილებაში ღვთის დიდებაზე ვილაპარაკეთ და მხოლოდ ზედაპირულად განვიხილეთ. ამ თავში ყურადღებას გავამახვილებთ ღვთის თანდასწრების სხვადასხვა მასშტაბებზე. დავიწყეთ იმ დროის მონაკვეთით, როცა ყოვლისშემძლემ კარავში დამკვიდრება ამჯობინა – ისრაელის უდაბნოში ყოფნის პერიოდით.

ხანგრძლივი, შრომატევადი და რთული დღეების შემდეგ ხელოსანთა ჯგუფმა კარვის მზადება დაასრულა. ის ზუსტად იმ გეგმის მიხედვით მომზადდა, რომელიც ღმერთმა მოსეს გადასცა მთაზე და ზეციური კარვის მიახლოებულ მოდელს წარმოადგენდა (ებრ. 8:1-5). როცა საქმე დასრულდა, ღმერთმა მისი დიდებული თანდასწრება გამოავლინა:

„დაფარა ღრუბელმა საკრებულო კარავი და უფლის დიდებამ აავსო სავანე. და ვერ შეძლო მოსემ საკრებულო კარავში შესვლა, ვინაიდან ღრუბელმა დაივანა მასზე და უფლის დიდებამ აღავსო სავანე“. (გამ. 40:34-35)

ღმერთმა კიდევ ერთხელ დაიცვა ისრაელი თავისი დიდების ხილვისგან სქელი ღრუბლით. იგი თავის საყვარელ ხალხთან ისეთი სახით მოდიოდა, რომელიც მათ არაფერს ავნებდა. წმიდათა წმიდაში შესვლა მხოლოდ მღვდელმთავარს ჰქონდა ნებადართული წელიწადში ერთხელ ცხოველთა სისხლით. ეს

მოზიზება ღვთისა

პოზიცია ღვთის მიერ იყო დადგენილი და პირველი მღვდელ-მთავარი აჰარონი, მოსეს ძმა გახლდათ.

ერთ დღეს აჰარონის ორი ძე, რომლებიც ასევე მღვდლები იყვნენ, კარავში შევიდა. მათ „უცხო ცეცხლი მიიტანეს უფლის წინაშე, რაც არ იყო ნაბრძანები“ (ლევ. 10:1). რეალურად მომხდარის დეტალებზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, მაგრამ საქმის არსში ჩასანვდომად მათ გვერდი ავუაროთ და მღვდლების მოტივზე დავფიქრდეთ. უცხო-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა გახლავთ „რაიმე სინმიდისადმი უკიდურესი უპატივცემულობით მოკიდება“. ეს სინმიდის უბრალო და ყოველდღიური მნიშვნელობის მოვლენად მიჩნევას ნიშნავს. არსებითად, აჰარონის ვაჟები ღვთის დიდებულ თანდასწრებაში ყოველგვარი მოკრძალების გარეშე შევიდნენ. ამის შემდეგ მომხდარი ჩვენთვის ყურადსაღები და ცოტა არ იყოს, შიშის-მომგვრელიც უნდა იყოს:

„გამოვიდა ცეცხლი უფლისგან, შთანთქა ისინი და დაიხოცნენ უფლის წინაშე“. (ლევ. 10:20)

ეს ორი კაცი, რომელიც ღმერთმა დააყენა მის თანდასწრებაში დასადგომად, უპატივცემულობის გამო მოკვდა. ნუთუ ღმერთი სასტიკად მოექცა მათ? არა, მათ თავად დაიზიანეს თავი. ამაზე ასე იფიქრეთ: დედამინა მზისგან 93 000 000 მილითაა დაშორებული. სანაპიროს მზით გარუჯვა სასიმოვნოა, მაგრამ იგივე მზის აბაზანის მიღება მისგან 10 000 მილის მანძილზე მეყსეულ სიკვდილს ნიშნავს.

მათი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ღვთის სინმიდეს და დიდებულ თანდასწრებას ფამილარულად მოეპყრნენ და შედეგად, მათთვის დამაზიანებელი გზით იარეს. მოუსმინეთ სიტყვებს, რომლებიც მოსემ აჰარონს უთხრა მისი ძეების სიკვდილის შემდეგ:

„ესაა, რასაც ამბობდა უფალი: ნმიდად უნდა მომეპყრას, ვინც მომიახლოვდება და განვდიდდები მთელი ხალხის წინაშე“. (ლევ. 10:3)

მოსეს განაცხადი უნივერსალური და საუკუნო დადგენილებაა. უნივერსალური ნიშნავს, რომ სათითაოდ ყველა ქმნილებას ეხება, იქნება ეს ადამიანი თუ ანგელოზი. საუკუნო ნიშნავს იმას, რომ დადგენილება ყოველთვის ძალაში იყო და იქნება – ის არასოდეს შეიცვლება. მასთან მისვლას მხოლოდ პატივისცემის გამომხატველი გულით და დამოკიდებულებით შეძლებთ.

მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ბრაზილიაში ჩატარებული საღამოს მსახურება. ღვთის იმ საოცარი თანდასწრებისას, სანამ ქარი ქროდა, წმიდა შიშით ვიყავი პარალიზებული. ერთი აზრი გამუდმებით ფეთქავდა ჩემს გონებაში: *ჯონ ბევირ, ერთი არასწორი მოძრაობა, ერთი არასწორი სიტყვა და მკვდარი ხარ!*

ეს როგორ მოხდა? დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: იმ კაცმა და ქალმა ახალ აღთქმაში არასწორი ნაბიჯი გადადგეს ანალოგიურ ატმოსფეროში და ორივე მკვდარი დაეცა. დიახ, „მკვდარი“, რაც ნიშნავს მიწის ქვეშ ექვსი ფუტის სიღრმეში ყოფნას (საქმ. 5:1-10). იმ წყვილმა შესაწირი მოიტანა ეკლესიის წინამძღოლებისა და თანამორწმუნეების წინაშე. მიუხედავად ამისა, მეყსეული სიკვდილი ეწიათ და ორივე ერთ დღეს დამარხეს. რა რეაქცია ჰქონდათ მომხდარზე სხვა მორწმუნეებს?

„დიდმა შიშმა მოიცვა მთელი ეკლესია და ყველა, ვისაც ეს ესმა“. (საქმ. 5:11)

კიდევ მინდა ორიოდე საკითხის აღნიშვნა. აქ ნათქვამი არ არის, რომ „დიდმა შიშმა მოიცვა ქალაქი“. არა, „დიდმა შიშმა მოიცვა მთელი ეკლესია“. მეორე, ყურადღება მიაქციეთ, რომ ნახსენებია არა „შიში“, არამედ „დიდი შიში“. ებრაელი ავტორები არ აზვიადებენ, როგორც დასავლურ კულტურაშია მიღებული. როცა წმიდა წერილი „დიდზე“ მიუთითებს, საქმე გვაქვს წმიდა შიშის ძლიერ გამოვლინებასთან.

საქმ. 2-ში, როცა ღვთის სულის თავდაპირველი გამოვლინება მოხდა ორმოცდამეათე დღეს, იქ მყოფთაგან ზოგიერთებს მოწაფეები მთვრალეები ეგონათ დილის 9 საათზე. წარმოიდგინეთ, როგორ იქცევა მთვრალი ადამიანი. როგორც წესი, ის არ არის წყნარი და თავშეკავებული. უფრო მეტიც, ხშირად ბევრს იცინის და მზიარულობს. ასეთი იყო

მოზიზება ღვთისა

იმ ღირსშესანიშნავი დღის ატმოსფერო. ჩვენი მოსიყვარულე ღვთის თანდასწრება განმაახლებელი და სიამოვნების მომტანია. როცა მისი თანდასწრება შემადრწუნებელი და სასჯელის განმახორციელებელია მის ხალხს შორის, ეკლესიას დიდი შიში მოიცავს ხოლმე. ასეთი რამ შთამბეჭდავად ზრდის ღვთის სინმიდის გაცნობიერებას.

ხშირად მეკითხებიან: „რატომ არავინ კვდება დღევანდელი-ბაში?“ ეს კარგი და მნიშვნელოვანი კითხვაა. იმ წყვილმა პეტრე და საბოლოო ჯამში, სულიწმიდა მოატყუა. ოცდამეერთე საუკუნეში უამრავი პასტორი იტყუება. მაშ, რატომ არ ეწევა იგივე ხვედრი ამ შეურაცხმყოფლებს? ვნახოთ, რა მოხდა ზემოხსენებული წყვილის სიკვდილის შემდეგ:

„ავადმყოფები ქუჩაში გამოჰყავდათ და საკაცებზე და საწოლებზე აწვენდნენ, რომ ჩავლილი პეტრეს ჩრდილი მაინც დაჰფენოდა რომელიმე მათგანს ... და ყველანი იკურნებოდნენ“ (საქმ. 5:15-16)

ამაზე ფიქრი გამაოგნებელია. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს ხდებოდა ქუჩებში (მრავლობითი რიცხვი)! და ზოგიერთი კი არა, ყველა განიკურნა! მოდით, ეს თანამედროვეობაში გადმოვიტანოთ. ეს იმას დაემსგავსებოდა, პეტრე მოციქული მთავარ ჰოსპიტალში რომ შესულიყო და ყოველი სართულის ყოველი საწოლი გაეთავისუფლებინა მხოლოდ დერეფნებში გავლით. ამ სიდიდის ძალა მხოლოდ უფლის დიდების ატმოსფეროში იპოვება.

ეს ჭეშმარიტება კიდევ ერთი მაგალითით დავამოწმოთ. აჰარონის ორი ძის თავს გადამხდარიდან ასეული წლების შემდეგ სხვა ორი ძე, ხოფნი და ფინხასი მღვდლობდნენ ღვთის საკრებულოში. ისინი კარვის კარიბჭესა და თავად კარავში მომსახურე ქალებთან მრუშობდნენ. ამ ადგილიდან აჰარონის ძეების გარდაცვალების ადგილამდე ოთხმოცდაათ ფუტზე ნაკლები მანძილი იქნებოდა! თითქოს ეს საკმარისი არ იყო, მღვდლები ღვთის თაყვანისმცემლებს შესანიშნავი წართმევით აშინებდნენ. „უღირსები იყვნენ ყელის ვაჭები, არ იცნობდნენ უფალს. არც მღვდლობის მოვალეობას ასრულებდნენ ხალხის წინაშე“ (1 სამ. 2:12-13). ღმერთმა ასე თქვა იმ კაცებზე:

„ამიტომაც დავუფიცე ყელის სახლეულს, რომ უკუნისამდე არ გამოისყიდება მისი სახლეულის ბრალი“ (1 სამ. 3:14). არასოდეს გენდომებოდათ ამ სიტყვების მოსმენა ყოვლისშემძლე ღვთის პირიდან!

მათი ქცევა ღმერთს უკიდურესად შეურაცხყოფდა, გაცილებით მეტად, ვიდრე აჰარონის ძეებისა, რომლებიც იგივე კარავში მეყსეულად დაიხოცნენ. რატომ? პასუხი შემდეგ სიტყვებშია: „უფლის სიტყვა იშვიათი იყო იმ დღეებში, ხილვები არ იყო ხშირი“ (1 სამ. 3:1). ღვთის გაცხადებული სიტყვის ნაკლებობა მისი თანდასწრების არარსებობაზე მეტყველებს. ის უბრალოდ არ იყო იქ, როგორც ბრაზილიის შემთხვევაში ვნახეთ, ხოლო მოსეს დროს სისრულით ვლინდებოდა.

რა დასკვნის გაკეთება შეგვიძლია ამ მაგალითების გათვალისწინებით? რაც უფრო დიდია ღვთის გამოვლენილი დიდება, მით მეტი და სწრაფია უპატივცემულობის სასჯელი. ამრიგად, **დაყოვნებული სასჯელი გაუქმებულს არ ნიშნავს.** ამის გამო პავლე წერს:

„ზოგიერთი ადამიანის ცოდვები წინასწარვე ცხადნი არიან და სამსჯავროსკენ მიუძღვიან წინ, ზოგიერთს კი უკან მისდევენ“. (1 ტიმ. 5:24)

გონივრული იქნება, თუ არც ერთ ვითარებაში არ გამოვიჩინოთ უპატივცემულობას, დაუდევარ ან შინაურულ დამოკიდებულებას ღვთის მიმართ. კიდევ უფრო საშიში მდგომარეობაა, როცა მისი დიდება არ ვლინდება. რატომ? ადვილია უპატივცემულობის ცოდვაში თანდათანობით ჩავარდნა იმ ცრუ თავდაჯერებულობიდან გამომდინარე, რომ მიღებული ხართ, რახან თქვენზე სასჯელი არ მოდის. თუ ასე მოხდება, გვეგონება, რომ ღმერთს ჩვენი უპატივცემულობა ნაკლებად ადარდებს, რასაც მომდევნო თავში დავინახავთ.

გათავისება

მონაკვეთი: „წმიდად უნდა მომეპყრას, ვინც მომიახლოვდება და განვდიდდები მთელი ხალხის წინაშე“ (ლევ. 10:3)

თემა: რამდენადაც მეტად ვლინდება ღვთის დიდება, მით დიდი და სწრაფია უპატივცემულობის სასჯელი. ამრიგად, დაყოვნება სასჯელის გაუქმებას არ ნიშნავს.

დაფიქრება: როგორ უნდა მივუახლოვდე ღმერთს ლოცვაში, ეკლესიაში, თაყვანისცემისას, ღვთის სიტყვის სწავლებისას ან ყოველდღიურ ცხოვრებაში? ხომ არ გამომიმუშავდა მის მიმართ დაუდევარი დამოკიდებულება? ხომ არ დაგკარგე რეალობის შეგრძნება, რომ ის არა მარტო ზეციერი მამაა, არამედ წმიდა ღმერთი, რომელიც მშთანთქმელი ცეცხლია?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, პატიებას გთხოვ ზედაპირული და უპატივცემულო დამოკიდებულებით შენთან მოახლოებისთვის! დაგკარგე შენი, როგორც წმიდა ღვთის ხედვა და მეტისმეტად გაგიშინაურდი. ვინანიებ და აღარ ჩაგთვლი „ძმობილად“, არამედ შენი მოკრძალება მექნება, როგორც წმიდა ღმერთს შეეფერება. მადლობა, რომ აქამდე ჩემ მიმართ კეთილი და მოწყალე იყავი და გამოჩენილი უპატივცემულობა მაპატიე! იესოს სახელით ვლოცულობ, ამინ!

აღიარება: ნებისმიერ შემთხვევაში ვიქონიებ ღვთის მიმართ მოკრძალებას, რაოდენ ძლიერად ან შეუმჩნევლადაც არ უნდა გამოვლინდეს მისი თანდასწრება.

რადგან უფლის
თვალწინაა კაცის
გზანი და მის ყველა
ბილიკს ის სწონის.

– იგავები 5:21

10 | ღმერთი არ ხედავს

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენს გულში წმიდა შიში ღვთის დიდების აღქმის პროპორციულად იზრდება. სანინალმდეგო აზრიც ჭეშმარიტია: რაც უფრო მეტად დავაკნინებთ მის სიდიადეს და ადამიანური შეზღუდვების დონემდე დავიყვანთ, მით მეტად შემცირდება ჩვენში ღვთისმოშიშება.

ქვეყნიერიული სისტემა მდინარის სწრაფ ჭორომებს ჰგავს, რომელიც ადამიანის ფსიქიკას ურტყამს მისგან ღვთის დიდების გამოდევნის მცდელობაში. ამ მდინარის არსი მდგომარეობს: სიტყვებში, ფიქრებში, სახებებში, ვიდეოებსა და ნებისმიერ სხვა შუამავალში, რომელიც მოკვდავი ადამიანის ამალლებას ემსახურება ჩვენი შემოქმედის სიდიადის დაკნინების ხარჯზე.

ვისაც წმიდა მოშიშება აკლია, ადვილად ნებდება ამ ძალას და იღებს აზროვნების სტილს, თითქოს ღმერთი ვერ ხედავს ან არ აღელვებს, რასაც ის აკეთებს. აზრები ასე იწყება: *მე გამო-ნაკლისი ვარ, მე ამისგან თავისუფალი ვარ; ღმერთი ყურადღებას არ აქცევს ჩემს მოტივებს, სიტყვებსა და მოქმედებებს და სრულდება შემდეგი შეხედულებით: მას ძალიან ბევრი საქმე აქვს მისახედი და მე სად გამოვჩნდები.*

„[ბოროტი] ამბობს თავის გულში: „დაივიწყა ღმერთმა, სახე დამალა, რომ აღარასოდეს იხილოს“. (ფს. 10:11)

მოშიშება ღვთისა

ამ მცდარი და სახიფათო შეხედულების სხვადასხვა ვარიანტი არსებობს, თუმცა ყველა მათგანი ღვთის რეალური შესაძლებლობების დაკნინებამდე დადის. ზუსტად იგივენაირად შეიძლება ვიფიქროთ მშობელზე, უფროსზე, მასწავლებელზე, მწვრთნელზე ან სხვა წინამძღოლებზე, რომ ისინი ყურადღებას ვერ გვაქცევენ ან ჩვენს საქციელს ვერ ამჩნევენ. ადამიანები ამ მახეში ებმებიან და დარწმუნებული არიან, რომ დეტალების სიმრავლის გამო ისინი არ ჩანან. ამას თან ერთვის მათ წამორდგენაში დამცირებული ღვთიური შესაძლებლობები.

მოდით, კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წავინით! თუ ვინმე უფლის მოშიშების ნაკლებობის ციცაბო ბილიკზე სიარულს არ შეწყვეტს და წმიდა შიშისგან საერთოდ გადაუხვევს, ეშმაკური რწმენის მიღების საფრთხის წინაშე დადგება, რომ *ღმერთი ჩვენს მოტივებს, სიტყვებსა და მოქმედებებს ვერ ხედავს*. ერთია დაჯერება, რომ ღმერთი ყურადღებას არ აქცევს და სრულიად განსხვავებულია უპატივცემულობის დონე, თითქოს მას დანახვა არ შეეძლოს!

სიტყვების, ქცევებისა და მოტივების ადამიანთაგან დამალვა შესაძლებელია. ჩვენ ბევრ რამეს საიდუმლოდ ვინახავთ სიბნელეში, ჩრდილშიც კი, რომ სხვებმა ვერაფერი შენიშონ. თუმცა აზრი, რომ ფიქრებსა და გზებს ყოვლისშემძლე ღმერთს დავუმალავთ, თავის მოტყუებაა. ეს მცდარი წარმოდგენა, ნებსით იქნება თუ უნებლიეთ, სამშვინველს წმიდა შიშისგან ცლის. წერილი გვეუბნება:

„ვაი მათ, ვინც უფლისგან გულის სიღრმეში მალავენ ზრახვებს, სიბნელეში აქვთ საქმენი და ამბობენ: „ვინ გვხედავს ან ვინ გვიცნობს?“ (ეს. 29:15)

თავდაპირველად შეიძლება, იფიქროთ, რომ ესაია ბოროტ ადამიანებზე საუბრობს – ურწმუნოებზე, რომლებიც ეკლესიას არ ეკუთვნიან ანუ თაყვანისცემისთვის არ იკრიბებიან. თუმცა მოყვანილი მუხლი კონკრეტულად *მაღიარებელი მორწმუნეებისთვის* დაიწერა. ეს მართალია და ამ განცხადების წინ ვკითხულობთ:

„და თქვა უფალმა: „იმის გამო, რომ ეს ხალხი მხოლოდ სიტყვებით მიახლოვდება და მხოლოდ ბაგეთა მსახურებით მცემს პატივს, მათი გული კი შორს არის ჩემგან და მათი მოშიშება ჩემდამი გაზეპირებულ წესებად იქცა“. (ეს. 29:13)

ნება მომეცით, რომ ეს ნათქვამი თანამედროვეობას მოვარგო! ეს ადამიანები აღიარებენ, რომ იესოსთან მოზიარეობაში არიან, რადგან მისი მაღლით მიიღეს გადარჩენა. ისინი სიტყვით პატივს მიაგებენ, ქრისტიანულ კონფერენციებს ესწრებიან, თაყვანისცემის საგალობლებს უსმენენ სპოტიფაიზე და მაინც, მათი სამშინველი ფიქრობს, რომ უფალს მათი ფიქრების ან ქცევების დანახვა ან მოსმენა არ შეუძლია. მათი გონების მდგომარეობა ბევრად უარესია ვიდრე ურწმუნოებისა, რომლებიც იესოს არ მიჰყვებიან. მათ სიცრუე ირწმუნეს და უფრო მეტიც, ვერ ხვდებიან თავიანთ შეცდომას.

შეიძლება, შემეწინააღმდეგოთ: „არა, ეს არ მოხდება!“ მოდით, ისევ მივუბრუნდეთ ახალი აღთქმის წყვილს – ანანიასა და საფირას – რომელიც წინა თავში გავიხსენეთ (საქმ. 5). მათი მცდარი ქცევის გასაგებად მნიშვნელოვანია წინა ისტორიის ცოდნა. მათი ამბავი მე-4 თავში იწყება:

„ასევე იოსებმაც, რომელსაც მოციქულებმა ბარნაბა (რაც ნუგემისცემის ძედ ითარგმნება) შეარქვეს, ლევიანმა, წარმოშობით კვიპროსელმა, გაყიდა თავისი ყანა, ფული მოიტანა და მოციქულთა ფერხთით დადო“. (საქმ. 4:36-37)

იმ დროს კვიპროსი დიდი სიმდიდრის მქონე კუნძული გახლდათ, სადაც უხვად მოიპოვებოდა: ძვირფასი ქვები, სპილენძი, რკინის მადანი და ხის მასალა. ასევე ცნობილი გახლდათ: ყვავილებით, ხილით, ღვინითა და ზეთით. თუ კვიპროსზე მიწის ნაკვეთი გქონდათ, სავარაუდოდ, მდიდარი იყავით.

წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: კვიპროსელ მდიდარ ლევიანს მიწის გაყიდვით მიღებული საკმაოდ დიდი თანხა მოაქვს და ეკლესიას სწირავს ყველას თვალწინ. შემდეგ რა ხდება?

„ერთმა კაცმა, სახელად ანანიამ, თავის ცოლთან, საფირასთან ერთად, ნაკვეთი გაყიდა“. (საქმ. 5:1)

მოზიზება ღვთისა

თხრობა გრძელდება და ახალმა თავმა შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ წინა ამბავთან კავშირი წყდება, სადაც ახალმოსული მდიდარი უერთდება ეკლესიას და ყველას თვალწინ უზარმაზარი შესანიერი მოაქვს. მისი ძღვენი გარკვეულ რეაქციას იწვევს ზემოხსენებულ წყვილში. ისინი სწრაფად ყიდიან თავიანთ ნაკვეთს და ...

„[ანანია] გადამალა საფასურიდან; ეს მისმა ცოლმაც იცოდა, რაღაც ნაწილი კი მოიტანა“. (საქმ. 5:2)

რამ გამოიწვია ასეთი გამოხმაურება? შემთხვევით, ეს წყვილი ხომ არ იყო ეკლესიისთვის ყველაზე დიდი გამღები ამ დრომდე? თუ ასეა, იპყრობდნენ თუ არა ეკლესიის წინამძღოლებისა და ხალხის ყურადღებას? უნდა გვახსოვდეს, რომ გაღება ღვთიური ნიჭია, როგორცაა, მაგალითად: მომსახურება, ქადაგება, სტუმართმოყვარეობა, სწავლება, წინამძღოლობა და სხვა. შესაბამისად, არც უხვი შემოწირულობა არ არის გამონაკლისი; მისით ხარობენ (2 კორ. 9:12-13). მეტისმეტად დიდი პატივისცემა და ყურადღება ხომ არ მიიღო ამ წყვილმა? მათ შინაგან დაუცველობას საფრთხე ხომ არ დაემუქრა ახალი შემწირველის გამოჩენით? თუ ყველა მისი უზარმაზარი შემწირულობით აღფრთოვანდებოდა, რით წაადგებოდა ეს ცოლ-ქმრის სამახარებლო გასვლებსა და ღარიბების დახმარებას, როცა ხალხის ყურადღება ანანიასა და საფირას მხარეს კი არა, მისკენ იქნებოდა მიპყრობილი?

იქნებ ცოლ-ქმარს დაკარგული რეპუტაციის გულისთქმა ღრღნიდა ისე, რომ ნაკვეთის – შესაძლოა, მის ხელთ არსებული ყველაზე დიდი ქონების – გაყიდვა გადანყვიტა? ისინი ასე მსჯელობდნენ: „მეტისმეტად დიდი თანხაა გასაცემად, მაგრამ ისე გავაკეთებთ, თითქოს სრულად გავიღეთ. ამრიგად, მივცეთ მისი ნაწილი და გამოვაცხადოთ, რომ გაყიდვით სულ ეს მივიღეთ“. მაცდური გეგმა კიდევ უფრო განმტკიცდებოდა იმის გააზრებით, რომ მათი შემყურე სხვა მორწმუნეებიც მოინდომებდნენ დიდი შესანიშნავი გაღებას.

გარეგნული მხარე ჭეშმარიტებაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და ისინი ტყუილამდე მიიყვანა. როგორ შეეძლოთ გონებაში ამ აზრის დაშვება, რომ ღმერთი ვერაფერს დაინახავდა?

მათ ანონ-დანონეს, განიზრახეს და ასეთ მიდგომაზე შეთანხმდნენ. დარწმუნებულებმა, რომ ამ გეგმის უფლისგან დაფარვას შეძლებდნენ, სიბნელები ჩაიფიქრეს ბოროტი ქმედება! სადღაც სამშვიდობო ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ: უფალი ვერაფერს გაიგებს! (თითქმის პირდაპირი ციტირება ეს. 29:15-დან). ეს ორივე მათგანს სიცოცხლის ფასად დაუფჯდა; ორივე ერთ დღეს დაიმარხა!

როგორ დაუშვა წინა თავების საოცარი სასწაულების – ზეციური ქარის ქროლისა და მთელი ქალაქის ყურადღების მიპყრობის, გამოუცხადებელ შეკრებაზე ათასობით ადამიანის გადარჩენის, დავრომილის სასწაულებრივი განკურნების, ღვთის მიერ შენობის შერყევის და ბევრი სხვა მოვლენის – მომსწრე ორმა მაღიარებელმა მორწმუნემ გონებაში, რომ ყოვლისშემძლე ღვთისგან რაიმეს დაფარვას შეძლებდა?

ან როგორ დაიჯერეს ღმერთთან ბაღში მოსეირნე ადამმა და ევამ, რომ შეცოდების შემდეგ უფალს სადმე დაემალებოდნენ (დაბ. 3:8)?

როგორ შეეძლოთ ისრაელიანებს თქმა: „ვერაფერს ხელავს უფალი“ (ეზეკ. 9:9)?

რას იტყვით ამ ელდისმომგვრელ განაცხადზე: „ხომ ნახე, ძეო კაცისავ, რას აკეთებენ ისრაელის ტაძრის უხუცესნი დაფარულში, თითოეული თავისი ცრულმერთის საწმიდარში? ვინაიდან ამბობენ: უფალი ვერ გვხელავს“ (ეზეკ. 8:12).

რამდენად ხშირად ვიფიქრებთ ასე ბრიყვულად, რომ უფლისგან დაშორებული ჩვენი გულისნადების დამალვას შევძლებთ?

მოკლედ, ყველა ამ სცენარს ერთი საერთო ფესვი აქვს, საიდანაც ხსენებული შეცდომა ამოიზრდება: ღვთისმოშიშების ნაკლებობა. რამდენადაც გვაკლია წმიდა შიში, იმდენად დაკნინებულია მისი შესაძლებლობები ჩვენს თვალში და რაც ყველაზე საშინელია, საკუთარი მდგომარეობა გვაგინყდება; ჩვენი გარჩევის უნარი ჩლუნგდება. ამაზე მომდევნო რამდენიმე თავში დეტალურად ვიმსჯელებთ.

გათავისება

მონაკვეთი: გაიგებს ყველა ეკლესია, რომ მე ვიკვლევ თირკმელებსა და გულებს; და ყოველ თქვენგანს თავისი საქმეების მიხედვით მივუზღავ. (გამოცხ. 2:23)

თემა: ღმერთმა არა მარტო ჩვენი საქმეები იცის, არამედ მათ უკან მდგარი მოტივები და ზრახვები.

დაფიქრება: ვცხოვრობ თუ არა გამუდმებით იმის გაცნობიერებით, რომ ღმერთმა იცის ჩემი ფიქრები, შინაგანი ზრახვები და მოტივები? როგორ შეიძლება გავზარდო ამ ჭეშმარიტების გააზრება ჩემში?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, გთხოვ, რომ ჩემი მოტივები და ზრახვები ისეთივე სუფთა იყოს, როგორც იესოს მოტივები და ზრახვებია. დაე, ყველა ჩემი ნაფიქრი, სურვილი, სიტყვა და მოქმედება გაიფილტროს იმ გაგებით, რომ შენ განუწყვეტლივ იკვლევ ჩემს გზებს. დაე, არასოდეს დაკნინდეს ეს ჭეშმარიტება ჩემს ალქმაში შენს შესახებ. ვლოცულობ იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: ვიცხოვრებ იმის გაცნობიერებით, რომ ღმერთი სრულადსწავდება ჩემს ზრახვებს, ფიქრებს, სიტყვებსა და მოქმედებებს.

**ჩასჭიდებიან სიცრუეს და
მობრუნებას უარობენ.**

– იერ. 8:5

11 | მოუიშება და თრთოლვა

ღვთის საოცარმა თანდასწრებამ და ანანიასა და საფირას სასჯელმა „დიდი შიში“ მოჰგვარა მთელ ეკლესიას. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ აქ საზგასმულია არა *ქალაქი*, არამედ *ეკლესია* – ნმიდათა საკრებულო. როცა *დიდი შიშის* შესაბამის ბერძნულ სიტყვებს განვიხილავთ, გადმოცემული ფრაზის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაძლიერდება.

პირველი სიტყვა, *დიდი* გახლავთ ბერძნული *მეგას*; ის ნიშნავს „სასწორის უკიდურეს ზედა მაჩვენებელს ... მაღალ ხარისხს, ძლიერს, საშიშს“.¹ სწორედ აქედან არის მიღებული ინგლისური სიტყვა *მეგა*. თარგმანში შეცდომა არ არის. არსებითად, *მეგა შიშის* თქმაც კი შეიძლებოდა. მხედველობაში იქონიეთ, რომ წერილის ავტორები არაფერს აზვიადებენ.

მეორე სიტყვა, *შიში* გახლავთ ბერძნული *ფობოს*, რომელიც ახალ აღთქმაში ხშირად გამოიყენება *წმიდა შიშის* აღსანიშნავად. მისი მნიშვნელობა ასეთია: „თრთოლა, ზაფრა, მოკრძალება, პატივისცემა“. კიდევ ერთი წყაროს თანახმად, სიტყვა ნიშნავს „სიღრმისეულ პატივისცემას და მოწინებას ღვთაების მიმართ“.² ისევე მივუბრუნდეთ სიტყვებს *თრთოლა* და *ზაფრა*, რომლებიც შიშის გაცილებით მაღალ ხარისხზე მიაწინებებს. პავლემ იგივე ბერძნული სიტყვა გამოიყენა, როცა დანერა:

მოზიზება ღვთისა

„ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როგორც ყოველთვის, იყავით მორჩილნი, არა მარტო მაშინ, როცა მანდ ვარ, არამედ უფრო მეტად ახლა, როცა მანდ არა ვარ. შიშითა და ძრწოლით იღვანეთ თქვენს სახსნელად, რადგან ღმერთი ბადებს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც მისი სათნოებისამებრ“. (ფილ. 2:12-13)

ჩვენი ხსნა *სიყვარულითა* და *სიკეთით* კი არ ხდება, არამედ *შიშით* და *ძრწოლით*, რასაც მოგვიანებით დანვრილებით განვიხილავთ. ამრიგად, ნათქვამის მნიშვნელობა კიდევ ერთი ახალი სიტყვით, *ძრწოლით* ძლიერდება. ეს გახლავთ ბერძნული *ტრომოს*, რომელიც აღნიშნავს „შიშისგან თრთოლას, თავზარს ... ან ღრმა პატივისცემას, მოწინებას.“ ეს ერთი შემთხვევა არ გახლავთ, რადგან პავლე მოციქული ახალ აღთქმაში კიდევ ოთხჯერ იყენებს სიტყვათა ამ წყვილს.

მართალია *წმიდა შიშის* კვლევა ამომწურავი არ იყო, მაგრამ იქამდე კი მივედით, რომ გაგვიკვირდეს, როგორ შეუძლია ღვთის სიტყვის რომელიმე მასწავლებელს მისი მნიშვნელობის დაკნინება „მოწინებით თაყვანისცემამდე“! მხოლოდ ამ თავში განხილული რამდენიმე სიტყვით ძალზე ძლიერი ლექსიკური განმარტებების წინაშე დავდექით. აი, ჩვენს მიერ შედგენილი სია: მეგა შიში, თავზარი, ღრმა პატივისცემა, თრთოლა, ძრწოლა.

ესენი ჩვენი ცხოვრების მცირე ასპექტის ამსახველი უბრალო სიტყვები როდია, არამედ საშუალება, რომლითაც *ხსნისთვის უნდა ვიღვანოთ*. მათი მეშვეობით აისახება მთელი ჩვენი ძალისხმევა, სულიწმიდასთან თანამშრომლობა და მის მიერ გაძლიერება სულიერი სიმწიფის მისაღწევად, რაც იესომ უსასყიდლოდ გვიბოძა. აქედან მოყოლებული ამ აზრს ასე გამოვხატავთ: *ჩვენი ხსნა სიმწიფეს აღწევს შიშითა და ძრწოლით*.

ამის გათვალისწინებით, რატომ არ ისწავლება წმიდა შიშის, როგორც უმთავრესი ჭეშმარიტების შესახებ ჩვენს ეკლესიებში, პატარა ჯგუფებში და ბიბლიის სკოლებში? შეიძლება თუ არა, ეს იყოს ამდენი უნაყოფო, გულგრილი ქრისტიანის არებობის მიზეზი დასავლურ სამყაროში? ამის გამო ხომ არ გვაფრთხილებს წმიდა წერილი უკანასკნელი დღეების „დიდი განდგომილების“ შესახებ? პავლე წერს, რომ ანტიქრისტე არ გამოვლინდება, სანამ „განდგომილება არ მოვა [მაღიარებელი ქრისტიანების

დიდი დაცემა, რომელიც ნაწინასწარმეტყველებია“ (2 თეს. 2:3). ეს განდგომილება წმიდა შიშის თანდათანობით გაქრობის შედეგად ხომ არ მოდის? ორმოცი წლის ლოცვის, კვლევის და ამერიკის ყოველ შტატსა და ექვს ერში მსახურების შემდეგ დარწმუნებული ვარ, რომ საქმე სწორედ ასეა.

მოდით, კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ! ეკლესიის ერთ-ერთი საბაზისო სწავლებაა „მარადიული განკითხვა“. დაკვირვებით წაიკითხეთ ეს სიტყვები:

„ამიტომ, მივატოვოთ ქრისტეს სიტყვის *საწყისები* და ვესწრაფოთ სრულყოფას; ნულარ ჩავუყრიოთ *საძირკველს* ... მარადიული განკითხვის მოძღვრებას.“ (ებრ. 6:1-2)

ფაქტია, რომ ყველა ჩვენგანი ანგარიშს ჩავაბარებთ ღმერთს, თუ როგორ გავატარებთ ცხოვრება. ის, რაც განკითხვისას გადაწყდება, საუკუნოდ გაგრძელდება – ეს მარადიულია! მორწმუნეთათვის ამას „ქრისტეს სამსჯავრო“ ეწოდება.

მოდით, ვიმსჯელოთ ორ ხაზგასმულ სიტყვაზე! პირველია *საწყისები*. რას სწავლობს პატარა ბავშვი დაწყებით სკოლაში? კითხვას, წერას, მიმატებას, გამოკლებას და სხვა საბაზისო უნარებს. არსებითად, ამ დროს ვიძინებთ საშენ მასალას, რომელზეც შემდგომი განათლება დაეფუძნება. წამოგიდგენიათ უფროს კლასებში ან კოლეჯში სწავლა წერა-კითხვისა და მიმატება-გამოკლების ცოდნის გარეშე? შეუძლებელია!

აღმოვაჩინე, რომ ბევრ მორწმუნეს საერთოდ არ აქვს წარმოდგენა, რომ სამსჯავროს წინაშე უნდა წარდგეს ან უკეთეს შემთხვევაში, ამაზე სმენია, მაგრამ მისი რაობის გულმოდგინე კვლევით თავი არასოდეს შეუწუხებია. ეს ჰგავს საწყისი უნარ-ჩვევების შესწავლის აუცილებლობის ცოდნას, რომელთაც რეალურად არ სწავლობთ. ისმის მეტად მნიშვნელოვანი კითხვა: როგორ აგებენ ქრისტიანები თავიანთ ცხოვრებას *საწყისი* ქეშმარიტების გააზრების გარეშე?

მოდით, მეორე ხაზგასმული სიტყვაც განვიხილოთ – *საძირკველი*. წარმოგიდგენიათ შენობის უსაძირკველად აგება? თუ ამინდი კარგია, შენობა სწრაფად წამოიშრება და იდგება. როცა ქარიშხალი დატრიალდება, ის ველარ გაუძლებს!

მოზიზება ღვთისა

ეს სურათი შეიძლება შევადაროთ რწმენიდან განდგომას. ბარნა ჯგუფის ანგარიშის თანახმად, 2000-დან 2020 წლამდე რწმენას განუდგა ორმოც მილიონზე მეტი ამერიკელი³ მათი ნახევარი ახლა აღიარებს, რომ ქრისტიანი აღარ არის – ან ათეისტია ან აგნოსტიკოსი. შესაძლებელია, რომ ამ კატასტროფული სტატისტიკის მიზეზი საფუძველწამყრელი სწავლების უცოდინარობა იყოს?

მოდით, სწრაფად გადავხედოთ, რა მოჰყვება ჩვენს სამსჯავროს:

„თუმცა მხნედ ვართ და გვირჩევნია განვშორდეთ სხეულს, რათა უფალთან დავბინავდეთ“. (2 კორ. 5:8)

ახლავე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ პავლე მხოლოდ მორწმუნეებს ელაპარაკება. როცა ურმუნო სხეულს განშორდება, ღვთის თანდასწრებაში არ იმყოფება.

„ამიტომ ვცდილობთ კიდევ - აქ ვიქნებით თუ იქ, მისთვის სასურველნი ვიყოთ“. (2 კორ. 5:9)

როცა ჩვენი შვილები მოზარდები იყვნენ, მე და ლიზა მათი ღვთისმოსაობაში გამოწვრთნის გზებს ვეძებდით. ამ საქმის მნიშვნელოვანი ასპექტი იყო მათი დაცვა გამორჩეულობის დამოკიდებულებისგან. ერთ საღამოს მათ ასე ვუთხარი: „ბიჭებო, არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ, რომ მე და დედამ იმაზე მეტად ან ნაკლებად შეგიყვაროთ, ვიდრე ახლა გვიყვარხართ.“

მათ აზროვნებაში გამყარდა ჩვენი უპირობო სიყვარული. რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე განცხადება გავაკეთე: „თუმცა თქვენ გაკისრიათ პასუხისმგებლობა, რამდენად ნასიამოვნები ვიქნებით თქვენი საქციელით.“ ეს მათთვის ჭეშმარიტების დანახვის მომენტი იყო.

აი, საქმე რაშია! არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, რომ ღმერთს თავი მეტად ან ნაკლებად შევაყვაროთ, მაგრამ ჩვენზეა დამოკიდებული, ვასიამოვნებთ თუ არა მას. სწორედ ამიტომ ამბობს პავლე, რომ მისი მცდელობის მიზანი ღვთისთვის სიამის მინიჭებაა. რატომ?

„ვინაიდან ჩვენ, ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა – კეთილს თუ ბოროტს. და რაკი უფლის შიში ვიცით, ადამიანებს შევაგონებთ.“ (2 კორ. 5:10-11)

ამ სამსჯავროზე მონანიებული ცოდვების გამო არ განვისჯებით – ისინი უკვე ამოირეცხა იესოს სისხლით. ღმერთმა „განგვაშორა ... ჩვენი დანაშაული“ (ფს. 103:12). ის ისევ ამბობს: „ვინაიდან შევუნდობ მათ უმართლობას და ცოდვებს აღარ გავუხსენებ“ (ებრ. 8:12).

მაშ, რა შედეგი მოჰყვება ჩვენს სამსჯავროს? განვიკითხებით, თუ როგორ ვცხოვრობდით როგორც მორწმუნეები და განვისჯებით კეთილი და ბოროტი საქმეებისთვის.

ჩვენი ახლანდელი მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია, რომ პავლე „უფლის შიშს“ მორწმუნის სამსჯავროს უკავშირებს. როგორც ადრე ვახსენეთ, შიშის ზაფრის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა გახლავთ *ფობოს*, სწორედ ის სიტყვა, რომლითაც ანანიასა და საფირას სასჯელზე ეკლესიის რეაქცია აღიწერა. ამას მნიშვნელოვან კითხვამდე მივყავართ: ამ წყვილის შემთხვევა მორწმუნეთა განკითხვისთვის თვალის შევლება ხომ არ იყო? ამ შესაძლებლობას მომდევნო რამდენიმე თავში გამოვიკვლევთ.

გათავისება

მონაკვეთი: რათა მოიქცეთ უფლის ღირსად და ყველაფერში ასიამოვნოთ მას ყოველ კეთილ საქმეში ნაყოფის მოტანით და ღვთის შემეცნებაში ზრდით. (კოლ. 1:10)

თემა: არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ, რომ ღმერთს მეტად ან ნაკლებად უყვარდეთ, ვიდრე ახლა უყვარხართ. თუმცა პასუხისმგებელი ხართ, თუ რამდენად აამებთ მას.

დაფიქრება: აამებს თუ არა ღმერთს ჩემი ცხოვრება? როგორ გავიგო, რა ესიამოვნება და რა არ მოეწონება მას?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, გთხოვ, შენი სიტყვით და სულიწმიდით გამიმხილო, რა გსიამოვნებს და რა არ მოგწონს! მომეცი ისეთი გული და გონება, რომელიც მუდამ შენს სიამოვნებაზე იფიქრებს და ამით სხვა ყველაფერზე მეტად გაიხარებს! დაე, ამის გაკეთებით შევიცნო შენი გული და ვიცხოვრო შენთვის პატივის მიგების გზით! დაე, ჩემმა სათხოვარმა მომამზადოს მორწმუნეთა სამსჯავროს წინაშე წარსადგომად და მარადიული საზღაურის მისაღებად, რის მოცემასაც ისურვებ! ვლოცულობს იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: ღვთისთვის სიამის მინიჭება ჩემი ცხოვრების პრიორიტეტია. ის ჩემში მოქმედებს, რომ მისთვის სიამის მინიჭება არა მარტო მინდოდეს, არამედ შესაბამისადაც ვიმოქმედო.

ღირსშესანიშნავი ღმერთთან
დაკავშირებით ის არის,
რომ მისი მოშიშებისას სხვა
არაფრის გეშინია, ხოლო
ღვთის შიშის უქონლობის
შემთხვევაში, სხვა
ყველაფერი გაფრთხობს.

– ოსკარ ჩემბერსი

12|გადაღები თვალთმაქცობა

არსებითა ერთი მნიშვნელოვანი პუნქტის ცხადყოფა იმ წყვილთან დაკავშირებით, რომელმაც სიცოცხლე საქმეთა წიგნში დაასრულა. საქმე ანანიასა და საფირას მოქმედებაში არ იყო. მათ უბრალოდ ეკლესიას შესწირეს. ღვთის საქმისთვის ფინანსების გაღება საქებარი, წმიდა და მშვენიერი რამ არის. მათი ცოდვა გულის ზრახვაში მდგომარეობდა – გარკვეული კუთხით თავის დანახვების სურვილი.

ამას მნიშვნელოვან კითხვამდე მივყავართ: მხოლოდ ჩვენი სიტყვები და საქმეები განისჯება სამსჯავრო ტახტთან თუ ფიქრები და მოტივებიც?

მოდით, დავიწყოთ გაფრთხილების კითხვით, რომელიც იესომ მოწაფეებს მისცა:

„ამასობაში ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი, ისე რომ ერთმანეთს თელავდნენ. იესომ ჯერ თავის მოწაფეებს მიმართა: „მოერიდეთ ფარისეველთა საფუარს, რომელიც თვალთმაქცობაა. რადგან არაფერია დაფარული, რომ არ გაცხადდეს და დამალული, რომ არ გამჟღავნდეს“. (ლუკ. 12:1-2)

რამდენი რამ არის ნათქვამი ამ ორ მუხლში! წარმოიდგინეთ, რომ სახარების მსახური ხართ და თქვენს მოსასმენად „ათასობით“ ადამიანი შეიკრიბა! ეს მქადაგებელთა უმეტესობის ოცნებაა!

მოზიზება ღვთისა

მიუხედავად ამისა, რას აკეთებს იესო? ის არ უჩურჩულებს თავის გუნდს: „ჰეი, ბიჭებო, აი, სწორედ ამისთვის ვარ აქ! ცოტა იქეთ მიიწიეთ, სანამ ჩემს საქმეს დავასრულებდე!“ არა, ამის ნაცვლად, იესო სამ რამეს აკეთებს:

პირველი, ის შემთხვევას იყენებს მათთვის თვალსაჩინო სათქმელის გადასაცემად, თუ როგორ არ უნდა მოექცნენ გარკვეული მომენტის ზეგავლენის ქვეშ. ის მომავალ წინამძღოლებს მაგალითებითა და სწავლებით აფრთხილებს *თვალთმაქცობის* შესახებ. ეს სიტყვა გახლავთ ბერძნული *ჰუპოკრიზისის* და ასე განიმარტება: „გარკვეული მიზნებისა და ზრახვების ქონის შთაბეჭდილების მოხდენა იმ დროს, როცა რეალურად, ადამიანს სულ სხვა მიზნები აქვს.“¹

ფარისევლები თვალთმაქცობის ოსტატები იყვნენ – ყველაფერს სხვათა საჩვენებლად და თავის მოკატუნებით აკეთებდნენ. იესო ხალხს აფრთხილებს, რომ ამ მახეში არ მოექცნენ და ზრახვების სისუფთავე შეინარჩუნონ. არსებითად, ის გადმოგვცემს, რომ არ მივცეთ პოპულარობას ან ადამიანთაგან ქებას ჩვენი გზიდან გადაყვანის საშუალება, არამედ სულიწმიდას მივყვეთ და მყარად დაფუძნდეთ ჭეშმარიტებაში როგორც სწავლებით, ისე ცხოვრების წესით.

მეორე, იესო მიუთითებს თვალთმაქცობის გავრცელების დიდ სისწრაფეზე. იგი მას საფუარს ადარებს, რომელიც მთლიან ცომს გაფუებას აიძულებს. იესოს მიერ მოყვანილი თვალსაჩინოება გვაჩვენებს, რომ თვალთმაქცობა გადამდებია, მაგრამ საფუარისგან განსხვავებით ჩვენს კეთილდღეობას ანგრევს.

მესამე, იგი დამაფრთხილებლად აცხადებს, რომ თვალთმაქცობის დამალვა შეუძლებელია. ნათელია, რომ ადამიანის სიტყვებისა და მოქმედებების მიღმა არსებული ზრახვები ბოლოს მაინც გამოიჟღავნდება. მისი მომდევნო განაცხადი არანმიდა ზრახვებისგან დაცვის საშუალებას გვთავაზობს:

„გეუბნებით თქვენ, ჩემო მეგობრებო, იმათი ნუ შეგეშინდებათ, ვინც სხეულს კლავს და ამის მეტი აღარაფრის გაკეთება შეუძლია. გიჩვენებთ, ვისი უნდა გეშინოდეთ: გეშინოდეთ იმისა, ვისაც მოკვლის შემდეგ გენაში ჩადების ხელმწიფება აქვს. აჰა, გეუბნებით, მისი გეშინოდეთ“. (ლუკ. 12:4-5)

კიდევ გავიმეორებ, რომ იესო მკაცრ ენას იყენებს შიშის აღსანიშნავად. ეს გახლავთ ფობიო, რომელიც ფობოს-ის მონათესავე სიტყვაა. ფობიო განიმარტება როგორც „შიშის ზარის დაცემა, შეძრწუნება“. იესო „გეენაში ჩაგდებას“ წმიდა შიშის უგულუბელყოფასთან აკავშირებს. ეს მართლაც შემადრწუნებელი აზრია, რომელსაც ზედაპირულად არ უნდა მოვეპყროთ. აქ ისევ ვხედავთ წმიდა შიშის მნიშვნელობას და კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ის მოკრძალებით თაყვანისცემას ბევრად აღემატება.

იესო გვეუბნება, რომ ღვთისა უნდა გვეშინოდეს. მარტივად რომ ვთქვათ, ღვთის შიში ადამიანთა შიშის განგვათავისუფლებს, ხოლო ადამიანთა შიში გვიმონებს და ღვთის მოშიშების უნარს გვართმევს. ყოველგვარი შეცდომის გარეშე, ადამიანების შიში ჩვენს მოტივებზეც ახდენს ზეგავლენას. ისე იფიქრეთ „ადამიანთა შიშზე“, როგორც „ღვთის მოშიშებაზე“ ფიქრობთ! აუცილებელი არ არის ხალხს გაექცეთ, პირიქით, გიზიდავთ მათი მამებლობა პიროვნული დაკმაყოფილების, დაცვისა და სარგებლის მიღების ქვეცნობიერი ზრახვებით. ადამიანთა შიში თვალთმაქცობის საფუარით გვიპყრობს და მათგან ქების მიღების ცხოვრების წესს გვახვევს თავს.

კიდევ ვიმეორებ, რომ ანანიასა და საფირას მოქმედებები უმნიშვნელო იყო, მაგრამ მათმა ზრახვებმა ნაახალისა საზოგადოებაში გარკვეული რეპუტაციის შექმნის პროექტი და სწორედ აქედან დაიწყო მათი დაცემა. ადამიანებს ღვთის მოსაობისთვის დამახასიათებელი ქცევები და სიტყვები აქვთ ბაგეზე, მაგრამ წმიდა შიშის გარეშე ცოდვას ჩადიან შინაგანი ზრახვებით ამოძრავებულები.

როცა ადგილობრივ ეკლესიაში ვმსახურობდი 1980-იან წლებში, ადამიანთა შიშმა საშინლად შემბოროკა. ამას ვერ ვხვდებოდი, სანამ სულნიმიდამ ჩემი დაფარული ზრახვები არ გამოააშკარავა. იმ დროს ჩვენს მეგაეკლესიაში მაღალი პოზიცია მეკავა. ყოველთვის კეთილგანწყობილი ვიყავი ჩემს ირგვლივ მყოფთა მიმართ და ქებას არ ვიშურებდი მაშინაც კი, როცა ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მძულდა დაპირისპირება და ჭირის დღესავით ვერიდებოდი. ჩემამდე ხმები მოვიდა, რომ ეკლესიაში ყველაზე საყვარელ პიროვნებად მთვლიდნენ. ამან ბედნიერება და კმაყოფილება მომგვარა.

მოზიზება ღვთისა

ერთ დღეს ლოცვისას უფლის ნათქვამი გავიგონე:

– შვილო, ადამიანები ამბობენ, რომ საყვარელი და კეთილი კაცი ხარ.

ცხადად მახსოვს, როგორ დაელაპარაკა ჩემს გულს და მივხვდი, რომ მისი ტონი გამხნელებას არ ჰგავდა, ამიტომ სიფრთხილით ვუპასუხე:

– დიახ, ასე ამბობენ.

მან მითხრა:

– იცი, რატომ ელაპარაკები ადამიანებს კეთილგანწყობით და აქებ, როცა ეს სიმართლეს არ შეესაბამება?

– რატომ?

– იმიტომ, რომ მათგან უარყოფის გეშინია. მაშ, ვინ არის შენი სიყვარულის ობიექტი, თავად შენ თუ ისინი? ხალხი მართლა რომ გყვარებოდა, ჭეშმარიტებას ეტყოდი და არა სიცრუეს, თუნდაც მათგან უარყოფის ხარჯზე.

ამან გამაოგნა. ყველას მოსიყვარულე ადამიანად მივანჩნდი, მაგრამ ამის მიღმა არსებული ჭეშმარიტება სულ სხვაგვარი იყო.

ანალოგიურად, პირველი ეკლესიის წევრებიც ღვთისმოსავ ადამიანებად მიიჩნევდნენ ანანიასა და საფირას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მწყემსს თვალსაჩინო შესანიშნავად გადასცემდნენ კრებულის თვალწინ, მაგრამ ბოლოს მათი რეალური ზრახვები გამოვლინდა. ასევე, ჩემი მოტივიც საკუთარი თავის წინ წაწევის, დაცვისა და საზღაურის მიღებისკენ იყო მიმართული. ჩემი ქცევის ნამდვილი სახელი სწორედ თვალთმაქცობა გახლდათ.

ადვილია ღვთისნიერი, საქველმოქმედო საქმის გაკეთება ქვეყნიერების თვალწინ ისე, რომ საკუთარი თავისთვის მაძიებლობის მოტივი დაფარული დარჩეს. შესაძლებელია ხალხს დიადი სახარების სიტყვით წაუფიქვით, მაგრამ შინაგანად ეგოისტური მიზნები გვამოძრავებდეს (ფილ. 1:15-16). აურაცხელი საჩუქარი შეგვიძლია გავცეთ გაჭირვებულთათვის, მაგრამ ამას სიყვარულისგან დაცლილი ვაკეთებდეთ (1 კორ. 13:3). ადამიანები თაყვანისცემაში შეგვყავს, მაგრამ გულში სახელის მოხვეჭის აზრს ველოლიავებით. ურთიერთობაში კეთილები ვართ, მაგრამ შიგნით სხვებს ყოველ წვრილმანს ვუმონძმებთ და განვიკითხავთ. მწუხარებას გამოვხატავთ იმ პასტორის თაობაზე, რომელიც ამორალური ქცევის გამო გადააყენეს, მაგრამ გულში ვხარობთ, რომ საკადრისი მიეზლო. თავმდაბალი

ვჩანვართ და შევცახით, „მთელი დიდება იესოს ეკუთვნის“, მაგრამ შინაგანად მოგვწონს ქებისა და აპლოდისმენტების მიღება. ასეთი სია დაუსრულებელია.

აი, შიშველი სიმართლე: პირველი, ღვთისგან არც ერთი მოტივი ან ზრახვა არ იმალება და მეორე, ის საბოლოოდ გამოაშკარავდება. მნიშვნელოვანი კითხვა ასეთია: ეს ჩვენგან დაფარულია? უფლის შიში ჩვენი გულის ზრახვებს გვიცხადებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, ხოლო მისი ნაკლებობისას უძლურნი ვხდებით თვალთმაქცობის სიცრუის წინაშე.

ეკლესიის წევრებს ელდა ეცათ ანანიას სასჯელის გამო, მაგრამ არანაკლებ გაოგნებული დარჩა თავად ანანია და შემდეგ საფირა. ისინი ღვთის შიშის ნაკლებობამ დააბრმავა და საკუთარი ზრახვების დანახვა ვერ შეძლეს. კიდევ ერთხელ უნდა დავსვათ კითხვა: ხომ არ არის ეს შემთხვევა ქრისტეს სამსაჯვროს წინასახე? ამას მომდევნო თავში ვიხილავთ.

გათავისება

მონაკვეთი: ვინაიდან ღვთის სიტყვა არის ცოცხალი, მოქმედი და ყოველგვარ ორღესულ მახვილზე უფრო ბასრი ... და განსჯის გულის ზრახვებსა და აზრებს. (ებრ. 4:12)

თემა: უფლის შიში ჩვენი გულის ზრახვებს გვიცხადებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, ხოლო მისი ნაკლებობისას უძლურნი ვხდებით თვალთმაქცობის სიცრუის წინაშე.

დაფიქრება: როგორ მიზიდავს ადამიანთა მამებლობა პიროვნული დაკმაყოფილების, დაცვისა ან სარგებლის მიღების ფარული ზრახვის არსებობისას? არის ეს რაღაც ისეთი, რაც ზენოლის დროს მოქმედებს? რა სფეროებში ვთმობ ჩემს შინაგან სინაფელს?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, გთხოვ, მაპატიო საკუთარი სარგებლობისთვის სხვა ადამიანთაგან მოწონების ძიება! წმიდა სულო, გთხოვ, გამოააშკარავო ჩემი ცხოვრების ყველა სფერო, სადაც ზენოლას ვერ ვუძლებ! ვინაიებ, რომ იესოს ნაცვლად ადამიანებს ვთვლიდი ჩემი სიხარულისა და ბედნიერების წყაროდ. გთხოვ, აავსო ჩემი გული წმიდა შიშით ისე, რომ თანმიმდევრულად მიყვარდეს სხვები ჭეშმარიტებაში და თვალთმაქცობას არ დავნებდე! ვლოცულობ იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: მიყვარს ყველა, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, ამიტომ მათ ჭეშმარიტებას ველაპარაკები და მათთვის სასიკეთოს ვეძებ ჩემს საკუთარ სარგებლობაზე მეტად.

ვინაიდან ჩვენ, ყველანი
უნდა გამოვცხადდეთ
ქრისტეს სამსჯავროს წინაშე,
სადაც გამოაშკარავდება,
რას წარმოვადგენთ.

– 2 კორ. 5:10

13 | სამი სახეზა

ყურადღებით დააკვირდით ფრაზას წინა გვერდზე მოყვანილ მუხლში: „გამოაშკარავდება, რას წარმოვადგენთ“. ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი თავის სამგვარი ხედვა: *აღქმული, წარმოსახვითი და რეალური*.

ჩვენი *აღქმული* სახეზა არის, თუ როგორ გვხედავენ სხვები. ჩვენი *წარმოსახვითი* სახეზა არის, თუ როგორ გვინდა, რომ სხვები გვხედავდნენ. ჩვენი რეალური სახე არის ის, რასაც სინამდვილეში წარმოვადგენთ, თუმცა ეს ფარული და სხვებისგან შეუმჩნეველია. და მაინც, ღვთის თვალში არაფერია დაფარული. სწორედ ასე გამოაშკარავდება ყველაფერი მისი სამსჯავროს წინაშე.

დაფიქრდით იესოზე, რომელსაც ვერ უგებდნენ, ბრალს ტყუილად სდებდნენ, მთვრალსა და ჭამა-სმის მოყვარულს ეძახდნენ, მწვალებლად თვლიდნენ და დემონით შეპყრობილადც კი მიაჩნდათ. მას უარყოფდნენ რელიგიური წინამძღოლები და სხვა ადამიანები. მისი *აღქმული* სახე უსიამოვნო იყო მრავლის, განსაკუთრებით კი, ცნობილი ადამიანების თვალში.

იესოს ნახევარძმები – იმდროინდელი სკეპტიკოსები – ზენოლას ახდენდნენ მასზე, რომ *წარმოსახვითი* სახეებით ეცხოვრა: „ნადი აქედან და იუდეაში მიდი, რათა შენმა მოწაფეებმაც იხილონ შენი საქმენი, რომელთაც აკეთებ, ვინაიდან, ფარულად არავინ არაფერს აკეთებს, არამედ თავის გამოჩენას ეძებს“ (იოან. 7:3-4). მათ ხალხის მიერ შემოთავაზებული აღქმა მართავდა და იესოსაც იგივე მონობის ქვეშ მოქცევას უპირებდნენ, რაც არის ადამიანთა შიში.

მოზიზება ღვთისა

და მაინც, იესოს რეალური სახე საკმაოდ განსხვავდება სხვათა აღქმული სახებისგან, რადგან იგია „უხილავი ღვთის ხილული ხატება“ (კოლ. 1:15). ბევრმა უარყო იესო, მაგრამ ყოვლისშემძლე ღმერთმა საჯაროდ დაამოწმა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე“ (მათ. 3:17). იესოს აღქმული სახე კი არ არის მარადიული, არამდე მისი რეალური ხატება.

დედამინაზე ყოფნისას ის ყველანაირად ერიდებოდა თავის წინ ნაწევას და არავითარ ძალისხმევას არ მიმართავდა საკუთარი რეპუტაციის შესაქმნელად. როცა ვინმეს განკურნება იყო საჭირო, ხშირად ეუბნებოდა ავადმყოფს: „არავინ გაიგოს!“ (მათ. 9:30). მას არ სურდა პოპულარობა, სახელი და ადამიანთაგან მიღებული აპლოდისმენტები.¹ როცა ხალხმა მისი გამეფება მოინდომა, იქაურობას გაშორდა. მას არც გარეგნული ნილაბი ჰქონია და არც რაიმე ილუზია ან სიცრუე გულში. იგი სიამოვნებას უფლის შიშით იღებდა და ყურადღება ყოველთვის ზეციერი მამისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

ჩვენ უნდა ვიყოთ იესოს სახების გამოხატულება. თავისუფლება ქვეყნარსებებში ცხოვრებას მოაქვს შინაგან კაცში, ყოველგვარი თავის ამალღების ან თვითგადარჩენის მცდელობის გარეშე. ეგოისტური ქცევის სანყისს ადამისა და ევას საქციელში ვხედავთ. მათი დაცემის აღწერისას ვკითხულობთ: „... ახილა ორივეს თვალი და მიხვდნენ, რომ შიშვლები იყვნენ“ (დაბ. 3:7). მათ ყურადღება ღმერთს მოაშორეს და საკუთარ თავზე გადაიტანეს, ამიტომ ახლადღმორჩენილი ნაკლოვანების შემსუბუქებას შეეცადნენ. თავდაპირველად, კაცობრიობის პირველმა წყვილმა სიშიშვლის დაფარვა მოინდომა. შეიძლება ჩვენთვის ამას სხვაგვარი გამოვლინება ჰქონდეს, მაგრამ პრობლემის ფესვი იგივე რჩება. თუ საკუთარ თავზე ვარ ორიენტირებული, შევეცდები ისეთი სახე მქონდეს, რომელიც ჩემს ნაკლოვანებას დაფარავს. იესომ თავი გასწირა ამგვარი მონობისგან ჩვენს გასათავისუფლებლად. პავლე წერს: „ვინაიდან ვერ ვხედავთ, მივეტოლოთ, ანდა შევედაროთ იმათ, ვისაც თავი მოაქვს: ისინი საკუთარი თავების მიხედვით ზომავენ და თავიანთ თავსვე ედრებიან უგუნურად“ (2 კორ. 10:12).

თუ სხვებთან შედარების ზენოლას ვერ გავუძლებთ, ჩვენი ნაკლოვანებები გამოიკვეთება და გამოვლინებას ჰპოვებს თავის წინ ნაწევისა და თავდაცვის მცდელობებში, რაც ჩვენი

ზრახვებიდან და გულისთქმებიდან იწყება. თანამედროვეობაში ჩვენი *აღქმული* სახება უფრო წონადია, ვიდრე ჩვენი *რეალური* მეობა. მარტივად რომ ვთქვათ, საკუთარი რეპუტაციის დაცვას ვცდილობთ. ჩვენი ძალისხმევა გარეგნული მხარის, სტატუსის, წოდებების, პოპულარობის, მიმღებლობის, რეპუტაციისა და სხვა ამგვარის შენარჩუნებისკენ არის მიმართული, რადგან ეს ყველაფერი ჩვენს ნაკლოვანებებს ფარავს.

ზემოჩამოთვლილი მიღწევები სამსჯავროზე არ გამოვლინდება და არც განისჯება. იქ მთავარი იქნება ჩვენი *რეალური* მე, რომელიც გულის მოტივებისა და ზრახვების ირგვლივ ტრიალებს.

„ამიტომ ნუ განსჯით დროზე ადრე, სანამ უფალი არ მოვა, რომელიც გაანათებს *ბნელში დამალულს* და გამოაჩენს *გულის ზრახვებს!* მაშინ მიიღებს თითოეული *ქებას* ღვთისგან“. (1 კორ. 4:5)

ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ეს სიტყვები ურწმუნოთა სასამართლოს ეხება. ნამდვილად არა, რადგან ვერც ერთი ურწმუნო ვერ მიიღებს ქებას სამსჯავროზე. აქ მხოლოდ მორწმუნეებზეა ლაპარაკი.

როცა „*ბნელში დაფარულსა*“ და „*გულის ზრახვებზე*“ ისმენთ, რომლებიც მთელი ზეცის წინაშე გამოვლინდება, წესით და რიგით, ჯანსაღი შიში უნდა აღგეძრათ. ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც პავლე მორწმუნეთა სამსჯავროს „*უფლის შიშს*“ უწოდებს. მისი რეალობის გაცნობიერებამ წმიდა შიში უნდა მოგვევაროს, რომელიც სიფხიზლის შენარჩუნებასა და *ნამდვილი* სახების მიხედვით ცხოვრებაში დაგვეხმარება. და მაინც, ანტითეზაც ჭეშმარიტებაა: რაც უფრო მეტად გვაკლია უფლის შიში, მით მეტად გადავიხრებით *წარმოსახვითი* სახებისკენ.

სწორედ ეს აღმოჩნდა ანანიასა და საფირას სასიკვდილო ხაფანგი. მათის უფროაინტერესებდათ, როგორ გამოიყურებოდნენ სხვების თვალში, რომელთაც მტრებად, მეგობრებად, ეკლესიის წევრებად ან წაინამძღოლებად მიიჩნევდნენ.

მათი ამბავი უფრო გასაგები რომ იყოს, წარმოვიდგინოთ, თითქოს ეს თანამედროვეობაში მოხდა. ეკლესია დაბადებიდან, სულ რაღაც, ხუთ თვეს ითვლის. მოციქულები და ეკლესიის

მოზიზება ღვთისა

წევრები აკვირდებიან: ვინ და ვინ წამოიწვიან ლიდერებად სხვადასხვა სფეროებში?

სსენებული წყვილისთვის ბედნიერი დღე იყო იესოს უფლად მიღება და ცოდვების პატიება. ისინი სავსე იყვნენ ღვთისა და თანამორწმუნეების სიყვარულით.

მიუხედავად ამისა, მათი ყურადღების ცენტრი შეიცვალა. სანტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ეს საქმე, ალბათ, მათში ღმერთმა წამოიწყო შესანიშნის, შეგონების, თაყვანისცემის გუნდში გალობის ან სხვა რომელიმე საშუალების გამოყენებით. ისინი მაღლიერნი არიან, რომ ეკლესიაში მათ მიერ განეულ მსახურებას სხვებიც აღიარებენ. ენდორფინები იმატებს და ბედნიერებისა და კმაყოფილების განცდაც იზრდება.

მათი აღიარება სახეზეა. თუმცა ამ ახლადმექმნილი რეპუტაციის შესანარჩუნებლად ზოგიერთი საეჭვო ქცევის დაფარვა სჭირდებათ ერთი შეხედვით უწყინარი სიტყვებით ან მოქმედებებით. შესაძლოა, სახლში რაღაც საკითხზე უთანხმოება აქვთ, რომელიც აშკარა წინააღმდეგობაში გადაიზარდა. მათი სიბრაზე და კამათი სიმახინჯის სახეს იღებს და ჭიანჭურდება, თუმცა მორწმუნეების წრეში ისინი ამის დამალვას ცდილობენ და სრულიად საპირისპირო სახეს აჩვენებენ. წყვილს არ სურს, რომ მეგობრები უთანხმოებისა და კამათის მოწმენი გახადონ. ეს მათ აღქმულ სახებას დაემუქრება, ამიტომ ხალხში მოსიყვარულე და ერთმანეთზე მზრუნველი ადამიანების შთაბეჭდილების შექმნას ცდილობენ.

ისინი ინსტაგრამსა და ტიკტოკზე სურათებსა და ვიდეოებს აქვეყნებენ, სადაც ხელიხელგადახვეულები, გაღიმებულები და ერთმანეთით გახარებულები ჩანან. სიახლეებს სათაურებიც ამშვენებს, მაგალითად, „ოცნების ასრულება“, „უთიერთობაში დასახული მიზნები“ ან „მომწონს ცხოვრების შექმნა მასთან ერთად!“. მათი წარმატებული ცხოვრების (რომელიც ბრძოლებითა სავსე), მზარდი ბიზნესის (რომელიც დაღმა მიექანება), უმშვენიერესი შვილების (რომელთა ქცევა გამომწვევი, პრეტენზიული და ეგოისტურია) და სხვა სფეროებში მიღწეული წარმატებების უამრავი პოსტი არსებობს. როგორც ჩანს, ეს მუშაობს, რადგან მათი სოციალური მედიის გამომწერთა რიცხვი სწრაფად იზრდება.

ანანია და საფირა თავიანთი წარმოსახვითი სახების გაძლიერებას ესწრაფვიან. ეს ყველაფერი უწყინარი ეჩვენებათ,

მაგრამ თვალთმაქცობის ყოველი აქტის შემდეგ, მათში თანდათან მცირდება ღვთისმოშიშება. ისინი უკვე ვეღარ ხედავენ, ორმაგი სტანდარტებით რომ ხელმძღვანელობენ. თითქოს ყველაფერი კარგად მიდის: კარგი სახელი შეიქმნეს და ეს ეკლესიის ყველაზე გულუხვი შემწირველების რეპუტაციასაც მოიცავს.

დადგა დღე, როცა ბარნაბამ ნაკვეთის გაყიდვით მიღებული ფული მოიტანა ეკლესიის წინაშე. თანამორწმუნეთა ყურადღების ცენტრი მეყსეულად შეიცვალა. ცოლ-ქმარი თამაშგარე დარჩა და მათი აღქმული სახება საფრთხის ქვეშ მოექცა. სამწუხაროა, რომ ამ დროისთვის მათ გულში საკუთარ თავზე შექმნილი წარმოდგენა უკვე კარგად იყო განვითარებული. დანარჩენი კი ისტორიის ამბავია.

ეს ყველაფერი უვნებელი და სხვების შთამაგონებელი ჩანდა, მაგრამ ნყვილი ვერ ხვდება, რომ სახიფათო და დამანგრეველ გზას ადგას. განა სულიწმიდამ განზრახ არ გვაჩვენა მათი ხვედრი წმიდა წერილში, რომ თვალი შეგვევლო, რამდენად საშინელი შეიძლება იყოს ზეციერი სამსაჯავრო? პავლე წერს:

„ზოგიერთი ადამიანის ცოდვები წინასწარვე ცხადნი არიან და სამსჯავროსკენ მიუძღვიან წინ, ზოგიერთს კი უკან მისდევენ“. (1 ტიმ. 5:24)

იმ ღირსსახსოვარ დღეს ანანიასა და საფირას ცოდვა ყველასთვის ცხადი გახდა. მათი სამსჯავრო ნადრევად დადგა, თუმცა კიდევ უფრო საგანგაშოა ცოდვები, რომლებიც მოგვიანებით გამოვლინდება. გთხოვთ, დაიმახსოვროთ, რომ ღვთიური განაჩენი მათ დაფარულ ზრახვებზე მოვიდა და არა მათ მოქმედებაზე.

კარგი ამბავიც არსებობს: ბნელში დაფარულის მონანიება შესაძლებელია და ღმერთი არა მარტო გვაპატიებს, როცა წმიდა მოშიშებით შევლაღადებთ და გონებას მისი სიტყვით განვიახლებთ, არამედ სუფთა გულის გამო გვაკურთხებს კიდევ.

გათავისება

მონაკვეთი: არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხადდეს და არც საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს და არ გაცხადდეს (ლუკ. 8:17).

თემა: ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი თავის სამი ხედვა: *აღქმული, წარმოსახვითი და რეალური.*

დაფიქრება: რომელი სახებისკენ მივისწრაფი? ჭეშმარიტების პოზიციიდან ვმოქმედებ თუ ვცრუობ და ტყუილი განაცხადებით ვიცავ ჩემს რეპუტაციას? ვარ თუ არა წრფელი და სწორი იმ ადამიანებთან, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს?

ლოცვა: ვინანიებ ყურადღების გამახვილებას ჩემს წარმოსახვით და აღქმულ სახებაზე იმის ნაცვლად, რომ რეალობაზე მეფიქრა. დამობაზე წავედი შინაგანი სინრფელის საზიანოდ და პატიებას ვითხოვ. განმიდე ჩემი ფიქრები და ზრახვები. დაე, ჩემი ფოკუსი მიმართული იყოს იესოსა და სხვა ადამიანებისკენ და არა საკუთარი თავისკენ.

აღიარება: ღვთის სიტყვის ორღესულ მახვილს ჩემი გულის აზრებისა და ზრახვების გამოაშკარავების საშუალებას ვაძლევ.

სიკვდილისა და სამსჯავროს
შიში ჩვენგან გადის, როცა
ღვთის ნამდვილი მოშიშება
შემოდის და ის კი არ
გვტანჯავს, არამედ მსუბუქ,
ადვილ უღელად ევლინება
ჩვენს სულს და მოქანცვის
ნაცვლად გვამშვიდებს.

– ა. უ. ტოზერი და ჰარი ვერპლოგი

14 | საუკუნო გაღანყვეტილებები

მარადისობასთან შედარებით ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება გამქრალი ნისლია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ცხოვრება საერთოდ არაფერია, რადგან უბრალო მათემატიკის თანახმად, უსასრულობაზე გაყოფილი რიცხვი ნულის ტოლია. ამრიგად, ოთხმოცდაათი წლის ან მასთან მიახლოებული ასაკი აბსოლუტური სიცარიელეა მარადისობასთან შედარებით. ამ განსაცვიფრებელი ქემმარიტების ფონზე, გონივრული იქნება მარადიულობისთვის მზადება.

გაღანყვეტილებები, რომელთაც იესო სამსჯავრო ტახტზე მიიღებს ჩვენს შესახებ, *საუკუნოა* (ებრ. 6:1-2). მარტივად რომ ვთქვათ, მასში არ შეიტანენ ცვლილებას, არ ჩასწორდება და სხვა ვერაფერი ჩაანაცვლებს. არსებითად, ჩვენი ახლანდელი ცხოვრება განსაზღვრავს, სად გავატარებთ მარადისობას. თუმცა მორწმუნეების ამჟამინდელი ცხოვრება განსაზღვრავს, როგორ ვიცხოვრებთ მარადისობაში.

ძალიან ბევრს ადამიანს ზეციური ცხოვრება უსხეულო, არაფიზიკურ არსებობად წარმოუდგენია, რომელსაც თან ახლავს სიყვარული, მშვიდობა და ყოველგვარი ტანჯვისგან თავისუფლება. ისინი ელოდებიან, რომ წმიდანები ღრუბლებზე მოლივლივე ეთერული არსებები იქნებიან, რომლებიც ქნარებზე უკრავენ და ყურძნის მტევნებით იკვებებიან. სხვები ფიქრობენ, რომ ზეცაში შეუწყვეტელი თაყვანისცემა მიმდინარეობს. ძნელია მარადისობით აღფრთოვანება ამ მომაბეზრებელი არსებობის

მოზიზება ღვთისა

ამსახველი აზრების ქონისას.

თუმცა ეს მითებია, რომელთაც წმიდა წერილში ვერსად იპოვით. ამ ცხოვრებაში საუკეთესო სხვა არაფერია, თუ არა მარადისობის ჩრდილი. იქ იქნება დასაპროექტებელი თემები, ასაშენებელი ქალაქები, ერები, რომელთაც ზედამხედველობა სჭირდება, აღმოსაჩენი და განსავითარებელი გალაქტიკები და განუსაზღვრელად მეტი, რაც ჩვენი შექმნის მიზანს შეესაბამება. არსებობს საპასუხისმგებლო პოციზიები, რომლებიც ადამიანებმა უნდა დაიკავონ უფლის მარადიულ ქალაქში. ამრიგად, ქრისტეს სამსჯავრო ტახტი ინტერვიუდ და შეფასებად მიიჩნით, რამაც თქვენი საუკუნო საქმე უნდა განსაზღვროს მისი ახალი ცისა და ახალი მიწის დედაქალაქში.

ამის გათვალისწინებით დავუბრუნდეთ მსჯელობას, თუ როგორ ხდება განკითხვა აქ და ახლა:

„ვინაიდან ჩვენ, ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს [საზღაურ-რი] იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა – კეთილს თუ ბოროტს [განიხილება, რა იყო მისი მიზანი და მოტივი და რას მიაღწია, რით იყო დაკავებული და რა მიეცა, რა გულმოდგინებას იჩენდა მის მისაღწევად]“. (2 კორ. 5:10 *AMPC*)

ჩვენი, მორწმუნეთა ცოდვები, რომელთაც ჯოჯოხეთში მივყავდით, იესო ქრისტეს სისხლით წაშლილი და სამუდამოდ დავიწყებულია (ებრ. 8:12). თუმცა მაინც რჩება ბოროტი ან ცუდი საქმეები, რომელთა გამოც პასუხს ვაგებთ მორწმუნეთა სამსჯავროზე. ამან ჩვენი ყურადღება უნდა მიიქციოს.

სიტყვა ბოროტი გახლავთ ბერძნული კაკოს და ასე განიმარტება: „ცუდი მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც მავნე და დამაზიანებელია“ და „ბრძოლაში უკან დახევა, ბრძოლის ველიდან წასვლა“. ეს სიტყვა გარკვეულ ზიანს გულისხმობს, მაგრამ არა მარტო იმით, რასაც ადამიანი აკეთებს, არამედ უკან დახევითაც ანუ მარტივად რომ ვთქვათ, არაფრის კეთებით. ამრიგად, მნიშვნელობა მოიცავს არა მარტო გაკეთებულ საქმეებს, არამედ ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებსაც. წმიდა შიში ცათა სამეფოს პასუხისმგებლობებისა და ღვთისთვის საყვარე-

ლი ადამიანების ცხოვრების მიმართ არსებული მოტივებისა თუ დამაზიანებელი ქცევებისადმი სიფხიზლეს გვინარჩუნებს.

წმიდა წერილი ხშირად გვინოღებს „მშენებლებს“. ეს შეიძლება განიხილოთ, როგორც ღვთის სახლის აყვანილი მშენებლები, რომელიც სამუდამოდ იდგება. მის სახლს სახელი აქვს – სიონი (ფს. 132:131-14) და მისი სამშენებლო მასალა ცოცხალი ქვებია – მისი წმიდანები (1 პეტრ. 2:5), სადაც იესო ქვაკუთხედაა (ეს. 28:16).

პავლე ნათლად გამოკვეთს ჩვენს დავალებას: „ვინაიდან მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილნი კეთილი საქმეებისთვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებში ვიაროთ“ (ეფეს. 2:10). ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს დავალებაა და არა რჩევა. თუ ჩვენი მოვალეობების შესრულებაზე უარს ვიტყვით და დროებითი ეგოისტური სარგებლის მისაღებად ვიცხოვრებთ, „ბოროტ“ ქცევაში ჩაგვეთვლება.

პავლე წერს: „თითოეულმა უყუროს, როგორ აშენებს“ (1 კორ. 3:10). ნათელია, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ვაშენებთ. ღვთის მარადიული სიტყვის თანახმად ვაგებთ თუ ამ ქვეყნიერების სულისკვეთებას ავყევით? წმიდა სულის მეშვეობით ვაშენებთ თუ საკუთარ ანგარებიან გულისთქმებს ვკვებავთ? პავლე განაგრძობს:

„და ვინ რას აშენებს ამ საძირკველზე – ოქროს, ვერცხლს, პატიოსან ქვებს, ხეს, ნამჯას, თივას – თითოეულის საქმე გამომჟღავნდება. ვინაიდან დღე გამოაჩენს, რადგან ის ცეცხლით ცხადდება და თვითონ ცეცხლი გამოცდის თითოეული ადამიანის საქმეს“. (1 კორ. 3:12-13)

ღვთისგან ბოძებული დროის ხარჯვის უამრავი გზა არსებობს. თუ საკუთარი სარგებლობისთვის ვაშენებთ, რაც დროებითია, ადვილად დაწვადი მასალა აგვირჩევია. თუ უანგაროდ ვცხოვრობთ, რომ ღვთის მარადიული სამეფო ვაშენოთ, გამძლე მასალას ვიყენებთ, რომელსაც ცეცხლი მხოლოდ განწმენდს. ეს ცეცხლი კი ღვთის სიტყვა იქნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იქნება თუ არა ჩვენი მოტივები, სიტყვები და ქცევა ღვთის სიტყვის შესაბამისი?

მოზიება ღვთისა

პავლე აგრძელებს: „ვისი აშენებული საქმეც გაძლებს, ის მიიღებს საზღაურს“ (მ. 14). თუ ჩვენი ქცევა და შრომა ღვთის სიტყვისა და ჩვენს ცხოვრებაზე მისი ნების მორჩილებიდან ამოიზრდება, მარადიული მიღწევები გვექნება. აქ აღსანიშნავია ორი რამ: პირველი, ჩვენი მიღწევები მოიცავს სხვათა ცხოვრებაზე მოხდენილ ზეგავლენას იმასთან ერთად, თუ როგორ გამოვიყენეთ ღვთისგან ბოძებული ნიჭები მისი სამეფოს მშენებლობისთვის. მეორე, ჩვენი საუკუნო საზღაური განსაზღვრავს ჩვენს მარადიულ პოზიციას ღვთის სამეფოში.

პავლეს მომდევნო სიტყვები ჩვენს ყურადღებას იპყრობს:

„ვისი საქმეც დაინვება, ის იზარალებს; თვითონ კი გადარჩება, მაგრამ როგორც ცეცხლისგან“. (1 კორ. 3:15)

რამდენი რამ არის აღმოსაჩენი ამ მუხლში! პირველი, დააკვირდით ფაქტს, რომ მშენებელი დახსნილი პიროვნებაა. აქ ლაპარაკი არ არის ურწმუნოზე, რომელიც ცეცხლის ტბის განკითხვას მარადიულად დაექვემდებარა, არამედ ადამიანზე, ვინც ღვთის სამეფოში საუკუნოდ დამკვიდრდება.

მეორე, დანაკარგი უდიდესია. აქ გამოყენებული ბერძნული სიტყვა სასჯელს ან დანაკარგს ნიშნავს. მკვლევართა უმრავლესობა, ჩემი ჩათვლით, დარწმუნებულია, რომ აქ სასჯელი არ იგულისხმება. თუმცა სიტყვის მნიშვნელობიდან ცხადია, რომ საქმე გვაქვს საფუძვლიან ზარალთან. გაითვალისწინეთ, რომ ეს დიდი დანაკარგი არა მარტო სამსჯავროს მიმდინარეობისას იქნება საგრძნობი, არამედ მარადისობაში ჩვენს ცხოვრებას განსაზღვრავს!

მესამე, მოყვანილი შედარებიდან ჩანს, რომ პიროვნება გაჭირვებით დაიხსნის თავს ცეცხლის ენებისგან. შევეცადოთ ამ სურათის თანამედროვეობისთვის მორგებას! დასავლეთის მცხოვრებნი ხშირად ემზადებიან საპენსიო ასაკისთვის (პირადად მე ამ აზროვნებას არ ვემხრობი, რადგან პენსიაზე გასვლა დავალებისგან თავის არიდებაა და „ბოროტი“ საქმეების [კაკოს] კატეგორიაში გადის. და მაინც, ის ყველასთვის გასაგებია, ამიტომ თვალსაჩინოებისთვის გამოვიყენებ).

წარმოიდგინეთ, რომ ადამიანის პენსიაზე გასვლის დღეს ბანკი გაკოტრდა. მთელი დანაზოგი დაიკარგა და მხოლოდ

საფულეში არსებული რამდენიმე დოლარის ანაბარა დარჩა. იმავე დღეს სოციალური უსაფრთხოებისა და სხვა, პირადი საპენსიოს ანაბრების შემნახველი კომპანიებიც გაკოტრდნენ. მარტო ეს კი არა, თავად პენსიონერის სახლიც ბოლომდე დაიფრფლა და იმ ერთი მათსურის ანაბარა დააღწია თავი ხანძარს, რომელიც ზედ ეცვა. მან ყველაფერი დაკარგა. ეს გახლავთ კატასტროფის მაუნყებელი სცენარი. და მაინც, პავლე სწორედ ასეთ აღწერილობას გვთავაზობს ზოგიერთი მორწმუნის მდგომარეობის საჩვენებლად, რომლებიც მარადისობაში შეაბიჯებენ. ეს არ შემოიფარგლება ოცდახუთი წლით (პენსიის მიღების საშუალო ვადა); ეს მთელი მარადისობა გაგრძელდება.

და კვლავ, პავლე ამბობს, რომ მორწმუნე გადარჩება, მაგრამ ყველაფერი საბოლოოდ და საუკუნოდ დაკარგული იქნება. გახსოვდეთ, რომ ეს მარადიული განკითხვაა (გადაწყვეტილება) და ბევრად უმჯობესია, ვიდრე საუკუნო სასჯელი ცეცხლის ტბაში. ჩვენ ყველანი დიდად გავიხარებთ იქ ყოფნით, მაგრამ დაგვრჩება შეგრძნება, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო.

ახლა აღარ გაგვიკვირდება პავლეს სიტყვები: „რაკი უფლის შიში ვიცით, ადამიანებს შევაგონებთ“ (2 კორ. 5:11). გთხოვთ, მოისმინოთ ჩემი გულის ლაღადი – დიდი იმედი მაქვს, რომ პავლეს მიერ ნახსენები წმიდა შიში დაგარწმუნებთ, რომ დრო ფუჭად არ გაფლანგოთ უსარგებლო საქმეებზე ან წარმოსახვითი და აღქმული სახების მიყოლაზე. ვიმედოვნებ, რომ თქვენთვის ბოძებულ დროს ღვთის სიტყვისა და წმიდა სულის მორჩილებას მიუძღვნით.

გათავისება

მონაკვეთი: ვინაიდან ჩვენ, ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა - კეთილს თუ ბოროტს. ქრისტეს სიყვარულით ვართ მოცულნი და რაკი უფლის შიში ვიცით, ადამიანებს შევაგონებთ“ (2 კორ. 5:10-11)

თემა: ჯვარცმის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება განსაზღვრავს, თუ სად გავატარებთ მარადისობას; თუმცა ჩვენი, როგორც მორწმუნეების ცხოვრება გადანყვეტს, როგორ ვიცხოვრებთ მარადისობაში.

დაფიქრება: ყოველდღიურად ვამახვილებ თუ არა ყურადღებას მარადისობაზე – სხვების ცხოვრების აგებაზე ჭეშმარიტებით და სიყვარულით თუ მთელ ჩემს ძალას, ენერგიასა და დროს საკუთარი თავისთვის შრომას ვახმარ?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, მაპატიე, რომ მთელ ყურადღებას, ენერგიას, ძალასა და დროს წარმავალის შენებას ვუთმობდი! გთხოვ, მაჩვენო, როგორ ვაშენო იესოს სამეფო ყოველდღიურად! გთხოვ, ძალა მომეცი, რომ ადამიანების ცხოვრებაზე საუკუნო ზეგავლენა მოვახდინო! გმადლობ, იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: მოვძებნი და გამოვიყენებ მარადიულ შესაძლებლობებს და არა ისეთებს, რომლებიც ჩემს ცხოვრებას დალუპავენ.

გაღაუღასავი
სინეიღე

კვირა 3

ხორციელ პიროვნებას
ადამიანის შიში აქვს და არა
ღვთისა. ძლიერ ქრისტიანს
ღვთის შიში აქვს და არა
ადამიანისა. სუსტ ქრისტიანს
ადამიანის ძალიან ეშინია,
ხოლო ღვთისა – ნაკლებად.

– ჯონ ფლეივილი

15 | ადამიანის შიში

ნამდვილი სინმიდე მთლიანად ღვთის კუთვნილებაში ყოფნას გულისხმობს. სინმიდის უმთავრესი მნიშვნელობა „ღვთისთვის გამოყოფა“ გახლავთ.¹ ეს იმდენად აფართოებს სიტყვის არსს, რომ ამაზე ტომები დაიწერებოდა. ამჯერად მხოლოდ ძირითადი მომენტების განხილვით დავკმაყოფილდებით, რადგან ღვთისმო-შიშება სინმიდის მთავარი ასპექტია. სანამ საქმეს შევუდგებოდეთ, არსებითია შემდეგი მტკიცების ნათელყოფა: ნამდვილი სინმიდე ადამიანებს ბორკილებში არ აქცევს – ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლება.

სრულიად შესაძლებელია, რომ ანანიასა და საფირას სასჯელი იმ განკითხვის პრელუდია იყოს, რომელიც ყოველ ადამიანს ელოდება. მტანჯველი კითხვა იმაში მდგომარეობს, მათი ამბავი „დიდი ზარალით“ დასრულდა თუ ჰადესს დაექვემდებარნენ?

წმიდა წერილის ადგილები, რომლებიც ხშირად გამოიყენება ამ წყვილის საუკუნო გმობის აღსაწერად, ჯერ კიდევ სახარებაში გვხვდება თავად იესოს სიტყვებში: „ვინც სულიწმიდას დაგმობს, მას არასოდეს მიეტყვება“ (მარ. 3:29). ზემოხსენებული აზრის მცდარობა გამოკვეთილია გმობის განსაზღვრებით, რაც ნიშნავს „სხვის საწინააღმდეგოდ ლაპარაკს ისე, რომ დაზიანდეს ან დამახინჯდეს მისი რეპუტაცია“.² ცოლ-ქმარმა სულიწმიდის მოტყუება კი განიზრახა, მაგრამ გმობის განმარტების თანახმად, ეს საქმე არ ჩაუდენია. შესაბამისად, მათი საუკუნო ხვედრი გაურკვეველია. ნებისმიერ შემთხვევაში, არც ერთი ჩვენგანი არ ისურვებდა მათ ადგილას ყოფნას.

მოზიზება ღვთისა

ამრიგად, გვხვდება თუ არა წმიდა წერილში ადამიანი, რომელიც ზეცაშია, მაგრამ სამსჯავროზე დიდი ზარალი განიცადა? ვფიქრობ, კი. ნება მომეცით ეს მოსაზრება პავლეს სიტყვების გამოყენებით წარმოგიდგინოთ:

„ახლა ადამიანების დარწმუნებას ვცდილობ თუ ღვთისას? თუ ვცდილობ ადამიანებს ვაამო? ადამიანებს რომ ვაამებდე, ქრისტეს მსახური აღარ ვიქნებოდი“. (გალ. 1:10)

რა ძლიერი ნათქვამია! ქრისტეს მსახურობის პრივილეგიას ვკარგავთ, როცა პოპულარობის ძიების სურვილს ვემორჩილებით. ამის გაკეთებით ისეთ წარმოსახვით სახეს ვიღებთ, როგორიც აუცილებელია კეთილგანწყობით მიღებისთვის. პავლეს მსგავსი არაფერი უნდოდა და სხვაგვარად არც ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ.

პავლე წმიდა შიშის უმაღლეს დონეზე მოქმედებდა. გაისვენეთ, რომ სწორედ მან დანერგა: „შიშით და ძრწოლით იღვანეთ თქვენს სახსნელად“ (ფილ. 2:12). ის ყოველთვის ფოკუსირებული იყო თავის რეალურ სახეზე, რომელიც სამსჯავროზე გამოვლინდებოდა და არა წარმოსახვით ხატებაზე. ამით ის ნამდვილ სინმიდესა და ქრისტეს მორჩილებაში რჩებოდა იმედგაცრუების, სხვებისგან გაკილვისა და უარყოფის დროსაც კი.

ეს ჭეშმარიტება ყოველთვის თვალწინ უნდა გვქონდეს: *ვისიც გეშინია, მას ემსახურები!* თუ ღვთის გეშინია, ღმერთს ემორჩილები. თუ ადამიანების გეშინია, საბოლოოდ, მათი სურვილების დაკმაყოფილებას შეეცდები. ხშირად ჩვენს წინაშე მყოფი პიროვნების სიამოვნება უფრო გვაღელვებს, ვიდრე მისი [უფლის] განაწყენება, ვისაც ვერ ვხედავთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა იმ ადამიანის სიყვარულის ან მეგობრობის მოპოვება გვსურს. სწორედ ამის გამო გვაფრთხილებენ, რომ „ადამიანის მოშიშარს მახე დაეგება“ (იგ. 29:25) – მახე, რომელშიც ნამდვილად მოექცნენ ანანია და საფირა.

მხოლოდ წარმოდგენა შემოიძლია, როგორ აინთო პავლეს გული ეკლესიის სხვა წინამძღოლებთან შეხვედრისას და მას იგივე წერილის მომდევნო მონაკვეთში დაპირისპირების სიტყვები დაანერინა:

„ჰოდა, როცა კეფა ანტიოქიაში მოვიდა, საჯაროდ წინ აღვუდექი მას, ვინაიდან საჩივარი იყო მასზე. რადგან

ვიდრე იაკობისგან ზოგიერთები მოვიდოდნენ, წარმართებთან ერთად ჭამდა, ხოლო მათი მოსვლისთანავე ჩამოშორდა მათ და წინადაცვეთილთა შიშით განზე გადგა. მასთან ერთად თვალთმაქცობდნენ სხვა იუდეველებიც, ისე, რომ ბარნაბაც კი ჩაითრია მათმა თვალთმაქცობამ. მაგრამ, ვიხილე რა, რომ სწორად არ მიჰყვებოდნენ სახარების ჭეშმარიტებას, ყველას თანდასწრებით ვუთხარი კეფას: თუ შენ, იუდეველი, წარმართივით ცხოვრობ და არა იუდეველივით, აბა, წარმართებს რაღად აიძულებ-მეთქი, რომ გაიუდეველდნენ?“ (გალ. 2:11-14)

პეტრეს, ბარნაბასა და სხვა იუდეველ მორწმუნეებს შეეშინდათ, რომ მათთვის პატივსაცემი ადამიანებისგან საყვედურს მიიღებდნენ. სხვათაგან აღიარების სურვილმა თვალთმაქცური ქცევა წარმოშვა ჯერ პეტრეში და შემდეგ დანარჩენებში. მათმა წარმოსახვითმა სახებამ შინაგანი სინრფელის შენარჩუნების სურვილს სძლია და არანმიდა მოქმედებამდე მიიყვანა. იგ. 29:25-ის სხვა თარგმანი ასე გვეუბნება: „სახიფათოა იმაზე დელვა, რას ფიქრობენ სხვები შენზე“.

პავლე სინრფელეს ინარჩუნებდა, ამიტომ საჯაროდ დაუპირისპირდა პეტრეს და მასთან ერთად ბარნაბასა და სხვებს, რომლებმაც ზენოლას ვერ გაუძლეს. პავლემ სწრაფად აღნიშნა, რომ კონსერვატული აზროვნების მქონე იუდეველი წინამძღოლების არყოფნისას პეტრე და სხვები ჭეშმარიტების, მათი რეალური სახების თანახმად იქცეოდნენ. მათ მიცემული ჰქონდათ საჭირო ძალა, რომ იესო ქრისტეს წარმომადგენლები ყოფილიყვნენ და ახალმოქცეული წარმართები მიეღოთ, ჰყვარებოდათ და მათთან მოზიარებაში ყოფილიყვნენ. როგორც კი დინამიკა შეიცვალა, პეტრე და მისი მეგობრები მაშინვე გადაერთნენ წარმოსახვით სახებაზე, რომ თავიანთი თანამედროვეების მადლიერება დაემსახურებინათ. მათი ქცევის შედეგები ამაშენებელი კი არა, დამანგრეველი იყო.

პეტრე წმიდანია. ის ახლა ზეცაშია. თუმცა ეს ბოროტი და დამანგრეველი მოტივების, სიტყვებისა და მოქმედების მაგალითია, რომელიც სამსჯავროზე გამოიცილება. თვალწინ გამუდმებით რომ გვქონდეს იესოსთვის სიამოვნების მინიჭების მიზანი, არ გაგვაკონტროლებდა აზრი, თუ რას ფიქრობენ სხვები ჩვენზე

მოზივება ღვთისა

და ამის ნაცვლად, ქვემარტებაში ვიცხოვრებდით. ეს ნამდვილი სინმიდის მნიშვნელოვანი ასპექტია. დაკვირვებით ნაიკითხეთ:

„ვინაიდან ღვთის სიტყვა არის ცოცხალი, მოქმედი და ყოველგვარ ორლესულ მახვილზე უფრო ბასრი, და აღწევს სამშვივნელისა და სულის, სახსართა და ტვინთა გაყოფამდე, და განსჯის გულის ზრახვებსა და აზრებს. და არ არის ქმნილება მისგან დაფარული; ყოველივე გაშიშვლებული და გახსნილია მისი თვალებისთვის, ვის წინაშეც ვართ ანგარიშვალდებულნი“. (ებრ. 4:12-13)

ჩანვდით ამ სიტყვებს? თუ ნაცნობ ტექსტს ზედაპირულად გადაურბინეთ, ხელახლა ნაიკითხეთ თითოეული წინადადება ნელა და დაფიქრებით!

ყურადღება მიაქციეთ, რომ ღვთის სიტყვას ჩვენი ყველაზე ღრმა აზრებისა და სურვილების გამსჭვალვა შეუძლია. ის ჩვენს ნამდვილ პიროვნებას ააშკარავებს და არა იმ წარმოსახვით სახებას, როგორითაც სხვებს ვეჩვენებით. თუ ღვთის სიტყვას მოვუსმენთ და დავემორჩილებით, ის საკუთარი თავის მოტყუებისგან დაგვიცავს, როგორცა ფიქრი – უფალი ვერ გვხედავს. ეს ყოველთვის იწვევს უღვთო და არანმიდა ქცევას.

ღვთის სიტყვის ბეჯითად მიყოლის მეშვეობით ჩვენს გულში უფლის შიში მუდამ მოქმედ მდგომარეობაში იქნება. შედეგად, სრულად გავიაზრებთ ფაქტს, რომ „არ არის ქმნილება მისგან დაფარული; ყოველივე გაშიშვლებული და გახსნილია მისი თვალებისთვის“ (ებრ. 4:13). ახლა უფრო ნათელია, რატომ გვარიგებს სულიწმიდა:

„შვილო, თუ ჩემს სიტყვებს მიიღებ და ჩემს მცნებებს გულში დაიუნჯებ, სიბრძნეს ყურს მიაპყრობ და გონიერებისკენ მიმართავ გულს, თუ საზრიანობას მოუხმობ და გონიერებისთვის აიმაღლებ ხმას, თუ ვერცხლივით მოიძიებ მას და დაფარული განძივით დაუნყებ ძებნას, მაშინ ჩანვდები უფლის მოშიშებას“. (იგ. 2:1-5)

ყველაზე გონიერული საქციელი ღვთის სიტყვის შინაგანში მიღება გახლავთ, რომელიც ჩვენს ზრახვებსა და მიზნებს მართავს. როცა ღვთის სიტყვას უდიდეს საგანძურად მივიჩნევთ

და მისგან გაცხადებულს დავემორჩილებით, უსაფრთხო ზონაში მოვექცევით. როცა წრფელად დავიწყებთ მისი გზების ძიებას ისე, რომ ჩვენთვის ამაზე დიდი საზღაური აღარ იარსებებს, უფლის შიშს ჩავწვდებით და ცრუ სახების წარმოდგენის ცდუნებას თავიდან ავიცილებთ. მაშინ გავძლიერდებით სინრფელესა და ჭეშმარიტებაში ცხოვრებისთვის და მყარად დავენერგებით სინმიდის გზაზე (ბილიკზე).

გათავისება

მონაკვეთი: ცაბაოთ უფალი შერაცხეთ წმიდად! ის იქნება თქვენი შიში და ის იქნება თქვენი ძრწოლა. ის იქნება თქვენი სანმიდარი. (ეს. 8:13-14)

თემა: მას ემსახურები, ვისიც გეშინია. თუ ღვთის შიში გაქვს, მასვე ემორჩილები. თუ ადამიანის შიში გაქვს, საბოლოოდ, მისი სურვილების ასრულებას მოემსახურები. თუ სხვა ადამიანთა სურვილების დაკმაყოფილება დაისახე მიზნად, ველარ იქნები იესო ქრისტეს ნამდვილი მსახური.

დაფიქრება: რატომ ვცდილობ მთელი ძალით, რომ არ ვაწყენინო ჩემს ახლოს მყოფ ადამიანს და ვამჯობინო უფალს, რომელსაც ვერ ვხედავ? რატომ ვესწრაფი სიყვარულის, აღიარებისა და მეგობრობის მიღებას ადამიანთაგან და არა ღვთისგან? როგორ შევცვალო ეს დამოკიდებულება?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, გთხოვ მაპატიო ის შემთხვევები, როცა ადამიანთაგან ვეძებდი აღიარებას და არა შენგან! იესო, ვინანიებ პოპულარობის ძიებას სხვებისგან. ვირჩევ, რომ ვიყო წმიდა და შენთვის გამოყოფილი. ამ წუთიდან მოყოლებული, შენ ხარ ერთადერთი, ვის სიამოვნებაზეც ვიფიქრებ. იესოს სახელით, ამინ!

აღიარება: მე ქრისტეს მსახური ვარ. მისთვის სათნოდ ყოფნას ვეძიებ და არა ადამიანთაგან მოწონებას.

სადაც კი გულს უფლის
მოშიშება მართავს,
საცნაური ხდება როგორც
მონყალების საქმეებში,
ისე ღვთისმოსაობაში და
არასოდეს მოისურვებს
სხვა ადამიანთაგან
გამართლების მიღებას.

– მეთიუ ჰენრი

16|სახელის ღარქმევა

გალატელთა მიმართ წერილი, დაახლოებით, ჩვ.წ. 49 წელს დაიწერა, ამიტომ შეგვიძლია გამოვთვალოთ, რომ პავლემ პეტრეს და სხვა იუდეველ წინამძღოლებს ამ თარიღამდე უსაყვედურა. მას შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა და ჩვ.წ. 63 წელს პეტრე თავის პირველ წერილს წერს. დარწმუნებული ვარ, რომ დაპირისპირება, რომლის შესახებაც მთელი გალატიის ეკლესიებმა გაიგეს, ჯერ კიდევ ცოცხლობდა მის მეხსიერებაში, როცა ამ სიტყვებს წერდა:

„როგორც გამგონე შვილები, ნუ აჰყვებით უმეცრების დროინდელ გულისთქმებს ... თუ მამას უწოდებთ იმას, ვინც მიუკერძოებლად, ყველას საქმეთა მიხედვით განიკითხავს, მაშინ მოშიშებით გაატარეთ თქვენი ხიზნობის დრო“.
(1 პეტრ. 1:14,17)

ცხადია, რომ პეტრე მორწმუნეებს წერს – მათ, ვინც საკუთარი თავი უარყვეს, ქვეყნიერებისთვის ჯვარცმული არიან და სრულად მიუძღვნეს ცხოვრება იესოს გზაზე სიარულს. ამ საფუძვლის გარეშე საუბრის არანაირი მანერა არ იქნებოდა ჭეშმარიტი (მათ. 16:24; მარკ. 8:34; ლუკ. 9:23; გალ. 6:14). მას შემდეგ, რაც განახლება მოხდება, ჩვენში ღვთიური ბუნება ყალიბდება. ამ ბუნების მორჩილება ჩვენი შეგრძნებების ზედამხედველობისგან

მოზიზება ღვთისა

გვათავისუფლებს, ხოლო ძალას სულიწმიდა და ღვთის გაცხადებული სიტყვა გვაძლევს (2 პეტრ. 1:4).

მოციქული გვაფრთხილებს, რომ არ დავუბრუნდეთ ძველ მდგომარეობას, როცა გულისთქმებს ვემორჩილებოდით და მათი კარნახით ვცხოვრობდით. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ლტოლვა, რომელიც უნდა უარვყოთ და ჯვარს ვაცვათ, თავდაცვის სურვილია. სწორედ ეს არის წარმოსახვითი სახების ანუ სხვათაგან კეთილგანწყობის მიღების სურვილის მიღმა არსებული მოტივაცია – სხვაგვარად, ადამიანთა შიში. ამან უბიძგა დამანგრეველი ქცევისკენ არა მარტო პეტრეს, არამედ ანანიას, საფირას, ბარნაბას და სხვებს.

პეტრე გვაფრთხილებს, რომ მიუკერძოებლად განვისჯებით ამ ან მომავალ ცხოვრებაში, თუ ზემოთ ნახსენებ გულისთქმებს დავემორჩილებით. და პირიქით, ჯილდოს მივიღებთ ღვთის სურვილების ბეჯითად გათვალისწინებისთვის. ამ მითითებს შორის ის მკაცრად გვაფრთხილებს: *ღმერთს არ ჰყავს გამორჩეული შვილები*. მოდით, განვიხილოთ, რა შეიძლება იგულისხმებოდეს ამ კომენტარის მიღმა.

მოციქულს იესოსგან ძლიერი მსახურება მიეცა. ის პირველი ეკლესიის ერთ-ერთი სვეტი იყო, სანამ ანტიოქიაში თანამოძმე იუდეველებთან ერთად თავდაცვის მახეში გაებმებოდა. შესაძლოა, სწორედ პავლეს გამომაფხიზლებელმა დაპირისპირებამ აღძრა მასში საკუთარი მოტივებისა და მოქმედებების წრფელად შეფასების სურვილი. არსებითად, პეტრეს საკუთარი თვალთმაქცობის მიზეზისთვის თვალის გასწორება მოუწია.

შესაძლოა ამ პროცესში მეფე საულისა და დავითის მსგავსი სხვა ბიბლიური წინამძღოლებიც გაიხსენა, რომლებიც ასევე შეცდნენ. საული ზეციდან მიღებულ ნათელ მითითებას ეურჩა, რომ არმიის კეთილგანწყობა მოეპოვებინა – ადამიანთა შიში. დავითმა იმრუშა, შემდეგ კი ქალის ქმარი მოაკვლევინა საკუთარი რეპუტაციის გადასარჩენად. ესეც ადამიანთა შიშია. ორივე წინამძღოლს მოუხდა დაპირისპირება და ორივემ მსჯავრი დაიტეხა თავზე. საულმა სამეფო დაკარგა, ხოლო დავითის სახლეულში მახვილი არ გამოლევულა. ღვთისთვის გამორჩეულობის მაცდურმა აზრმა ორივეს დაარღვევინა ჯანსაღი პიროვნული საზღვრები და უღვთო საქციელის ანუ ურჩობის ცოდვაში ჩააგდო.

პეტრემ კარგად იცოდა, რა ადვილია ამ მახეში გაბმა. მან გაგვაფრთხილა, რომ თავიდან მოგვეშორებინა „გამორჩეულობის“ აზროვნება, თითქოსდა სასჯელი ჩვენ არ შეგვეხება: „ღვთისთვის გულმოდგინედ ვშრომობ“, „ბევრი გავილე ცათა სამეფოს მშენებლობისთვის“, „წლები გავლიე შუამდგომლობასა და ლოცვაში“ ან „ბევრ რამეს მივალწიე ეკლესიის წინამძღოლობისას“. მოდით, თვალი გავუხსნოროთ ფაქტს, რომ ამგვარი მაცდური აზრები უსასრულოა, თუმცა ყველა მათგანი ერთზე დადის: *მე უფასო საშვი მაქვს*. ასეთი შეხედულება წმიდა შიშის საგანძურის საზღვრებს ცდება.

პეტრემ კიდევ უფრო კარგად გაისიგრძეგანა იესოს განცხადების მნიშვნელობა: „ასევე თქვენც, ყველაფერს რომ გააკეთებთ, რაც ნაბრძანები გქონდათ, თქვით: უსარგებლო მონები ვართ, ვინაიდან ის გავაკეთეთ, რაც უნდა გავგვეკეთებინა“ (ლუკ. 17:10). ბერძნული სიტყვა „უსარგებლო“ განიმარტება როგორც „ვინც, განსაკუთრებულ ქებას არ იმსახურებს“. რაც არ უნდა ბეჯითად ვემსახურებოდეთ ღმერთს, არასოდეს ჩავარდეთ სხვათაგან გამორჩეულობის ცოდვაში. ეს მაცდური აზროვნებაა, რომელიც ადვილად გაგვაბამს მახეში, განსაკუთრებით, წინამძღოლებს.

ამ წერილებში პეტრე საკუთარ გამოცდილებასა და გამოცხადებაზე წერს. მან კარგად იცის, რომ ადამიანთა შიშის ანტიდოტი ღვთისადმი მოკრძალებით და მოშიშებით ცხოვრებაა. ვიმეორებ, რომ ის საფუძვლიან პატივისცემასა და მის წინაშე თრთოლაზე ლაპარაკობს. ის გვანვდის გასაღებს, რომლითაც ღვთისგან ჯილდოს მიღების პოზიციასზე აღმოვჩნდებით და მიუკერძოებელ გასამართლებას გადავურჩებით.

ამ ფონზე იესოს სწავლება „ვინრო კარით და ძნელად სავალი ბილიკით სიარულის“ შესახებ განსაცვიფრებელ რეალობას გვიცხადებს, რომელსაც ბევრი ადამიანი ყურადღებას არ აქცევს.

„შედით ვინრო კარიბჭით, რადგან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისკენ მიჰყავს, და მრავალნი არიან მასზე მოსიარულენი. რადგან ვინროა კარიბჭე და რთულია გზა, რომელსაც სიცოცხლისკენ მიჰყავს და ცოტანი ჰპოვებენ მას“. (მათ. 7:13-14)

მოზიზება ღვთისა

იესო ვინრო კარიბჭეზე ლაპარაკობს, რომელიც უმრავლესობას საუკუნო სიცოცხლის კარად მიაჩნია იესოს უფლობის მეშვეობით. ამას ვეთანხმები.

და მაინც, დავაკვირდი, რომ „გზა“ ბევრის აზრით არის ურწმუნო ადამიანის სავალი, რომელსაც ის დალუპვისკენ მიჰყავს. თუ კარგად გაიაზრებთ, დაინახავთ, რომ იესო გზას არ ახსენებს კარიბჭის პოვნაზე ადრე, არამედ მას შემდეგ, რაც ადამიანი კარს აღმოაჩენს. ლეონ მორისი წერს: „კარიბჭეში თავიდანვე შევდივართ (ანუ საკუთარ თავს ქრისტეს ვუძღვნივთ), რის შემდეგაც ვადგებით ჩვენს წინ მდებარე გზას.“² იესო ლაპარაკობს ჩვენს ცხოვრებაზე გადარჩენის მიღების შემდეგ და ამას რთულს (ან ვინროს) უწოდებს.

მადლმა, რომელიც ასე პოპულარულია დასავლურ ეკლესიებში, ეს გზა მეტისმეტად გააფართოვა. ის აცხადებს: ყველა თქვენი ცოდვა, ახლანდელი თუ მომავალი, ნაპატიებია“. ეს მართალია შესაბამის კონტექსტში, მაგრამ ხსენებული მიდგომა ისეა წარმოდგენილი, თითქოს ფართოდ ცხოვრება დალუპული ქვეყნიერების ცხოვრების წესისგან დიდად არ განსხვავდებოდეს და მიუხედავად ამისა, ღმერთთან მოზიარებაში ვრჩებოდეთ. მსგავსი აზროვნება არასწორია, რადგან პეტრეს წერილის ზემომოყვანილი მონაკვეთის დარჩენილი სიტყვები ამას გვიცხადებს:

„როგორც გამგონე შეილები, ნუ აჰყვებით უმეცრების დროინდელ გულისთქმებს. არამედ ისეთი წმიდანი იყავით ყოველ საქციელში, როგორი წმიდაცაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ. ვინაიდან დაწერილია: „იყავით წმიდანი, რადგან წმიდა ვარ მე“. (1 პეტრ. 1:14-16)

სინმიდე არ არის „კარგი იქნება“ სტილის რეკომენდაცია. ის არის ბრძანება. ჩვენ ვახერხებთ რჩევების მიღებას, მაგრამ უგუნურებით ზედაპირულად ვეკიდებით ღვთის ბრძანებებს. უფრო მეტიც, პეტრე არ ლაპარაკობს ჩვენს პოზიციაზე იესოში, არამედ ჩვენს საქმეებზე. ფობოს-ით (წმიდა შიშით) უნდა ვიცხოვროთ და ამგვარი ცხოვრების წესი ბოლომდე შევინარჩუნოთ. ღმერთმა ორი დიდი ძალა გვიბოძა, რომ ჩამდინარე წყლის თხრილებს ავცდეთ და ვინრო გზის არც

ერთ მხარეს არ გადავიხაროთ. პირველი თხრილი ლეგალიზმია, ხოლო მეორე – ურჯულოება.

წლების წინ ბევრი ადამიანი იმყოფებოდა ლეგალიზმის თხრილში. იმ დროს სინმიდე ადამიანთა მიერ დადგენილი ცხოვრების სტილის მოთხოვნებისგან შედგებოდა, რომელთაც წმიდა წერილი ზურგს არ უმაგრებდა. ისინი საქმეებით გადარჩენის ცრუმოდღვრებას ქადაგებდნენ. ეს საშინელი ბორკილი გახლდათ და ბევრი განანწყენებულ მდგომარეობაში დატოვა, ზოგიერთებმა კი საერთოდ უარყვეს რწმენა. მთავარმა გამოცხადებამ ამ საზარელი ორმოდან ამოგვიყვანა: *ღმერთი კეთილია*. ჩვენი ზეციერი მამის სიყვარული რეალური გახდა და ბევრი მორწმუნე ამოათრია ლეგალიზმის ქაობიდან.

თუმცა ადამიანები ვართ და ჩვენთვის დამახასიათებელ შეცდომებს ხშირად ვუშვებთ – გადაენწყვიტეთ შორს გავექცეოდით ლეგალიზმის თხრილს დ ახლა მეორე უკიდურესობაში გადავვარდით, რომელსაც *ურჯულოება* ჰქვია. ეს თხრილი მახეში გვითრევს აზროვნებით, რომ გადარჩენილები ვართ არაბიბლიური მადლით, რომელიც დანარჩენ მსოფლიოსავით ცხოვრების უფლებას გვაძლევს. თითქოსდა შეგვიძლია საკუთარ გულისთქმებს ვუსმინოთ, რომლებიც ჩვენი ხორციელობიდან აღმოცენდებიან და არა ჯვარცმული ცხოვრებიდან, რომელიც ქრისტესმიერი შინაგანი ძალით არის ამოძრავებული. ეს გახლავთ ტყუილი, რომელიც მრავალ ადამიანს აშორებს ღვთის თანდასწრებას, კურთხევას და ძალას.

სინმიდე ბორკილებში არ გვამწყვდევეს. ეს არის ნამდვილი თავისუფლება, რომელიც გვიღებს ღვთით და ჩვენი ცხოვრებით გახარების კარს. მოწოდებული ვართ ვიცხოვროთ ჩვენი გამომხსნელის საკადრისად. მასში სიარულს მხოლოდ უფლის შიშით შევძლებთ და ამ ქვემარტების დეტალებზე მომდევნო რამდენიმე თავში ვისაუბრებთ.

გათავისება

მონაკვეთი: და იქნება იქ გაკვალული ბილიკი, რომელსაც სინმიდის გზას დაარქმევენ, უნმიდური ვერ გაივლის მასზე, დაკვალვანებულთათვის იქნება იგი და მასზე მავალი უგუნურნიც კი არ აიბნევიან. (ეს. 35:8)

თემა: ღვთის სიყვარული გვიცავს ლეგალიზმის ორმოში ჩავარდნისგან. ამის სანინაალმდეგოდ, უფლის შიში გვიცავს ურჯულოების თხრილისგან. წმიდა შიში მაძლევს ნამდვილი სინმიდის გზაზე მყარად დგომის ძალას.

დაფიქრება: რა გზებით უგულბებლევყოფ წმიდა შიშს და ვიტან უღვთო ქცევებს ჩემს ცხოვრებაში? როგორ მოხდა, რომ ღვთის სამეფოში მსახურებამ მის მსგავსად სინმიდის შენარჩუნების შესახებ ბრძანების უარყოფის უფლება მომცა? რა სახის გამორჩეულობის შეგრძნებამ შემაცდინა და ურჯულოების თხრილში ჩამაგდო?

ლოცვა: ძვირფასო უფალ! მაპატიე, რომ შენი სამეფოს მსახურებიდან გამომდინარე, თავი სასჯელისგან განთავისუფლებულად მივიჩნიე! ვინანიებ და ამიერიდან ვითვალისწინებ შენს მითითებას: ვიყო წმიდა, როგორც შენ ხარ წმიდა. არჩევანი გავაკეთე, რომ მივიღო არა მარტო შენი სიყვარული, არამედ შენი მოშიშებაც. ორივეს არჩევის შემთხვევაში შენი სიტყვა მპირდება, რომ სიცოცხლისკენ მიმავალ გზაზე მყარად დავრჩები. იესოს სახელით, ამინ!

აღიარება: ვირჩევ, ვიყო წმიდა, როგორც ღმერთი არის წმიდა!

შვილებო, გეშინოდეთ
ღვთისა, რაც ნიშნავს
წმიდა მოშიშების ქონას
გონებაში, რომ
გაექცეთ ბოროტს და
მტკიცე იყოთ ყოველივე
კარგის მიღებასა და
კეთებაში!

– უილიამ ჰენი

17 | ბოროტებისგან განშორება

უფლის შიში ჩვენი მოსიყვარულე ზეციერი მამის საჩუქარია. ის გვიცავს, რომ იესოს არ დავშორდეთ. ის არის მარადიული სიცოცხლის, სიყვარულის, სიხარულის, მშვიდობის, სიკეთის, იმედისა და მისი უამრავი სხვა სასწაულის წყარო. ღვთისგან დაშორება სიკვდილის, სიბნელის და საბოლოოდ, საუკუნო საფლავისკენ სიარულს ნიშნავს. ჩვენ გვეუბნებიან: „უფლის შიშით განერიდებიან ბოროტებას“ (იგ. 16:6).

ნება მომეცით, გაგიზიაროთ, როდის გახდა ჩემთვის რეალური ეს ქეშმარიტება! 1980-იანი წლების ბოლოს ფართოდ გაშუქდა პოპულარული სატელევიზიო მახარებლის დაცემის ამბავი. ის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ადამიანად იქცა, ოღონდ არა კარგი რამის გამო. იმ დროისთვის მისი მსახურება საერთაშორისო მასშტაბებს აღწევდა, როგორც გავრცელების, ისე ფინანსური თვალსაზრისით, მაგრამ მისმა მეგა-ცნობადობამ საოცარ ნიშნულს მიაღწია, როცა პრაქტიკულად ყველა ახალი ამბების მაუწყებლობამ მისი დანაშაულობების, შემდგომი სასამართლო გარჩევების, განაჩენისა და ბოლოს, დაპატიმრების რეპორტაჟების გადაცემა დაიწყო.

მას ორმოცდახუთი წელი მიუსაჯეს, მაგრამ მოგვიანებით აპელაციის შედეგად ხუთ წლამდე ჩამოიყვანეს. 1994 წელს, მისი ციხეში ყოფნის მეოთხე წელს ჩემს თანამემნესთან მოულოდნელი სატელეფონო ზარი გაისმა. იმ მახარებელს არ

მოზიზება ღვთისა

ვიცნობდი, მაგრამ ვილაცამ ჩემი პირველი წიგნი, *გამარჯვება უდაბნოში* (ახლანდელი სახელწოდებით, *სად ხარ, ღმერთო?!*) მიუტანა. წიგნმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან თავის თანაშემწეს სთხოვა, რომ დამკავშირებოდა და გაეგო, მასთან შეხვედრას ხომ არ მოვინდომებდი.

მე დავთანხმდი და ამაზე არასოდეს მინანია. ის მნახველების ზონაში საპატიმრო ტანსაცმლით მოვიდა. როცა მომიახლოვდა, ხელები გამოიწოდა და გულწრფელად ჩამიკრა გულში, დაახლოებით, ერთი წუთის განმავლობაში. შემდეგ ხელები მხრებში ჩამავლო, ცრემლმორეული თვალებით მომაშტერდა და მკითხა:

– შენ დანერე ეს თუ აჩრდილმა?

მე ვუპასუხე:

– მე დავნერე. სატანჯველები მეც გამომივლია, მაგრამ არა თქვენნაირი.

შემდეგ მან მითხრა:

– რამდენი რამ გვაქვს სალაპარაკო და მხოლოდ ოთხმოცდაათი წუთი გამოგვიყვეს.

ცოტა არ იყოს, დამფრთხალი ვიყავი, რადგან ეს ჩვენი პირველი შეხვედრა იყო. მას ისე აუგად იხსენიებდნენ და ისე გაუტყდა სახელი, რომ არ ვიცოდი, ახლა რა ადამიანს ველაპარაკებოდი. როცა დავსხედით, პირველივე წინადადებით განმიახარა. მან მზერა გამისწორა და ასე მითხრა:

– ჯონ, ეს ციხე ჩემთვის არ არის ღვთიური სასჯელი. ეს მისი წყალობაა. ძველი გზით სიარული რომ გამეგრძელებინა, სამუდამო ჯოჯოხეთით დავასრულებდი.

ამ სიტყვის შემდეგ სმენად გადავიქეცი. ის მიყვებოდა, რა ბოროტი იყო და რა დიადი ხსნა მოიტანა უფალმა მის ცხოვრებაში. დიდი დრო არ დამჭირდებია იმის მისახვედრად, რომ ჩემ წინ წრფელი, მოდრეკილი და მონანიე ღვთის კაცი იდგა. მან განაგრძო მოყოლა, თუ როგორ იხსნა ღმერთმა სიბნელისგან ციხეში ყოფნის პირველ წელს.

გავიგე, რომ ყოველდღე საათების განმავლობაში ბიბლიას კითხულობდა და ლოცულობდა, ცალკე თუ ჯგუფში ყოფნისას. მან ენთუზიაზმით გამიზიარა ციხის ეკლესიისა და მათი პასტორის ამბავი, რომელიც ასევე პატიმარი იყო. მივხვდი, რომ მას უფრო მეტი უნარი ჰქონდა ამ საქმეში და დავინტერესდი, რატომ არ მოინდომა პასტორობა. მითხრა, რომ არ სურდა

წინამძღოლობასთან რაიმე საქმე ჰქონოდა, სანამ მისი შინაგანი გარდაქმნა არ დასრულდებოდა. ასე თქვა:

– ჯონ, მე ხელოვანი მანიპულატორი ვიყავი და არ მინდა ამ ცოდვას ისევ მივცე თავის წამოყოფის საშუალება.

მისი ამ განცხადების ჭეშმარიტობა ერთი წლის შემდეგ დამტკიცდა, როცა ციხიდან გამოუშვეს და ლოს ანჯელესის ცენტრში ერთ-ერთ მისიონერულ ორგანიზაციას შეუერთდა. მან ორი წელი ქუჩაში გაატარა უსახლკაროებზე ზრუნვაში. ეს საქმე ძალიან მოსწონდა, რადგან ქუჩის ხალხი ერის იმ მცირე ნაწილს წარმოადგენდა, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა მის ვინაობაზე.

დაახლოებით, ოცნუთიანი სმენის შემდეგ ვიგრძენი, რომ კითხვების დასმისთვის შესაფერისი დრო დადგა. დავინწყე ყველაზე მთავართ, რომელიც კი მაშინ მომაფიქრდა:

– როდის დაკარგეთ იესოს სიყვარული?

ეს კითხვა იმიტომ დავუსვი, რომ ადრე მსახურებისას მისგან ყოველთვის ასხივებდა იესოს მიმართ სიყვარული. ყველა მისი მსწენელისთვის ცხადი ხდებოდა მასში არსებული ცეცხლი და მოშურნეობა. მინდოდა, გამეგო: როდის მიინავლა ეს გრძნობა და რამ გამოიწვია ეს?

მან თვალი გამისწორა და დიდი სინრფელით მითხრა:

– არ დამიკარგავს იესოს სიყვარული!

გაოგნებული დავრჩი და ცოტა არ იყოს, გავბრაზდი კიდევ მის ნათქვამზე. როგორ გაბედა ამის თქმა?! მყისვე მივუგე:

– რას ლაპარაკობ?! მრუშობაში იყავით გარეული მთელი შვიდი წლის განმავლობაში, სანამ წერილებით თალლითობისთვის სასამართლოს არ გადაგცეს და ბოლოს, განაჩენი არ გამოგიტანეს. როგორ შეგიძლიათ, თქვათ, რომ იესო გიყვარდათ იმ შვიდი წლის განმავლობაში?

მან მშვიდად მითხრა ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია:

– ჯონ, იესო ყოველთვის მიყვარდა.

შეფიქრიანება შემეტყო. მან ცოტა დააყოვნა და თქვა:

– ჯონ, მე ღვთის შიში არ მქონდა. მცირე ხნის შემდეგ ისევ გაიმეორა:

– იესო მიყვარდა, მაგრამ ღვთის შიში არ მქონდა.

ხმას ვერ ვიღებდი და ჩემდა გასაკვირად, ამ ნათქვამმა საოცარი მოწინება მაგრძნობინა. თხუთმეტიოდე წამით სიჩუმემ დაისადგურა. ამ ხნის მანძილზე ჩემი გონება გამალებით

მოზიზება ღვთისა

ფიქრობდა. შემდეგ ამ ადამიანმა ისეთი რამ განაცხადა, რაც დღემდე ექოდ ჟღერს ჩემს შინაგანში:

– ჯონ, მილიონობით ამერიკელი ჩემს დღეშია – მათ იესო უყვართ, მაგრამ ღვთის შიში არ აქვთ!

ისეთი განცდა მქონდა, რომ ღმერთმა მისი ბაგებით დაილაპარაკა. მისმა ნათქვამმა მოულოდნელად ბევრ კითხვას გასცა პასუხი. უცებ შევკრთი. ამ მომენტის უდიდესი „აჰა!“ იყო მისი საკუთარი ისტორია, რომელიც ჩვენს ერში რწმენისგან მასიური განდგომის ფესვს ააშკარავებდა. სამწუხაროდ, ეს განდგომილება ახლა უფრო გაიზარდა.

წმიდა წერილი ნათლად გვეუბნება – ღვთის შეცნობის გასაოცარი ადგილი სწორედ ღვთის შიში გახლავთ. მის გარეშე ქარაფშუტულ ურთიერთობას ვამყარებთ ყალბ იესოსთან, რომელიც სულაც არ არის დიდების უფალი. ჩვენ ვილაც არარეალური მხსნელის გვჯერა. ამ ჭეშმარიტებას მოგვიანებით სიღრმისეულად განვიხილავ. თუმცა ახლა ნება მიბოძეთ, რომ დამამტკიცებელი საბუთი წარმოგიდგინოთ ორი მოკლე მაგალითის მეშვეობით!

ნიგნის წერისას გულისშემძვრელი ამბავი გავიგე ერთ ახალგაზრდა ქალბატონზე, რომელსაც მისი ბავშვობიდან ვიცნობ. ის რწმენაში გაიზარდა და იესოს მაღიარებელ მიმდევრად ჩამოყალიბდა, თუმცა უზნეო ცხოვრებით ცხოვრობდა და თანატოლ ბიჭებს შორის „ადვილად“ ხელმისაწვდომის სახელი გაუვარდა. ამას წინათ ინსტაგრამზე დაპოსტა, რომ იესო მასთან ერთად ხელჩაკიდებული იყო მთელი პროცესის განმავლობაში, სანამ ის აბორტს იკეთებდა. რომელ იესოზეა ლაპარაკი?

კიდევ ერთმა ახალგაზრდა ქალბატონმა, რომელიც ღვთისნიერ კაცზე იყო დაქორწინებული, მითხრა, რომ იესო მასზე ზრუნვას შეპირდა, თუ ის ქმართან გაყრას გადაწყვეტდა. მან ეს ნაბიჯი გადადგა და ღრმა სიცარიელის გრძნობა დაუტოვა ქმარს, შვილებს, ოჯახსა და მეგობრებს. გაყრის მიზეზი სულაც არ იყო სკანდალური. უბრალოდ, მას ქმარი აღარ უყვარდა. იქ არ ყოფილა არავითარი ძალადობა, უზნეობა, ფინანსური პრობლემები და ეს ინფორმაცია პირადად მისგან გავიგე. ფაქტობრივად, მან ისიც აღიარა, რომ კეთილი და მზრუნველი ქმარი ჰყავდა და ასეთივე მამა იყო შვილებისთვისაც. მაშ, რომელი იესო დაპირდა მას თანადგომას?

ეს მხოლოდ ორია იმ ურიცხვი მაგალითიდან, რომლის მოყვანაც შემოიძლია მაღიარებელ ქრისტიანებზე იმ დროს, როცა მათი ცხოვრება საპირისპიროს ამტკიცებს.

როგორ ტყუვდებიან ეს ორი და სხვა მათი მსგავსი ადამიანები? დარწმუნებული ვარ, რომ ამის მიზეზი ღვთის შიშის ნაკლებობაა.

„ჩემო საყვარელნო, როგორც ყოველთვის, იყავით მორჩილნი, არა მარტო მაშინ, როცა მანდ ვარ, არამედ უფრო მეტად ახლა, როცა მანდ არა ვარ. შიშითა და ძრწოლით იღვანეთ თქვენს სახსნელად“. (ფილ. 2:12)

პავლე არ გვეუბნება, რომ სულიერ სიმწიფეს ხსნაში *სიყვარულით* და *სიკეთით* მივალწევთ. ბევრი დაამონებდა, რომ ზემოხსენებული ორივე ქალბატონი მოსიყვარულე და კეთილი პიროვნებები არიან. ამას მათი ეკლესიაში სიარულისა და იესოს ერთგულების აღიარების სტაჟიც დაადასტურებდა. მაშ, როგორ გადაეშვნენ ამგვარი ურჯულო ქცევის მორევში? მათ აკლდათ ის, რაც აკლდა იმ ცნობილ მახარებელს. მხოლოდ უფლის მოშიშებით ავცდებით ბოროტებას და არა მისი სიყვარულით. ღვთის სიყვარული მასთან ახლოს გვიზიდავს, ხოლო ღვთის შიში ბოროტებისგან გვიცავს, რომელიც ჩვენს განადგურებას ლამობს.

გათავისება

მონაკვეთი: უფლის შიში ბოროტების სიძულვილია; მძულს სიამაყე, ქედმაღლობა, ბოროტი გზა და უკუღმართი ბაგე. (იგ. 8:13)

თემა: უფლის შიში ჩვენი მოსიყვარულე ზეციერი მამის საჩუქარია, რომელიც მისგან დაშორებას გვარიდებს. იმ მომენტში, როცა ცოდვასთან დათმობაზე მივდივართ ნაცვლად იმისა, რომ შევიძულოთ, იწყება უფლისგან ჩვენი დაშორება.

დაფიქრება: განდგომილება მაშინ არ იწყება, როცა ადამიანი თავის თავს სხვის საწოლში აღმოაჩენს, ვისთანაც საქორწინო აღთქმა არ აქვს დადებული; არც მაშინ, როცა უფროსის ფულს მიითვისებს. ეს გაცილებით ადრე ხდება! მაშინ როცა დათმობაზე მივდივართ მასთან, რისგანაც იესომ თავისი სიცოცხლის განირვით გაგვათავისუფლა! რასთან მივდივარ დათმობაზე, რისგან თავისუფლებაც იესოს ჯვარცმით მივიღე?

ლოცვა: ძვირფასო უფალო, მაპატიე, რომ ცოდვასთან დათმობაზე წავედი არა მარტო ჩემს ცხოვრებაში, არამედ სხვა თანამოდმეებთანაც! მაპატიე, რომ მგრძნობიარე და სიყვარულით სავსე გულით წინ არ აღვუდექი მათ, რომ აღარ გაეგრძელებინათ მცდარ გზაზე სიარული! ვინანიებ ამ შემწყნარებლობას! მადლობას გიხდი პატიებისთვის იესოს სახელით, ამინ!

აღიარება: მეყვარება ადამიანები, რადგან ღმერთს უყვარს ისინი. შევიძულე ცოდვას, რომელიც ანგრევს ადამიანებს, რომლებიც მიყვარს.

შენ განმიმტკიცე ნაბიჯები
შენს გზაზე და არ
გადაუხვევია ჩემს
ტერფებს.

– ფს. 17:5

18 | დღებრქელობა

1994 წელს მომხდარი ორი ღირსშესანიშნავი ამბის შემდეგ, როცა ეკლესიის კონფერენციაზე ჩემი ქადაგება გააკრიტიკეს და ცნობილ ევანგელისტს ციხეში ვენწიე, გულში წმიდა შიშისადმი მოშურნეობა ამენტო. ამ საკითხზე მეტის გაგება და მასში გაზრდა მოვინდომე. ორივე შემთხვევამ ერთი და იგივე სათქმელი მოიტანა, მაგრამ განსხვავებული პერსპექტივით.

ეკლესია, რომელიც ყველაზე დიდი და გავლენიანი იყო იმ ტერიტორიაზე, უკვე აღარ არსებობს. პასტორი, რომელიც მორწმუნეებს ასწავლიდა, რომ ღვთის შიში არ უნდა გვექონოდა, მსახურებაში აღარ არის. მეორე მახარებელმა, რომელსაც ციხეში შევხვდი, უდიდესი მსახურება დაკარგა, თუმცა წმიდა მოშიშების აღმოჩენისა და მიღების შემდეგ ღვთისა და ადამიანების ერთგულად მსახურების გზაზე დარჩა. მას სხვა ქრისტიანული ორგანიზაცია აქვს, რომელიც ამჟამად მრავალ ადამიანზე ახდენს ზეგავლენას.

ამ ორმა ერთმანეთთან დაუკავშირებელმა ამბავმა დაგვანახა, რომ უფლის შიში გადამწყვეტია ბოროტის მახის არიდების საქმეში, რომელიც ქრისტეს ნაყოფიერი ელჩობის ვადის შემცირებით გვემუქრება. ამის გადმოცემა ერთი სიტყვით შეიძლება: *ხანგრძლივობა*. ამას წინათ ერთმა პატივსაცემმა პასტორმა ბიბლიის პროფესორთან საუბრის შესახებ მიაამბო, რომელიც სიღრმისეულად სწავლობდა ყველა ბიბლიურ პერსონაჟს, რომელსაც ღმერთმა მოუხმო და რალაც საქმე დაავალა. მან აღმოაჩინა, რომ შერჩეულმა წარგზავნილებმა თავიანთი საქმიანობის ვადა შეიმოკლეს და ზოგიერთმა ცუდადაც დაასრულა ცხოვრება. თა-

მოზივება ღვთისა

ნამედროვეობაში მომხდარი მსახურებრივი ტრაგედიები და ხსენებული კვლევა მოწმობს, რომ ხანგრძლივობის მიღწევა ერთ-ერთი გამოწვევაა, რომელსაც სერიოზულად უნდა მოვეციდოთ.

გვიანდელ 1990-იან წლებში წმიდა შიშის მნიშვნელობა ხანგრძლივობის თვალსაზრისით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოცდილებით და მისგან მოსული გამოცხადებით დადასტურდა. მაღალიზიაში, კუალა ლუმპურში ვმსახურობდი. მეათე და ბოლო შეკრებაზე მორწმუნეების ტევა აღარ იყო, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოვიდნენ. ქადაგების დასრულების შემდეგ მრავალმა გამოთქვა მსახურებისთვის თავის მიძღვნის სურვილი. სცენის წინ ლოცვისთვის მზად მყოფ უამრავ ადამიანს შორის ნემსი არ ჩავარდებოდა.

სცენიდან დაბლა ჩავდიოდი კიბეებით, როცა მოულოდნელად ღვთის თანდასწრება გამოვლინდა მეტად ხელშესახები და ნიშანდობლივი გზით. შეინიშნებოდა მისი სიყვარული და სიხარული. ჩემს წინაშე მდგომებს სახეზე ღიმილი შეეპარათ, რომელიც მალე სიცილში გადაიზარდა და ეს სიხარული ყველა წინ გამოსულს მოეფინა. ჩანდა, რომ აბბა მამამ თავისი შვილების განახლება გადაწყვიტა. დიდი დრო არ დამჭირვებია იმის მისახვედრად, რომ საქმე აღარაფერი მქონდა და სცენის კიდეზე ჩამოვჯექი. ვუყურებდი და ვხარობდი, როგორ აძლიერებდა და აკურთხებდა უფალი თავის შვილებს.

ხუთი-შვიდი წუთის შემდეგ მისი მშვენიერი თანდასწრება ამაღლდა და ატმოსფერო მდუმარებით გაიჟღინთა. ყველანი წყნარად ვიყავით და შესამჩნევი სიმშვიდით ვხარობდით. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ღვთის თანდასწრება შეიცვალა და ისეთი გახდა, ბრაზილიიდან რომ მახსოვდა. ფეხზე წამოვდექი ამ ცვლილების მოლოდინში. ეს განცდა თანდათან იზრდებოდა. ამჯერად ქარი არ უბერავდა, მაგრამ მისი ძალაუფლება და საშიშობის შეგრძნება მეტისმეტად და ეჭვმიუტანლად რეალური იყო. ისინი, ვინც რამდენიმე წუთის წინ რაიმე სიტყვიერი მითითების გარეშე იცინოდნენ, ახლა ერთხმად ტიროდნენ და მოთქვამდნენ.

თანდასწრება ძლიერდებოდა და მოთქმაც ინტენსიური ხდებოდა. ისე ჩანდა, რომ ეს წყნარი აზიელები ღვთის ცეცხლით მოინათლნენ. კიდევ ვიმეორებ, რომ შეუძლებელია იქ არსებული გამოვლინების სიტყვით აღწერა და ამის გამო არ გიყვებით ასეთ წმიდა ვითარებაზე. აქ მნიშვნელოვანი იყო მისი

თანდასწრებისას გამოკვეთილი დიდი შიშის განცდა, რომელიც იმდენად გაძლიერდა, რომ ატანა შეუძლებელი გახდა.

უფალთან ასეთი შეხვედრისას მკვეთრად გავაცნობიერე განსხვავება ჩვენს სამშვინველსა და სულს შორის. წერილი გვეუბნება, რომ ღვთის სიტყვა „ჰყოფს სულსა და სამშვინველს“ (ებრ. 4:12). ჩემი გონება (სამშვინველი) ფიქრობდა: „მეტს ველარ გავუძლებ! ღმერთო, ეს მეტისმეტია! ამ დროს ჩემი გული (სული) ღაღადებდა: „ღმერთო, არ ნახვიდე, გთხოვ, არ შეჩერდე!

კიდევ ერთხელ ვიგრძენი: „ჯონ ბევირ! ერთი არასწორი მოძრაობა, ერთი არასწორი სიტყვა და მკვდარი ხარ! ბრაზილიის შემთხვევის მსგავსად, არ შემეძლო თქმა, ნამდვილად ასე მოხდებოდა თუ არა, მაგრამ ვიცოდი, რომ იმ ატმოსფეროში სითამამის გამოჩენას არ მოითმენდნენ.

როცა შენობიდან გამოვედით, ამაღლევებელი, წყნარი და მოწინების მომგვრელი ვითარება დავტოვეთ. შევჩერდი, რომ ინდოელ ცოლ-ქმარს დავლაპარაკებოდი. ღვთის თანდასწრებამ ორივე მათგანზე საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა. ერთმანეთს გაოცებით და მდუმარედ შევეყურებდით რამდენიმე წუთი და შემდეგ ქალმა წყნარად თქვა:

– ჯონ, შინაგანად ისეთ სისუფთავეს ვგრძნობ!

ქმარმაც თავი დააქნია თანხმობის ნიშნად.

როცა მან ეს სიტყვები წარმოთქვა, გული შემიხტა საგულეში. ბოლოს და ბოლოს, ვილაცამ სწორად გამოთქვა ის, რაც ბრაზილიის შემდეგ და ახლა მალაიზიაში ვიგრძენი. მას თავშეკავებული ემოციით ვუპასუხე:

– მეც იგივე გრძნობა მქონდა.

საუბარი აღარ გაგვიგრძელებია, მაგრამ ინდოელი ქალის ნათქვამი მთელი საღამოს მანძილზე ხმიანობდა ჩემს გულში.

მეორე დილას სასტუმროს ნომერში ვიყავი და იქაური ეკლესიისა და ბიბლიის სკოლის ერთ-ერთ ახალგაზრდა მსახურთან კალათბურთის თამაშისთვის ვემზადებოდი. მოულოდნელად, სულიწმიდამ გულში მითხრა:

– შვილო, ნაიკითხე მე-19 ფსალმუნი!

ჩემი ბიბლია ავიღე, ხსენებული ადგილი გადავშალე და კითხვას შევუდექი. როცა მე-9 მუხლს მივადექი, შემდეგი სიტყვები აღმოვაჩინე:

მოზიზება ღვთისა

„შიში უფლისა ნმიდაა, მარადიული“. (ფს. 19:9)

ოთახში შევეყვირე: „ეს არის! სწორედ ეს არის!“ გაოცებული ვიყავი. სწორედ ამას გულისხმობდა ქალი, როცა წინა დღით მელაპარაკებოდა. იქ ენით აღუნერელი სინმიდე სუფევდა და ჩვენი სამშვიინველი ამ ღრმა სისუფთავემ მოიცვა.

შემდეგ გვერდიდან ეს სიტყვა „ამოხტა“: „მარადიული“. სულწინმიდა მაშინვე დაელაპარაკა ჩემს გულს”

შვილო, ლუციფერი ჩემი ტახტის წინაშე თაყვანს მცემდა და მთელ მხედრობას უძღვებოდა, როცა ამ საქმეზე დავაყენე და ვცხე. ის ახლოს იყო ჩემთან, ჩემს დიდებას უმზერდა, მაგრამ ჩემი შიში არ იქონია, ამიტომ მარადიულად ველარ დარჩა ჩემს წინაშე (ეზეკ. 28:13-17).

ანგელოზების ერთი მესამედი ჩემს დიდებას უყურებდა, მაგრამ ლუციფერის გვერდით დადგომა მოისურვა. მათ ჩემი არ ეშინოდათ და ვერ დარჩნენ მარადიულად ჩემს თანდასწრებაში (გამოცხ. 12:4,7).

ადამი და ევა ჩემ დიდების თანდასწრებაში იყვნენ დღის გრილ მონაკვეთში. მათ ჩემი არ შეეშინდათ და სამუდამოდ ველარ დარჩნენ ედემის ბაღში.

შვილო, ყველა ქმნილება, რომელიც მარადისობის განმავლობაში ჩემი ტახტის ირგვლივ დადგება, უფლის მოშიშებაზე წმიდა გამოცდას გაივლის. (დაბ. 3:8).

თვალეები ამეხილა ამ ჭეშმარიტებაზე. გამახსენდა ყველა პასტორი, რომლის მსახურების ეფექტურობა შემცირდა ან კარგად ვერ დაასრულა. ბევრმა დაიწყო მოშურნეობით, დიდად შეიყვარა იესო, ემორჩილებოდა მას და ღვთის ერის მიძღვნილ მსახურად ჩამოყალიბდა, მაგრამ მოიქანცა, დამცინავი გახდა და მსახურება მიატოვა. მათ ვერ გაუძლეს.

სხვები ისევ დარჩნენ მსახურებაში, მაგრამ მოგებისა და სხვა ეგოისტური მიზნების მიღწევის წყაროდ აქციეს. ზოგიერთი მათგანი სექსუალურ მტაცებლად გარდაიქმნა და წინამძღოლობის პოზიცია გულუბრყვილო ქალების ხელში ჩასაგდებად გამოიყენა; სხვები კონსულტანტებად გახდნენ და მსახურებზე მანიპულაციას ეწეოდნენ ცრუ ქადაგების

მეშვეობით, რომ მათი მიმდევრებისგან დიდი ოდენობით შესანიერი მიეღოთ. დანარჩენები ვითომდა წინასწარმეტყველურ სიტყვას წარმოთქვამდნენ და გზებს ეძებდნენ ცალკეული ინდივიდებისგან დაფარული ინფორმაციის მისაღებად იმ ადამიანების შესახებ, რომელთაც უნდა მომსახურებოდნენ, რომ შემდეგ ღვთისგან გაცხადებულ სიტყვად გაესაღებინათ. დაუსრულებელია ამგვარი გახრწნილი ქმედებების სია.

როგორ მოხდა, რომ წმიდა დასაწყისი ზნედაცემულობად აქციეს? რატომ არ იყო ხანგრძლივი მათი ნაყოფიერება? ღვთისმოშიშების ნაკლებობის გამო. ის, რაც იესოს სიამოვნებას ანიჭებდა, მათთვის დაუფასებელი და ზოგჯერ უარსაყოფიც აღმოჩნდა იმ სამხრეთ-აღმოსავლური შტატის პასტორის მსგავსად. რასაც ღმერთმა „თავისი საგანძური“ უწოდა, მათთვის და სხვებისთვის ფასეული არ აღმოჩნდა. მოუსმინეთ ღვთის სიტყვას წმიდა შიშისა და ხანგრძლივობის შესახებ:

„ნეტარია კაცი მოშიში უფლისა, ... მარადიულია მისი სიმართლე. ... მარადიული იქნება მართლის ხსოვნა“.
(ფს. 112:1,3,6)

აუცილებელი არ არის ტრაგედიებში გავლა, რომ წმიდა შიშის მნიშვნელობა დავინახოთ. გთხოვთ, ღვთის დიდებისა და თქვენი მსახურების ხანგრძლივობის მისაღწევად ღვთის მიმართ მოშიშება თქვენს საგანძურად აქციოთ.

გათავისება

მონაკვეთი: უფლის ნყალობა კი უკუნისამდეა მის მოშიშთა მიმართ (ფს. 103:17).

თემა: ყველა ქმნილება, რომელიც მარადისობის განმავლობაში ღვთის ტახტის ირგვლივ იდგება, მისი მოშიში იქნება.

დაფიქრება: მართებული ცხოვრების ერთ-ერთი მხარე გახლავთ მისი კარგად დასრულება. უფლის შიში მარადიულად გრძელდება. როგორ ვაქციო ნმიდა შიში ჩემი ცხოვრების სამაგრად? რა პრაქტიკული გზებით შემიძლია ნმიდა შიშის შენარჩუნება ჩემი ნათქვამის თუ ნამოქმედარის გასაფილტრად?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, შენი სიტყვა აცხადებს, რომ შეგიძლია დაცემისგან დამიცვა და დიდი სიხარულით შემეყვანო შენს საოცარ თანდასწრებაში ყოველგვარი მანკის გარეშე! ვიცი, რომ ეს ჩემი უფლის, იესოს გამომსყიდველი ღვანლის მეშვეობით ხდება, რომელსაც თან ახლავს ნმიდა შიშის მიღება – ამ საუკუნო ურთიერთობის გარანტია. გთხოვ, რომ ნმიდა შიში მუდამ მკვიდრობდეს ჩემს გულში, რომ მარადიულად შენს თანდასწრებაში ვიმყოფებოდე! ამას გთხოვ იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: ნმიდა შიშით დავმკვიდრდები უფლის სახლში, მის თანდასწრებაში, მარადიულად.

თუ არ გახარებს ის ფაქტი,
რომ შენი ზეციერი მამა არის:
წმიდა, წმიდა, წმიდა, მაშინ
სულიერად მკვდარი ხარ.
შესაძლოა, ეკლესიაშიც იყო,
ქრისტიანულ სკოლაშიც
დადიოდე, მაგრამ თუ
შენი სამშვინველი ღვთის
სინმიდით არ ხარობს,
ღმერთს არ იცნობ, არ
გიყვარს, არ ეხები და
მიძინებული ხარ მისი
პიროვნების დასანახად.

– რ. ჩ. სპროლი

19 | საკუთარი თავის განხვედა

„უფლის შიში ნმიდა არის, მარადიული“ (ფს. 19:9). მეფსალმუნე ნმიდა შიშის ორ ნიშანდობლივ ნაყოფს გვთავაზობს, რომელიც არ უნდა უგულებელვყოთ და არც ზედაპირულად მოვეკიდოთ: *ნმიდა და მარადიული*. მოდით, გამოვიკვლიოთ ფაქტი, რომელსაც მოგვიანებით ერთ-ერთ თავში განვიხილავთ! ჰავლე წერს:

„ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწის-განდაღვთისმოშიშებითაღვასრულოთ *სინმიდე*“. (2კორ. 7:1)

აქ იგივე ჭეშმარიტებას ვხედავთ, რომლის გადმოცემაც მეფსალმუნეს სურდა, მაგრამ მეტი სიღრმით. თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ უფლის შიშს სინმიდე სრულყოფამდე მიჰყავს, მაგრამ არა ღვთის სიყვარულს. გაიხსენთ ცნობილი მახარებელი, რომელიც უღვთოს ცხოვრების წესით ცხოვრობდა, თუმცა იესო მაინც უყვარდა. როცა ნმიდა შიშს ეზიარა, განიწმიდა და ძველი უმსგავსობებისგან თავისუფალი ცხოვრებით სიარული დაიწყო. ამან ის იესოსთან ნამდვილ ურთიერთობამდე მიიყვანა, რომელიც დიდად აღემატებოდა იქამდე განცდილს. რაც გამოცდილებით გავიგეთ, ნმიდა წერილშიც ვხედავთ.

მოზიზება ღვთისა

უკვე ვისაუბრეთ, რომ სინმიდე არცთუ პოპულარული საგანია თანამედროვე მსოფლიოში. ბევრისთვის მას ცუდი გემო აქვს, რადგან ვერ ერთობა და ცხოვრებაც უინტერესო ხდება. ის ლეგალისტურ ბორკილად ან მიუღწეველ სათნოებად განიხილება. ქ. ს. ლუისმა ამგვარ უმეცრებას შემდეგნაირად უპასუხა: „რა მცირეა იმ ადამიანთა შემეცნება, რომელთაც სინმიდე დამთრგუნველი რამ ჰქონიათ. როცა მავანი მის რეალობას შეეჩებება ... ნინაალმდეგობას აზრი აღარ ექნება.“¹ ამრიგად, მოემზადეთ გადაულახავთან შესახვედრად, როცა მას ჩავუღრმავდებით.

როგორც ადრე აღვნიშნე, სინმიდის ძირითადი მნიშვნელობა არის „ღვთისთვის გამოყოფა“ და მასში ნამდვილად მოიაზრება შინაგანი სისუფთავე. ნამოიდგინეთ პატარძალი. იგი თავს გამოჰყოფს ქმრისთვის, რაც გულისხმობს სხვა მამაკაცთან ურთიერთობის სურვილის უარყოფას. სწორედ ეს არის სინმიდის ერთ-ერთი ასპექტი – სისპეტაკე. და მაინც, პავლე განწმედისკენ მოგვიწოდებს. მას არ უთქვამს: „იესოს სისხლმა გაგვწმიდა“. ნება მომეცით, რომ ეს საკითხი განვმარტო: იესოს სისხლმა მართლაც გაგვწმიდა ყოველგვარი ცოდვისგან, მაგრამ შეცდომას დაუშვებთ, თუ *გამართლების* საქმეს *განწმედის* შრომასთან გავაგივივებთ.

როცა მოვინანიეთ და იესო ქრისტე უფლად მივიღეთ, ცოდვები გვეპატია და სრულიად განვინმიდეთ. ღმერთმა ჩვენი ცოდვები დავიწყების ზღვაში მოისროლა და აღარ იხსენებს! ეს საქმე დამთავრებულია, სრულია და რაიმეთი მისი გაუმჯობესება შეუძლებელია. ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია, რომ ეს საოცარი რეალობა დაგვემსახურებინა. ეს ღვთის უსასყიდლო საჩუქარია. ეს გახლავთ *გამართლების* ღვანლი.

როგორც კი გამართლებას ვიღებთ, იმ ნუთიდანვე იწყება *განწმედის* საქმიანობა. ის, რაც შინაგანში მოხდა, ახლა გარეთ უნდა გამოვიდეს. ჩვენი ახალი ბუნება გარეგნულ გამოხატულებას ჩვენი ცხოვრების წესში ჰპოვებს. ზუსტად ამას გულისხმობდა პავლე, როცა წერდა:

„შიშითა და ძრწოლით იღვანეთ თქვენს სახსნელად, რადგან ღმერთი ბადებს თქვენში *სურვილსაც* და *მოქმედებასაც* მისი სათნოებისამებრ“ (ფილ. 2:12-13)

ცხადად ჩანს, რომ ეს ისევე ღვთის მადლის საქმეა, მაგრამ აუცილებელია ჩვენი თანამშრომლობა იმ ძალასთან, რომელიც ჩვენში *სურვილსა და მოქმედებას* წარმოშობს. ისევე როგორც ბრაზილიაში მყოფი ადამიანები ღვთის თანდასწრებაში შესვლისა და მისგან რაღაცის მიღების მდგომარეობაში შიშისა და ძრწოლის გამო აღმოჩნდნენ, ასევე წმიდა შიში და თრთოლა გვანთებს და მისი მადლით გაძლიერების პოზიციაზე გვაყენებს მორჩილებისთვის.

დასავლეთის ეკლესიების ბევრ მასწავლებელს ერთი საერთო შეცდომა ახასიათებს – სინმიდის საქმის გამართლების ღვაწლთან გაიგივება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არაფრის გაკეთება არ გეჭირდება, რადგან იესომ უკვე ყველაფერი დაასრულა. მათი აზრით, სხვადასხვა სახის გულისთქმებით მართულები, როცა ქვეყნიერებისგან საერთოდ არ განვსხვავდებით, მაინც სინმიდში ვრჩებით, რადგან იესო არის ჩვენი განწმედა. ამ შეხედულებას კიდევ უფრო ართულებს ახალი აღთქმის გარკვეული მონაკვეთები, რომლებიც თითქოსდა ამას ადასტურებენ. და მაინც, მათი შეცდომა *პოზიციური* სინმიდისა და *ქცევითი* სინმიდის აღრევაში მდგომარეობს. ნება მომეცით, აგიხსნათ!

პოზიციური სინმიდის საფუძველია იესოს ღვაწლი, რაც ჩვენთვის მოიმოქმედა და მიუთითებს, რა ადგილი გვიჭირავს ქრისტეში. ეს გახლავთ ქრისტესმიერი გამართლების ერთ-ერთი კურთხევა: „როგორც ამოგვიჩა მასში ქვეყნიერების შექმნამდე, რათა *წმიდანი* და უბინონი ვყოფილიყავით მის წინაშე სიყვარულით“ (ეფეს. 1:4). ამ მდგომარეობას ჩვენით ვერასგზით ვერ მივალწევდით. მან გაგვხადა სპეტაკი და წმიდა და ასევე, ცოდვისგან გაგვათავისუფლა (1 კორ. 1:30).

1982 წლის 2 ოქტომბერს მე და ლიზა ტოსკანო საქორწინო აღთქმის საფუძველზე შევუღლდით და ის ლიზა ბევრი გახდა. ზუსტად იმ დღეს მან ჩემი მეუღლის მდგომარეობა მიიღო. ის უფრო მეტად არ არის ჩემი მეუღლე, ვიდრე ქორწილის დღეს იყო და არც უფრო მეტად იქნება ჩემი ცოლი დღეიდან ორმოცი წლის შემდეგ. მდგომარეობით ის სრულად გახდა ჩემი მეუღლე ქორწინების დღეს და ეს საქმე მაშინვე დაგვირგვინდა. ანალოგიურად, ქრისტეში გავხდით წმიდა და უბინო ჩვენი გადარჩენის დღეს და უფრო მეტად წმიდები ვეღარ გავხდებით.

და მაინც, როცა ლიზა ცოლად გამომყვა, მისი *ქცევა* მის ახალ მდგომარეობას უნდა მორგებოდა. სანამ ჩემი ცოლი

მოზიზება ღვთისა

გახდებოდა, შეეძლო სხვა ბიჭებთან წასულიყო პაემანზე, მათთვის ტელეფონის ნომერი მიეცა, საკუთარი სურვილების თანახმად ეცხოვრა და ყველა ის საქმე ეკეთებინა, რასაც მარტოხელა ქალი აკეთებს, მაგრამ ახლა ის ასე აღარ იქცევა. მისი ცხოვრება იმ ალტემის შესაბამისად შეიცვალა, რომელიც ერთად დავდეთ. რაც უფრო მეტად გრძელდება ჩვენი ქორწინება, მისი ქცევა კიდევ უფრო მეტ სრულყოფას აღწევს და ალტემას შეესატყვისება. მოისმინეთ, რას ამბობს პეტრე მოციქული:

„როგორც [ღვთის] გამგონე შვილები, ნუ აჰყვებით უმეცრების დროინდელ [როცა არაფერი იცოდით სახარების მოთხოვნების შესახებ] გულისთქმებს [რომლებიც გამართავდნენ]. არამედ ისეთი ნმიდანნი იყავით ყოველ საქციელში, როგორი ნმიდაცაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ. ვინაიდან დანერილია: „იყავით ნმიდანნი, რადგან ნმიდა ვარ მე“. (1 პეტრ. 1:14-16)

ყურადღება მიაქციეთ, რომ პეტრე პოზიციურ სინმიდეზე არ ლაპარაკობს, არამედ ჩვენი ქცევის სინმიდეზე მიგვითითებს და პავლეს ნათქვამს შეესაბამება, რომელიც ყოველგვარი სიბილწისგან განწმედისკენ მოგვიწოდებს. ეს გახლავთ განწმედის პროცესი და არა პოზიციური სინმიდე, რომელიც ღმერთმა უსასყიდლოდ მოგვანიჭა გამართლებისას.

კიდევ არსებობს ახალ ალტემაში ადგილები, რომლებიც ჩვენი ქცევის სინმიდეზე მეტყველებს? პასუხია „დიახ“. მეტისმეტად ბევრიც არის, ამიტომ ამჯერად მხოლოდ ამ მუხლებს მოვიყვან:

„ვინაიდან ღვთის ნებაა თქვენი განწმედა: სიძვას განერიდეთ! რათა თითოეულმა თქვენგანმა იცოდეს თავისი ჭურჭლის შენახვა სინმიდით და პატივით, და არა გარყვნილების ავხორცობით, წარმართების მსგავსად, რომლებიც ღმერთს არ იცნობენ“. (1 თეს. 4:3-5).

ამას წინათ, კვირა დილის მსახურების შემდეგ ერთმა კაცმა მითხრა:

– მარტოხელა ქრისტიანი ვარ. ქალთან ერთად ვცხოვრობ, რადგან შეუძლებელია თავშეკავებით ცხოვრება. რამდენიმე

თვე შევძელი, მაგრამ შემდეგ ისევ დავინწყე. თუმცა ეს არ არის მთავარი საკითხი, რის გამოც მოგმართეთ. მაინტერესებს, რატომ მაქვს ამდენი პრობლემა ბიზნესის წარმოებისას?

გაოგნებული დავრჩი. მაღლის დაუბალანსებელმა ქადაგებამ ხომ არ მიიყვანა ადამიანები იმის რწმენამდე, რომ ღვთის თანდასწრებასა და კურთხევებში მკვიდრობენ აშკარა ცოდვის ჩამდენნი? ერთ-ერთ ქალთა კონფერენციაზე კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩემს ცოლს ჰკითხეს:

– მართლა მიყვარს ჩემი ქმარი, მაგრამ ის ბევრს მოგზაურობს და მე ამ დროს სხვა მამაკაცებთან მძინავს. რა უნდა ვქნა? უნდა ვუთხრა ამის შესახებ?

ხსენებული ორი ადამიანი დარწმუნებულია, რომ იესოსთან ურთიერთობა აქვთ, მაგრამ ეს ის იესოა, რომელიც მამის მარჯვნივ ზის თუ ვილაც ყალბი იესო? მოყვანილი შემთხვევები აისბერგის მხოლოდ წვერია. მეტისმეტად ბევრი მსგავსი აზრი მომისმენია ადამიანებისგან. ნუთუ ისე მიიჩქმალა წმიდა ცხოვრებისკენ მოწოდება, რომ მასთან ერთად ყველა მხილება დადუმდა? და მაინც, პავლე წერს: „ამიტომ უგულვებელმყოფელი ამისა, არ უგულვებლყოფს ადამიანს, არამედ - ღმერთს, რომელიც გაძლევთ თქვენ თავის სულიწმიდას“ (1 თეს. 4:8).

მხედველობაში იქონიეთ, რომ სინმიდის გადაულახავი ასპექტი არსებობს და ამას ნათლად დავინახავთ, როცა ძიებას გავაგრძელებთ.

გათავისება

მონაკვეთი: ვინც ამბობს: „ღმერთს ვიცნობ“, მაგრამ მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და ჭეშმარიტება არ არის მასში (1 იოან. 2:4).

თემა: განწმედის საქმეა ის, როცა შინაგანში მომხდარი გარეთ გამოდის; ჩვენი ახალი ბუნება გარეგნულ ქცევებში იჩენს თავს და ამაზე ჩვენი ცხოვრება მოწმობს.

დაფიქრება: სინმიდე ღვთის მადლის შრომაა, მაგრამ მეც უნდა ვითანამშრომლო ძალასთან, რომელსაც მაძლევს სურვილით და მოქმედებით, რის დანახვაც ჩემგან სურს. მჯერა ამის? ხომ არ უგულვებლვყავი ეს ჭეშმარიტება და მისი სინმიდის მცნება იმის გამო, რომ პოზიციური და ქცევის სინმიდე ერთმანეთში ამერია? ხომ არ მივეცი წარსულ შეცდომებს უფლება, რომ ჩემში ღვთის გამაძლიერებელი საქმიანობის რწმენა დაეთრგუნა? როგორ დავუბრუნდე ამ რწმენას, რომ რეალური გახდეს ჩემს ცხოვრებაში?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, გთხოვ, ჩემში წარმოშვა სურვილი და შენთვის სასურველის ქმნა! მინდა, ჩემი გარეგნული ცხოვრება შინაგანში შენს მიერ მომხდარის შესაბამისი იყოს, იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: ჩემი ხსნისთვის ვიშრომებ შიშით და ძრწოლით.

**მოასწორეთ გზები თქვენი
ფეხებისთვის, რათა
... სინმიდე იქონიოთ
ყველასთან.**

–ებრ. 12:13-14

20 | ჩვენი ქიება

სინმიდე თვითმიზანი არ არის. ის უფრო გზაა ყველაზე მნიშვნელოვნისკენ. ახლა მიუზბრუნდე თისი გადაულახავობის ასპექტს, რასაც ჩვენი სანყისი მუხლის სხვა თარგმანის მეშვეობით მოვახერხებთ:

„მისდეთ ... სინმიდეს, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს“. (ებრ. 12:14)

სიტყვა „დევნა“ გახლავთ ბერძნული დიოკო და ასე განიმარტება: „რაიმეს კეთება დიდი ძალისხმევით და განსაზღვრული მიზნით“. ¹ ორივე თარგმანისა და დიოკოს მნიშვნელობის გათვალისწინებით ყოველგვარი ეჭვის გარეშე ვასკვნი, რომ აქ ლაპარაკია სინმიდის ენთუზიაზმით მიდევნებაზე მისი მოპოვების მიზნით.

ჩვენი პირველი კითხვა ასეთი იქნება: ეს პოზიციური სინმიდეა თუ ქცევითი? მოდით, ჩემი და ლიზას ქორწინების მაგალითს მიუზბრუნდე. წარმოგიდგენიათ, რომ ლიზა ერთ-ერთ მეგობარს ეუბნება: „მთელი ძალისხმევით ვცდილობ, ვიყო ჯონის ცოლი!“?

მეგობარი გაიცინებს და ეტყვის: „უკვე ხარ! იმ დღეს გახდი, როცა დაქორწინდი“.

ქალი არ ცდილობს „ცოლის“ პოზიციის დაკავებას, რადგან ის უკვე უკავია. მას შეუძლია ცოლისთვის აუცილებელი ქცევის ოპტიმიზაცია. ზუსტად ასე ხდება სინმიდესთან დაკავშირებით – არ ვცდილობთ უკვე დააკავებული პოზიციის მიღწევას, მაგრამ ვიქცევით ისე, როგორც „უფალს შეეფერება“ (კოლ. 1:10).

მოპიპება ღვთისა

სრული დარწმუნებით გვეუბნებიან, რომ ამ მცნების უგულებელმყოფელი უფალს ვერ იხილავს. ამ აზრმა უნდა გამოგვაფხიზლოს! ის ჩვენზე მარადიულ ზეგავლენას მოახდენს, თუმცა ამჯერად ეს არ გახლავთ ჩვენი მსჯელობის საგანი. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რა გავლენას ახდენს ის ჩვენზე აქ და ახლა.

ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ვარ, შემიძლია ვთქვა, რომ პრეზიდენტთან გარკვეული „ურთიერთობა“ მაქვს. მე მისი მმართველი ძალაუფლების ქვეშ ვარ და ჩემზე და სხვა 332 მილიონ ამერიკელზე გავლენას ახდენს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. მიუხედავად ამგვარი ურთიერთობისა, მე აქამდე არ მქონია მასთან პირადი აუდიენციის პატივი. მარტივად რომ ვთქვათ, არ ვყოფილვარ მის სიახლოვეს და არც რომელიმე სხვა პრეზიდენტთან მისაუბრია.

მეორე მხრივ, არიან ამერიკელები, რომლებიც პრეზიდენტს რეგულარულად ხვდებიან. ისინი მისი მეგობრები არიან ან მასთან მუშაობენ. ნებისმიერ შემთხვევაში ისინი გაცილებით კარგად იცნობენ თეთრ სახლში მომუშავე ადამიანს, ვიდრე მე. ისინი მასთან ახლოს არიან, მე კი ვიცი, როგორც ჩვენი ქვეყნის ლიდერს.

ანალოგიურად, მილიონობით მორწმუნე იმყოფება იესო ქრისტეს მმართველობის ქვეშ. იგი მათ იცავს, უყვარს, მათ საჭიროებებს უზრუნველყოფს და ლოცვებზე პასუხობს. თუმცა ისმის კითხვა: ისინი ხედავენ მას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განიცდიან თუ არა მის გამოვლინებულ თანდასწრებას?

ათასობით ბრაზილიელს აკლდა ის ქცევა, რომელიც მათ უფლის თანდასწრებაში შეიყვანდა. როგორც კი მოინანიეს, მაშინვე მიეცათ მეფესთან შეხვედრის საშუალება. ეს ჭეშმარიტია როგორც ყოველდღიურად, ისე დრო და დრო. თუ ღვთისმოშიშება გვაკლია, არ გვაქვს ნმიდა ქცევის მიდევნებისთვის საკმარისი ძალა, რაც ღვთის გამოვლენილი თანდასწრების პატივს მოგვანიჭებდა. იესო ამბობს: „ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, ... მეც შევიყვარებ მას და მე თვითონ გამოვეცხადები“ (იოან. 14:21).

ამის გამეორება ღირს: არ იქნება ქცევის სინმიდე, ვერავინ იხილავს უფალს. რატომ არის ეს არსებითი? პირველი, თუ მას ვერ ვხედავთ ანუ გვაკლია მისი გამოვლენილი თანდასწრება, ვერ შევძლებთ მის ახლოს გაცნობას. მის შესახებ გარკვეული

ინფორმაცია გვექნება, მაგრამ არაფრით იქნება განსხვავებული ჩემი და ამერიკის პრეზიდენტის ურთიერთობისგან. ან უარესი, საკუთარ თავს მოვატყუებთ ყალბი იესოს შექმნით. ილუზია ყველაზე საშიში რამ არის, რადგან დარწმუნებული ვიქნებით, რომ ვიცნობთ პიროვნებას, თუმცა სინამდვილეში ვცდებით. იაკობი გვეუბნება: „იყავით სიტყვის შემსრულებელი და არა მხოლოდ მომსენი თავის მოსატყუებლად“ (იაკ. 1:22). გაბრიყვებულ ადამიანს სჯერა, რომ იცნობს ვინმეს არ რამეს, მაგრამ რეალურად ასე არ არის.

მეორე მიზეზიც ასევე მნიშვნელოვანია. თუ მას არ ვუყურებთ ანუ მის თანდასწრებაში არ ვიმყოფებით, ვერ გარდავიქმნებით მისი ხატების მსგავსად. პავლე ახსენებს, რომ უფლის მხილველი „გარდავისახებით დიდებიდან დიდებაში“ (2 კორინთელთა 3:18). ამგვარი გარდაქმნა შიგნიდან იწყება და საცნაური ხდება იქ, სადაც სხვები მის შესახებ დაამონმებენ.

ჩვენი სინმიდე ფარისევლებისას არ უნდა ჰგავდეს. იესომ თქვა: „ასევე თქვენც გარეგნულად მართლები ჩანხართ ადამიანთა წინაშე, შიგნით კი თვალთმაქცობითა და ურჯულოებით ხართ აღვსილი“ (მათ. 23:28). მათი მოტივები მკვდარი სხეულის სიბილწისგან არაფრით განსხვავდებოდა. მათ ღვთისმოსაობა აკლდათ და ამიტომაც მისდევდნენ გარეგნულ სიმართლეს, საკუთარ პროექტირებულ სახებაზე ორიენტირებულნი. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ღმერთს იცნობდნენ, მაგრამ ვერ იცნეს მათ წინაშე მდგომი შემოქმედი და საბოლოოდ, მის სურვილებს ფეხი ვერ უწყევს. მათ თავი მოიტყუეს.

დღესაც ასეა – საჭირო სინმიდე ჩვენი გულებიდან მოდის – ჩვენი აზრებიდან, მოტივებიდან და ზრახვებიდან. მათ შესაბამისად შეიცვლება ჩვენი გარეგნული ქცევა. სწორედ ამიტომ ამბობს იესო: „ნეტარ არიან გულით სუფთანი, რადგან ისინი ღმერთს იხილავენ“ (მათ. 5:8). მისი ხილვის გარეშე შინაგანი გარდაქმნა – ნამდვილი სინმიდე – გვაკლია და საბოლოოდ, მისი დანახვა აღარ შეგვიძლია. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

საკმარისი არ არის გარეგნული ღვთისმოსაობის ქონა, როცა ჩვენი შინაგანი სურვილების გარდამქმნელ ძალას უარვყოფთ. გულით უნდა ვესწრაფოდეთ ჭეშმარიტების დამკვიდრებას ჩვენს შინაგან ნაწილებში (მოტივებსა და ზრახვებში). ეს უნდა იყოს ჩვენი უპირველესი საძიებელი. მოციქული იაკობი

მოზიზება ღვთისა

მკაცრად ელაპარაკება მორწმუნეებს, რომლებიც სინმიდეს ზედაპირულად ეკიდებიან. ის წერს:

„ითხოვთ და ვერ იღებთ, რადგან ბოროტი განზრახვით ითხოვთ, რათა თქვენი გულისთქმებისთვის გაფლანგოთ. მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა?!“ (იაკ. 4:3-4)

იაკობი იყენებს სიტყვას „მრუშნო“, რომელიც საქორწინო აღთქმის დამრღვევებს აღწერს. ღმერთი ხშირად იყენებს ქორწინების თვალსაჩინოებას მასთან ჩვენი აღთქმის აღსაწერად. იესოს ნეფე ეწოდება, ხოლო ჩვენ – მისი საპატარძლო. პავლე აცხადებს, რომ მამაკაცსა და ქალს შორის ქორწინება იესო ქრისტესა და მისი ეკლესიის ერთობის ნიმუშია (ეფეს. 5:31-32).

ქვეყნიერება ეგოისტური სარგებლის ან ქედმაღლური მიღწევებისთვის ცხოვრობს და ამიტომ პროექტირებულ ან აღქმულ სახებებს მისდევს. როცა სინმიდის უარყოფელი ქვეყნიერების სურვილებს ვენცობით, მრუშებად ვიქცევით. ეს ჩვენი ქმრის შეურაცხყოფაა ისე, რომ მისი მტრები ვხდებით. ამრიგად, იაკობი განაგრძობს: „დაიბანეთ ხელები, ცოდვილნო! განინმიდეთ გულები, ორგულნო!“ (იაკ. 4:8). ჩვენი გულების განწმენდას მხოლოდ უფლის შიშის მიღებით შევძლებთ, რომელიც ჭეშმარიტი სინმიდის კვალზე სიარულისკენ გვიბიძგებს!

ღიზაზე ვარ დაქორწინებული ორმოც წელზე მეტია და არსებობს საფუძვლიანი მიზეზები, რომელთა გამოც მის სანინალმდეგოდ მრუშობა არ ჩამიდენია. პირველი და უმთავრესი გახლავთ ღვთისმოშიშება. უფალთან აღთქმა დედე, რომ ცოლი მეყვარებოდა და მასზე ვიზრუნებდი მისი გამომხაურების ან ქცევის მიუხედავად.

მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ არ მინდა ამ საოცარ ქალთან სიახლოვის დაკარგვა. მომწონს, როცა მენდობა და თავის სიაღუმლოებებს და გულისნადებს მიზიარებს. არსებითად, ძალიან მახარებს ჩვენი ასეთი სიახლოვე.

ეს არ განსხვავდება იესოსთან დამოკიდებულებისგან. სწორედ ამიტომ ვცდილობ მთელი ძალისხმევით, ავერიდო უფლის წინააღმდეგ მრუშობის ცოდვას, რომ არ დავკარგო მასთან მოზიარება. ძალიან მომწონს მისი თანდასწრების

სიხლოვე და ის საუბრები, რომლებიც გვაქვს. აღტაცებული ვარ, როცა თავის საიდუმლოებებს მიზიარებს, რაც აქამდე არ ვიცოდი. ალბათ, ამის გამო გვეუბნებიან:

„საიდუმლო უფლისა მისი მოშიშებისთვისაა და თავის აღთქმას აუწყებს მათ“. (ფს. 25:14)

მხოლოდ ახლავს დავინყეთ სინმიდის გადაულახავი ასპექტის აღმოჩენა. მომდევნო თავში ისევ გავაგრძელებთ მისი მშვენიერებისთვის ფარდის ახდას.

გათავისება

მონაკვეთი: ვისაც სუფთა გული აქვს და მადლიანი ლაპარაკი უყვარს, მისი მეგობარი მეფეა. (იგ. 22:11)

თემა: ქცევაში სინმიდის მიდევნების გარეშე, როცა ჩვენი მიზანია მისი გათავისება, უფლის თანდასწრებაში ვერ შევალთ. აქ ლაპარაკი არ არის სრულყოფილი სინმიდის მიღწევაზე, არამედ ჩვენის გულის საძიებელ მიზნად მის დასახვაზე.

დაფიქრება: ღმერთმა იცის, გამუდმებით ვიღწვი წმიდა ქცევის ქონისკენ თუ გამართლებას ვუძებნი ქვეყნიერული სურვილების სიყვარულსა და შემწყნარებლობას და მიღწევებით ქედმაღლობას. ეს ყველაფერი ჩემი გულის ზრახვებიდან იწყება. გავყვები გულისა და გონების სისპეტაკეს, რომელიც ჩემი საქციელის ცვლილებას მოიტანს? ასე მოვიქცევი მაშინაც კი, როცა ჩემს გვერდით მყოფები სინმიდეს გულგრილად ეკიდებიან?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, მაპატიე, რომ სინმიდეს არ მივდევი! უგულუბელუყავი მისი მნიშვნელობა, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ის ჩემი ძიების მიზნად უნდა გავიხადო, რადგან შენთან შესახვედრად სხვა გზა არ არსებობს. გთხოვ, მაპატიო ჩემი ქვეყნიური ქცევა და სწრაფვა და გამწმიდო იესოს სისხლით! ვინანიებ ჩემს ზედაპირულ დამოკიდებულებას სინმიდის მიმართ, იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: სინმიდეს მივდევ მისი მოპოვების სრული ზრახვით. ჩემი მიზანია ვიყო წმიდა, როგორც ღმერთია წმიდა.

მართლის გზა
მოსწორებულია;
შენ ასწორებ მართალთა
ნაბიჯებს, წრფელო!

– ეს. 26:7

21 | სურვილი და ქალაუფლება

ალბათ, ამ მომენტისთვის დამწუხრებული ხართ იმ ფაქტით, რომ წმიდად ცხოვრებას ცდილობდით, მაგრამ უფრო მეტი მარცხი განიცადეთ, ვიდრე ამ საქმეში წარმატებას მიაღწიეთ. გულით გინდათ ღმერთთან სიახლოვე, მაგრამ მორჩილებასთან პრობლემები გაქვთ. წინასწარვე გაითვალისწინეთ, რომ ის უფრო მეტად ისრაფვის თქვენკენ, ვიდრე თქვენ – მისკენ. გაიხარეთ, რადგან ღმერთი თქვენ მხარეს არის! დაე, ამ ჭეშმარიტებამ შვება მოგგვაროთ!

დიდი შანსია იმისა, რომ პრობლემას თქვენი *მცდელობები* წარმოადგენდეს. მოსეს რჯულმა დაადასტურა, რომ ღვთის მცნებების დაცვა არ შეგვიძლია და მისი შემწეობა გვჭირდება. ეს აუცილებელი დახმარება სხვა არაფერია, თუ არა ღვთის მადლი. მორწმუნეთა უმრავლესობამ იცის, რომ იესო ქრისტეს მადლი გვათავისუფლებს რჯულის მოთხოვნებისგან, მაგრამ ბევრმა არ უწყის, რომ ის ერთი ნაბიჯით კიდევ უფრო წინ არის: ის ახალ ბუნებას გვაძლევს და ამით ცოდვის გარეშე ცხოვრების პოტენციალს გვანიჭებს (რომ. 6:6-7).

თუ პავლეს მითითებას გადავხედავთ საკუთარი თავის ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან განწმენდასთან დაკავშირებით, მის წინ ერთ განცხადებას ვნახავთ, რომელიც ხშირად უგულებელყოფილია. რამდენიმე აბზაცით ადრე ვკითხულობთ:

მოზიება ღვთისა

„და ჩვენ, როგორც თანამშრომელნი, შეგაგონებთ, რომ ფუჭად არ მიიღოთ ღვთის მადლი. ვინაიდან ამბობს: „შესაფერ დროს გიპასუხე და ხსნის დღეს შეგენი“.
(2 კორ. 6:1-2)

დადგა შესაფერისი დრო. ახლა წმიდა ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ მისი დახმარებით. სამწუხაროდ, ღვთის მადლთან კომუნიკაცია იმაზე გაცილებით ნაკლებია, რის პოტენციალიც აქვს. მასზე ასწავლიან როგორც საუკუნო ხსნაზე, ცოდვების მიტევებაზე, ცოდვის სასჯელისგან გათავისუფლებასა და დაუმსახურებელ საჩუქარზე. მიუხედავად ამ რეალობების სრული მართებულობისა, ფართოდ არ განიხილავენ მის გამაძლიერებელ ბუნებას. ღმერთი პავლე მოციქულს ეუბნება: „საკემარისია შენთვის ჩემი მადლი, ვინაიდან უძღურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა“ (2 კორ. 12:9). მარტივად რომ ვთქვათ: „პავლე, რასაც შენი ძალისხმევით ვერ მოახერხებ, ჩემი ძალით შეძლებ და მას მადლი ეწოდება“.

პეტრე ამ ჭეშმარიტებას ადასტურებს: „მადლი ... მშვიდობა გაგიმრავლდეთ ... როგორც მისმა ღვთაებრივმა ძალამ [მადლმა] მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება“ (2 პეტრ. 1:2-3). ბიბლიის *NLT* ვერსია კიდევ უფრო პირდაპირ გვეუბნება: „ღვთაებრივი ძალით [მადლით] ღმერთმა მოგვცა ყველაფერი, რაც ღვთისმოსაობით ცხოვრებისთვის გვჭირდება“. მადლი გვაძლიერებს წმიდა ცხოვრებისთვის.

რატომ არის ეს ჭეშმარიტება ასე მნიშვნელოვანი? ქრისტიანობა რწმენით ცხოვრება გახლავთ. მთელ მის სათქმელს „რწმენის სიტყვა“ გამოხატავს (რომ. 10:8). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღვთისგან რწმენის გარეშე ვერაფერს მივიღებთ. შესაბამისად, ვერ ვირწმუნებთ იმას, რაც არ ვიცით. ამრიგად, თუ მადლისმიერ გაძლიერებაზე არაფერი გვსმენია, კვლავაც შევეცდებით ღვთისთვის სათნო საქმეების საკუთარი ძალით კეთებას და ეს უნაყოფო და შესაბრალის არსებობამდე მიგვიყვანს.

განვიხილოთ ხელახლა შობის მაგალითი. უამრავი ადამიანი აღიარებს თავის რწმენას, რომ ღმერთს ხსნა შეუძლია. თუმცა სანამ არ მოინანიებენ და სახარებას არ ირწმუნებენ, გადამრჩენელი მადლის გარეშე რჩებიან. ზუსტად ასე ხდება სინმიდის ძიების საქმეში. ბევრ ქრისტიანს სჯერა, რომ ღმერთი

წმიდა ცხოვრების უნარს გვაძლევს, მაგრამ სანამ მთელი გულით არ ირწმუნებს *მადლის გამაძლიერებელ* ძალას, ვერავითარ სარგებელს ვერ მიიღებს.

პავლე კორინთელ მორწმუნეებს შეაგონებს: „ფუჭად არ მიიღოთ ღვთის მადლი“ (2 კორ. 6:1). რას ნიშნავს რალაციის ფუჭად მიღება? ეს ნიშნავს მისი სრული პორტენციის გამოუყენებლობას. თუ კაცს მისცეს მინათმოქმედებისთვის საჭირო მონყობილობა, მცენარეთა თესვები, რომელთა საშუალებითაც საკვები უნდა მოიყვანოს და თავი ირჩინოს, მაგრამ მათ არ გამოიყენებს, შიმშილით მოკვდება. რას იტყვიან მეზობლები მისი გარდაცვალების შემდეგ? „მან აღჭურვილობა და თესვები ფუჭად მიიღო“.

სწორედ ამაზე საუბრობს პავლე – ღმერთმა მადლი მოგვანიჭა, რომ ვიცხოვროთ ისე, როგორც არ შეგვიძლია საკუთარი ძალებით. ის გვაძლიერებს წმიდა ცხოვრების წესის მიყოლისა და მოპოვებისთვის. ნუ უგულვებლყოფთ ამ ძალასთან კავშირს ურწმუნოების გამო!

თუ დასავლურ კულტურაში ნასწავლები ღვთის მადლი იმაზე მეტი არ არის, თუ არა ხსნა, პატიება და ზეცის ბილეთი – როგორ მიიღებს რომელიმე ადამიანი მას ფუჭად? არ არსებობს ფუჭად გასაფლანგი პოტენციული და შესაბამისად, პავლეს ნათქვამსაც აზრი არ აქვს.

თუ მოციქულის აზრთა თანმიმდევრობას მივყვებით, ყველაფერი ერთმანეთზე ეწყობა. კორინთელთა ეკლესია ხორციელი იყო; მათ აკლდათ სინმიდის ძიება. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად პავლე იგივე წერილში ცოტა მოგვიანებით წერს: „და არ ვიგლოვო მრავალნი, რომელთაც ადრე შესცოდეს და არ მოინანიეს უწმიდურება, სიძვა და გარყვნილება, რასაც სჩადიოდნენ“ (2 კორ. 12:21). უკან მე-6 თავში პავლე იწყებს იგივე მორწმუნეთა მიმართ ვედრებით, რომ ფუჭად არ გაფლანგონ ღვთის მადლი, ხოლო შემდეგ თავის სიყვარულზე ელაპარაკება და ინტერესდება, რატომ არ იღებს მათგან საპასუხო გრძნობას. შემდეგ ისევ უბრუნდება მთავარ აზრს, რომ კორინთელთა მხრიდან ღვთის მადლის უგულვებლყოფა ცხადი გახდა უღვთო ადამიანთა მიერ მათზე მოხდენილი ზეგავლენით:

მოზიზება ღვთისა

„ნუ შეებმებით ურწმუნოებთან უცხო უღელში. რადგან რა აქვს საერთო სიმართლეს ურჯულოებასთან? რა აქვს საერთო ნათელს ნყვდიადთან?“ (2 კორ. 6:14)

უნდა გვახსოვდეს, რომ განსხვავება არსებობს ქვეყნიერებაზე ურწმუნოთა მოსაპოვებლად გასვლასა და მათ მიერ მოხდენილ ზეგავლენას შორის, როცა მათთან შეუფერებელი ურთიერთობა გაკავშირებთ. ამას შედეგად მოჰყვება სიცოცხლის გზიდან გადაცდომა, რაც სულიერ მრუშობასთან ასოცირდება.

პავლე იმ ხორციელ მორწმუნეებს ახსენებს, რომ ღვთის სამკვიდრებელი არიან და მისი სურვილი ასეთია: „დამკვიდრდები და ვივლი თქვენ შორის და ვიქნები თქვენი ღმერთი და იქნებით ჩემი ხალხი. ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით! - ამბობს უფალი - უწმიდურს ნუ მიეკარებით და მე მიგიღებთ თქვენ“ (2კორ. 6:16-17).

ისევ ვხედავთ ღვთის უფრო მაღალ დონეზე გამოვლენილი თანდასწრების აღთქმას. იგი არ ლაპარაკობს გარკვეული პერიოდულობით ჩვენს მონახულებაზე, არამედ ჩვენში და ჩვენთან დამკვიდრებაზე. კიდევ ერთხელ ვხედავთ, რომ ღვთის *ხილვის* (მისი გამოვლენილი თანდასწრების) დაპირება პირობითია. თუ ეგოისტური და ამპარტავნული სურვილებისგან გავთავისუფლდებით, რომელთაც ქვეყნიერება ენებება, მეფესთან ხანგრძლივი შეხვედრის აღთქმა გვაქვს – „და მე მიგიღებთ თქვენ“. სანინაალმდეგოც ჭეშმარიტია: თუ ქვეყნიერების ჭუჭყით გავისვრებით, შეხვედრის პატივი აღარ გვექნება. პავლე ფოკუსირებულ განცხადებას აკეთებს:

„ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილნისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სინ-მიდე“. (2 კორ. 7:1).

ახლა უფრო კარგად გვესმის პავლეს ნათქვამი ფილიპელთა ეკლესიის მიმართ: „შიშითა და ძრწოლით იღვანეთ თქვენს სახსნელად, რადგან ღმერთი ბადებს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც მისი სათნოებისამებრ“ (ფილ. 2:12-13). ღვთის შიში ჩვენში სურვილს აღძრავს (ანუ თავად ვინდომებთ), ხოლო უფალ იესო

ქრისტეს მაღლი მოქმედების ძალას გვაძლევს (გვაძლიერებს).

კიდევ ერთი ნაბიჯით რომ წავინიოთ, სურვილის არარსებობის (ანუ ღვთის შიშის ნაკლებობის) შემთხვევაში, გაძლიერება პრიორიტეტს აღარ წარმოადგენს და არც მისი გამოყენება იქნება საჭირო, ამიტომ ფუჭად გაიფლანგება! სწორედ ამიტომ, ეფექტურობის მიღწევის და მისი ხანგრძლივი ვადით შენარჩუნების საქმეში წმიდა მოშიშებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

იმედია, ნათელი ხდება, რომ სისპეტაკე, სისუფთავე სინმიდის უზარმაზარი ასპექტია და არა მისი სრული განსაზღვრება. ვიმეორებ, რომ სინმიდის ძირითადი მნიშვნელობა ღვთისთვის თავის მიძღვნაა, რომ მთლიანად მას ეკუთვნოდეთ. მოდით, სინმიდის მთავარი აზრის უფრო სრული თვალსაჩინოება მოვიყვანოთ: როცა პატარძალი ნეფესთან ქორწინდება, თავს სრულად უძღვნის მას. ამაში იგულისხმება როგორც პოზიციის, ისე ქცევის მხრივ შეურყვნელობა. სისპეტაკე არ არის საბოლოო მიზანი; მიზანია პატარძლის მიძღვნა ნეფისადმი, რაც ქცევის სინმიდესაც მოიცავს.

ამრიგად, ნამდვილი სინმიდე ღვთაებრივი, მიძღვნილი სისპეტაკეა, რომელიც ღმერთთან სიახლოვის კარს აღებს. სწორედ ეს არის გადაულახავი რამ და მასზე საუბარს წიგნის დასკვნამდე გავაგრძელებთ. თავდაპირველად კი ვიმსჯელებთ მის პრაქტიკულ მხარეზე – რას ნიშნავს ცხოვრებაში ჩვენი ნეფისადმი თავის მიძღვნა. პასუხს ვხედავთ ერთ სიტყვაში: *მორჩილება*.

გათავისება

მონაკვეთი: გაძლიერდი მადლში, ქრისტე იესოში რომ არის.
(2 ტიმ. 2:1)

თემა: თუ არაფერი ვიცით მადლისმიერი ძალის შესახებ, ისევ გავაგრძელებთ საკუთარ ძალისხმევით ღვთისთვის სიამის მინიჭების მცდელობას. მაშინ ღვთის მადლი ფუჭი იქნება ჩვენზე.

დაფიქრება: მიცდია წმიდად ცხოვრება და უფრო მეტი მარცხი მიწვნივია, ვიდრე წარმატებისთვის მიმიღწევია? საკუთარი ძალებით ხომ არ ვცდილობდი ამის გაკეთებას? ვეყრდნობოდი ღვთის მადლს წმიდა ცხოვრებისთვის გასაძლიერებლად? თუ არა, როგორ შეიძლება ამ ვითარების შეცვლა?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, ვაცნობიერებ, რომ მხოლოდ შენი მადლის ძალით შემიძლია ღვთისმოსავლობით ცხოვრება და ეს ერთადერთი საშუალებაა, შენი დიდებული თანდასწრების მისაღებად! მაპატიე, რომ ამას საკუთარი ძალებით ვცდილობდი! აქედან მოყოლებული, ძლიერი ვიქნები მადლში, რომ გამოყოფილი ცხოვრებით ვიცხოვრო, რაც იესოს განადიდებს. იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: წმიდა შიში აღმძრავს სინმიდის მიყოლისთვის და ამას ღვთის მადლის ძალით მივაღწევ.

ჩვენ
პასუხი
ღვთის
სიტყვაზე

კვირა 4

**დამაყენე შენი მცნებების
კვალზე, რადგან მათში
ვპოულობ სიხარულს.**

– ფსალმუნი 119:35

22 | ღვთის სიტყვაზე თრთოლა

პირველ ნაწილში განვაცხადეთ, რომ უფლის შიში შეიძლება გაიყოს ორი კატეგორიის განმარტებად: ღვთის თანდასწრებაზე თრთოლა და მის სიტყვაზე თრთოლა. ვილაპარაკეთ ღვთის დიდებულ თანდასწრებაზე, მაგრამ არა ამომწურავად, რადგან ამ საქმეს მთელ მარადისობას მოვანდომებთ. ამ განყოფილებაში ყურადღებას მივაპყრობთ ღვთის სიტყვაზე გამოხმაურებას.

დასაწყისისთვის განვიხილოთ დროის ის მონაკვეთი, როცა ღვთის ერმა მიატოვა მასთან ახლო ურთიერთობა და უფრო ფორმალური მსახურებით შემოიფარგლა. მათი ყურადღების მისაქცევად ღმერთი კითხვას სვამს: „ცა ტახტია ჩემი, დედამინა კი – ჩემს ფეხთა სადგამი. სად არის სახლი, რომელიც უნდა ამიშენოთ?“ (ეს. 66:1).

თუამთავისპირველხუთმუხლსკონტექსტისგათვალისწინებით ნავიკითხავთ, დავინახავთ, რომ ყოვლადღიერი მიმართავს ადამიანებს, რომლებიც მასთან ურთიერთობის განვითარებას და შენარჩუნებას საკუთარი პირობებით ცდილობენ. ისინი უფლის გზებით სიარულს ზედაპირულად ეკიდებოდნენ იმ ვარაუდით, რომ ღმერთი მაინც შეინყნარებდა. უფალი ცხადად მიანიშნებს, რომ მათ მიერ არჩეული გზა შეურაცხმყოფელია და იქვე პირდაპირ უყენებს მოთხოვნებს ნამდვილი ურთიერთობისთვის:

მოზიზება ღვთისა

„აი, ვის მივაპყრობ მზერას: თავმდაბალს და სულით მოდრეკილს, ჩემს სიტყვაზე რომ თრთის“. (ეს. 66:2)

ფრაზა „მივაპყრობ მზერას“ გახლავთ ებრაული ნაბათ, რომელიც ასე განისაზღვრება: „ყურება, დაკვირვება, ყურადღების მიქცევა. გულისხმობს რაიმე საგანზე ფოკუსირებულ და ინტენსიურ ყურადღებას.“ არსებითად, ღმერთი ამბობს: „ეს არის ადამიანი, რომელსაც ახლოდან ვაკვირდები.“ ჩამოთვლილია სამი სათნოება: თავმდაბლობა, სულით მოდრეკა და მის სიტყვაზე თრთოლა, რომელიც იქნება ამ ნაწილში განსახილველი საკითხი.

ღვთის სიტყვაზე მთრთოლვარე ადამიანი მის ნათქვამს ყოველთვის ყველაფერზე მეტად ამაღლებს. მისთვის ამაზე მნიშვნელოვანი არაფერია. ეს გახლავთ მოშიშების ნამდვილი მოწმობა. ასეთი ადამიანი ყველაზე მეტად კურთხეულია. ანალოგიურად წერს პავლე:

„ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როგორც ყოველთვის, იყავით მორჩილნი, არა მარტო მაშინ, როცა მანდ ვარ, არამედ უფრო მეტად ახლა, როცა მანდ არა ვარ. შიშითა და ძრწოლით იღვანეთ თქვენს სახსნელად“. (ფილ. 2:12)

იფიქრეთ პავლეს ამ განცხადებაზე ფილიპელთა მიმართ, თითქოს ღმერთი პირადად თქვენ მოგმართავდეთ. ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „ყოველთვის იყავით მორჩილნი!“ აქ არანაირი პირობა არ ჩანს და გამოიყენება ნებისმიერ შემთხვევაში, გრძნობთ ღვთის თანდასწრებას თუ არა, ხედავთ მის მოქმედებას თქვენს სასიკეთოდ თუ არა, ლოცვებზე პასუხებს იღებთ მოსალოდნელი დროის ფარგლებში თუ არა.

ადვილია ღვთის მორჩილება, როცა კონფერენციას ესწრებით, სადაც ადამიანები ერთმანეთის მიმართ კეთლგანწყობილი არიან და ღვთის თანდასწრებაც ძალუმად იგრძნობა. რა ხდება მაშინ, როცა თქვენი გუნდის სანდო წევრი ტყუილს ავრცელებს თქვენს შესახებ და დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლებენ? აპატიებ ღვთის სიტყვის თანახმად თუ შურისძიებას მოინდომებ ანგარიშის გასასწორებლად?

რა ხდება, როცა საქმიანი ვიზიტით გაემგზავრე სხვაგან, თავს მარტოსულად გრძნობ და ამ დროს გახსენდება მეუღლის კრიტიკული დამოკიდებულება შენს მიმართ? კარგი შესახედავი საწინააღმდეგო სქესის გუნდის ნევრი კომპლიმენტებით გამკობთ, თქვენს საჭიროებებს ეხმაურება და მაცდურად გთავაზობთ სასტუმროს ნომერში ღამის გატარებას. ვერავინ ვერაფერს გაიგებს. გაექცევით თუ დათანხმდებით?

რა ხდება მაშინ, როცა კომპიუტერზე სამუშაოს გვიანობამდე უზიხართ და საჭირო ინფორმაციას ეძებთ, ამ დროს კი პორნოგრაფიას გადაწყდებით? ჩაერთვებით მასში?

ეს ის მომენტებია, როცა ღვთის თანდასწრება არ ჩანს. თუ მისი სიტყვის წინაშე თრთიხართ, ნებისმიერ გარემოებაში დაემორჩილებით, რადგან ამაზე აღმატებული თქვენთვის არაფერია. ეს მიუთითებს, რომ წმიდა მოშიშებით დადიხართ, რადგან „უფლის შიშით განერიდებიან ბოროტებას“ (იგ. 16:6).

მეფსალმუნე წერს:

„ნეტარია კაცი მოშიში უფლისა, რომელიც დიდად ნეტარებს მის მცნებებში“. (ფს. 112:1)

ღვთისმოშიში მამაკაცი ან ქალი არა მარტო ემორჩილება, არამედ დიდ სიამოვნებასაც პოულობს ამაში. მორჩილება ტვირთი როდია; მას სიხარული მოაქვს. ასეთ ადამიანს საფუძვლიანი ცოდნა აქვს, რომ ღმერთი ჩვენი შემოქმედია და კარგად იცის, თუ რა აღგვძრავს და რა დაგვცემს.

მახსენდება ჩემი ოთხი ვაჟის პატარაობა. შობის დღე, ძირითადად, სამუშაო დღე გახლდათ. პატარა ბავშვების მამები კარგად გამიგებენ, რის თქმასაც ვაპირებ. როცა ყველა საჩუქარი გაიხსნებოდა, მათ შორის იყო ისეთიც, რომელსაც აწყობა სჭირდებოდა. მე ტიპური მამა გახლდი. ყუთს ვხსნიდი, ნაწილებს იატაკზე ვყრიდი, ყუთსა და ინსტრუქციას გვერდზე მოვისროდი და აგებას ვიწყებდი. საჩუქრის რაობიდან გამომდინარე, ამ საქმეს, დაახლოებით, ერთ საათს ვუნდებოდი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ყოველთვის მრჩებოდა ზედმეტი ათიოდე ნაწილი. დავაჭერდი ჩართვის ღილაკს და არაფერი ხდებოდა. რა უნდა მექნა? ვეძებდი ინსტრუქციას, ვშლიდი აწყობილ სათამაშოს და ხელახლა ვაგებდი მითითებების თანახმად. და ჰოი, საოცრება! ყველაფერი მუშაობდა!

მოზიზება ღვთისა

ღვთისმოშიში ადამიანი მას ყოველთვის ემორჩილება. ასეთი პიროვნება თავისი არსების სიღრმეში უწყევად მიჰყვება ფუნდამენტურ ჭეშმარიტებებს:

1. ღმერთი ერთადერთია, ვინც იცის, რა არის ჩემთვის სწორი.
2. ღმერთი არის წმიდა სიყვარული და მე მისი სიყვარულის ცენტრში ვარ.
3. ღმერთი არასდროს მომთხოვს რაღაც ისეთის გაკეთებას, რაც გამანადგურებს. რაც არ უნდა მითხრას მან, ყოველთვის საუკეთესოდ დასრულდება.
4. ამრიგად, მის ნებისმიერ ნათქვამს სიხარულით დავემორჩილები.

ისრაელიანები გამუდმებით ნუნუნებდნენ. ისინი უკმაყოფილებას გამოხატავდნენ წინამძღოლობის სტილით და მათ ცხოვრებაში განვითარებული მოვლენებით. ისინი ღმერთს ადანაშაულებდნენ თავიანთი უხერხულობების, ნაკლოვანების და ნებისმიერი სხვა რამისთვის, რაც მათ სიამოვნებას არ გვრიდა. მათ წმიდა მოშიშება აკლდათ და მის სიტყვაზე არ თრთოდნენ. ღმერთმა თქვა:

„რადგან არ ემსახურებოდი უფალს, შენს ღმერთს, სიხარულითა და კეთილი გულით სიუხვისთვის; ამიტომ მოემსახურები შენს მტრებს, რომელთაც გამოგიზავნის უფალი, შიმშილითა და წყურვილით, სიშიშვლითა და სიდუხჭირით ყოველივეში; და რკინის უღელს დაგადგამს კისერზე, სანამ არ განადგურდები“. (2 რჯ. 28:47-48)

ღვთის სიტყვაზე თრთოლა გულისხმობს სიხარულის განცდას პიროვნების შინაგანში. თუ ეს არ არსებობს, დროის ამბავია, როცა სიხარულის ნაკლებობას ვითარება გამოავლენს. არასოდეს დამავინწყდება, როცა ხუთი ცოდვა აღმოვაჩინე, რომლებმაც ისრაელი თავის ხვედრს ააცდინა: ბოროტისკენ სწრაფვა, კერპების თაყვანისცემა, სქესობრივი უზნეობა, ღვთის გამოცდა და დრტვინვა (1 კორ. 10:6-10). როცა დრტვინვაზე წავიკითხე, ძალიან გავბრაზდი! ვიყვირე: „რა? დრტვინვა? როგორ შეიძლება დრტვინვა ამ დიდი ცოდვების გვერდით იდგეს?

გავიგონე სულიწმიდის ნათქვამი:

– შვილო, ნუნუნი სერიოზული ცოდვაა ჩემს თვალში.

მან მაჩვენა, რომ ნუნუნით ადამიანი პროტესტს გამოხატავს: „ღმერთო, არ მომნონს, რასაც ჩემს ცხოვრებაში აკეთებ და შენს ადგილას სხვაგვარად მოვიქცეოდი.“

შემდეგ მან მითხრა:

– ეს ჩემი ბუნებისთვის შეურაცხმყოფელია. ეს არის ჩემი ნების წინააღმდეგ შეცოდება და საერთოდაც, წმიდა შიშის დიდი ნაკლებობა.

ეს ნათქვამი ღიზას გავუზიარე და შევეთანხმდით, რომ ბავშვები ნუნუნის ამბობებასთან გაიგივების გაგებით გაგვეზარდა. ამას სერიოზულად მივუდექი. ყოველგვარი სახის ჩივილი და დრტინვა ავუკრძალე საკუთარ თავს და ვაკონტროლებდი, რომ მცირე ნუნუნიც არ წამომცდენოდა. თუმცა მოგვიანებით, ოთხდღიანი მარხვის შემდეგ სულიწმიდის ჩურჩული გავიგონე:

– შვილო, შენი გულიდან ნუნუნის ხმა მესმის.

მაშინვე მუხლებზე დავდექი და მოვინანიე. მოგვიანებით უფალმა მაჩვენა, რომ მას *სიხარულით* და *გულის სიკეთით* არ ვემსახურებოდი და მტრებმა უპირატესობა მოიპოვეს. კიდევ ერთხელ გადავხედოთ პავლეს სიტყვებს:

„ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როგორც ყოველთვის, იყავით მორჩილნი, არა მარტო მაშინ, როცა მანდ ვარ, არამედ უფრო მეტად ახლა, როცა მანდ არა ვარ. შიშითა და ძრწოლით იღვანეთ თქვენს სახსნელად, რადგან ღმერთი ბადებს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც მისი სათნოებისამებრ. ყველაფერი ნუნუნის გარეშე და უყოყმანოდ გააკეთეთ“. (ფილ. 2:12-14)

ამ ოთხდღიანი მარხვიდან ძალიან მალე აღმოვაჩინე წერილის ზემოხსენებულ მონაკვეთში ნათქვამის მთელი სიღრმე. ამან თვალი ამიხილა და დამანახა ფაქტი, რომ ნუნუნი წმიდა შიშის საწინააღმდეგო ქმედებაა. ამ დროს ღვთის სიტყვაზე თრთოლა გამქრალია. ღმერთს და მის სიტყვას პატივს არ მივავებთ, როცა უკმაყოფილების პოზიციიდან ვფიქრობთ ან ვლაპარაკობთ.

ღვთისმომშიშეები მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ მორჩილებაზე მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო მათ-

მოზიზება ღვთისა

თვის არაფერია. ისინი ნებისმიერ ფასად ემორჩილებიან და ღვთის სიტყვას არ ფილტრავენ კულტურის ან თანამედროვე საზოგადოების ტრენდების პრიზმაში. ისინი ღვთის სიტყვის მორჩილებას არ აფუძნებენ სხვა მორწმუნეების ქცევაზე. ისინი უბრალოდ ემორჩილებიან.

გათავისება

მონაკვეთი: თუ მოინდომებთ და შეისმენთ, მიწის დოვლათს შეჭამთ. (ეს. 1:19)

თემა: წმიდა მოშიშების გამოხატულება მორჩილება გახლავთ, რომელიც გულისხმობს როგორც სწორი დამოკიდებულების ქონას, ისე შესაბამის მოქმედებას ნებისმიერ ვითარებაში.

დაფიქრება: მხოლოდ მაშინ ვემორჩილები, როცა პირობები ჩემთვის ხელსაყრელია? მაქვს თუ არა წუნუნის მიდრეკილება, როცა მოვლენები ჩემებურად არ ვითარდება? როგორ შევინარჩუნო სიხარულის დამოკიდებულება და მადლიერება ყოველ ჟამს? როგორ განვიმტკიცო დამორჩილების გადანყვეტილება?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, მომიტევე შენ სიტყვაზე თრთოლის არქონა! ჩემი მორჩილება პირობითი იყო და გულშიც არ მქონდა სიხარულისა და მადლიერების განწყობა. ვინანიებ და პატიებას გთხოვ! წმიდა შიშს ვიღებ. გთხოვ, მასწავლე და გამაძლიერე, რომ ყოველთვის დაგემორჩილო სიხარულის განწყობით! იესოს სახელით ვლოცულობ, ამინ!

აღიარება: ღვთის მეშინია და შესაბამისად, ის წარმოშობს ჩემში სურვილს და შესაბამის მოქმედებას მისი სათნოებისამებრ.

უმჯობესია უფლის
სიტყვაზე თრთოლა და
ღვთაებრივი სიყვარულის
უსაზღვრო სიდიადის
წინაშე მოდრეკა, ვიდრე
ხრინწიანი ხმით ყვირილი.

– ჩ.ჰ. სპარჯენი

23 | დაუყოვნებლივ

ღვთიური შიშის უმთავრესი ატრიბუტი მისი სიტყვის უპირობო მორჩილება გახლავთ, რასაც გამოაგნებელი სარგებელი მოაქვს ჩვენს ცხოვრებაში. ღვთის სიტყვაზე თრთოლას ხუთი განსხვავებული ასპექტი აქვს და მომდევნო ხუთი დღის მანძილზე ყოველ მათგანს ცალ-ცალკე განვიხილავთ. აი, პირველიც:

1. დაემორჩილე ღმერთს დაუყოვნებლივ!

მორჩილება უპირატესია ღვთისმოშიში ადამიანებისთვის. ისინი პირად ინტერესებს ღვთის ნათქვამის შესრულებაზე წინ არ აყენებენ. წმიდა შიში ჩვენს გულებში ნერგავს, რომ უპირატესია ის, რაც ღვთისთვის მნიშვნელოვანია.

უამრავი მონაკვეთის მოყვანა შეიძლება, მაგრამ პრეცედენტის დასამკვიდრებლად იესოს ორ განაცხადს გადავხედავთ:

„ამიტომ, თუ ძღვენს მიიტან სამსხვერპლოზე და იქ გაგახსენდება, რომ შენს ძმას რაიმე აქვს შენი საწინააღმდეგო, მიატოვე შენი ძღვენი სამსხვერპლოს წინ, წადი და ჯერ შენს ძმას შეურიგდი, შემდეგ დაბრუნდი და შესწირე შენი ძღვენი!“ (მათ. 5:23-24)

დააკვირდით სიტყვას „მიატოვე“, რაც დროის მცირე მონაკვეთში მიღებულ გადაწყვეტილებას გულისხმობს. ესაიას

მოშიშება ღვთისა

წიგნის 66-ე თავის მსგავსად, იესო ყურადღებას ამახვილებს, რომ არ უნდა წამოვიწყოთ „ღვთისთვის რალაციის კეთება“, თუ არ დავემორჩილეთ მის აქამდე ნათქვამ სიტყვას. იესო აქ წყენის კონკრეტულ ვითარებაზე საუბრობს, მაგრამ ეს პრინციპი ყველა სიტუაციაში გამოსადეგია.

გაიხსენეთ ადამიანი, რომელიც უზნეობის არაერთხელ განმეორებულ ქცევაზე მელაპარაკებოდა და თან საგონებელში იყო ჩავარდნილი, თუ რატომ ვერ იღებდა პასუხს ლოცვებზე და რატომ არ ვითარდებოდა მისი ბიზნესი ისე, როგორც თავად იმედოვნებდა. მოდით, შევჩერდეთ და ამაზე დაფიქრდეთ! თუ მისი პრიორიტეტი არ იყო ღვთის სიტყვის მორჩილება სქესობრივი ცოდვისგან გაქცევასთან დაკავშირებით, რატომ ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ ღვთის პრიორიტეტი მისი ბიზნესის კურთხევა იქნებოდა?

ყელის, ისრაელის მღვდელმთავარს ორი ძე ჰყავდა, რომლებიც ასევე მღვდლობას ეწოდნენ მისი ხელმძღვანელობის ქვეშ, მაგრამ ბოროტებას სჩადიოდნენ. ისინი მრუშობდნენ და შესაწირავს ძალით ართმევდნენ ისრაელიანებს. ყელი თავს იკავებდა, რომ სათანადოდ მიეხედა ძეების უმსგავსო საქციელისთვის. აი, როგორი იყო უფლის პასუხი მის გულგრილობაზე: „რატომ ამჯობინე ჩემს თავს შენი შვილები?“ (1 სამ. 2:29).

როცა ღვთის მორჩილებას ვაყოვნებთ ან უგულვებლვყოფთ რომელიმე პიროვნების ან მიზნის გამო, იმ ადამიანს ან მიზანს ღმერთზე მეტად ვაფასებთ. ამას წმიდა შიშის ნაკლებობა ჰქვია. შემდეგ ღმერთი ამბობს:

„ვინც პატივს მომაგებს, მეც იმას მივაგებ პატივს, ხოლო ჩემი მოძულენი დამცირდებიან!“ (1 სამ. 2:30)

ეს სიტყვები გვაფხიზლებს. ღმერთთან *ზედაპირული* დამოკიდებულება გვაქვს, თუ მისი სიტყვის შესრულებისგან თავს ვიკავებთ ან საერთოდ უგულვებლვყოფთ. არსებითად, ამით გადმოვცემთ აზრს: ის არ არის ჩვენთვის უპირატესი. ღმერთი ამბობს, რომ *პატივს არ მიაგებს* მათ, ვინც მას უპატივცემულოდ ექცევა. *პატივის არმიგება* არცთუ ზუსტი თარგმანია. ეს გახლავთ ებრაული *ქალალ*, რაც ნიშნავს „იყო ზედაპირული და ტრივიალური“. *ტრივიალური* ნაკლებად ფასეულსა და

უმნიშვნელოს ნიშნავს. ერთი მხრივ ზემომოყვანილი მუხლი შეიძლება ასე განიმარტოს: ღმერთი ტრივიალურს უწოდებს იმას, რაც ჩვენთვის, მისი სიტყვის მიმართ ზედაპირული დამოკიდებულების მქონე ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია. არც ერთი ჭკუათმყოფელი არ მოისურვებს მოვლენების ამ სცენარით განვითარებას.

ბიზნესმენს სექსობრივი სინმიდის ღვთიური სიტყვა რომ გაეთვალისწინებინა, იქნებ ღმერთსაც ჩაეთვალა მნიშვნელოვნად მისი ბიზნესი. ამის ნაცვლად, ეს მისთვის ტრივიალური აღმოჩნდა.

ეფესელთა ეკლესიის მიმართ იესოს ნათქვამი სიტყვები თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს დაუყოვნებლივ დამორჩილების მნიშვნელობას:

„მოინანიე და აკეთე პირვანდელი საქმეები. თორემ, მალე მოვალ შენთან და გადავწევ შენს სალამპრეს თავისი ადგილიდან, თუ არ მოინანიებ“. (გამოცხ. 2:5)

მონანიება ნიშნავს აზროვნების შეცვლას და ისე მოქმედებას, რომელიც ღვთის სიტყვის შესაბამისი იქნება. თუ ეს ეკლესია დამორჩილებას დააყოვნებდა, აცდებოდა შესაძლებლობას, რომ ისევე კურთხევაში დარჩენილიყო. იესო მალე მივიდოდა და მათ ზეგავლენას შეცვლიდა. კიდევ ვიმეორებ, რომ ამ საქმეს სერიოზულად უნდა მივუდგეთ.

ლუკას სახარება მოგვითხრობს ერთ ისტორიას, რომელიც თვალსაჩინოჰყოფს ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობას დროსა და პრიორიტეტთან დაკავშირებით. იესომ თქვა: „ერთმა კაცმა დიდი ვახშამი გამართა და ბევრი მიიწვია. სერობის დრომ რომ მოაწია, მონა გაგზავნა, რათა ნვეულთათვის ეთქვა: მობრძანდით, ყველაფერი მზად არისო“ (ლუკ. 14:16-17). ეჭვგარეშეა, რომ ლაპარაკია უფლის სიტყვაზე: ნადიმი მზად არის! აქ დრო არსებითია.

ყურადღება მიაქციეთ მონვეულთა პასუხს: „ყველამ ერთიანად დაიწყო მობოდიშება“ (მ. 18). ერთი შეხედვით, დასწრებაზე უარის თქმის მიზეზები გონივრული გვეჩვენება. ერთმა მიწა იყიდა, მეორეს საქმიანობა მის იქ ყოფნას მოითხოვდა, ხოლო მესამეს ახალშერთული ცოლისთვის ყურადღება უნდა მიექცია. აქ საერთოდ არ არის ნახსენები მრუშობა, ქურდობა,

მოზიზება ღვთისა

მკვლელობა და სხვა რომელიმე ცოდვად მიჩნეული ქცევა. და მაინც, *ცოდვა ხდება ქმედება, რომელიც ზოგადად ცოდვად არ ითვლება, მაგრამ მავანისთვის უფლის სიტყვაზე უპირატესია.*

მსახური უკან დაბრუნდა მონვეულთა დანაბარებით და ვკითხულობთ, რომ „მასპინძელი განრისხდა“ (მ. 21). კი არ განაწყენდა, არამედ განრისხდა. რატომ? იმიტომ, რომ მისი მოპატიჟება არაფრად ჩააგდეს და უპირატესად არ მიიჩნიეს.

რას აკეთებს ბატონი? ინვესს სხვებს, რომლებიც თავდაპირველად სიაში არ იყვნენ. იესო ასკვნის: „გეუბნებით, ვერავინ იმ წვეულ კაცთაგან ვერ იგემებს ჩემს ვახშამს!“ (მ. 24). მათი ღია კარი დაიხურა. მოპატიჟებულთა გასამართლებელი მიზეზები უვნებელი ჩანდა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მათაც შეიძლება გადაგვახვევინონ ღვთის ნებიდან. ეს ადვილად ხდება, როცა გულში უფლის მოშიშება არ გვაქვს.

წმიდა წერილში გაცილებით მეტი მონაკვეთია დაყოფნებულ მორჩილებასთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, ძალიან ბევრიც კია, ამიტომ მათ შორის უფრო თვალშისაცემი ამოვარჩიე. ლუკას სახარების მე-9 თავში იესო ორ სხვადასხვა ადამიანს გამოყოლას სთხოვს. რა მონვევაა! თავად სამყაროს შემოქმედი გეპატიჟება, რომ მასთან ერთად იარო! პირველი თანხმდება, მაგრამ ერთი პირობით: „უფალო, ნება მომეცი, ჯერ ნავიდე და მამაჩემი დავმარხო“ (მ. 59).

კაცი გაყოლაზე დათანხმდა, მაგრამ საქმის აღსრულება პირადი ინტერესების გამო დააყოვნა. მკვლევარები გვეუბნებიან, რომ იმდროინდელი კანონებით, პირმშო მემკვიდრეობიდან ორმაგ წილს იღებდა, თუ მამას დამარხავდა, ხოლო სხვა ძეებს ერთი წილი რჩებოდათ. თუ ის ამ მოვალეობას არ შეასრულებდა, მეორე რიგის მემკვიდრე გახდებოდა. მისი მიზეზი კანონიერი იყო და ამით ცოდვა არ ჩაუდენია, მაგრამ ის გვერდზე გადანიეს. სამწუხაროა, რომ მან შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა.

კიდევ ერთ კაცი იქნა მონვეული, რაზეც მან უპასუხა: „გამოგყვები, უფალო, ოღონდ ჯერ ნება მომეცი შინაურებს გამოვემშვიდობო“ (მ. 61). აქაც ვხედავთ იგივე სიტყვას „ჯერ“. მისი მიზეზიც დაყოფნას ემსახურება, თუმცა ცოდვად არ ითვლება. ამ ადამიანმაც უარი თქვა ღია კარზე და ხელიდან გაუშვა ცისა და მიწის შემოქმედთან სიახლოვის შესაძლებლობა.

მომდევნო თავში ვკითხულობთ: „ამის შემდეგ სხვა

სამოცდაათი ამოარჩია უფალმა და ორ-ორი მიავლინა წინასწარ, ყველა იმ ქალაქსა და სოფელში, სადაც მისვლას აპირებდა“ (ლუკ. 10:1). ზემოხსენებული ორი კაციც იმ სამოცდაათის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ მორჩილება ღვთიური შიშის უქონლობის გამო დააყოვნეს.

ღვთის ერის მსახურების წლების განმავლობაში ყოველთვის მაკვირვებდა (ცუდი გაგებით) მორწმუნისგან გაგონილი დაუდევარი ნათქვამი: „ღმერთი ამაზე რამდენიმე თვეა მელაპარაკება“. ამ დროს ის ილიმის და ზოგჯერ იცინის კიდევ, თითქოს ძალიან კარგ რამეს აკეთებდეს. ვფიქრობ, ასეთი ზედაპირული დამოკიდებულება არ ექნებოდათ, თუ გაიაზრებდნენ, რომ ღვთის შიშის უქონლობით ტრაზახობენ.

რა მოხდებოდა, მოსეს ფარა რომ არ მიეტოვებინა და აღმოებოდა ბუჩქის სანახავად არ წასულიყო (გამ. 3)?

რა იქნებოდა, ნოეს კიდობნის აგება რომ დაეყოვნებინა?

რა მოხდებოდა, აბრამი ქანაანში რომ არ გამგზავრებულიყო? მამამისმა დაიწყო, რადგან პირველად მას მოუწოდეს ქანაანში წასვლისკენ. რა შანსიც მამამ ხელიდან გაუშვა დაყოვნებით, აბრამმა გამოიყენა (დაბ. 11:31).

როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ნეემიას სანბალატისა და გეშემის, ამ ორი წინამძღოლისთვის რომ დაეთმო, საქმე მიეტოვებინა და მათთან შესახვედრად წასულიყო? ნეემიას ღვთის ეშინოდა. მისი პასუხი ასეთი გახლდათ: „დიდ საქმეს ვაკეთებ და არ შემძლია ჩამოსვლა; რატომ უნდა შეჩერდეს საქმე, როცა მივატოვებ და ჩამოვალ თქვენთან?“ (ნეემ. 6:3).

მაგალითებს დასასრული არ აქვს. მთავარია დასკვნა: როცა ღვთის სიტყვაზე ვთრთივართ, მას დაუყოვნებლივ ვემორჩილებით.

გათავისება

მონაკვეთი: „ვჩქარობდი და არ ვაყოვნებდი შენი მცნებების დაცვას“ (ფს. 119:60)

თემა: თუ ღვთის სიტყვის მორჩილებას ვაყოვნებთ პირადი მიზეზების გამო, ამით ვაცხადებთ, რომ მისი ნება ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია.

დაფიქრება: შესაძლებელია, რომ ერთი შეხედვით უწყინარმა მიზეზებმა ღვთის ნებიდან გადაგვახვეწინოს. ცოდვად იქცევა ის, რაც ზოგადად ცოდვა არ არის, მაგრამ უფლის სიტყვაზე მნიშვნელოვანი ხდება. ხომ არ ვამჯობინე პირადი ინტერესები და ამით მორჩილება დავაყოვნე? როგორ შეიძლება ამის შეცვლა?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, მაპატიე ის შემთხვევები, როცა შენს ნათქვამს ერთ-ერთ ვარიანტად განვიხილავდი და ყველაზე მნიშვნელოვნად არ ვთვლიდი! ვაცნობიერებ, რომ ამის გაკეთება ირიბად მიანიშნებდა შენთვის მნიშვნელოვანის ჩემი მხრიდან ტრივიალურად მიჩნევაზე. ვინანიებ და პატიებას გთხოვ! შენს სურვილს უპირატესად ჩავთვლი! იესოს სახელით ვლოცულობ, ამინ!

ალიარება: რახან უკვე გავიგე ღვთის ნება, დაუყოვნებლივ დავემორჩილები.

ადამიანური გონების
კარნახით ცხოვრებისთვის
არ ვართ მონოდებული.
ყველაზე მნიშვნელოვანია
ღვთის სიტყვის მორჩილება
და ჩვენს ცხოვრებაში
მისი წინამძღოლობა. როცა
მის ნებაში ვართ,
მსოფლიოში ყველაზე დაცულ
ადგილზე ვიმყოფებით.

– ძმა იუნი



MessengerX

თქვენი აპლიკაცია ყოველდღიური დამოწაფებისთვის

სრულიად უსასყიდლოდ!

უბრალოდ ჩამოტვირთეთ
პორტატულ მოწყობილობაზე და
დაიწყეთ!
ან ისარგებლეთ ვებრესურსით:



MessengerX.com



125 + ენაზე და მეტია მოსალოდნელი

- ✓ იხილეთ და ჩამოტვირთეთ თარგმნილი მასალა 125-ზე მეტ ენაზე.
- ✓ რესურსები მეგობრებს გაუზიარეთ ან სასწავლო ჯგუფები შექმენით.
- ✓ მუდმივად ემატება ახალი მასალები

უყურეთ! წაიკითხეთ! უსმინეთ!

აღმოაჩინეთ მდიდარი ბიბლიოთეკა: სასწავლო პროგრამები, ელექტრონული და აუდიო-წიგნები, მოკლემეტრაჟიანი ფილმები და მრავალი სხვა.



იპოვე ყველაზე მნიშვნელოვანი

იპოვე შემდეგი თემები: ოჯახური დინამიკა, ჯანსაღი ურთიერთობები, ცხოვრებისეული მიზნის პოვნა, პორნოგრაფიისაგან თავისუფალი ცხოვრება, რწმენის ზრდის საშუალებები, ღმერთის ხმის მოსმენა, წინამძღოლობა ბიზნესში და მრავალი სხვა.

ზრდის ხელშემწყობი მოგზაურობა


MessengerX - მზალა დაგეხმაროთ მომდევნო ნაბიჯების გადადგმაში. ამრიგად, ჩვენ დავამუშავეთ დამოწაფების მოგზაურობა მძლავრი ინსტრუმენტების გამოყენებით სწორი მიმართულების შესანარჩუნებლად.



შესანიშნავი ფუნქციები, რომლებიც მოგეწონებათ!

- მარტივი და ადვილად გასაზიარებელი ინსტრუმენტები სიტყვის გასავრცელებლად.
- Chromecast და AirPlay თქვენს რჩეულ სმარტ-ტელევიზორზე.
- შეინახეთ ადრე წარმოებული მოქმედებები ნებისმიერ მოწყობილობაზე. რჩეულები შეინახეთ ბიბლიოთეკაში ადვილი წვდომისათვის.
- ჩამოტვირთეთ საკუთარ მოწყობილობაში კავშირის არქონის დროს დასათვარიელებლად.
- მძლავრი საძიებო სისტემა და ფილტრაცია სასურველის საპოვნელად.
- აუდიო წიგნების თანმიმდევრულ თავებზე ავტომატურად გადასვლა, აუდიო ბიბლია და ქება-თაყვანისცემა თქვენს ენაზე.

MessengerX - ადვილია, როგორც 1-2-3!



- 1 ჩამოტვირთეთ **MessengerX** - ის აპლიკაცია App Store-დან ან Google Play-დან.
- 2 შექმენით ანგარიში და გადაიყვანეთ თქვენს ენაზე.
- 3 დაათვარიელეთ, წაიკითხეთ, უყურეთ, უსმინეთ, ჩამოტვირთეთ და გააზიარეთ სასურველი რესურსები.



იყავი დამოწაფებული და დაიმოწაფე სხვები!

თქვენ, როგორც **MessengerX**-ის ნაწილი, თარგმნილ რესურსებს მთელი მსოფლიოს გაუზიარებთ.

რადგან ყველა იმსახურებს ცოდნას!



MessengerX.com



24 | ამას აზრი არ აქვს

ნარსულიდან გაიხსენებთ შემთხვევას, როცა სულიწმიდა ისეთი რამის გაკეთებისკენ მოგინოდებდათ, რასაც თქვენთვის აზრი არ ჰქონდა? გარკვეული დროის მანძილზე ღმერთთან ახლოს მყოფი ადამიანების უმეტესობა ამ კითხვას დადებით უპასუხებდა. თუმცა კიდევ ერთი კითხვის დასმის ნება მომეცით: აზრი მიეცა მის ნათქვამს მორჩილების შემდეგ მყისვე ან ცოტა მოგვიანებით? თითქმის ყოველთვის ასეა („თითქმის ყოველთვის“ იმიტომ ვთქვი, რომ იშვიათ შემთხვევაში სამსჯავრო ტახტამდე ლოდინი გვჭირდება ნათქვამის აზრიანობის დასაწახად)! ვაგრძელებთ რა განხილვას, თუ რას ნიშნავს მის სიტყვაზე თრთოლა, ღვთის შიშით მოარული ადამიანი:

1. ღმერთს დაუყოვნებლივ ემორჩილება.
2. **ემორჩილება ღმერთს მაშინაც კი, როცა მისთვის ამას აზრი არ აქვს.**

ყოველთვის ისე არ ხდება, რომ ღვთის ნათქვამის გაგება ძალიან ძნელი იყოს, მაგრამ ზოგჯერ ასეთი შემთხვევებიც არსებობს. მოდით, კითხვები დავსვათ!

აქვს აზრი მიწაზე დაფურთხებას და ამ ტალახის ბრმის თვალეზე წასმას, რომ შემდეგ ჩამოიბანოს? არა, იმ დროს არა, მაგრამ ამ რჩევამ (სიბრძნემ) ბრმას თვალისჩინი მოჰგვარა.

აქვს აზრი წყლის ღვინოდ გადაქცევას ჭურჭლებში შუა

მოზიზება ღვთისა

ქორწილის დროს, როცა მხოლოდ მეტი ღვინო არის საჭირო? არა იმ დროს, მაგრამ ამ რჩევამ (სიბრძნემ) ქორწილი უგემრიელესი ღვინით უზრუნველყო.

აქვს აზრი გამოცდილი მეზღვაურების გაფრთხილებას, რომ თავიანთი ინსტინქტისა და წვრთნის წინააღმდეგ წავიდნენ და არ დატოვონ ჩასაძირად განწირული ხომალდი, როცა მაშველი ნავეები იქვეა? არა, არა იმ დროს, მაგრამ ამ რჩევამ (სიბრძნემ) გემზე მყოფი 276-ვე ადამიანი გადაარჩინა; ერთიც კი არ დაღუპულა (საქმ. 27:27-36).

აქვს აზრი ღვთის ინიციატივით დაწყებული, ქალაქის მასშტაბის სულიერი გამოღვიძების მიტოვებას და შუაგულ უდაბნოში წასვლის ბრძანების დამორჩილებას? არანაირი იმ დროისთვის, მაგრამ ამ რჩევამ (სიბრძნემ) ეთიოპიის სამეფოს რანგით მესამე პირის სულის ხსნა მოიგანა.

აქვს აზრი კომპეზიანი გამაგრებული დიდი ქალაქის კედლების ექვსდღიან მდუმარე გარშემოვლას, ხოლო მეშვიდე დღეს იგივეს შვიდჯერ გამეორებას ბოლოს საყვირის დაყვირებით? არა, იმჯერად არა, მაგრამ ამ რჩევამ (სიბრძნემ) მტრის კედლები ძირფესვიანად ჩამოანგრია.

აქვს აზრი შხამიანი წვნიანის ქვაბში ფქვილის ჩაყრას და შემდეგ მსახურებისთვის საკვებად შეთავაზებას? არა, იმ დროს არა, მაგრამ ამ რჩევამ (სიბრძნემ) ყველა დაანაყრა და ავად არავინ გამხდარა.

აქვს აზრი იმ ადამიანების პატიებას, რომლებმაც გული გატკინეს თქვენ და თქვენს ოჯახს ან ვინმე ახლობელს? განა არ უნდა ზღონ?

აქვს აზრი თქვენს მოძულეთა სიყვარულს? განა მათ ცივად არ უნდა შეხვდეთ?

აქვს აზრი თქვენთვის ბოროტის მქნელთათვის სიკეთით გადახდას? ნუთუ მათ ანგარიში არ უნდა გაუსწოროთ?

აქვს აზრი ზემდგომი ძალაუფლების პატივისცემას, რომელიც ბოროტად იქცევა? განა ჩივილი და ამბოხება არ იქნება სწორი გადანყვეტილება?

აქვს აზრი მათ პატივისცემას, რომლებიც თავად გექცევიან უპატივცემულოდ? განა მათი დატუქსვა უპრიანი არ იქნება?

ასეთიმაგალითების მოყვანა თავის ბოლომდე დააღბათ, წიგნის დასასრულამდეც შემიძლია. ასეთ მითითებებს, ერთი შეხედვით,

აზრი არ აქვს, მაგრამ მიღებული შედეგები გვარწმუნებს, რომ ისინი ღვთის სიბრძნით არის წარმოთქმული. მათი ადრესატები ან თრთოდნენ ღვთის სიტყვაზე, ემორჩილებოდნენ და კურთხევას იმკიდნენ ან ღვთის შიშის უგულუბელყოფისა და დაუმორჩილებლობის ნაყოფით იტანჯებოდნენ. ვიმედოვნებ, ახლა უფრო მეტი სიცხადით ხედავთ, რომ უფლის შიში სიბრძნის სათავეა (ფს. 111:10). ჩვენ გვეუბნებიან:

„მთელი შენი გულით მიენდე უფალს და შენს გონიერებას ნუ დაეყრდნობი. ყოველ შენს გზაზე შეიცანი უფალი და ის მოგისწორებს ბილიკებს“. (იგ. 3:5-6)

უფლის სიბრძნე ჩვენსას დიდად აღემატება, ამიტომ საკუთარ გაგებას არ უნდა დავეყრდნოთ. ასე ადვილად ავცდებით მორჩილების გზას, სადაც საბოლოო სარგებელს აუცილებლად მივიღებთ, თუნდაც ჩვენთვის არალოგიკური მითითების გათვალისწინებით. ღვთის მოშიში ადამიანი მორჩილია მაშინაც კი, როცა ღვთის ნათქვამი მისთვის გაუგებარია.

რამდენიმე წლის წინ ერთ მულტიმილიონერს შევხვდი. მან გამიზიარა თავისი სირთულეებისა და შეცდომების შესახებ კარიერის დასაწყისში. მას ყველა ბესტსელერი ნაკითხული ჰქონდა ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებით და ყველა ის სიბრძნე გამოიყენა, რაც წიგნებიდან შეკრიბა. მიუხედავად ამისა, მაინც დიდად განვალდა.

ერთ დღესაც, როცა ეკლესიაში პასტორის ქადაგებას უსმენდა, თავში აზრი მოუვიდა: *ის მონოდეულისა სახარების ქადაგებისთვის და სულიწმიდაზე დანდობილი ამ ცხოვრებისეული მისიის აღსრულებაში. მე ბიზნესში ვარ მონოდეულისა და რატომ არ ვენდობი სულიწმიდას ჩემი მონოდეების აღსრულების საქმეში?*

მან გადანყვიტა, რომ ყოველ დღით ადგომისას უფლისთვის ეთხოვა მიმართულების მიცემა იმ დღისთვის. ბლოკნოტი აიღო და ყველაფერს იწერდა, რის გაკეთების აზრიც მოუვიდოდა. ასევე ჩვევა გამოიმუშავა, რომ ცალი ყურით ყოველთვის მოესმინა სულიწმიდის შთაბეჭდილებები კონკრეტული დღისთვის მაშინაც კი, როცა საქმიან შეხვედრაზე იმყოფებოდა.

მან რამდენიმე მომენტი გამიზიარა. ერთ დღეს ბიზნესმენმა

მოშიშება ღვთისა

შეხვედრა დაგეგმა შეძენებთან დაკავშირებით. იმ დილას ჩათვალა, რომ სულიწმიდისგან ეს მითითება მიიღო, რაც თავისთავად, ძალზე ჩვეულებრივი საქმეა. ამას თითქოს აზრი არ ჰქონდა, მაგრამ გადანწყვიტა, პროცესს მიჰყოლოდა.

სულიწმიდამ მიუთითა, რომ გამუდმებით გაეთვალისწინებინა ერთი კონკრეტული ქმედება. მას გაახსენდა მეფე, რომელსაც ელისე წინასწარმეტყველმა მინაზე ისრების დარტყმა უბრძანა. მეფემ სამჯერ დაჰკრა და წინასწარმეტყველისგან საყვედური მიიღო, რომ უფრო მეტჯერ არ დაარტყა ისრები (2 მეფ. 13:14-19). ამრიგად, იმ კაცმა მითითებული ქმედება ოცჯერ შეასრულა. მოგვიანებით ასე მითხრა: „იმ დღეს ჩემმა კომპანიამ ვიეტნამში ოცი ჰოსპიტალი შეიძინა.“

შემდეგ გამიზიარა, რომ ევროპაში მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ბანკი იყიდა. პროცესი იმაზე მეტად უცნაური იყო, ვიდრე საავადმყოფოების შექმნა. გაოცებული დავრჩი. მარტივად რომ ვთქვათ, ბიზნესმენმა გადანწყვიტა დამორჩილებოდა ღვთის ნათქვამს ლოცვაში მიუხედავად იმისა, რამდენად გონივრული ან ალოგიკური მოეჩვენებოდა მითითება. ნაყოფი სახეზე იყო – ის მეტად აღარ ბორძიკობდა საქმეში!

ჩვენს ერთ-ერთ ვაჟს, რომელიც გვიანდელი მოზარდობის ასაკში იყო, ისეთი რამის გაკეთება ვთხოვე, რასაც მისთვის აზრი არ ჰქონდა. იგი პირისპირ დამიდგა და აპროტესტებდა, რომ ჩემი მითითება გაუგებარი იყო, მაგრამ მე მყარად ვიდექი. ბოლოს გაღიზიანებულმა ასე მითხრა:

– მამა, მე მილენიალთა თაობიდან ვარ (ვინც ახალ ათასწლეულს მოზარდობის ასაკში შეხვდა) და სანამ რამეს გავაკეთებდეთ, უნდა ვიცოდეთ, რატომ უნდა მოვიქცეთ ასე!

მამინ მას ვუპასუხე:

– კარგი! შევთანხმდეთ! ჯერ ერთ ნამდვილ ამბავს მოგიყვები. ღმერთმა ერთ ახალგაზრდ იუდაელ წინასწარმეტყველს ბეთელში წასვლა უბრძანა, რომ ისრაელის მეფისთვის სიტყვა ეთქვა და იგივე გზით აღარ დაბრუნებულყო იუდაში, რომლითაც წავიდა. უფრო მეტიც, მთელი ამ მოგზაურობის მანძილზე არაფერი არ უნდა ეჭამა. ახალგაზრდა წინასწარმეტყველი არ დაემორჩილა სულიწმიდის მითითებებს და მწარე შედეგი იწვნია. ის ლომმა მოკლა მოგზაურობის დასრულებამდე (1 მეფ. 13:16,23-26). შვილო, აი, ჩემი გარიგება: რა დღესაც მეტყვი, „რა მიზანი

ჰქონდა“ ახალგაზრდა წინასწარმეტყველისთვის მიცემულ მითითებებს, იქნება დღე, როცა მე გეტყვი, „რა“ დგას ჩემი მითითებების მიღმა.

დღესაც კი არ აქვს პასუხი ჩემს კითხვაზე. ფაქტობრივად, მეც იგივე მდგომარეობაში ვარ. ზოგჯერ ღმერთი ისეთი რამის გაკეთებას გვთხოვს, რასაც ჩვენთვის აზრი არ აქვს და არ გვესმის, აქედან რა უნდა გამოვიდეს, თუმცა მისი სიბრძნე ყოველთვის დასტურდება მიღებული შედეგებით (მათ. 11:19).

დაე, ყველანი დავემსგავსოთ პეტრეს, რომელმაც მთელი ღამის შრომის შემდეგ არ დაიზარა და იესოს სიტყვისამებრ, ისევ შეცურა ღრმა წყლებში ბადის კიდევ ერთხელ მოსაქნევად. ამ მითითების შესრულება ზედმეტი ძალისხმევის ფასად უჯდებოდა, რადგან წინა ღამის შრომით დაქანცული იყო. არ მოგნონთ პეტრეს პასუხი? „მთელი ღამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ. მაგრამ შენ სიტყვისამებრ ჩავუშვებთ ბადეს“. (ლუკ. 5:5). შედეგად, მან თევზით სავსე ნავი მიიღო.

გათავისება

მონაკვეთი: საკუთარ გონების მინდობილი უგუნარია, ბრძნულად მოარული კი გადარჩება. (იგ. 28:26)

თემა: უფლის სიბრძნე ჩვენსას დიდად აღემატება, ამიტომ საკუთარ გაგებას არ უნდა დავეყრდნოთ. ასე ადვილად ავცდებით სასარგებლო მორჩილების გზას. ღვთის მოშიში ადამიანი მორჩილია მაშინაც კი, როცა ღვთის ნათქვამი მისთვის გაუგებარია.

დაფიქრება: მიჭირს ღვთის სიბრძნის მინდობა? წარსულში ვცდილობდი, გამომეცნო, რა იდგა მისი სიბრძნის მიღმა და იმას ვუბრუნდებოდი, რაც ლოგიკური მეჩვენებოდა? ასე როგორ გამოვიდა? რა მოხდება, თუ ღმერთს მივმართავ მითითებისთვის და მას მივინდობი? შემიძლია ამ პროცესს ბოლომდე მივყვე?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, მაპატიე, რომ საკუთარ გონიერებას უფრო ვენდობი, ვიდრე შენსას! გთხოვ, მომცე შენი სიბრძნის მიღების რწმენა წმიდა წერილის კითხვისას, ლოცვისას ან შენს მოშიშთა ღვთიური რჩევის მოსმენისას! მომეცი ძალა, რომ გერწმუნო და დაგემორჩილო მაშინაც კი, როცა ნათქვამს ჩემთვის აზრი არ აქვს! ვლოცულობ იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: ვარჩევ ღვთის სიბრძნის დამორჩილებას უფრო მეტად, ვიდრე საკუთარი გონიერება და იმ ადამიანთა ხმები, რომელთაც კაცობრიობის უნარების უფრო სჯერათ, ვიდრე ღვთისა.

ადამიანის მოვალეობა
არის ღვთის სიყვარული
და მოშიშება საზღაურის
მიღების იმედისა და
სასჯელის შიშის გარეშე.

– მაიმონიდი

25 | არანაირი სარგებელი

აღბათ, გსმენიათ მშობლის ნუხილი იმ ფაქტის გამო, რომ მისი სტუდენტი ვაჟი ან ქალიშვილი მხოლოდ მაშინ მოიკითხავს, როცა ამ უკანასკნელს ფული სჭირდება. ასეთია ტიპური სურათი და იმ იშვიათი სატელეფონო ზარების განხორციელებისას შვილი დიდად დაინტერესებულიც კი ჩანს დედ-მამის ამბის გაგებით, მაგრამ მის მიღმა რესურსების შევსების ზრახვა დგას. სულიწმიდა გვიცავს ამის გაკეთებისგან ჩვენს ზეციერ მამასთან და ღვთის სიტყვაზე თრთოლის მომდევნო ასპექტს წარმოგვიდგენს. მოდით, განვიხილოთ ეს საკითხი ჩვენი უახლესი ინდიკატორის დამატებით. ვალდებული ვართ, რომ

1. დაუყოვნებლივ დავემორჩილოთ ღმერთს.
2. დავემორჩილოთ მაშინაც კი, როცა მითითება ჩვენთვის გაუგებარია.
3. **დავემორჩილოთ ღმერთს, თუნდაც ამით არ გვეონდეს პირადი სარგებელი.**

მსახურების ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში ერთი სამწუხარო რეალობა აღმოვაჩინე და ეს განსაკუთრებით, დასავლურ ეკლესიებს ეხება. მეტისმეტად ხშირია შემთხვევები, როცა მორწმუნეებს მაშინ სურთ დამორჩილება, როცა ხაზგასმულია მისაღები სარგებელი. იფიქრეთ ამაზე! მოვალთ თუ არა

მოზიზება ღვთისა

მსახურების დაწყებამდე ოცდაათი წუთით ადრე, რომ წინა რიგში დავჯდეთ სინმიდეზე ქადაგების მოსასმენად? მორჩილებაზე ხაზგასმული წიგნები ხვდება თუ არა ბესოსელერთა სიაში? წუთუ წინამძღოლები თავს არიდებენ ამ წინააღმდეგობის მომტან ჭეშმარიტებას და თვითონაც დინებას მიჰყვებიან? სხვა სიტყვებით, მრავალი მსახური ხომ არ დაემორჩილა ყურის მოქავეების დაკმაყოფილების ზენოლას და ღვთის ერს საკუთარი თავის უარყოფისა და იესოს კვალზე სიარულის შეგონების ნაცვლად შთამაგონებელი ისტორიებით ართობს?

რამ აქცია ეს მიმართულება სამწუხარო რეალობად? ღვთის სიბრძნის არიდებით ჩვენივე თავს ვაზიანებთ. მისი მითითებები, რჩევა და სიბრძნე, საბოლოო ჯამში, დიდი კურთხევის საწინდარია, როგორც აქაურ, ისე მომავალ ცხოვრებაში. გვეუბნებიან, რომ „დიდია საზღაური“ ღვთის სიტყვის დაცვისთვის (ფს. 19:11). ვერასოდეს შეძლებთ ღვთის ვალის გადახდას. სარგებელი დიდად აღემატება ნებისმიერ საქმეს, რის გაკეთებაც მისთვის შეგიძლიათ.

მეორე მხრივ, სახიფათოა წამახალისებელი საშუალებების გამოყენება. რატომ? თუ მისაღები სარგებელი ნათლად არ გამოიკვეთება, იგივე ენთუზიაზმით შევასრულებთ ღვთის მითითებებს? სავარაუდოდ, მათ ჩვენი პირადი ინტერესები ჩაყლაპავს. სწორედ ამიტომ აქვს არსებითი მნიშვნელობა უფლის შიშის ქონას; იგი აღძრავს მორჩილებას იმის მიუხედავად, საზღაური ცხადია თუ არა.

სპარსეთის დიდი იმპერიის ზეობისას ყველა სხვა სამეფო მას ემორჩილებოდა. მისმა წინამძღოლმა მეფე ქსერქსემ, რომელიც ყველაზე ძლევამოსილი კაცი იყო დედამიწის ზურგზე, ცოლად ებრაელი ესთერი მოიყვანა.

ჰამანი მეფის უმაღლესი რანგის დიდებული გახლდათ. ის დიდად გაანაწყენა ესთერის ბიძაშვილმა მორდექაიმ, რომელიც ასევე მეფის ჩინოვნიკი იყო. განრისხებულმა ჰამანმა არა მარტო მორდექაის, არამედ მთელი მისი მოდემის დასჯა განიზრახა. ესთერისებრაელობაზე არც მან და არც სხვებმა არაფერი იცოდნენ.

ჰამანმა ბოროტი ცილი დასწამა იუდაელებს მეფის წინაშე და მათი ერთ დღეში ამოწყვეტა ურჩია. მისი გეგმა წარმატებული გამოდგა. მეფე დათანხმდა, ბრძანება გამოსცა და თავისი სამეფო ბეჭდით დაბეჭდა.

მორდექაიმ ახალი ბრძანების გაგებისთანავე მაცნე გაუგზავნა თავის ბიძაშვილს, დედოფალ ესთერს და მეფესთან შესვლა სთხოვა ებრაელი ხალხის სიცოცხლის შესავედრებლად.

ესთერმა უპასუხა: „მეფის ყველა მსახურმა და სამთავროების ხალხმა იცის, რომ ყოველ კაცს თუ ქალს, ვინც კი დაუძახებლად შევა მეფესთან შიდა ეზოში, კანონის თანახმად ერთი სასჯელი - სიკვდილი ელის; მხოლოდ ის იცოცხლებს, ვისაც მეფე თავის ოქროს კვერთხს გაუწვდის. მე კი ... თავისთან არ მივუხმვიარ მეფეს“ (ესთ. 4:11). მიუხედავად იმისა, რომ ესთერი ქსერქსეს ცოლი იყო, მიწვევის გარეშე მასთან შესვლის გამო დაისჯებოდა.

მოდით, ამაზე ვიფიქროთ: ესთერი დედოფალია; მას საოცარი ცხოვრება აქვს – ფაქტობრივად, გულის საამებელი. ღვთის ერის შუამდგომლობისთვის ის პირადად ვერაფერს მოიგებს სატახტო დარბაზში უნებართვო შესვლით, მაგრამ დაკარგვით კი ყველაფერს დაკარგავს საკუთარი თავის ჩათვლით. და მაინც, დააკვირდით მორდექაის მიმართ მის პასუხს:

„ნადი და შეკრიბე შუშანის მთელი ებრაელობა, იმარხულეთ ჩემთვის, არ ჭამოთ და არ სვათ სამ დღეს, არც დღისით, არც ღამით; მეც ვიმარხულე ჩემს მხველებთან ერთად და ისე მივალ მეფესთან, თუმცა ამით წესს დავარღვევ; თუ დავიღუპები, დავიღუპო!“ (ესთ. 4:15-16)

წმიდა შიშმა აღძრა ის, რომ ღვთის სამეფო საკუთარ კეთილდღეობაზე მაღლა დაეყენებინა. დედოფლის კომფორტი, დაცულობა, სიმდიდრე და პოზიცია საფრთხის ქვეშ დადგა მისი მორჩილების გამო. მას სარგებელი არ ჰქონდა, მაგრამ ღვთისთვის მნიშვნელოვანი მისთვისაც მნიშვნელოვანი იყო ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ესთერი ღვთის სიტყვაზე თრთოდა; მას ღვთისა ეშინოდა.

2015 წელს მე და ლიზა ერევანში, სომხეთის დედაქალაქში ვიყავით 3 500-კაციან კონფერენციაზე მსახურების გასაწევად. იქ მთელი აღმოსავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის პასტორებმა მოიყარეს თავი. ბევრი ირანიდანაც ჩამოვიდა (ერევანი ირანის საზღვრიდან ოცდაათი მილითაა დაშორებული). იმ დროისთვის ამ ქვეყნის მოქალაქეებს სომხეთში შესვლის უფლება ჰქონდათ, ამიტომ კონფერენციას იატაკქვეშა ეკლესიის

მოზივება ღვთისა

მრავალი წინამძღოლი ესწრებოდა. დიდებული შეხვედრები იყო.

ბოლო შეხვედრის დასრულების შემდეგ მე და ლიზამ ერევნის მთავარ ქუჩაზე გასეირნება გადავწყვიტეთ სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად. ერთ-ერთი რესტორნიდან ორი, დაახლოებით, 25 წლის ასაკის ახალგაზრდა ქალი გამოვიდა და მოგვესალმა. აღმოჩნდა, რომ ისინი ირანელი ლიდერები ყოფილან. საოცრად ლამაზები და სიცოცხლით სავსენი ჩანდნენ. ფაქტობრივად, ისიც კი ვიფიქრე, ჩემი სამი მარტოხელა ვაჟიდან რომელ ორს გავაცნო ეს გოგონები მეთქი.

მე და ლიზა ოციოდე წუთით ვესაუბრეთ მათ და გავიგეთ, რომ რელიგიური საქმეების პოლიცია კვალში სდევდათ და კონფერენციის დროს ირანელ ხელისუფალთაგან ზარები შემოდისოდა მათი ადგილსამყოფელის გაგების მოთხოვნით. ერთმა მათგანმა მითხრა, რომ ტელეფონით საგანგაშო შეტყობინება მიიღო.

ამ მომენტისთვის ორმოცწლიანი მსახურების მანძილზე წარმოთქმულთაგან ყველაზე სულელური კითხვა დავუსვი:

– რატომ მიდიხართ უკან? რატომ არ გადმობხვალთ აქეთ?

მან გულწრფელად, სათნოდ, მაგრამ მტკიცე მზერით შემომხედა და მიპასუხა:

– ვინ ეტყვის სპარსელ ხალხს იესოს შესახებ, თუ უკან არ დავბრუნდებით?

მისმა ნათქვამმა გამაოგნა. მოწმეები გავხდით, როგორ გადანია ამ ორმა ქალბატონმა თავდაცვის ინსტინქტი გვერდზე. ეს გრძნობა მშობლიურ ერში სასუფევლის წინსვლის მოშურნეობამ დაჩრდილა. ისინი იგივე წმიდა შიშით დადიოდნენ, რომელიც ესთერში იყო. ისინი ღმერთს ემორჩილებოდნენ მაშინაც კი, როცა არავითარი ხილული სარგებელი არ ჩანდა და არც ის იყო გამორიცხული, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ამ შემთხვევამ ჩემში შესწორება და ამავდროულად, შთაგონება მოიტანა.

ახალგაზრდა ქალბატონებში დანახული სიმტკიცე არ გახლავთ მორჩილების ერთჯერადი აქტი. ეს არის გულის მდგომარეობა, რომელიც უნდა განვითარდეს და ცხოვრებაში იქნას გამოყენებული. პასიურობას ვიჩენთ ერთი შეხედვით უმნიშვნელო გადაწყვეტილებებში, რომელთაც დრო და დრო ვიღებთ. თავად ვარჩევთ მცირე საკითხებში დავემორჩილოთ თუ არა

ღვთის სიტყვას და სულიწმიდის წინამძღოლობას. შესაძლებელია გადატვირთული დღიური გრაფიკის პირობებში მოულოდნელი ბიძგი ვიგრძნოთ რომელიმე ადამიანთან სატელეფონო ზარის განსახორციელებლად. აქ არავითარი მიზეზი ან ცხადი სარგებელი არ ჩანს, მაგრამ გული აღგვძრავს ამის გასაკეთებლად. როცა დავრეკავთ, ხშირად მერე ვიგებთ „რატომაც“.

ან ჩვენს ყურამდე მოვიდა, რომ ვილაცამ ცილი დაგვწამა. არ არსებობს იმ ადამიანის პატიების, შერიგების ძიების და კურთხევის ცხადი სარგებელი, მაგრამ ასე მოქცევას ვარჩევთ მცნების მორჩილების გამო: „მიუტევეთ ერთმანეთს, როგორც თქვენ მოგიტევათ ქრისტეში ღმერთმა“ და „აკურთხეთ თქვენი მანყევრები“ (ეფეს. 4:32; ლუკ. 6:28).

შესაძლოა ჩვენი მოძულე ბოროტად მოგვექცეს. რა სარგებელი გვექნება იესოს სიტყვის დაცვით: „კეთილი უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც გავიწროებთ და გდევნით“ (მათ. 5:44)? ან ამაზე დაფიქრდით! რა მოგება აქვთ მდევნელი ქვეყნების მორწმუნეებს მათი მდევნელების კურთხევით, რომლებიც აქეთ აწამებენ და ზოგჯერ მათ ახლობელ ადამიანებსაც სიკვდილით სჯიან მათი რწმენის გამო? დიახ, მე და ლიზა ვყოფილვართ იმ ქვეყნების პასტორთა გარემოცვაში, სადაც ასეთი ამბები ხდება და მათი სიხარულისა და სიცოცხლის სიუხვე გვინახავს.

რა სარგებელია სხვა ერებისთვის დაშურებით ლოცვაში? ან იმ ერების წარმომადგენელთათვის შესანიშნავი გაღებაში, რომელთაგან საზღაურს ვერასოდეს მიიღებთ? სია დაუსრულებელია. ისმის კითხვა: განუწყვეტლივ დაემორჩილებით ღმერთს წმიდა შიშის საპასუხოდ, რომელიც თქვენს გულში ღვივის თუ დაიცდით, სანამ პირად სარგებელს არ ნახავთ?

გათავისება

მონაკვეთი: რადგან ვისაც თავისი სულის გადარჩენა სურს, დაღუპავს მას; ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაიღუპავს სულს, იგი მოიპოვებს მას. (მათ. 16:25)

თემა: ხშირად ვკარგავთ კურთხევას ღვთიური სიბრძნის უგულვებელყოფით, რომელიც ჩვენთვის სარგებლიანი არ ჩანს. არსებითად, ამით საკუთარ თავს ვაზიანებთ ხანგრძლივი დროით. ღმერთს გაღებაში ვერ ვაჯობებთ.

დაფიქრება: რას ნიშნავს იესოს ნათქვამი „ვისაც თავისი სულის გადარჩენა სურს“? ამ მონაკვეთს მხოლოდ უკიდურესი შემთხვევის შუქზე განვიხილავ, როგორცაა მაგალითად, მონამებრივი სიკვდილი? ვითვალისწინებთ თუ არა ამ სიტყვებს ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღებისას? რა მოხდება, თუ გავითვალისწინებთ? როგორ შეცვლის ეს ჩემი ცხოვრების წესს?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, მომიტევე, რომ შევზღუდე შენი სიბრძნისადმი წყურვილი და მორჩილება საკუთარი სარგებლის მიღების მიზნით! ვინანიებ ამ აზროვნებას და პატიებას გთხოვ! ამ მომენტიდან ვირჩევ, რომ აღარ ვეცადო სიცოცხლის საკუთარი ძალებით გადარჩენა, არამედ გავილო იესოს გამო. ამრიგად, შენი სიბრძნისკენ სწრაფვა და მისი წყურვილი მექნება მაშინაც კი, როცა მეყსეულ სარგებელს არ მივიღებ. იესოს სახელით, ამინ!

აღიარება: არჩევანს ვაკეთებ, რომ საჭიროების დროს ჩემი სიცოცხლე მიფუძღვნა ჩემი უფლის, იესოს სურვილებისა და სიბრძნის აღსრულებას.

მორჩილების გარეშე ხსნის
დამკვიდრება შეუძლებელია,
რადგან ხსნა მორჩილების
გარეშე წინააღმდეგობრივ
განუხორციელებლობად
რჩება.

– ა. უ. ტოზერი

26 | სასიკეთო ტკივილი

მშობიარობა სასიძოვნო განცდა არ გახლავთ; ის რთული და მტკივნეულია. თუმცა პროცესის ბოლოს სასურველი ახალი ოჯახის ნვერი გვევლინება. ორსულობისა და მშობიარობის დისკომფორტის გარეშე ეს მშვენიერი ახალი სიცოცხლე არ ჩნდება. ეს თვალსაჩინოება ღვთის სიტყვაზე თრთოლის კიდევე ერთ ასპექტს ასახავს. პირველი სამი მანიშნებელი ამ ახალთან ერთად არის შემდეგი:

1. დაუყოვნებლივ დავემორჩილოთ ღმერთს
2. დავემორჩილოთ მაშინაც კი, როცა მითითება ჩვენთვის გაუგებარია.
3. დავემორჩილოთ ღმერთს, თუნდაც ამით არ გვექონდეს პირადი სარგებელი.
4. **დავემორჩილოთ ღმერთს, თუნდაც ეს მტკივნეული იყოს.**

დავუბრუნდეთ ერთ-ერთ საფუძველჩამყრელ მონაკვეთს, ფილიპელთა 2:12-13-ს, სადაც გვახსენებენ, რომ ხსნა შიშითა და ძრწოლით უნდა მოვიპოვოთ. ზუსტად ამ სიტყვების წინ არის *მორჩილებისკენ* მონოდება და პავლე ამის ნიმუშად იესოს გვისახავს. ჩვენმა უფალმა უარი თქვა ღვთიურ პრივილეგიებზე, „თავი დაიმდაბლა და *მორჩილი* გახდა სიკვდილამდე და თანაც, ჯვარცმით სიკვდილამდე“ (ფილ. 2:8). იესო საკუთარი

მოზიზება ღვთისა

ნებით დაემორჩილა ზეციერი მამის მოთხოვნას, თუმცა ეს წარმოუდგენელ ტანჯვას უკავშირდებოდა.

ჯვარცმის წინა ღამეს გეთესმანიის ბაღში შეჭირვებული იესო ღაღადებდა: „მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასამისი; თუმცა იყო არა ჩემი ნებისამებრ, არამედ შენი ნებისამებრ“ (მათ. 26:39). მორჩილებასა და თავის გადარჩენას შორის კონფლიქტი იმდენად ძლიერი იყო, რომ იესოს ოფლნარევი სისხლის წვეთები სდიოდა. გახსოვდეთ, რომ „ის ჩვენსავით გამოცდილია ყველაფერში, გარდა ცოდვისა“ (ებრ. 4:15). მან განჭვრიტა, რა საშინელი ტანჯვა ელოდა და ზეციერი მამის ნების შესრულების ალტერნატიულ გზას ეძებდა ლოცვაში, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. რა მოტივი აღძრავს ამ დონის მორჩილებას?

„მან ხორცში ყოფნის დღეებში ძლიერი ღაღადითა და ცრემლით შესწირა ლოცვა და ვედრება ... და შესმენილ იქნა მისი ღვთისმოშიშების გამო“. (ებრ. 5:7)

ღრმა და წმიდა შიშმა იგი გააძლიერა, რომ პირისპირ მდგარიყო და გაეძლო იმ განსაცდელისთვის, რომელსაც ადამიანური ბუნება გაუზრბის. ანალოგიურად გვეუბნებიან:

„ვინაიდან ქრისტე ჩვენთვის სხეულებრივად ეტანჯა, თქვენც განიმსჭვალეთ იმავე აზრით, რადგან, ვინც ხორცილად იტანჯება, ნყვეტს ცოდვის ჩადენას“. (1 პეტრ. 4:1)

სანამ წინ წავიდოდეთ, ნება მიბოძეთ, აქ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ჩავრთო. ცრუ რელიგია ტანჯვას ეძებს იმ ღმერთის სიამისთვის, რომელსაც ემსახურება. ნამდვილი ქრისტიანობა ღვთის მორჩილებას ესწრაფვის და ამ პროცესში დაცემული ქვეყნიერების წინააღმდეგობას აწყდება, რასაც ხშირად ტანჯვა მოყვება. ღმერთს მორჩილება აამებს და არა სირთულეები, რომელიც ადამიანს თავს ატყდება. ტანჯვა შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი; ორივე შემთხვევაში ტკივილი რეალურია.

პეტრე გვარიგებს, რომ განვიმსჭვალეთ ანუ შევიარაღდეთ. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რომ სამხედრო პირი ომში მიდის გემის, ტანკების, თოფების, ტყვიებისა და დანების გარეშე

– ერთი სიტყვით, შეუიარაღებელი? ამის გაფიქრებაც კი უაზრობაა. ანალოგიური სიბრიყვეა ტანჯვისთვის მოუმზადებელი მორწმუნის არსებობა, მაგრამ ასეთები მრავლად არიან. შეუიარაღებელი მორწმუნე ადვილად აუვლის გვერდს სიძნელეს, რომ თავი გადაირჩინოს. ჩვენი იარაღი ღვთის შიშია. ის ჩვენს ნებას მტკიცე გადანყვეტილებით აძლიერებს, რომ დავემორჩილოთ ღმერთს ნებისმიერ შემთხვევაში, რაც სახის ტანჯვაც არ უნდა გველოდეს.

უამრავი ამბის გაზიარება შემოძლია ტანჯვასთან დაკავშირებით, რომლებიც მთელ წიგნს გაავსებდა. ერთი მათგანი მსახურებრივ მოგზაურობას უკავშირდება ადრეულ 1990-იან წლებში. მე, ლიზა და ბავშვები ერთი პატარა მიკარგული ქალაქის ეკლესიაში ვიყავით მსახურების გასანევად, რომელმაც პასტორი დაკარგა. ეს ადამიანი უფრო დიდ ეკლესიაში გადავიდა. პირველი ორი შეხვედრა რთული გამოდგა. მრევლის დიდი ნაწილი გულგრილი ჩანდა, ხოლო უკანა რიგებში მსხდარი ახალგაზრდები ხუმრობდნენ და იცინოდნენ. და მაინც, მესამე შეკრებაზე ყინული გალღვა. მოხდენილი ზეგავლენა საფუძვლიანი იყო. ახლა უკვე ახალგაზრდებიც ადრე მოდიოდნენ, რომ წინა რიგები დაეკავებინათ. დამსწრეთა რიცხვი იზრდებოდა და შეკრებები კიდევ რამდენიმე კვირას გაგრძელდა. ერთმანეთს საღამოობით ვხვდებოდით ბოლომდე გავსებულ პატარა საეკლესიო შენობაში, სადაც ყოველთვის იყო რამდენიმე გადარჩენილი, ხოლო დანარჩენები სულიერ განახლებას იღებდნენ.

ბევრი ლოცვის შემდეგ მათ შევთავაზეთ, რომ კიდევ რამდენიმე თვეს დავრჩებოდით, სანამ ეკლესიას ახალი პასტორი ეყოლებოდა. აღმოჩნდა, რომ საბჭოს წევრებს დიდად არ გაუხარდათ თავიანთი გათვლილი ცხოვრების წესის დარღვევა და მოვლენების ჩვეულ მიმდინარეობაზე კონტროლის დანესება. გამაოგნებელი იყო მათი უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი, რომ ახალგაზრდები წინა რიგებს იკავებდნენ. სხვა ჩივილებიც ჰქონდათ, მაგრამ ჩამოსათვლელად არ ღირს. მოკლედ, გადანყვიტეს, რომ უარი ეთქვათ ჩვენს შემოთავაზებაზე და დავეთხოვეთ.

ამ საკითხზე კენჭისყრის საღამოს ეკლესიას გამოვუცხადე, რომ ჩვენი ბოლო შეხვედრა მომდევნო დღის ბოლოს შედგებოდა. ხალხის უმრავლესობას უკმაყოფილების შეძახილი აღმოხდა;

მოზიზება ღვთისა

მეტად დაძაბული, მშფოთვარე და უხერხული მომენტი შეიქმნა.

მეორე დღეს ეკლესიაში ერთმა უკმაყოფილო კაცმა დარეკა, რომლის ცოლიც ჩვენს შეხვედრებს ესწრებოდა და ბოლო მსახურებაზე შენობაში ბომბის აფეთქებით დაგვემუქრა. ამაზე მეცინებოდა, სანამ პოლიციელმა არ დაგვირეკა.

არც მჯეროდა, რომ ის კაცი ნათქვამს შეარულებდა, ამიტომ ვუთხარი:

– დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ მოხდება.

ოფიცერმა მიპასუხა:

– სერ, ამ ადამიანს ვიცნობ. ეჭვი გვაქვს, რომ ის მაღალი დონის ნარკობარონია და ამას არც დავუშვებდი, მითუმეტეს, თუ რამდენიმე ჭიქას დალევს კიდეც.

შეფიქრიანებულმა ვკითხე:

– შეგიძლიათ, რაიმე სახის დაცვა შემოგვთავაზოთ?

მისი პასუხი დაუფერებელი ჩანდა:

– ჩემი სადგური, რომელიც უახლოესია თქვენს პატარა ქალაქთან, ოცდათხუთმეტი მილით არის დაშორებული. საღამოს 8 საათზე ოფისიდან გავდივარ და ვერავინ შეძლებს თქვენამდე მოსვლას, რადგან შტატების ნაკლებობას განვიცდით.

ტელეფონი დაკვიდე, მაგრამ ძალიან შევშფოთდი. ჩემი გონება გაჰკიოდა, რომ დაუყოვნებლივ ჩამელაგებინა ნივთები და ქალაქიდან წავსულიყავი. იმ დროს ერთ-ერთი წევრის ორმაგი სიგანის ტრაილერში ვცხოვრობდით, რომელიც გარეთ მინდორში იდგა და სრულიად ღია იყო ნებისმიერი შეტევისთვის. დაუცველობისა და უარყოფის გრძნობა შემოგვანვა. სად უნდ წავსულიყავით იმ საღამოს? საეკლესიო საბჭომ არად ჩაგვაგდო; ქალაქი სასწრაფოდ უნდა დაგვეტოვებინა!

ვიცი, რომ ჩემი ფიქრები ეგოისტური იყო. გასული რამდენიმე კვირის მსახურებამ უამრავ ადამიანზე მოახდინა ზეგავლენა და თუ მათ ახლა ნაადრევად მივატოვებდით მუქარის გამო, ისევ ლიდერისგან უარყოფილად იგრძნობდნენ თავს. ისიც ვიცოდი, რომ ახლა გაქცევა კომპრომისზე წასვლის ნიმუშს აღბეჭდავდა ჩვენს ცხოვრებაზე და შესაძლოა, მისი გავლენა დიდხანს გაგვეყოლოდა. გონებაში გამუდმებით მიტრიალებდა აზრი: „დაქირავებული კი (რომელიც უბრალოდ საზღაურის გამო შრომობს) ... მოვარდნილი მგლის დანახვაზე ტოვებს ცხვარს და გარბის“ (იოან. 10:12).

საათების განმავლობაში ვლოცულობდით. გულში გამუდმებით მესმოდა წერილის მონაკვეთი, რომ ღვთის თანდასწრებაში რჩება ის, „ვინც დაიფიცებს - თუნდაც თავის საზიანოდ - და არ შეცვლის“ (ფს. 15:4). ბოლოს, ჩვენს შინაგანში სიმშვიდემ დაისადგურა. ვიგრძენით, რომ არაფერი გვემუქრებოდა. იმ საღამოს დიდებული მსახურება გვექონდა. არავითარი ბომბი არ აფეთქებულა და მრევლს სათანადოდ გამოვემშვიდობეთ.

დაცემულ ქვეყნიერებაზე ვცხოვრობთ, რომელიც ღვთის გზებს არა მარტო ეწინააღმდეგება, არამედ მტრულადაც არის განწყობილი. სწორედ ამიტომ გვეუბნებიან: „ვინაიდან ქრისტეს გულისთვის მარტო რწმენა კი არ მოგეცათ, არამედ ტანჯვაც მისთვის“ (ფილ. 1:29). მხოლოდ პავლე კი არა, პეტრეც წერს:

„ვინაიდან ამისათვის ხართ კიდევ მოწოდებულნი: ქრისტეც ხომ ეტანჯა თქვენთვის და ნიმუშიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ; რომელსაც არც ცოდვა ჩაუდენია და არც მზაკვრობა დასცდენია მის ბაგეს; რომელსაც ლანძღავდნენ და ლანძღვით არ უპასუხებდა, იტანჯებოდა და არ იმუქრებოდა, არამედ მიენდო სიმართლით განმკითხველს“. (1 პეტრ. 2:21-23)

შური არ უნდა ვიძიოთ, არამედ ღვთის ხელს გადავცეთ ყველა უსამართლო მოპყრობა ჩვენს მიმართ. არ უნდა უგულვებელყოთ ასეთი შემთხვევა და ლოცვაში მივიტანოთ უფლისთვის გადასაცემად. ღმერთი ყველას საზღაურს მიაგებს ჩვენს გამო, მაგრამ თავისი გზით და შესაფერის დროს.

სამეფოს გმირები დიდ გამარჯვებას იღებდნენ რწმენით და ღვთის მორჩილებით, თუმცა ზოგიერთ მათგანს დასცინოდნენ, ბორკავდნენ, აწამებდნენ, აბუჩად იგდებდნენ, აპატიმრებდნენ. ისინი უდაბურ ადგილებში დაეხეტებოდნენ, გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ და უამრავ უხერხულ და მტკივნეულ ვითარებაში ვარდებოდნენ. რატომ? ისინი დაცემულ ქვეყნიერებაზე ცხოვრობდნენ, რომელიც ცათა სამეფოს ემტერება (ებრ. 11:36-39). ყველა მათგანს ჰქონდა ერთი საერთო მახასიათებელი: წმიდა შიშის გამო უარს ამბობდნენ მორჩილების გზიდან გადახვევაზე, თუნდაც მათთვის საზიანო ყოფილიყო. ისინი მტკიცედ ეჭიდებოდნენ აღთქმას: „ცრემლით მთესველნი სიხარულის შეძახი-

მოზიზება ღვთისა

ლებით მოიმკიან. მიდის და ტირის თესლის მთესველი, მოდის და სიხარულის შეძახილებით მოაქვს თავისი ძნები“ (ფს. 126:5-6).

გათავისება

მონაკვეთი: უფლის შიში მტკიცე სიმაგრეა; თავშესაფარია იგი შენთვის და შენი შვილებისთვის. (იგ. 14:26)

თემა: უფლის შიში გვაიარალებს მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ღმერთს განსაცდელის საფრთხის წინაშეც დავემორჩილოთ.

დაფიქრება: ოდესმე გვერდი ავუარე ღვთის სიტყვის მორჩილებას იმისთვის, რომ თავი გადამერჩინა? მსურს მონანიება და უფლის მოშიშების მიღება? ვარჩევ თუ არა უფლის სიტყვის სიყვარულს და მორჩილებას, თუნდაც ეს ფინანსების, სოციალური ან უფრო მეტიც, ფიზიკური ზიანის ფასად დამიჯდეს?

ლოცვა: ძვირფასო უფალო, მომიტევე თავის დასაცავად შენი სიტყვის მორჩილებაზე უარის თქმის ჩვევა! ვაცნობიერებ, რომ უგუნურად მოვიქეცი – შენი დაცვა შეუცდომელი და ხანგრძლივია. ჩემი თავის დაცვა მხოლოდ დროებითია. ამ დროიდან მოყოლებული უფლის შიშს ვირჩევ; დაე, მან მომცეს მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ყველაფრის მიუხედავად დავემორჩილო! მადლობა ამ ძალისთვის, იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: ნმიდა შიშით ვარ შეიარალებული, რომ დავემორჩილო ღმერთს ამ პროცესში მოსალოდნელი ტანჯვის მიუხედავად. მას ვანდობ ჩემს სულს, ვინც სამართლიანი მსაჯულია.

**მოსწორე შენი ფეხის
ბილიკი და ყველა შენი
გზა განმტკიცდება**

– იგავები 4:26

27 | დასრულეპულია

ნება მომეცით, თავის დასაწყისშივე ერთი კითხვა დაგისვათ: შესაძლებელია თუ არა ნებისმიერი პროექტის სრული პოტენციალის გამოვლენა მისი დასრულების გარეშე? პასუხია ცალსახა „არა“. ჩვენს უფალს დიდი პროექტი აქვს წამოწყებული, რომელიც ორიენტირებულია ცათა სამეფოს მშენებლობაზე. მან თითოეულ ჩვენგანს ქვეპროექტებზე პასუხისმგებლობა დააკისრა, რომელთა დასრულების შემდეგ მის დიდებულ სამეფოზე შრომაც დამთავრდება.

მხედველობაში იქონიეთ ეს ჭეშმარიტება ახლა, როცა ღვთის სიტყვაზე თრთოლის ბოლო ასპექტზე გადავდივართ. აი, ისევე წარმოგიდგენთ პირველ ოთხს და ბოლოსაც დავურთავთ:

1. დაუყოვნებლივ დავემორჩილოთ ღმერთს.
2. დავემორჩილოთ მაშინაც კი, როცა მითითება ჩვენთვის გაუგებარია.
3. დავემორჩილოთ ღმერთს, თუნდაც ამით არ გვეკონდეს პირადი სარგებელი.
4. დავემორჩილოთ ღმერთს, თუნდაც ეს მტკივნეული იყოს.
5. **ღმერთს დასრულებამდე დაემორჩილე.**

ისრაელის მეფე საული იმ ადამიანის კლასიკური მაგალითია, რომელიც ღვთის სიტყვაზე არ თრთის. მან ადვილად გადაუხვია მორჩილების გზიდან, როცა ნაბრძანები მისთვის ალოგიკური იყო, სარგებელს არ მოელოდა ან მის მიზნებს არ შეესაბამებოდა. მასში წმიდა შიშის ნაკლებობა, ხშირად, ტკივილს აყენებდა ან

მოზიზება ღვთისა

აზიანებდა სხვა ადამიანებს, რაც ამგვარი ქცევისთვის დამახასიათებელია.

თუმცა ყოველთვის ასე არ ყოფილა. სანამ გვირგვინოსანი გახდებოდა, თავმდაბალი და ღვთისმოშიში ახალგაზრდა გახლდათ – ორი ერთმანეთის მხარდამხარ მიმავალი სათნოებით შემკული. როცა სამუელი, ცნობილი წინასწარმეტყველი ეძებდა მას, სწრაფად იკითხა: „რისთვის მომაქციე ყურადღება? ყველაზე მცირერიცხოვანი ტომიდან ვარ; ჩემი საგვარეულო კი უმცირესია ბენიამინის საგვარეულოთა შორის“ (1 სამ. 9:21, ავტორის პარაფრაზი). მოგვიანებით მთელი ისრაელი შეიკრიბა, რომ პირველი მეფის ვინაობა გაეგო. ხანგრძლივი პროცესის შედეგად ღვთიური არჩევანი საულზე მიდგა. წინამძღოლებმა უხმეს, მაგრამ ის არსად ჩანდა – მოფარებულ ადგილას დამალულიყო. მას არ ჰქონდა სურვილი, რომ ვინმეს ეცნო (1 სამ. 10:20-24).

აღმოჩნდა, რომ წმიდა შიში არ ყოფილა მისი საგანძური. სოლომონის მსგავსად დათმო ის წარმატების, სახელის და წინამძღოლობის სარგებლის გამო. წმიდა მოშიშების დაკარგვის საწყისი ნიშნები მეტად შეუმჩნეველია ბევრი ადამიანის შემთხვევაში საულის ჩათვლით. ეს პატარა საკითხებში მხილების უგულებელყოფით იწყება და შედეგად, სინდისის მგრძნობელობის თანდათანობით დაკარგვა მოსდევს. საბოლოოდ, მნიშვნელოვანი საკითხის წამოჭრისას ვერც კი ვხვდებით, რომ დაუმორჩილებლობის ჩვევა გამოვიმუშავეთ.

ასე იყო საულის საქმე. წმიდა შიშის დაკარგვის ნიშნები ზედაპირზე ამოდიოდა (1 სამ. 13:5-14), მაგრამ მზაკვრობა იმაში მდგომარეობდა, რომ ამავედროულად, დიდი წარმატებაც ხვდა წილად (1 სამ. 14:47).

გარკვეული დროის შემდეგ მეფემ ღვთიური მითითება მიიღო: „ახლა ნადი და დაეცი ყამალეკს და გაანადგურე ყველაფერი, რაც გააჩნია. ნუ დაზოგავ, მოკალი ყოველი მამაკაცი, დედაკაცი, ყრმა და ძუძუმწოვარი, ყოველი ხარი, კრავი, აქლემი და სახედარი“. (1 სამ. 15:3) უფალი მზად იყო ამ ერის ბოროტმოქმედებების გამო შურის საძიებლად.

საულმა 210 000 მეომარს მოუყარა თავი. მან და მისმა კაცებმა დახოცეს ყველა ადამიანი და შინაური ცხოველი, მაგრამ ყამალეკის მეფე ავაგი და ნასუქი საქონელი დაინდეს (1 სამ. 15:7-9).

მოდით, კარგად დავფიქრდეთ! ვინაიდან საულმა ამხელა

არმია შეკრიბა, ყამალეკელთა რაოდენობა, სულ მცირე, მეოთხედი მილიონი მაინც უნდა ყოფილიყო, ამრიგად, ისრაელმა 249 999 ადამიანი დახოცა. მეფემ დავალების 99.99 პროცენტი პირნათლად შეასრულა, მაგრამ მოისმინეთ ღვთის პასუხი ამ თითქმის სრულ მორჩილებაზე:

„ვნუხვარ, რომ გავამეფე საული, რადგან ზურგი მაქცია და არ გაჰყოლია ჩემს ბრძანებებს“. (1 სამ. 15:11)

სამუელმა ღვთის ნათქვამი მეფეს ამცნო და მის ქცევას პირდაპირ უწოდა ურჩობა (ამბოხება) (1 სამ. 15:23). ეჭვგარეშეა, რომ საულმა შესცოდა. მოდით, მცირე ხნით დავფიქრდეთ და ცოდვის რაობა განვიხილოთ. იოანე მოციქული ამბობს, რომ ცოდვა ურჯულოებაა (1 იოან. 3:4). მისი განმარტება ასეთი სახითაც გადმოიცემა: ცოდვა არის ღვთის ძალაუფლებისადმი დაუმორჩილებლობა. ახლა ამ საკითხს სხვა კუთხით შევხედოთ: ადამი ედემის ბაღში მეძავის საწოლში არ ჩამსტარა, არც ბანკი გაუძარცვავს ან ვინმე მოუკლავს. მან უბრალოდ არ დაუჯერა ღვთის სიტყვას. ზუსტად ასევე, საულმა ამჯობინა, რომ ღვთის მითითებას სრულად არ დამორჩილებოდა.

მოდით, საკითხს კიდევ უფრო ჩავუღრმავდეთ! როცა საულს ყამალეკთან ბრძოლის მითითება მიეცა, ფეხი არ დაუბაკუნებია და არ უთქვამს: „არ არსებობს! ამ საქმეს არ გავაკეთებ!“ უმრავლესობა ამ ქმედებას ამბოხებად ჩათვლიდა. მას ღვთის სიტყვა არ უარუყვია და პირადი საქმეების მოგვარებით არ დაკავებულა. ასე რომ ყოფილიყო, ბევრი ადამიანი დაასკვნინდა: „ის განსჯაში შეცდა და მორჩილება პრიორიტეტად არ აქცია“. თუმცა მათგან მცირენი თუ გამოიყენებდნენ სიტყვას „ამბოხება“.

ამრიგად, უმეტესობა დაადასტურებდა, რომ მან დავალების 99.99 პროცენტი შეასრულა, მაგრამ მის საქციელს ამბოხებას რამდენიმე ადამიანი თუ უწოდებდა. საულის ადგილას რომ ვყოფილიყავით და ზემოხსენებული მხილება მიგველო, რამდენი ჩვენგანი გააპროტესტებდა: „კარგი რა, ცოტა გონებას მოუხმეთ! რატომ ამახვილებთ ყურადღებას იმ მცირედზე, რაც არ გავაკეთე და არ აღიარებთ იმას, რასაც მივაღწიე“? ამის ფონზე თამამად შეგვიძლია, ვთქვათ: თითქმის სრული მორჩილება საერთოდ არ არის მორჩილება.

მოზიზება ღვთისა

მოდით, გამოვიკვლიოთ, თუ რატომ იქნა გამოყენებული ასე მკაცრი სიტყვები! პირველი, იმ დღეებში რომ გემეფათ და სხვა ერი დაგეპყროთ, სასახლეში მათი მეფის მოყვანა ომის ნადავლის ცოცხალი მონაბოძა იქნებოდა. ეს თქვენს ეგოს და სასახლეში მომსვლელ ყოველ ადამიანს მუდმივად შეახსენებდა თქვენი წინამძღოლობის სიდიადეს.

მეორე, რატომ დაინდეს საუკეთესო ცხვარ-ძროხა? სანამ პასუხს გავცემდეთ, მოცემულობა უფრო გავართულოთ. საულმა საუკეთესო საქონელი უფლისთვის შეწირვის მიზნით შეინახა. ყურადღება მიაქციეთ მის კონტრმეტრიცულულებას წინასწარმეტყველის მიმართ: „ხალხმა საუკეთესო ცხვარი და საქონელი დაზოგა, რომ უფალს, შენს ღმერთს შესწიროს. დანარჩენი კი გავანადგურეთ“ (სამ. 15:15). რატომ მოიქცა ასე? იქნებ ხალხის თვალში კეთილგანწყობის მოპოვება სურდა? ეს ის ერია, რომელიც უფალ ღმერთს აღიარებს. იფიქრეთ მეომრების, მღვდლებისა და ხალხის პოზიციიდან. ალბათ, ისინი ერთმანეთს ეტყოდნენ: „რა ღვთისმოსავი მეფე გვყავს! უფალს ყოველთვის პირველ ადგილზე აყენებს! მან უფლისთვის საუკეთესო დაზოგა!“ ისრაელმა არ იცოდა, რომ თავდაპირველი ბრძანება ყველაფრის განადგურება იყო. არსებითად, საულმა საკუთარ რეპუტაციაზე იზრუნა. მისი მოქმედების მიღმა ადამიანთა შიშის მოტივი იდგა. საული შინაგანად დაუცველი იყო.

დღევანდელ მსოფლიოში ბევრი ადამიანი თანაგრძნობით არის გამსჭვალული დაუცველთა მიმართ. და მაინც, ამის მიღმა დგას ჩვენი სურვილი, რომ მიღებული, შეყვარებული და პატივდებული ვიყოთ, თუნდაც დაუმორჩილებლობის ხარჯზე. ვერ ვაცნობიერებთ, რამდენად გვიღებს და ვუყვარვართ ჩვენს შემოქმედს. დაუცველობას თავისი რეალური სახელი უნდა ვუნოდოთ: სახიფათო მახე.

საულმა ბრძანება ბოლომდე არ მიიყვანა წმიდა შიშის ნაკლებობის გამო. მოდით, იესოს მაგალითს მივუბრუნდეთ! მან უარყოფა, სირცხვილი, სიძულვილი, სასტიკი წინააღმდეგობა, ფიზიკური სასჯელი და საშინელი ჯვარცმა აიტანა. როცა ტაძრის მცველები მის დასაპატიმრებლად მოვიდნენ, მონაფეები დაპირისპირებას და იესოს დაცვას შეეცადნენ, მაგრამ მისი პასუხი ასეთი იყო:

„იქნებ გგონია, რომ არ შემიძლია შევევედრო მამაჩემს და ახლავე გამომიგზავნოს ანგელოზთა თორმეტი ლეგიონი და უფრო მეტიც? მაშინ როგორღა აღსრულდება წერილი, რომ ეს უნდა მოხდეს?“ (მათ. 26:53-54)

იესოსთვის უპირატესი იყო მორჩილების ბოლომდე მიყვანა. უფროს კლასებში ჯერ კიდევ არ ვიყავი მორწმუნე, მაგრამ სპორტული დარბაზის გასახდელში პლაკატი ეკიდა, რომელიც ჩემს ყურადღებას მუდამ იპრობდა. მას კალათბურთის ვარჯიშის შემდეგ ყოველ შუადღეს ვხედავდი. სკამზე თავჩაქინდრული სპორტსმენი იჯდა და ამბობდა: „მე დავენებდი“. მისი გამოსახულების ქვემოთ იესოს ჯვარცმის სურათი იყო, სადაც იგი ამბობდა: „მე არ დავენებდი“.

ამან ნარეული შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, როგორც ურწმუნოზე. ჯერ კიდევ მაშინ მივხვდი, რომ იესოს შეეძლო სასტიკი მოპყრობა და მკაცრი სიკვდილი თავიდან აეშორებინა, მაგრამ იქამდე მორჩილება ამჯობინა, სანამ იტყოდა: „აღსრულდა“. ეს მეტად მნიშვნელოვანია. იესომ მაგალითი მოგვცა, როგორი უნდა იყოს სრული მორჩილება – ღვთისგან მონდობილის ბოლომდე მიყვანა.

ახლა უკვე გვესმის მისი მითითებები მოწაფეების მიმართ, როცა რწმენის მომატებას ევედრებოდნენ:

„ასევე თქვენც, ყველაფერს რომ გააკეთებთ, რაც ნაბრძანები გქონდათ, თქვით: უსარგებლო მონები ვართ, ვინაიდან ის გავაკეთეთ, რაც უნდა გავგვეკეთებინა“. (ლუკ. 17:10)

მისი სიტყვა „ყველაფერი“ სრულიად ახალ მნიშვნელობას იძენს. მოდით, ყოველთვის დავემორჩილოთ დასრულებამდე!

გათავისება

მონაკვეთი: „არასოდეს დანებდეთ! თვალი იესოს მიაპყარით, რომელმაც დაიწყო და დაასრულა სარბიელი, რომელსაც ჩვენც გავდივართ! ისწავლეთ, როგორ მოახერხა ეს! მას მზერა არ მოუშორებია მიზნისთვის, საიტკენაც მიდიოდა – მღელვარე დასასრულისკენ ღმერთში და ღმერთთან ერთად – და ამ გზაზე ყველაფერს იტანდა ... როცა რწმენაში მერყეობას შენიშნავთ საკუთარ თავს, ისევ გადაფურცლეთ მისი ამბავი და არც ერთი პუნქტი არ გამოგრჩეთ მის მიმართ წინააღმდეგობის გრძელ ჩამონათვალში. ეს დიდ სიმხნევეს მოუტანს თქვენს სამშენებელს! (ებრ. 12:2-3 MSG)

თემა: თითქმის სრული მორჩილება საერთოდ არ არის მორჩილება. იესომ მაგალითი მოგვცა, თუ როგორ დავემორჩილოთ ბოლომდე იმ საქმეში, რაც ღმერთმა მოგვანდო.

დაფიქრება: დავინყე ღვთის სიტყვის მორჩილება და შემდეგ გაფანტულობამ, სიამოვნების ძიებამ, წინააღმდეგობამ, სხვებისგან შენიშვნებმა ან სხვა ამგვარმა წინააღმდეგობამ შემაჩერა და საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე? როგორ შეიძლება ამის შეცვლა?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, მაპატიე, რომ დავინყე შენი ნათქვამის მორჩილება, მაგრამ არ დავასრულე მისი უგულებელყოფის ან აზრის შეცვლის გამო, რადგან ჩემთვის მომგებიანად არ ჩავთვალე! ვინანიებ წმიდა შიშის ნაკლებობას და პატიებას გთხოვ! იესოს სახელით, ამინ!

აღიარება: ვარჩევ ღვთის სიტყვის მორჩილებას დასრულებამდე.

როცა ადამიანები
ღვთისმოშიშებას კარგავენ,
უფლის მცნებებს უყოყმანოდ
არღვევენ. შედეგების შიში
შემაკავებელი არ არის იქ,
სადაც უფლის მოშიშება
აღარ არსებობს.

– ა. უ. ტოზერი

28 | როგორ ხდება სინდისის დადაღვა?

ნინა თავში აღვნიშნე, რომ წმიდა შიშის დაკარგვის საწყისი ნიშნები შეუმჩნეველია – იმდენად შეუმჩნეველი, რომ ამ მნიშვნელოვანი საკითხის უფრო მეტად განხილვა გვმართებს. განგიცდიათ მძაფრი სიფრთხილის შეგრძნება, როცა რალაც საეჭვო საქმის გაკეთების შესაძლებლობის წინ მდგარხართ? ბევრი ადამიანი ხვდება, რომ ეს ჩვენი სინდისია, მაგრამ ცოტა თუ აცნობიერებს, რომ მისი ხმის სიმკვეთრე და სიძლიერე შეიძლება შეიცვალოს.

სინდისი ღვთის საჩუქარია, რომელსაც ზედაპირულად არ უნდა მოვეპყროთ. ის ჩვენი გულის არსებითი ნაწილია. მის მგრძნობელობას განუხრელად აძლიერებს წმიდა შიში და პირიქით, აჩლუნგებს მისი ნაკლებობა. ჩვენ გვაფრთხილებენ: „ყველაფერზე მეტად დაიცავი შენი გული, რადგან მისგან მოედინებია სიცოცხლის წყაროები“ (იგ. 4:23).

ოცდაათს გადაბიჯებული ვიყავი, როცა ერთმა ცნობილმა მსახურმა სადილად დამპატიჟა. საუბრისას მან მკითხა:

– ჯონ, როგორ დავიცვა თავი დაცემისგან, რაც ბევრ სხვა მსახურს დაემართა?

საჭმელი კინალამ გადამცა. რატომ დამისვა ასეთი კითხვა? ის მსახურების იმაზე მეტ წელს ითვლიდა, ვიდრე მე ვიყავი

მოზიზება ღვთისა

ზეციდან შობილი. პასუხისგან თავი არ შემოიკავებია. შინაგანში ჩავიხედე და წყნარად ვიკითხე:

– ნმიდა სულო, რა ვუთხრა ამ ადამიანს?

თითქმის მაშინვე გავიგონე:

– უთხარი, რომ დაიცვას სინდისი, როგორც ყველაზე სასურველი ქონება.

ვუთხარი მოსმენილის შესახებ და მოულოდნელად, სამშენველიდან ასეთი სიტყვები წამოვიდა:

– დიდი შესაძლებლობები მოგეცემა, მაგრამ გულით მიხვდები, რომ ეს შენს სინრფელეს არღვევს, უპატიოსნო საქციელია და სხვებსაც ზიანს მიაყენებს. მოუსმინე სინდისს! ნუ უგულუბელყოფ მის გაფრთხილებას! თუ ამას არად ჩააგდებ, ღვთიურ მგრძნობელობას დაკარგავ.

მომდევნო დღეებში აღმოვაჩინე, რომ „სინდისი“ საკმაოდ ხშირად გვხვდება ნმიდა წერილში, რაც ადრე არ ვიცოდი. მარტო ახალ აღთქმაში, დაახლოებით, ოცდაათჯერ შემხვდა. პავლე ტიმოთეს წერს:

„გქონდეს რწმენა და კეთილი სინდისი, რაც ზოგიერთმა უარყო და, რამაც დაამსხვრია მათი რწმენის ხომალდი“.
(1 ტიმ. 1:19)

გემის მსხვრევა ჩვეულებრივი შემთხვევა როდია.

ასაკოვან მსახურთან სადილმა პავლეს განაცხადი სხვა თვალთ დამანახა. ეს ადასტურებს, თუ რატომ ვერ დაასრულა სარბიელი კარგად ზოგიერთმა ადამიანმა.

წერილის შეგონება სინდისის სინმიდეში „შენახვის“ შესახებ ნიშნავს, რომ თავიდან ის კარგ მდგომარეობაშია. იესოს სისხლი ჩვენს სინდისს წმენდს და ასუფთავებს (1 ტიმ. 3:9; ებრ. 9:9, 14). ეს ხელახლა შობის ერთ-ერთი დიდი სარგებელია. წინასწარმეტყველი იერემია ერთ მნიშვნელოვან განაცხადს აკეთებს ჩვენი სინდისის თაობაზე, რომელსაც ხშირად არასწორად იყენებენ. ის ამბობს: „ყველაფერზე ცბიერია გული და გაუკულმართებული; ვინ ჩასწვდება მას?“ (17:9). ის არ ელაპარაკება ზეციდან შობილ ადამიანებს, რომელთაც ახალი ბუნება აქვთ და იესოს მსგავსებაში არიან გარდაქმნილები. თუმცა ღმერთი მათ შეპირდა: „ჩაგიდგამთ ახალ გულს და

ახალ სულს ჩაგიდებთ; ქვის გულს მოგამორებთ სხელიდან და ხორცის გულს ჩაგიდგამთ“ (ეზეკ. 36:26). ეს მაშინ მოხდება, როცა იესო ჩვენს ბუნებას გამოისყიდის და მისას მოგვცემს.

ქრისტიეში სრულიად ახალ ქმნილებად გახდომის სასწაულმა სანდო სინდისი გვიბოძა. მთავარი სირთულე მის წმიდად შენახვაში მდგომარეობს. ახლა უნდა დავსვათ კითხვა: რით ვაუნმიდურებთ მას? სრული გახრწნა ერთ წუთში არ ხდება. უმრავლეს შემთხვევაში ის იწყება პატარა საკითხებით და საბოლოოდ, თუ ყურადღება არ მიექცა, გემის მსხვრევით სრულდება. იაკობი წერს:

„იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად“. (იაკ. 1:22)

ისევ მორჩილების კონცეფციის პირისპირ აღმოვჩნდით. დაწვრილებით ვიმსჯელებთ, რომ წმიდა შიშის არსებობა მეყსეული და სრული მორჩილებით დასტურდება, თუნდაც ჩვენთვის მისი აზრი გაუგებარი იყოს, სარგებელი არ მოჰქონდეს ან ტკივილი ახლდეს. თუ ადამიანი ამას ითვალისწინებს, თავს არ მოიტყუებს.

მოდით, შევჩერდეთ და დავრწმუნდეთ, რომ მისი ზეგავლენა არ გამოგვრჩენია. ნამდვილად შესაძლებელია ნაცნობების გაბრწყინება, მათ შორის, მეგობრების და ოჯახის წევრების, მაგრამ სულ სხვაა საკუთარი თავის მოტყუება. არსებითად, როცა დაუმორჩილებლობას ვიჩინებ, *საკუთარ თავს ვატყუებთ*. ამ დროს ქეშმარიტების დაცვას ვასუსტებთ და ზნეობრივი გზამკვლევის შეგრძნებას უგულვებლყოფთ. ველარ ვხვდებით, რომ საზიანო გზაზე ვდგავართ.

მოდით, პროცესის ჰიპოთეტური მაგალითი მოვიყვანოთ. ვინმეზე ცილისწამებით გილაპარაკიათ? როგორც კი ასე მოიქეცით, თითქოს შინაგანში დანის დარტყმა იგრძენით. ეს თქვენი სინდისის ხმაა. იმედია, მოისმინეთ, მოინანიეთ და მაშინვე შეასწორეთ ნათქვამი. თუმცა ხშირად ისე ხდება, რომ საკუთარ საქციელს ვამართლებთ. მომდევნო ფიქრს შეიძლება ასეთი სახე ჰქონდეს: *სწორად ვაზროვნებ!* სამწუხაროდ, ჩვენი მცდარი არგუმენტი სხვა დანარჩენზე აღმატებულობს და წარმოთქმულ განაცხადს ვეჭიდებით შინაგანი გაფრთხილების

მოზიზება ღვთისა

უგულეებელყოფის ფონზე. ახლა უკვე გამხრწნელი პროცესი იწყება. ჩვენი სინდისის მგრძობელობა სუსტდება.

როცა კიდევ ერთხელ გავჭორავთ სხვა ადამიანს, დანის ჩარტყმას ველარ ვგრძობთ; ახლა შინაგანში გვარიანი ჩქმეტის შეგრძნება გვაქვს. ჩვენმა სინდისმა ისე დაილაპარაკა, მაგრამ ნაკლებად ამოსაცნობი ხმით. ამჯერად შინაგანი კონფლიქტი ნაკლებად ინტენსიურია. უფრო ადვილია გაფრთხილების უკუგდება და საკუთარი სიტყვების გამართლება. თუმცა გული კიდევ უფრო გაიხრწნა და სინდისის მგრძობელობაც შესუსტდა.

როცა კიდევ ვილაპარაკებთ ვინმეს საწინააღმდეგოდ, აღარც ჩქმეტას ვიგრძობთ. რაღაც უბრალო ჩხვლეტა ძნელად აღსაქმელია. დიდი ძალისხმევა აღარ გვჭირდება საკუთარი თავის დასარწმუნებლად, რადგან სინდისის ხმა მეტისმეტად მინავლებულია. ახლა ადვილი ხდება ჩვენი საქციელის გამართლება. სინდისის მგრძობელობა კიდევ უფრო შემცირდა.

ბოლოს, სინდისის შეგრძნებას ვკარგავთ. ის უკვე დამწვარია. წინა გაფრთხილებების მიმართ სიბრმავე გამოვიჩინეთ და ახლა გარჩევის უნარი დაკარგული გვაქვს. ზნეობრივი გზამკვლევი აღარ მუშაობს და რწმენის გემის მსხვრევა გარდაუვალი ხდება. არსებითად, თავი მოვიტყუეთ და ვაცდუნეთ.

ამ ყველაფრის თავიდან აცილება მარტივი მონანიებით შეიძლება, რაც არის გონებისა და გულის სრული შეცვლა. ეს მაშინ ხდება, როცა საკუთარი გონიერების ამოებას ვალიარებთ და მტკიცედ ვიღებთ ღვთიურ სიბრძნეს. „ვინც თავის დანაშაულს მალავს, წარმატება არ ექნება, მათი მალიარებელი და მიმტოვებელი კი წყალობას ჰპოვებს“ (იგ. 28:13).

წყალობა და აღდგენა პროცესის ნებისმიერ საფეხურზე მოდის, მაგრამ წმიდა შიშის ნაკლებობა ჩვენს გამომხაურებას აყოვნებს. რისკზე მივდივართ, რადგან ჩვენი გული სულ უფრო მეტად კარგავს სინდისის მხილებისადმი მგრძობელობას.

ბრძენი ადამიანი ყოველთვის სწრაფია სინდისის მხილების საფუძველზე მონანიებაში. მან იცის, რომ დაყოვნება საფრთხის მომცველია.

მრავალი ფერხდება სინდისის ხმის მოსმენაში და ამის მაგალითები გვაქვს როგორც წმიდა წერილში, ისე თანამედროვეობაში. ეს რუსული რულეტის თამაშს ჰგავს. ჯერჯერობით გემის მსხვრევა აირიდეთ, მაგრამ რა იცით, როდის გამოგე-

პარათ სინდისის ხმა? უკვე აღარ გესმით: „თუ ამჯერადაც უგულებელმყოფ, სულ გავრჩემდები.“ პავლე გოდებს:

„ხოლო სული გარკვევით ამბობს, რომ უკანასკნელ დღეებში ზოგიერთები განდგებიან რწმენისგან, დაუჯერებენ მაცდურ სულებს და ეშმაკთა მოძღვრებებს, ცრუმეტყველთა თვალთმაქცობით, რომელთა სინდისიც დადალულია“. (1 ტიმ. 4:1-2)

ადამიანის კანი, რომელსაც რკინით ამოშანთავენ, ყოველგვარ მგრძობელობას კარგავს. იგივე ხდება ჩვენი სინდისის შემთხვევაშიც. ახლა უკვე ჩვენი თავის პროექტირებას ვახდენთ იმის სანინაალმდეგოდ, რასაც სინამდვილეში წარმოვადგენთ ყოველგვარი მტკიცების გარეშე. სწორედ ეს დაემართა ანანიას, საფირას, მეფე საულსა და ბევრ სხვას.

დადალვის კიდევ ერთი შედეგია საგნების შიგნით ჩაკეცვა. თუ ხორცს დადალავთ, წვენი გარეთ აღარ გამოვა. პავლე წერს: „ჭეშმარიტებას ვლაპარაკობ ქრისტეში, არ ვცრუობ, ჩემი სინდისი მიმონმებს სულიწმიდაში“ (რომ. 9:1). თუ მორწმუნემ სინდისი დადალა, ველარ შეძლებს სულიწმიდასთან კომუნიკაციას. მისი მოწმობა ჩვენს სამშვივნელს აღარ ეხება და არაფრით განსხვავდება ხორცში მომწყვდეული წვენისგან. ასეთი ადამიანები ცხოვრებისეული გზამკვლევის გარეშე რჩებიან. მათი გზა ნგრევისკენ მიექანება.

და ბოლოს, მოისმინეთ პავლეს რამდენიმე განაცხადი: „ძმანო, ყოველივეში კეთილი სინდისით ვმოქალაქეობდი ღვთის წინაშე დღემდე“ (საქმ. 23:1). კიდევ ერთი: „ ამიტომ ვცდილობ ყოველთვის, ყველაფერში უმნიკვლო სინდისით ვიყო ღვთისა და კაცთა წინაშე“ (საქმ. 24:16). დასკვნის სახით, მოდით ბევრთად დავიცვათ ჩვენი გულები.

გათავისება

მონაკვეთი: მივუახლოვდეთ მას მართალი გულებით და სრული რწმენით, ბოროტი სინდისისგან სხურებით გულგანმედილნი და სუფთა წყლით სხეულგანბანილნი. (ებრ. 10:22)

თემა: ჩვენი სინდისის სიმკვეთრე და ძალა შეიძლება შეიცვალოს. სულიერ მგრძნობელობას წმიდა შიში აძლიერებს და პირიქით, მისი ნაკლებობა აჩლუნგებს.

დაფიქრება: ჩვენი სინდისი იესო ქრისტეს სისხლით იწმინდება. რა სულიერი დისციპლინა გამოვიყენო ჩემი სინდისის სინმიდის შესანარჩუნებლად?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, პატიებას გთხოვ იმ დროისთვის, როცა სინდისის ხმას არ ვუსმენდი და მის საწინააღმდეგოდ მივდიოდი! ვწუხვარ, რომ გულმოდგინედ არ ვუფრთხილდებოდი მას! ვინანიებ და პატიებას გთხოვ! გამწმინდე იესოს სისხლით! აღადგინე ჩემში წმიდა სინდისი, რომელიც შენი ხმისა და წინამძღოლობის მიმართ მგრძნობიარე იქნება! დაე, სწრაფი ვიყო ყველაფერში დასამორჩილებლად! იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: ჩემს გულს გულმოდგინედ დავიცავ და სინდისის ხმისა და წინამძღოლობის მიმართ მგრძნობიარე ვიქნები.

ღმერთთან სიასულოვე

კვირა 5

ღვთის ხმის პირადად
მოსმენისთვის უფრო
გადავიხდი ფასს, რაც არ
უნდა რთული იყოს ეს, ვიდრე
მის შესახებ ყოველთვის
მეორე პირისგან მოსმენით
დავკმაყოფილდე.

– ჯოი დოუსონი

29 | სად იწყება სიახლოვე?

ჩვენში წმიდა შიში ღვთის ღიდების გაცნობიერებით იზრდება, მოტივებს წმენდს, ადამიანის შიშისგან გვათავისუფლებს და ნამდვილ სინმიდეს წარმოშობს. წმიდა შიშის გამოვლინება გახლავთ ღვთის მეყსეული და სრული მორჩილება და მნიშვნელობა არ აქვს, მის მითითებაში ლოგიკურ აზრს ვხედავთ, სარგებელს ველით ან მტკივნეულია თუ არა.

ამ ცოდნით შეიარაღებულები მივუბრუნდეთ მის სარგებელზე მსჯელობას და ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რაც მართლაც უდიდესი მოგებაა: ღმერთთან სიახლოვე.

სიტყვა *სიახლოვე* ანუ ინგლისური *ინტიმურობა* მომდინარეობს ორი ლათინური სიტყვიდან: *ინტუს*, რაც ნიშნავს „შიგნით“ და *ინტიმუს*, რაც არის, „ძალზე საიდუმლო“.¹ ამ ორის გაერთიანებით მივიღებთ „შინაგან საიდუმლოებას“. ეს სიტყვა *ინტიმურობის* ძალიან კარგ სურათს წარმოგვიდგენს და ახლო მეგობრებს შორის უბრალო ნაცნობობაზე უფრო ღრმა ურთიერთობას ასახავს.

ამგვარი სიახლოვე ორმხრივია. ორივემ უნდა იცოდეს ერთმანეთის იღუმალი სურვილები და ფიქრები. ღმერთთან სიახლოვის თვალსაზრისით გადავხედოთ როგორც მის, ისე ჩვენს თვალთახედვას და მისით დავინყოთ. დავითი წერს:

„უფალო, შენ გამომიკვლიე და მიცნობ“. (ფს. 139:1)

მოზივება ღვთისა

გამომიკვლიე გახლავთ ებრაული ჰაქარ, რაც „გამოძიებას, ძიებას“ ნიშნავს. ეს სრულყოფილად აღწერს პიროვნებასთან ძალზე ახლო ურთიერთობაში შესვლის საწყისს. ადამიანს მოცემული აქვს დრო და ძალისხმევა, რომ სხვა პიროვნების შინაგანი ფიქრები და გზები გამოიკვლიოს, რაც ტვირთი კი არა, მისთვის სასიამოვნო რამ არის.

მე ძალიან მახარებდა ეს საქმიანობა ლიზასთან ქორწინებაში. პირველ ხანებში ბევრი არაფერი ვიცოდი მისი მისწრაფებებისა და სურვილების შესახებ – რა მოსწონდა, რას ანიჭებდა უპირატესობას ან თუნდაც, რა ეზიზღებოდა? ამის კვლევას დრო დასჭირდა – რასაც სიამოვნებით ვაკეთებდი, რომ გამეგო მისი შინაგანი ზრახვები და გზები. მარტივად რომ ვთქვათ, მეუღლის ახლოს გაცნობას გონებრივი, ემოციური და ფიზიკური ძალისხმევა სჭირდება.

ჩვენთვის საინტერესო კიდევ ერთი სიტყვა ზემოხსენებული მუხლიდან გახლავთ ცოდნა. ეს არის ებრაული იადა. ძველ აღთქმაში ის ყველაზე ხშირად არის გამოყენებული ინტიმურობის აღსაწერად. დაბ. 4:1-ში ვკითხულობთ: „შეიცნო ადამმა ევა, თავისი ცოლი. დაორსულდა ევა“. სულიწმიდა იადას იყენებს ყველაზე ახლო ურთიერთობის აღსაწერად, როგორც კი ორ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს. არსებითად, დავითი ამბობს: „უფალო, შენ ძირფესვიანად მიცნობ“.

დავითი იყენებს ორივე სიტყვას – ჰაქარ და იადა, რომ ცოცხალი წარმოდგენა შეგვიქმნას, თუ როგორ ეძებს და იკვლევს ღმერთი იმ ადამიანთა შინაგან სურვილებსა და გზებს, რომლებთან სიახლოვეც სურს. კიდევ ვიმეორებ, რომ ჩემი და ლიზას ურთიერთობიდან გამომდინარე, ერთად გატარებული წლების შემდეგ მასზე გაცილებით მეტი ვიცი. არა მარტო ხსენებული ფარული სურვილები გავიგე, არამედ მისი ყოველდღიური ჩვევებიც, თუ როგორი რეაქცია აქვს გარკვეულ ვითარებაში, რის კეთება სიამოვნებს თავისუფალ დროს, რაზე მუშაობა უყვარს და ასე შემდეგ. ზუსტად ამდაგვარად განმარტავს დავითიც:

„იცი, როდის ვჯდები და ვდგები; შორიდანვე ხედები ჩემს ფიქრებს. დავდივარ თუ ვისვენებ, ჩემ გვერდით ხარ; გამოკვლეული გაქვს ყველა გზა ჩემი. ჯერ ენაზეც არ მომდგომია სიტყვა, აჰა, უკვე სრულად იცის უფალმა“.
(ფს. 139:2-4)

წარმოსახვას სცილდება ჩვენი შინაგანი დეტალების ღვთიური ცოდნა. ჰაქარ-ის მეშვეობით ღმერთი გაისარჯა, რომ დავითის შინაგანი ეძია და გამოეკვლია. იგივეს აკეთებს ნებისმიერი ჩვენგანის შემთხვევაშიც – რაც ღიზასთან ორმოცწლიანი ქორწინების განმავლობაში გავაკეთე, მაგრამ გაცილებით მაღალ დონეზე. ფაქტობრივად, რამდენიმე მუხლის შემდეგ საოცარ განაცხადს ვხვდებით, რომ ღვთის ფიქრები თითოეული ჩვენგანის მიმართ ქვიშაზე უმრავლესია (მ. 18). ღიზას მოსაწონ თუ საძულველ საგნებსა და მისთვის დამახასიათებელ მანერულობაზე ყოველ თორმეტ წაში ერთხელ რომ მეფიქრა მთელი ამ ორმოცი წლის მანძილზე და ყოველი ასეთი ფიქრის შესაბამისად ქვიშის ერთი მარცვალი გადამედო, ალბათ, ერთი ფეხსაცმლის ყუთსაც ვერ გავავსებდი! ღვთის ფიქრები ჩვენს მიმართ მთელი პლანეტის ქვიშის მარცვლებს აღემატება და ის არ აზვიადებს, თორემ ეს ტყუილი იქნებოდა, ღმერთი კი არასოდეს ტყუის. ეს ფაქტი გამაოგნებელია! ახლა წვდებით მისი დაშურების მასშტაბებს, როგორითაც ჩვენ შესახებ ყველაფრის ცოდნა სურს?

მას გულით უნდა ჩვენთან ძალზე ახლოს ყოფნა. ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ნამდვილი სიახლოვე ორივე მხრიდან წარმოიშობა და არა მხოლოდ ერთისგან. როგორც თავად იკვლევს ჩვენს შინაგან ზრახვებს, ჩვენც იგივე ენთუზიაზმით უნდა ვცდილობდეთ მასთან დაახლოებას. მოსეს ამ დონის ურთიერთობა სწადია და შესძახის:

„უთხრა მოსემ უფალს: „აჰა, მეუბნები, წარუძეხიო ამ ხალხს, მაგრამ არ გაგიმხელია, ვის აგზავნი ჩემთან ერთად; აკი მითხარი, სახელით გიცნობ და ნაპოვნი გაქვსო მაღლი ჩემს თვალში. თუ ვპოვე მაღლი შენს თვალში, გემუდარები, მაუნყე შენი გზები, რათა შეგიცნო და ვპოვო მაღლი შენს თვალში; აჰა, გაითვალისწინე, რომ შენი ერია ეს ხალხი“.
(გამ. 33:12-13).

ღმერთი არ გვიცნობს, როგორც გარკვეული ოდენობისგან შემდგარ ადამიანთა მასას; ის პირადად და სახელით იცნობს ყველა ჩვენგანს. ზემომოყვანილ მუხლში ვხედავთ, რომ მოსეს თავადაც იგივე სურვილი აქვს და ღვთის შეცნობას უფრო მეტად

მოშიშება ღვთისა

ესწრაფვის. მას ახლო ურთიერთობის დამყარება უნდა, როცა თავადაც ისე საფუძვლიანად გაიცნობს ღმერთს, როგორც ღმერთი იცნობს მას. რას ვიტყვით ჩვენს შესახებ? წერილი გვეუბნება: „ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ“ (იაკ. 4:8).

ამ მსჯელობიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ახლა გესმით მონოღება – არა, უფრო მეტიც, ღვთის გულიდან წამოსული ძახილი და ის ყოველ წუთს ძლიერდება. „რატომ რჩები ასე შორეული, როცა ჩემთან დაახლოება შეგიძლია?“ არსებითად, წერილი გვანვდის ინფორმაციას, რომ ღმერთთან სიახლოვის დონეს თავად განვსაზღვრავთ. ნება მომეცით, ეს აზრი უფრო მარტივად გამოვხატო: შენ განსაზღვრავ, რამდენად ახლოს იქნები ღმერთთან და არა თავად ღმერთი! მაშ, რა როლს ასრულებს ამ საქმეში უფლის მოშიშება? ჩვენ გვეუბნებიან:

„უფლის შიში ცოდნის სათავეა“. (იგ. 1:7)

რის ცოდნის? ავტორის მიერ ნახსენები ცოდნა სამედიცინოა, მეცნიერული, ისტორიული თუ რაიმე სხვა სახის კვლევას ემსახურება? ბევრი ჩვენი უნივერსიტეტი სავსეა ამგვარი ცოდნით, მაგრამ მათ მაინც არაფერი იციან ღვთის შიშზე ან საერთოდ არ აქვთ. იგულისხმება თუ არა სოციალური ან პოლიტიკური ცოდნა? არა, ქვეყნიერების გზები სიბრწყევა ღვთის თვალში. იქნებ ეს ბიბლიის ცოდნაა? სრულებითაც არა, რადგან ფარისევლები წერილის ექსპერტები იყვნენ, მაგრამ ღვთის შიში არ ჰქონდათ და მის თვალში მოსაწონი არ იყვნენ. ჩვენთვის საჭირო პასუხი შემდეგ მუხლშია მოცემული:

„ჩანვდები უფლის მოშიშებას და ღვთის შემეცნებას მოიპოვებ“. (იგ. 2:5)

სიტყვა შემეცნება ბიბლიური ენების ლექსიკონში შემდეგნაირად განიმარტება: „ინფორმაცია პიროვნებაზე, სადაც მკვეთრად ხაზგასმულია მასთან ურთიერთობა“. *Vines Complete Expository Dictionary*-ის თანახმად, შემეცნება ნიშნავს „ახლო ურთიერთობით და გამოცდილებით მიღებულ ცოდნას ღვთის შესახებ“. მარტივად ვთქვათ, თუ რა დაპირება გვაქვს: უფლის შიში მასთან ძალზე ახლო ურთიერთობის დასაწყისია.

ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ღვთისმოშიშების გარეშე არც კი დაგვიწყია მისი ახლოს გაცნობა – ეს გახლავთ სანყისი წერტილი. თუ რაიმე საქმეს სანყისი პუნქტის გარეშე დაადგებით, ბოლომდე ვერ გახვალთ. თუ 100-მეტრიან რბოლას სანყისი პოზიციიდან 50 მეტრის დაშორებით დავიწყებ, მასში მონაწილეობას ვერ მივიღებ ან ვერ დავასრულებ. ეს არაფრით განსხვავდება ღმერთთან ჩვენი ურთიერთობისგან. წმიდა შიშის გარეშე შეუძლებელი იქნება მისი შეცნობა. მაღლობა, რომ მასთან დაახლოების გზა გვაჩვენა, მაგრამ დავადგებით მას?!

გახსოვდეთ, რომ უფლის შიშით ბოროტს ანუ ურჯულოებას ავერდიებით. ამ ცოდნით შეიარაღებულებმა განვიხილოთ იესოს წინასწარი ნათქვამი ადამიანთა დიდ ჯგუფზე, რომლებიც სამსჯავროს დღეს გაოგნებული დარჩებიან. ეს მამაკაცები და ქალები იესოს უფალს უწოდებენ, მაგრამ მისგან შემდეგ სიტყვებს გაიგონებენ: „არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა“ (მათ. 7:23). აქ ცოდნის აღნიშვნელი სიტყვა გახლავთ გინოსკო; ეს არის იადას ბერძნული შესატყვისი. იესო წმიდა მოშიშების არმქონე ადამიანებს ეუბნება: „ახლოს არასოდეს გიცნობდით“. აქედან მნიშვნელოვანი საკითხი წარმოდგება, რომელსაც მომდევნო თავში განვიხილავთ.

გათავისება

მონაკვეთი: შენ უთხარი ჩემს გულს: ეძიეთ ჩემი სახე! შენს სახეს მოვძებნი, უფალო! (ფს. 27:8)

თემა: ნამდვილი სიახლოვე ორივე მხრიდან ერთმანეთის შეცნობით წარმოიშობა და არა მხოლოდ ერთისგან.

დაფიქრება: იფიქრეთ თქვენთვის საყვარელ ადამიანზე. რამდენად კარგად იცნობთ მის ფიქრებს ან გრძნობებს ყოველგვარი სიტყვების გარეშე? რამდენად შეგიძლიათ მისი რეაქციის გამოცნობა სხვადასხვა ვითარებაში? ამ საკითხში დაბრკოლდით თუ დრო დაგჭირდათ ახლო მეგობრის გზების გამოსაკვლევად ან მათზე დასაფიქრებლად? ახლა გაიაზრეთ, რომ ღვთის ფიქრები თქვენზე აღურაცხელია. რას გეუბნებათ ეს ფაქტი? რა მოხდება, როცა ღვთის გულსა და გზებს თქვენი ახლო მეგობრისაზე მეტად ჩაუკვირდებით და გამოიკვლევთ?

ლოცვა: ძვირფასო უფალო, გავაცნობიერე, რომ უგულბებელყავი უდიდესი მოწვევა, რომელიც კი ოდესმე მიმიღია – შენთან სიახლოვის მოპატიჟება! რამდენ საგანს მივეცი ამ გზაზე სიარულის დაბრკოლების უფლება, როცა შემეძლო ჩვენი სიახლოვე განმეფითარებინა. სიხარულით ვაკეთებ ცვლილების არჩევანს. როცა ბიბლიას გადავშლი წასაკითხად, ლოცვისა და დაფიქრებისთვის, გამაცანი შენი თავი ღრმა და ინტიმურ დონეზე! ამას გთხოვ იესოს სახელით, ამინ!

აღიარება: ვარჩევ იესოს შეცნობას ისე საფუძვლიანად, როგორადაც მან არჩია ჩემი შეცნობა.

არის გზა, რომელიც
სწორი ჩანს კაცის
წინაშე, მისი ბოლო
კი სიკვდილია.

– იგ. 16:25

30 | სხვა იესო

ხშირად, საკითხში გასარკვევად უმჯობესია მისი ანტითეზის შესწავლა. ამრიგად, სანამ ღმერთთან სიახლოვეზე მსჯელობას გავაგრძელებთ, თავდაპირველად, მისი საწინააღმდეგო მხარე განვიხილოთ, რომელსაც ქვემოთმოყვანილი ისტორია თვალსაჩინოდ გადმოსცემს.

ის-ის იყო ჰავაიში ჩავფრინდი ლიდერთა კონფერენციაზე სიტყვით გამოსასვლელად. ჩემი სასტუმროს ნომერი ჯერ მზად არ იყო, ამიტომ აუზთან ქოლგის ქვეშ ადგილი მოვნახე, რომ ცოტათი დამესვენა. ისე მოხდა, რომ ერთი საქმინი ქალი, რომელიც ასევე კონფერენციისთვის ჩამოსულიყო, თავის ნომერს ელოდებოდა. საუბარი წამოვიწყეთ და როცა გაიგო, რომ ქრისტიანი ავტორი და მსახური ვიყავი, დეტალურად მომიყვა იესოსთან მისი ურთიერთობის შესახებ.

რამდენიმე წუთი დამჭირდა იმის გასარკვევად, რომ ქალი საერთოდ არ იცნობდა იესოს. ის გამუდმებით ამტკიცებდა თავისი რწმენის შესახებ, მაგრამ მისი ნათქვამიდან ცოტა რამ თუ შეესაბამებოდა წმიდა წერილს. სულიწმიდას ჩუმად ვთხოვე სიბრძნე და მისგან სწრაფად მოვისმინე, რაც უნდა მეპასუხა.

როცა ქალმა ლაპარაკი დაასრულა, ვკითხვე:

– ხედავთ იმ კაცს აუზის მეორე მხარეს?

მას სახეზე გაკვირვება აღებეჭდა (სავარაუდოდ, ლაპარაკის თემის უცაბედი შეცვლის გამო) და მიპასუხა:

– რატომ? დიახ!

მე მხიარულად გავაგრძელე:

მოზიზება ღვთისა

– მას ჯიმი ჰქვია და ფრესნოდან არის, კალიფორნიის შტატიდან. ის მკაცრ ვეგანურ დიეტას იცავს. შეერთებული შტატების წყლის პოლოს ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრაზე ოცნებობს. მისი ჰობია პიკლბოლი, პარაშუტიდან ხტომა და ფერწერა. ჯიმი დაქორწინებულია აი, იმ ქალზე, რომელიც ჯაკუზთან არის. ბეთი ჰქვია და ათი წლით მასზე უმცროსია.

ქალს გაუკვირდა, რომ ჯიმს ასე კარგად ვიცნობდი და მკითხა:

– ისიც თქვენი კონფერენციის სტუმარია?

მე სწრაფად მივუგე:

– არა, მემ.

ქალი კიდევ უფრო გაოცდა.

– მაშ, საიდან იცნობთ ჯიმს ასე კარგად?

შემოვბრუნდი, თვალი გავუსწორე და განვაცხადე:

– მას არასოდეს შევხვედრივარ!

ქალს სახე შეეცვალა და ფრთხილი, შესაძლოა, აფორიაქებული მზერა მომაპყრო. ალბათ, ფიქრობდა, რომ მდევარი, კერძო დეტექტივი ან სულაც, სამთავრობო აგენტი ვიყავი.

მცირე ხნით გონზე მოსვლა ვაცადე და გაბედულად ვუთხარი:

– დარწმუნებული ვარ, რომ ჯიმი სწორედ ისეთია, როგორც ვფიქრობ!

ქალს ენა ჩაუვარდა.

მე გავაგრძელე:

– ახლახანს სრული დაჯერებით მესაუბრეთ თქვენს რწმენაზე, თუ ვინ არის იესო ქრისტე, მაგრამ რაც მასზე თქვით, თითქმის ყველაფერი სიცრუეა და ბიბლიის სწავლებას ეწინააღმდეგება. ეს კარგად ვიცი, რადგან მას ვიცნობ.

ჩვენი დიალოგი მისი გადანყვეტილებით შეწყდა, მაგრამ გვარიანად შეძრწუნებული კი ჩანდა.

პავლე მოციქული საოცარ განცხადებას აკეთებს მისთვის საყვარელი ეკლესიისადმი მიწერილ წერილში: „სიხარულით იწყნარებთ მათ, რომლებიც მოდიან და გიქადაგებენ სხვა იესოს“ (2 კორ. 11:4). მას არ უხსენებია სხვა ღმერთი, არამედ სხვა იესო. ცხადია, მათ იესო სწამდათ, მაგრამ არ იცნობდნენ. რატომ? მათ ის დაიჯერეს, რაც მოსწონდათ და შედეგად, ნამდვილ იესოს გაუუცხოვდნენ. ამის გაკეთება ძნელი როდია; უფალი უხილავია და მისი ბუნების შეცვლა თქვენი გემოვნების მიხედვით შეგიძლიათ. ისრაელის შვილები სწორედ ასე

იქცეოდნენ. ეგვიპტიდან გამოსვლა ქვეყნიერებიდან დახსნის პროტოტიპია. ჩვენ ვკითხულობთ: „ყველანი სვამდნენ ერთსა და იმავე სულიერ სასმელს, ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლდიდან, რომელიც თან დაჰყვებოდა მათ; ხოლო ის კლდე იყო ქრისტე. მაგრამ მათგან უმრავლესობა როდი მოიწონა ღმერთმა“ (1 კორ. 10:4-5). ღვთის უკმაყოფილების უამრავი მიზეზი არსებობს, მაგრამ ყველაფერი ერთ მთავარ პრობლემამდე დადის: ღვთის სიტყვისადმი ურჩობა – *წმიდა შიშის ნაკლებობა*.

როცა მოსე მთაზე იმყოფებოდა ორმოცი დღის მანძილზე, ისრაელის ადგილზე დარჩენილმა ლიდერმა, აჰარონმა ოქროს ხბო ჩამოასხა. ჩვენ ვუყურებთ ამ სურათს და შევძახით: „ეს ხომ კერპთაყვანისცემაა!“ მართალია! თუმცა ბევრი არ აკვირდება, რომ აჰარონმა და ხალხმა იმ ხბოს *ელოჰიმ* უწოდა. ეს სიტყვა 2606-ჯერ არის ნახსენები ძველ აღთქმაში. შეიძლება ზოგჯერ ის ცრუ ღმერთსაც აღნიშნავდეს, მაგრამ ათიდან ცხრა შემთხვევაში *იაჰვე* – ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი იგულისხმება. მაგალითად, დაბადების წიგნის პირველ თავში სიტყვა ოცდათორმეტჯერ გვხვდება. ბიბლიის პირველივე მუხლში ვკითხულობთ: „დასაწყისში ღმერთმა (*ელოჰიმმა*) შექმნა ცანი და მიწა“.

ადვილად შეგვიძლია დავრწმუნდეთ, ისინი ხბოს *ელოჰიმს* ანუ ყოვლისშემძლე ღმერთს უწოდებენ თუ *ელოჰიმს* – როგორც ცრუ ღმერთს. ამის დასტური ჩანს აჰარონის ნათქვამში, როცა ხბოს *იაჰვე* დაუძახა (გამ. 32:5). ეს ერთადერთი ჭეშმარიტი ღვთის დაფარული სახელია და ბიბლიაში არასოდეს ყოფილა გამოყენებული ცრუ ღვთის აღსანიშნავად გარდა ამ შემთხვევისა. აჰარონმა და ისრაელიანებმა ხბოს *ოსირისი*, *ბაალი*, *ისისი* ან რომელიმე ცრუ ღმერთის სახელი კი არ უწოდეს; მათ განაცხადეს: „ესაა *იაჰვე*, ისრაელო, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანა“ (გამ. 32:4, ავტორის პარაფრაზი).

როგორ შეიძლებოდა ასე შემცდარიყვნენ? როგორ ვერ გაიცნეს ნამდვილი ცოცხალი ღმერთი მოსეს მსგავსად? მათ ღვთის სასწაულები იხილეს; მის ღრუბელსა და ცეცხლის სვეტს მიჰყვებოდნენ. პასუხი რთული როდია. თვეების წინ, როცა ღმერთი მთაზე ჩამოვიდა მათ გასაცნობად, უკან დაიხიეს და მოსეს შეჰყვირეს: „მიუახლოვდი და მოისმინე ყველაფერი, რასაც უფალი, ჩვენ ღმერთი, იტყვის და მერე გვითხარი ყველაფერი,

მოზიზება ღვთისა

რასაც უფალი, ჩვენი ღმერთი, გეტყვის. ჩვენ მოვისმენთ და შევასრულებთ“ (2 რჯ. 5:27).

წარმომიდგენია მოსეს იმედგაცრუება! მას გაუჭირდებოდა ღვთის თანდასწრებაში შესვლაზე უარის თქმის გაგება. ნუთუ ეს შესაძლებელია? შეშფოთებული მოსე ღმერთს მიმართავს პასუხის მისაღებად, მაგრამ მისი ნათქვამი ძალიან აკვირვებს: „ვისმინე ამ ხალხის ლაპარაკი, შენ რომ გელაპარაკებოდა. ყველაფერი კარგია, რაც ილაპარაკეს“ (2 რჯ. 5:28).

მოსე გაოგნებულია. ალბათ, ასე ფიქრობს: *ერთი ნუთით! ისინი მართლები არიან?! ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამოდგნენ მართლები!* წარმოვიდგინე, რომ მოსეს რეაქცია ასეთია: „რატომ არ შეუძლიათ ღვთის თანდასწრებაში შესვლა და მისი ახლო გაცნობა, როგორც მე გავაკეთე?!“ ღმერთი გულგატეხით ეუბნება:

„ნეტავ, ისეთი გული ჰქონოდათ, რომ შინებოდათ ჩემი!“
(2 რჯ. 5:29)

უფალი გულსაკლავად ჩივის ისრაელიანებში წმიდა შიშის არქონაზე. ასე რომ არ ყოფილიყო, მის თანდასწრებაში შესვლა და ახლო ურთიერთობით დატკობა შეეძლებოდათ. შედეგად მორჩილების ძალას მიიღებდნენ, რაც მათთვისაც კარგი იქნებოდა და მათი შვილებისთვისაც. ამის შემდეგ ღმერთი მოსეს მითითებას აძლევს:

„წადი და უთხარი მათ: დაბრუნდნენ თავიანთ კარვებში. ხოლო შენ აქ დადექი ჩემთან და გეტყვი ყველა მცნებას, ნესს და სამართალს, რომელიც უნდა ასწავლო მათ, რათა შეასრულონ იმ ქვეყანაში, რომელსაც ვაძლევ დასამკვიდრებლად“. (2 რჯ. 5:30-31).

ეს ერთდროულად გულსატკენი და ამაღელვებელია. პირველია სამწუხარო მომენტი. ისრაელის ყველაზე ბნელი ჟამი არ იყო მაშინ, როცა ხბო ჩამოასხეს და არც მაშინ, როცა ბოროტი ხმების გამო აღთქმული მიწის დამკვიდრებაზე უარი თქვეს. აი, რა იყო ყველაზე ცუდი მათ ცხოვრებაში! ღმერთმა ისინი ეგვიპტიდან (ქვეყნიერებიდან) გამოიყვანა, რომ თავისთან

მოეყვანა და ერთმანეთი ახლოს გაეცნოთ. თუმცა მათ ამ პატივზე უარი თქვეს *წმიდა შიშის ნაკლებობის* გამო. რა ტრაგედიაა!

მეორე მხრივ, ეს ამაღლებელი იყო მოსესთვის, რომელსაც ღვთის სიახლოვეში ყოფნისა და უშუალოდ მისი პირიდან ნათქვამის მოსმენის შესაძლებლობა მიეცა. ის ღმერთთან ახლო ურთიერთობისთვის მოიწვიეს, ხოლო ხალხი უკან გაბრუნდა თავ-თავის კარგებში.

ქალი, რომელსაც აუზთან შევხვდი, *სხვა* იესოზე ლაპარაკობდა, კორინთელები *სხვა* იესოს ემსახურებოდნენ და ისრაელიც *სხვა* ყოვლისშემძლე ღმერთს მიყვებოდა. ვხედავთ აქ გარკვეულ ნიმუშს? სავსებით შესაძლებელია, რომ შევექმნათ ღმერთი, სახელად იესო და არ ვიცნობდეთ *ნამდვილ* იესოს, რომელიც ღვთის მარჯვნივ არის. ამას კიდევ უფრო ართულებს ფაქტი, რომ ისრაელიც და კორინთელთა ეკლესიაც განიცდიდნენ ღვთის ძალისა და სასწაულების გამოვლინებას მათი ლოცვების პასუხად.

ახლა მივუბრუნდეთ ადამიანთა მოზრდილ ჯგუფს, რომელიც იესოს უფალს უწოდებდა სამსჯავრო ტახტთან, მაგრამ მისგან იგივე სიტყვები მოსიმიან, რაც მოსემ ისრაელიანებთან დაკავშირებით: „გამშორდით!“. იესოს წინასწარმეტყველური სიტყვის უფრო დაკვირვებით შესწავლა გვმართებდა, თუ რა ელოდება სინამდვილეში იმ უამრავ ადამიანს. როგორც თავის დასაწყისში წერია, მისი მეშვეობით მეტად გაგვიცხადდება *წმიდა შიშის მნიშვნელობა* ჩვენს უფალთან და ბატონთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ამას მომდევნო თავში გავაკეთებთ.

გათავისება

მონაკვეთი: გაუწყებთ ... სახარებას ... რომლითაც ხსნას ღებულობთ, თუ დაიცავთ სიტყვას, მე რომ გიქადაგეთ, თუ არა - ფუჭად გირწმუნიათ. (1 კორ. 15:2)

თემა: შესაძლებელია მთელი გულით გწამდეთ ვინმესი ან რაიმესი, რაც წამდვილი არ არის.

დაფიქრება: რატომ ვარ დარწმუნებული, რომ წამდვილი იესოსი მწამს და არა ყალბის? იქიდან, რომ ჩემი წინამძღოლები ასე მასწავლიან? იფიქრეთ, განა აპარონი არ ასწავლიდა და მიუძღოდა ისრაელს? შეიძლება დარწმუნებული ვიყო, რადგან ბიბლიას ვკითხულობ? განა ფარისევლებიც ასე არ იქცეოდნენ? როგორ შემიძლია ამის გარკვევა?

ლოცვა: მამაო, იესოს სახელით მომმადლე, რომ არა მარტო ვიცოდე ჭეშმარიტება, არამედ მიყვარდეს კიდეც ის! გადანყვეტილებას ვიღებ, რომ ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებად მივიღო შენი სიტყვა და დავემორჩილო იმისდა მიუხედავად, რამდენად გასაგები იქნება ჩემთვის. ამის გაკეთებისას მაქვს შენი აღთქმა, რომ არ ვცდუნდები. დაე, დამელაპარაკოს შენი სიტყვა, როცა მას ვკითხულობ და ვემორჩილები; გამეცხადოს, ვინ ვარ მე და ვინ არის ჩემი უფალი იესო! ამას გთხოვ იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: ვარჩევ ღვთის სიტყვის რწმენას, ჩემთვის გასაგებია თუ არა.

**მთელ დღეს განვდილი
მქონდა მათკენ ხელები,
ურჩთა გზით თავის ნებაზე
მავალი, უკეთური ხალხისკენ.**

– ეს. 65:2

31 | არ გიცნობ!

ღმერთთან სიახლოვეს უფრო მეტად და სიხარულით მივიღებთ, თუ ამ ურთიერთობის საწინააღმდეგო მაგალითს განვიხილავთ. ბოლო და წინამდებარე თავის მთავარი თემა ძნელად ჩასაყლაპი აბი იქნება. როგორც არ უნდა იყოს, ჩვენი განხილვის პროცესში დანახული ბიბლიური გაფრთხილებები, რეალურად, მზრუნველი ზეციერი მამისგან სიყვარულისა და დაცვის ნიშნად გამოგზავნილი საჩუქარია. იესოს ნათქვამი სიტყვები წმიდა შიშს ჩასახავს, რომელიც სიცოცხლის წყაროსთან სიახლოვეში ბოლომდე შეგვინახავს.

წერილი ნათლად ამბობს, რომ უკანასკნელ ჟამს ისეთი სახარება იქადაგება და ფართოდ მიიღება, რომელიც იესოს უფლობისგან დაცლილ სიყალბეს წარმოადგენს. მარტივად რომ ვთქვათ, მასთან ურთიერთობა შემოთავაზებულია ღვთის სიტყვის უპირობო მორჩილებისთვის თავის მიძღვნის გარეშე. ეს წმიდა შიშის ანტითეზა გახლავთ და ფიქტიურ იესოს წარმოშობს, რომელიც არაფრით განსხვავდება იმისგან, ვის მიღებაშიც პავლე ბრალს დებდა კორინთელთა ეკლესიას.

მოციქული ბერძენ „მორწმუნეებს“ დაუპირისპირდა სხვა იესოს კვალზე სიარულის გამო და შემდეგ მათი გულის მდგომარეობა განიხილა, რამაც წარმოსახვითი მხსნელი შექმნა. ის წერს მრავალ ადამიანზე, „რომელთაც ადრე შესცოდეს და არ მოინანიეს უწმიდურება, სიძვა და გარყვნილება, რასაც სჩადიოდნენ“ (2 კორ. 12:21). ისინი უფალ იესოს აღიარებდნენ, მაგრამ მისი სიტყვის საწინააღმდეგოდ ცხოვრობდნენ.

მოზიზება ღვთისა

ეს იშვიათი შემთხვევა იყო პირველ ეკლესიაში, მაგრამ ძალზე ფართოდ გავრცელდა თანამედროვე ეკლესიებში. ზემოხსენებული სწავლების შედეგები „უფალს“ წოდების დონემდე აკნინებს და ნაკლებად მიიჩნევა პოზიციად, რომელიც მას ადამიანთა ცხოვრებაში უნდა ეჭიროს. იესო წინასწარმეტყველებს:

„ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო! როდი შევა ცათა სამეფოში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს“. (მათ. 7:21)

იესო იმ ადამიანებს ცნობს, რომლებიც უფლად მას აღიარებენ – არა მუჰამედის, ჯოზეფ სმითის, ბუდას, ჰარი კრიშნას, კონფუციუსის ან ჩვენი დროის სხვა რომელიმე ცრუ წინასწარმეტყველის თაყვანისმცემლებს. ყურადღება მიაქციეთ, რომ უფალი გამუდმებით მეორდება მოყვანილ მუხლში. ისევ ვიმეორებ, რომ წმიდა წერილში სიტყვის ან ფრაზის ორჯერ გამეორება შემთხვევითი არ გახლავთ. ავტორს მისი ხაზგასმა სურს. თუმცა აქ მხოლოდ მისი გამოკვეთა კი არა, ემოციების სიძლიერეც ჩანს. მაგალითად, მეფე დავითის ყურამდე მივიდა ამბავი, რომ იოაბის არმიამ მისი ძე მოკლა. მამის რეაქცია ემოციურად დატვირთული იყო: „სახე დაიფარა მეფემ და ხმამალლა მოსთქვამდა: „შვილო, აბესალომ! შვილო, აბესალომ! შვილო!“ (2 სამ. 19:4). ეს სულაც არ ნიშნავს, რომ „შვილო“ სამჯერ გაიმეორა. უბრალოდ, მისი მწუხარება ინტენსიური, ემოციური ამოძახილით გამოიხატა, რაც ავტორმა რამდენჯერმე გამეორებით ასახა.

ასევე სიტყვა უფალო ამ ადამიანების გაძლიერებულ გრძნობებზე გველაპარაკება. ისინი არა მარტო ეთანხმებიან იესოს ქრისტეს სწავლებას, რომ ღვთის ძეა, არამედ ამ რწმენაში თავიანთ ემოციებსა და დაშურებასაც დებენ. ჩვენ ვლაპარაკობთ ადამიანებზე, რომლებსაც აღაფრთოვანებთ „ქრისტიანობა“. ალბათ, ასეთები რწმენის გაზიარებისას თავიანთ განცდებს აჩვენებენ და შესაძლოა, თაყვანისცემის მსახურებაზე კიდევაც ტიროდნენ.

ისინი სერიოზულად უყურებენ ქრისტეს საქმეს. უფრო მეტიც, მის მსახურებაში არიან ჩართულნი.

„ვხედავ, რომ ათასობით ადამიანი მეტყვის უკანასკნელი სამსჯავროს დღეს: უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ წარვმართავდით სუპერ-სულიერ პროექტებს, რომლებზეც ყველა ლაპარაკობდა?“ (მათ. 7:22 MSG)

შეგნებულად გამოვიყენე *The Message* ვერსია იმ აზრის ხაზგასასმელად, რომ ეს ხალხი კუთხეში მდგომი რიგითი დამკვირვებლები არ არიან. ისინი უშუალოდ მონაწილეობენ მსახურებაში ან ფინანსურად მხარს უჭერენ თავიანთ ეკლესიებს. ისინი გაბედულად ლაპარაკობენ რწმენაზე – „განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით?“ არსებითად, ეს ადამიანები ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში არიან ჩართულნი.

ბიბლიის ზემომოყვანილი პარაფრაზირებული ვერსია მათი რაოდენობის აღსაწერად იყენებს „ათასებს“, თუმცა სხვა თარგმანთა უმეტესობაში გამოყენებულია „ბევრი“. ეს გახლავთ ბერძნული სიტყვა *πολλος* და ნიშნავს „რაოდენობრივად და მოცულობით დიდს“. ის ხშირად შეგხვდებათ „უმრავლესობის“ მნიშვნელობით. ნებისმიერ შემთხვევაში, იესო ხალხის პატარა ჯგუფზე არ ლაპარაკობს, არამედ დიდ რაოდენობას მიმართავს, რომელსაც მისი სახარების სწამს. ისინი მას უფალს უწოდებენ, ემოციურ ჩართულობას გამოხატავენ, მის სიტყვას ახმოვანებენ და აქტიურ ქრისტიანულ ცხოვრებას ეწევიან. მათ ადვილად მივიჩნევდით ნამდვილ ქრისტიანებად. მაშ, რაში მდგომარეობს გამყოფი ფაქტორი? რით განსხვავდებიან ისინი ქვემარტი მორწმუნეებისგან? იესო გვეუბნება:

„მაშინ მე განვუცხადებ მათ: არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა“. (მათ. 7:23)

საკვანძო განცხადება გახლავთ „მოქმედნო ურჯულოებისა“. კიდევ ვიმეორებ, რომ ურჯულო ქმედება ღვთის სიტყვის ავტორიტეტს არაა აგდებს. ეს მამაკაცები და ქალები გარკვეული პერიოდულობით კი არ ბორძიკობდნენ, არამედ საკუთარი სარგებლობისთვის ღვთის სიტყვის უგულვებელყოფა, უარყოფა და დაუმორჩილებლობა ჩვევაში გადაეხარდათ – მათ წმიდა შიში აკლდათ.

მოზიზება ღვთისა

საინტერესოა იესოს ნათქვამი „არასოდეს მიცვნიხართ“. როგორც წინა თავში ვთქვით, სიტყვა ცნობა, ცოდნა გახლავთ ბერძნული *გინოსკო*, რომელიც იგივეა, რაც ებრაული იადა: პიროვნების ძალზე ახლოს ცნობა. მათ არასოდეს ჰქონიათ ახლო ურთიერთობა იესოსთან იმის მიუხედავად, რომ ბატონსა და უფალს ეძახდნენ. მათთვის ეს მხოლოდ წოდება იყო, რადგან მის მცნებებს არ ემორჩილებოდნენ. იოანე წერს:

„იმით გავიგებთ, რომ შევიცანით [*გინოსკო*] იგი, თუ ვიცავთ მის მცნებებს. ვინც ამბობს, შევიცანიო [*გინოსკო*] იგი, მაგრამ მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და ჭეშმარიტება არ არის მასში“. (1 იოან. 2:3-4)

ეს სრულყოფილად შეესაბამება იესოს ქადაგების ფონს: „მათი ნაყოფით იცნობთ მათ“ (მათ. 7:20). ნაყოფები არ გახლავთ ქრისტიანული მსახურება, ქადაგების წარმოთქმა ან ეკლესიის შეკრებებზე დასწრება, რადგან განდგომილებსაც აქვთ ეს თვისებები.

ნება მომეცით, სათქმელი ასე ჩამოვაყალიბო: ნამდვილ მორწმუნეში ამ თვისებებს ადვილად იპოვით. ფაქტობრივად, შეუძლებელია მათ გარეშე ჭეშმარიტ მორწმუნედ იწოდებოდეთ. თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი ღვთის ნამდვილი შვილობისთვის. გადამწყვეტი ფაქტორია: ემორჩილებიან თუ არა ისინი ღვთის სიტყვას?

განხილულ საკითხზე მსჯელობა იესოს მთაზე ქადაგების დასკვნითი ნაწილია. იგი ამ საოცარი სიტყვების შეჯამების სახით ასკვნის:

„ამიტომ ყველა, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და აღასრულებს მათ, იმ კეთილგონიერ კაცს ჰგავს, რომელმაც სახლი კლდეზე აიშენა. და მოვიდა წვიმა, გადმოსკდნენ მდინარეები, ამოვარდნენ ქარები, ეკვეთნენ იმ სახლს; ის კი არ დაეცა, რადგან კლდეზე იყო დაფუძნებული. ხოლო ყოველი, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს და არ აღასრულებს, ჰგავს უგუნურ კაცს, რომელმაც ქვიშაზე აიშენა სახლი. და მოვიდა წვიმა, გადმოსკდნენ მდინარეები, ამოვარდნენ ქარები, ეკვეთნენ იმ სახლს, და დაეცა იგი - და ფრიად დიდი იყო მისი დაცემა“. (მათ. 7:24-27)

თუ ამ ორ ჯგუფს გამოიკვლევთ, ერთ უბრალო განსხვავებას დაინახავთ. იგი ამბობს, რომ ადამიანთა ორივე ჯგუფი ისმენს მის სიტყვებს, მაგრამ პირველი ასრულებს, ხოლო მეორე არ ასრულებს. ასევე შეიძლება ვთქვათ, რომ პირველი ჯგუფი ღვთის სიტყვაზე თრთის (ღვთის შიში), ხოლო მეორე ღვთის სიტყვაზე არ თრთის (ღვთის შიში არ აქვს).

იესო ცხადად მიანიშნებს, რომ ორივე ჯგუფი გარეგნულად ერთმანეთის მსგავსია. საფუძველმოკლებული ჯგუფის წარმომადგენლებს ქრისტიანული დოქტრინების სჯერათ, მხურვალე გულით უწოდებენ იესოს უფალს და მათი აქტიური ქრისტიანული საქმიანობა ცხადყოფს, თუ როგორ აშენებენ თავიანთ ცხოვრებას, თავიანთ სახლს. მყარი საფუძვლის მქონე ჯგუფში შემავალ ადამიანებსაც იგივე თვისებები ახასიათებთ გარდა იმ განსხვავებისა, რომ უფლის სიტყვას ისე ემორჩილებიან, თითქოს მათი საკუთარი ნება ყოფილიყოს. ორივე ჯგუფის სახლები ერთი და იგივე მასალისგან, იგივე მოძღვრებისგან შენდება. ისინი ერთმანეთს გვანან თავყვანისცემისა და მსახურების დროს. განსხვავება მხოლოდ საფუძვლის ქონაშია, რაც უხილავია. ერთ ჯგუფს ღმერთთან ახლო ურთიერთობა აქვს, ხოლო მეორეს – არა.

უფალთან ახლო მოზიარეობის აღთქმა მათთვის არის, ვინც წმიდა მოშიშებით დადის. მომდევნო რამდენიმე თავში იმ დიდებულ პრივილეგიას დავინახავთ, რომლის მისაღებადაც მე და თქვენ მოგვიწვიეს.

გათავისება

მონაკვეთი: მადლი და მშვიდობა გაგიმრავლდეთ ... როგორც მისმა ღვთაებრივმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გეჭირდება, ... რომელთა მიერაც მოგვეცა უალრესად დიდი და ძვირფასი აღთქმანი, რათა მათი მეშვეობით გავხდეთ ღვთიური ბუნების ზიარნი, განვერიდებით რა გულისთქმით გამონვეულ ხრწნილებას ამ ქვეყანაზე. (2 პეტრ. 1:2-4)

თემა: იესოსთან ახლო ურთიერთობაში ყოფნის დასტურია ადამიანის ცხოვრებაში მის საკუთარ უნარებზე აღმატებული ძალის არსებობა ღვთის სიტყვის დასაცავად. ამ ძალას მისი მადლი ჰქვია.

დაფიქრება: საკუთარი ძალებით ვცდილობ ღვთის სიტყვის მორჩილებას თუ უფლის მადლზე, აღთქმებსა და ღვთიურ ბუნებაზე ვარ დაყრდნობილი? როგორ მივწოდო უფრო მეტად მის უნარებს, ვიდრე ჩემსას?

ლოცვა: მამა, მაპატიე, რომ შენი სიტყვის შესრულებას საკუთარ ძალით ვცდილობდი! დღეიდან მოყოლებული ვაცხადებ, რომ იესო არის უზენაესი უფალი ჩემს ცხოვრებაში. მისი სიტყვა საბოლოო ავტორიტეტია ჩემი ცხოვრებისთვის, რასაც არ უნდა ამბობდეს. მხოლოდ შენს გამაძლიერებელ მადლს დავეყრდნობი და შენი გზებით სიარულისგან შენი ბუნების ზიარი გავხდები. ეს ის გზაა, რომელსაც ახლო ურთიერთობაში და ერთად გავივლით. დიდად მადლიერი ვარ, რომ ასეთი დიდებული ცხოვრებისთვის მომიწვიე! იესოს სახელით, ამინ!

აღიარება: რწმენით ვივლი ღვთიური უნარის მეშვეობით. საკუთარ ძალას აღარ დავეყრდნობი, არამედ მის გამაძლიერებელ ძალასთან ვითანამშრომლებ.

ვერასოდეს გაგვანათლებს
ან გაგვაკვირვებს ის, რაც
საკუთარი აზრებიდან მოდის,
მაგრამ ღვთის ნათქვამში
ყოველთვის არსებობს
გაოცებისა და მოწიწების
ელემენტი.

– ჯო დოუსონი

32 | უფლის საიდუმლო

ბოლო ორი თავი რთული, გამონწვევებით სავსე და გამო-
მაფხიზლებელი იყო. შინაგანს გვიმღვრევს და გულს გვტკენს
იმის ცოდნა, თუ რამდენი ადამიანი ელოდება უფლის ნათქვამს,
„შედი შენი ბატონის სიხარულში!“, მაგრამ ამის ნაცვლად მოის-
მენს: „გამშორდი!“. ყველაზე დიდია ცდუნება, როცა გგონია,
რომ უფალთან ახლო ურთიერთობაში ხარ და სინამდვილე-
ში, ასე არ არის. წინა თავში ნახსენები მამაკაცები და ქალები
მოულოდნელად მიიღებენ საშინელ გამოცხადებას თავიან-
თი უგუნურების შესახებ, რომ აქამდე „ღმერთს იყენებდნენ“
იმის ნაცვლად, რომ „მასთან ერთობაში“ ყოფილიყვნენ. ღვთის
სიტყვა მათი მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა. ისინი
უფლის სიტყვის მორჩილებაში გამოვლენილი დიდებული სიყ-
ვარულის განცდას არ ესწრაფოდნენ. იესო დიდი სიყვარულით
გვაფრთხილებს ამ საზარელი შემთხვევის შესახებ, რომ ნელთ-
ბილ მდგომარეობაში ან ცდუნებაში ჩავარდნისგან დაგვიცვას.

ვინაიდან ახლა უკვე გვაქვს წარმოდგენა, როგორია ახლო
ურთიერთობის საწინააღმდეგო ვითარება, სიხარულით შევეუდ-
გეთ ჩვენს შემოქმედთან ნამდვილი სიახლოვის მშვენიერებაზე
მსჯელობას. დავინწყებთ გარკვეული სცენარის წარმოდგენით,
რომელსაც მომდევნო რამდენიმე თავში სრულად გამოვარკვევთ.

ფონის შესაქმნელად ერთ კითხვას დავსვამ: შესაძლებელია
თუ არა ცათა სამეფოს წევრობა (ისე რომ, არ გავიგონოთ

მოზიზება ღვთისა

საშინელი სიტყვა „გამმორდი“) და ღმერთთან სიახლოვის შესაძლებლობის მაინც ხელიდან გაშვება? სწრაფი პასუხია „დიახ“. მოდით, წერილი გამოვიკვლიოთ და დასაწყისისთვის ჩემს საყვარელ მუხლს შემოგთავაზებთ:

„საიდუმლო უფლისა მისი მოშიშებისთვისაა და თავის აღთქმას აუწყებს მათ“. (ფს. 25:14)

საიდუმლოს აღმნიშვნელი ებრაული სიტყვა გახლავთ სოდ და „რჩევას, განსჯას“ ნიშნავს. ბერძნული ლექსიკონი ასევე აცხადებს, რომ ტერმინში „გულში დაფარული ინფორმაცია“ იგულისხმობა. არსებითად, მეფსალმუნე არ ლაპარაკობს ერთ საიდუმლოზე, არამედ ღვთის საიდუმლო განსჯაზე, რომელსაც ჩვენი მიზნების შესაბამისად საიდუმლოებები (მრავლობითი) ვუწოდოთ. მამასადამე, წერილი ამბობს, რომ „ღმერთი თავის საიდუმლოებებს მის მოშიშებს უზიარებს“.

ახლა თავს ასეთი კითხვა დავუსვათ: ვის უზიარებთ თქვენს საიდუმლოებებს – უბრალო ნაცნობებს თუ ახლო მეგობრებს? დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი პასუხი იქნება „ახლო მეგობრებს“. ღმერთიც არ ფიქრობს სხვაგვარად. იგი თავის საიდუმლოებებს ახლო მეგობრებს უზიარებს და ეს ის ხალხია, ვისაც გულში წმიდა მოშიშება აქვს. *ESV* ვერსიის თანახმად, „უფლის მეგობრობა მისთვის არის, ვინც მისი მოშიშია“.

ღმერთი ყველას მეგობარი არ არის. ნება მომეცით, ეს აზრი უფრო მეტად გავშალო: ღმერთი ყველას არ ემეგობრება, ვინც ეკლესიაში დადის. მის გასავრცობად ძველ აღთქმას მივმართოთ. აქ ორი ადამიანია მოხსენიებული ღვთის მეგობრად: აბრაჰამი და მოსე. სხვებიც არიან ასეთები? რა თქმა უნდა – ნოე, დანიელი, ესთერი, იოსები, დავითი, იობი, ენოქი, ესაია და მრავალი სხვა, ვინც ღვთის სიახლოვეში დადიოდა. თუმცა ზემოხსენებული ორი ადამიანის ცხოვრება სანიმუშო გზას გვიჩვენებს, რომელსაც უფალთან მეგობრობისკენ მივყავართ.

მოდით, აბრაჰამით დავიწყოთ! რატომ ეწოდა ღვთის მეგობარი? როცა ის სამოცდათხუთმეტი წლის იყო, ღმერთი გულის სასურველ ძეს შეჰპირდა. თუმცა ეს სწრაფად არ მომხდარა. მან კიდევ ოცდახუთი წელი იცადა, სანამ მისმა ცოლმა სარამ სასწაულებრივად არ შვა ისაკი. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, ამ-

დენ ხანს როგორი ღრმა მადლიერების გრძნობით და უდიდესი სიტკბოებით ელოდებოდა ის აღთქმის შესრულებას?

დარწმუნებული ვარ, რომ მამა-შვილის ურთიერთობა წლითი წლობით ღრმავდებოდა. აბრაჰამისთვის აურაცხელი სიმდიდრე არაფერი იყო საყვარელ ძესთან შედარებით. მასზე ძვირფასი არავინ ჰყავდა და სიცოცხლეს ერჩია.

ერთ დღეს ღმერთი ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე ლოცვაში ეუბნება: „ნაიყვანე შენი ერთადერთი ძე ისაკი, რომელიც ძალიან გიყვარს; ნადი მორიას მხარეში და სრულადდასანველ მსხვერპლად შესწირე ერთ მთაზე, რომელსაც გაჩვენებ“ (დაბ. 22:2).

რა?! ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი უნდა მოკლა მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთმა გითხრა და თან მიზეზი არ დაუსახელებია? ეს ხუმრობა ხომ არ არის?! წარმოგიდგენიათ აბრაჰამის ელდა ამ სიტყვების გაგონებაზე? ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ღმერთი ასეთ საძნელო საქმეს სთხოვდა. მან სიცოცხლეზე მეტი სთხოვა – საკუთარი გული. ეს უაზრობას ჰგავდა.

ნება მომეცით, ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა ჩავუერთო: ჩვენ ვიცით, რომ ეს გამოცდა იყო. ფაქტობრივად, წერილი ამაზე ნათლად მეტყველებს: „ამ ამბების შემდეგ გამოსცადა ღმერთმა აბრაჰამი“ (მ.1). უკვე მომხდარი ისტორიული აღწერის კითხვას ერთი უარყოფითი მხარე აქვს – შედეგი ცნობილია. მორწმუნეთა უმრავლესობას ეს ამბავი არაერთხელ აქვს მოსმენილი ან წაკითხული. თუმცა გვაინყდება, რომ აბრაჰამმა არაფერი იცოდა გამოცდის შესახებ. სანამ მეორე მხარეს არ გავალთ, არ ვიცით, ღმერთი გვცდის თუ არა. უფროს კლასებში შესაძლებელია გამოცდაზე კარნახი, მაგრამ ღვთის ტესტზე ვერავინ გადაიწერს. თუ გულების განწმედის მიზნით მის სიტყვაში დამკვიდრების საშინაო დავალება არ შეგვისრულებია, ფონს იოლად ვერ გავალთ, რაც არ უნდა გამჭრიახები ვიყოთ!

აბრაჰამის შთამომავლებს უდაბნოში ჩასაბარებელი გამოცდის შესახებ რომ სცოდნოდათ, სხვაგვარად მოიქცეოდნენ. მამამთავარს მათგან რაღაც განასხვავებდა, რაც ისრაელიანებს აკლდათ, კერძოდ, ღვთის შიში.

მომწონს აბრაჰამის გამოხმაურება უკიდურესად რთულ მითითებაზე: „ადგა აბრაჰამი დილაადრიანად“ (დაბ. 22:3). ის დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს და დღეები და კვირები ფიქრში

მოშიშება ღვთისა

არ გაუტარებია. არც მეგობრები მოუხმია მათი აზრის გასაგებად. ღვთის მცნება არ უკუაგდო და არ შეენინაალმდეგა. ის, ისაკი და ორი მსახური მეორე დილასვე ადგნენ, მოემზადნენ და გზას გაუდგნენ.

აღბათ, ცოტა ადვილი იქნება მოქმედება იმ დღესვე, როცა ღვთის ხმას მოისმინეთ, მაგრამ რა ხდება ორნახევარი დღის შემდეგ, როცა აბრაჰამს ზეციდან დამატებით არაფერი გაუგონია, უკვე მთას მიაღწია და ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება მსხვერპლად უნდა შესწიროს მხოლოდ იმიტომ, რომ ამის გაკეთება ღმერთმა უბრძანა მიზეზის ახსნის გარეშე?

აბრაჰამი მთაზე ასვლას შეუდგა და მსახურებს დალოდება სთხოვა. მას ისაკი მიჰყავს და სამსხვერპლოს აგებს ისე, რომ გულმოდგინედ მალავს აფორიაქებულ გულს და ცრემლებს. მსხვერპლშენიშვისთვის მზადება მთლიანად მთანთქავს მისი ნებისყოფისა და გონებრივი სიძლიერის ყოველ ნაწილს. კრიტიკული მომენტი ახლოვდება. დაკარგულია ყოველგვარი იმედი, რომ ღმერთი აზრს შეიცვლის. ის დიდი მწუხარებით კრავს ისაკს, იღებს დანას და ძის გულის გასაპოხად ემზადება იმიტომ, რომ ღმერთმა უთხრა ასე. მიზეზი უცნობია.

მოულოდნელად ღვთის ანგელოზი ჩნდება და შეჰყვირებს: „ნუ აღმართავ ხელს ამ ყრმაზე, ნურაფერს დაუშავებ, რადგან ახლა ვიცი, რომ ღვთისმოშიში ხარ და არ დაზოგე ძე, შენ ერთადერთი, ჩემთვის!“ (დაბ. 22:12).

საიდან იცოდა ანგელოზმა, რომ აბრაჰამს ღვთისა ეშინოდა? იქედან, რომ *მეყსეულად* დაემორჩილა მისთვის გაუგებარს, რაშიც *სარგებელს ვერ ხედავდა* და გასაკეთებლად ძალზე *მტკივნეული* იყო, მაგრამ საქმე *ბოლომდე* მიიყვანა.

აბრაჰამი დანას ძირს დებს, ისაკს ხსნის, თვალებს ალაპყრობს და ბუჩქებში გახლართულ ვერძს ხედავს. მისი ბაგიდან გამოდის სიტყვები: „იაჰვე ირე“, რაც ნიშნავს „უფალი გამოაჩენს“ (დაბ. 22:14). რა მოხდა ამ დროს? ღმერთმა აბრაჰამს თავისი ბუნების ერთი მხარე აჩვენა, რაც აქამდე არავინ იცოდა. რატომ? იმიტომ, რომ ის ღვთის მეგობარია.

ნება მომეცით, განვმარტო! ამ წიგნის მკითხველები ჯონ ბევერის, ავტორის სახით მიცნობთ. ზოგიერთ თქვენგანს კონფერენციებზე ვუნახავარ და მქადაგებლად მიცნობენ. თუმცა არის ერთი ქალი, რომელსაც ლიზა ჰქვია და მიცნობს როგორც

ქმარს, მამას, პაპას, საუკეთესო მეგობარს, საყვარელს და კიდევ ბევრის რამის ჩამოთვლა შემიძლია. რამდენიმე ადამიანიმა თუ იცის ჩემი პიროვნების ეს მხარეები – მხოლოდ უახლოესმა მეგობრებმა და ყველაზე მეტად, ლიზამ.

აბრაჰამი იმ დღეს ღვთის ახლო მეგობარი გახდა. მომდევნო თავში ამ ორს შორის მეგობრობის ზებუნებრივ განვითარებაზე ვისაუბრებთ და გავიგებთ, თუ რა ურთიერთობა შეიძლება გვექონდეს უფალთან.

გათავისება

მონაკვეთი: [საამო, დამაკმაყოფილებელი ურთიერთობის] საიდუმლო უფლისა მისი მოშიშებისთვისაა [მონივნებით თაყვანისმცემლებისთვის] და თავის აღთქმას აუნყებს მათ [და მის ღრმა, დაფარულ მნიშვნელობას გაუცხადებს]. (ფს. 25:14 გავრც.)

თემა: ღმერთი თავის საიდუმლოებებს ახლო მეგობრებს უზიარებს და ეს ის ხალხია, ვისაც გულში წმიდა შიში აქვს.

დაფიქრება: რას წარმოადგენს მეგობარი? როგორ შეიძლება მეგობრებმა ერთად ცხოვრებით გაიხარონ? მინდა ღმერთთან მეგობრობა? ჩემი აზრით, რას ეძებს ის მეგობარში? მისთვის კარგი მეგობარი ვიყავი? თუ არა, რა შეიძლება შევცვალო? რა სურვილები მაქვს მის მეგობრად ყოფნისას?

ლოცვა: ძვირფასო უფალო, მინდა შენი ერთ-ერთი ახლო მეგობარი გავხდე! ვიცი, რომ ეს შენი სურვილიცაა. როცა ახლო მეგობრის რაობაზე ვფიქრობ, ვხვდები, რომ არ ვიყავი შენი ერთგული მეგობარი. გთხოვ, მაპატიო, რომ ჩემი ცხოვრების წესით და რეაქციებით შენს სურვილებს ყველაფერზე მაღლა არ ვაყენებდი და ჩვენს ურთიერთობას არ ვიცავდი. გთხოვ, მომმადლო შენი მეგობრობა მთელ მარადისობაში, იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: ღმერთთან მეგობრობას შევეცდები და ამაზე დიდ პატივად არაფერს ჩავთვლი.

ღვთის შიში სულს ანათლებს,
ბოროტს განაქარვებს,
ვნებებს აცხრობს, სულისგან
სიბნელეს ფანტავს და
ასუფთავებს. ღვთის შიში
სიბრძნის კრებულია. სადაც
ის არ არის, იქ კარგი არაფერი
იპოვება. ვისაც ღვთის შიში
არ აქვს, ეშმაკური
დაცემისთვის ღიაა.

– ეფრემ ასური

33 | შიდა სამზარეულო

განვიხილეთ, თუ როგორ ჩამოყალიბდა მეგობრობა ღმერთსა და აბრაჰამს შორის. ეს მაგალითი გვეხმარება უფალთან ანალოგიური ახლო ურთიერთობის დაწყებაში. სანამ ამაზე მსჯელობას შევუდგებით, ისევ აბრაჰამის ამბავი გავაგრძელოთ. წერილში ვკითხულობთ:

„განა მამაჩვენი აბრაჰამი, საქმით არ გამართლდა, როცა თავის ძეს ისაკს სამსხვერუბლოზე სწირავდა? ... და აღსრულდა წერილი, რომელიც ამბობს: „ერწმუნა აბრაჰამი უფალს, ეს სიმართლედ ჩაეთვალა მას და ეწოდა ღვთის მეგობარი“. (იაკ. 2:21,23)

იაკობი მათ ურთიერთობაზე ლაპარაკობს და შემთხვევითი არ გახლავთ მოციქულისა და ანგელოზის სიტყვების თანხვედრა. სიახლოვე აბრაჰამის წმიდა შიშმა წარმოშვა და ცხადი გახდა მისი სწრაფი და სრული მორჩილებით (საქმით). აბრაჰამი ღვთის სიტყვაზე თრთის მაშინაც კი, როცა მისი ნათქვამის მიზანი გაუგებარია, არავითარი ხილული სარგებელი არ ახლავს და შესრულება მტკივნეულია. ღვთის შიში აღძრავს მისი ნათქვამის შესაბამის სურვილს (ნებას) და მოქმედებას. ეს კარს უღებს მასთან ახლო ურთიერთობას.

მოზიზება ღვთისა

ერთ დღესაც ღმერთმა კითხვით მიმართა მის თანმხლებ ორ ანგელოზს, როცა აბრაჰამთან სტუმრობა გადაწყვიტა მამრეს მუხნარის მახლობლად: „დავუმალო აბრაჰამს, რის გაკეთებას ვაპირებ?“ (დაბ. 18:17).

შემდეგ უფალი აბრაჰამს მიუბრუნდა და თავისი განზრახვის შესახებ ესაუბრა, ხოლო ორი ანგელოზი სოდომისა და გომორასკენ გაემართა. შედარებისთვის ღვთის მომდევნო წინადადების პარაფრაზს შემოგთავაზებთ, მაგრამ არსებითად, მან ეს თქვა:

– აბრაჰამ, ამ ორი ქალაქის აფეთქებას ვაპირებ, რადგან მეტისმეტად გამრავლდა მათი ცოდვის ძახილი. შენ რას ფიქრობ? წარმოგიდგენიათ შემოქმედის ბაგიდან გამოსული ეს სიტყვები? გაოგნებული აბრაჰამი პასუხობს:

– სოდომი?!

უფალი უდასტურებს:

– დიახ და გომორაც. რას იტყვი ამაზე?

შეშფოთებული აბრაჰამი გამალებული ფიქრობს: *იფიქრე, აბრაჰამ, იფიქრე! ჩემი ძმიშვილი ლოტიც ხომ იქ არის! მის გამო და ყველა იქ მყოფი უდანაშაულო ადამიანისთვის უნდა ვიშუამდგომლო. აბრაჰამს თავში ასეთი იდეა მოსდის:*

„ნუთუ მართალსაც დალუპავ უკეთურთან ერთად? ეგებ ორმოცდაათი მართალი აღმოჩნდეს მაგ ქალაქში? ნუთუ დალუპავ და არ დაინდობ მაგ ადგილს, იქ არსებული ორმოცდაათი მართლის გამო? შორს შენგან ასეთი საქმე, რომ მართალი უკეთურთან ერთად დალუპო და უკეთურივით იყოს მართალი! შორს შენგან, რომ მთელი ქვეყნიერების მსაჯულმა, სამართლიანად არ განსაჯოს!“ (დაბ. 18:23-25)

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ ღვთის სიხარული და სიამოვნება მისი აღთქმის მამაკაცისგან ასეთი პასუხის გაგონებაზე? ალბათ, მას ასე ეტყოდა: „საოცარი შენიშვნაა! იყოს შენი სიტყვისამებრ! არ დავლუპავ იმ ორ ქალაქს, თუ მათში ორმოცდაათი მართალი კაცი აღმოჩნდება. მიხარია, რომ ჩემს მეგობარ აბრაჰამს დაველაპარაკე!“

თუმცა აბრაჰამი მაინც არ არის კმაყოფილი – ვაი და არ იყოს იქ ორმოცდაათი მართალი?! ის სათხოვარს იმეორებს, მაგრამ მართლათა რიცხვს ამცირებს.

უფალი პასუხობს: „კიდევ ერთი კარგი შენიშვნა! არ დავანგრევ იმ ქალაქებს, თუნდაც მხოლოდ ორმოცდახუთი მართალი იყოს. მიხარია, რომ ჩემს მეგობარ აბრაჰამთან ამ საკითხზე ვსაუბრობ“.

აბრაჰამი მაინც არ ცხრება. დანყებული საქმის ბოლომდე მიყვანას ლამობს და ორმოცდახუთიდან ორმოცზე, ოცდაათზე, ოცზე და ბოლოს, ათ მართალ კაცზე ჩამოდის. თავისთვის ფიქრობს, *ათი მართალი როგორ არ იქნება ორ ქალაქში? ერთი ჩემი ძმისშვილი ლოტია და დანარჩენი ცხრაც გამოიძებნებაო.*

მხოლოდ მეგობარს შეუძლია მეფესთან ასე ლაპარაკი, რომელსაც სასჯელის განხორციელების ძალაუფლება აქვს. მსახურის ან ქვეშევრდომის მხრიდან ამგვარი თხოვნა უპატივცემულობა იქნებოდა. უფალი აბრაჰამის ყოველ მოთხოვნას ეთანხმება. შემდეგ ვკითხულობთ: „და ნავიდა უფალი, როგორც კი აბრაჰამთან საუბარი დაასრულა; და დაბრუნდა აბრაჰამიც თავის ადგილზე“ (დაბ. 18:33).

გახსოვდეთ, რომ ღვთის შიში იმის სიყვარულსაც ნიშნავს, რაც ღმერთს უყვარს და იმის სიძულვილს, რაც მას სძულს. ერთხელ უფალმა დამავალა, რომ სიყვარულის ნიშნად განმკურნებელი სიტყვები მეთქვა ერთ კაცის მიმართ, რომელიც ძალიან ცუდად მომექცა:

– შვილო, თუ ჩემსავით მზრუნველი იქნები ადამიანების მიმართ, ჩემს გეგმებს გაგიზიარებ.

წმიდა შიში ძალას გვაძლევს, რომ მეტი სინრფელით და სიღრმით გვიყვარდეს არა მარტო ღმერთი, არამედ ადამიანებიც.

წერილი აცხადებს, რომ სოდომისა და გომორას მცხოვრებნი „ჭამდნენ, სვამდნენ, ყიდდნენ, ყიდულობდნენ, რგავდნენ და აშენებდნენ“ (ლუკ. 17:28). მოდით, ეს უფრო გასაგები ენით გამოვთქვათ: „ცხოვრება საამურია, ეკონომიკა ყვავის და თუ ღმერთი სადღაც კიდევ არსებობს, ჩვენი ამბავი საერთოდ არ აინტერესებს.“ ამ ქალაქებს მინის პირისგან აღგვას ოცდაოთხ საათზე ნაკლები დრო ამორებდათ, მაგრამ აინუნშიც არაფერს აგდებდნენ. თუმცა ეს არ არის ყველაზე საგანგაში რეალობა.

აი, რაში მდგომარეობს საშიშროება: ლოტს, რომელსაც ბიბლია „მართალს“ უწოდებს (2 პეტრ. 2:7), იმ ქალაქების სხვა უღმერთო მკვიდრთა მსგავსად, წარმოდგენა არ აქვს, რა საფრთხე ემუქრება! ორი მონყალე ანგელოზი დასჭირდა

მოზიზება ღვთისა

ლოტისა და მისი ოჯახის ნევრების გამოყვანას და ეს ყველაფერი აბრაჰამის შუამდგომლობის შედეგი გახლდათ (დაბ. 19:29).

ამ ამბავში კარგად რომ გავერკვეთ, ისე შევხედოთ მას, როგორც თანამედროვეობაში განვითარებულ ისტორიას. ორი მართალი კაცი გვყავს – ორივე გადარჩენილი, ზეციდან შობილი ქრისტიანია. ერთმა მართალმა იცის, რის გაკეთებას აპირებს ღმერთი და ეხმარება იმის გადანყვეტაში, თუ როგორ უნდა მოხერხდეს ეს საქმე. მეორე მართალ კაცს არანაირი ინფორმაცია არ აქვს ახლო მომავალში მოწვევად სასჯელზე ისევე როგორც მის ბოროტ თანამოქალაქეებს. რატომ? პირველ მართალ კაცს ღვთის შიში აქვს და ამიტომ ღვთის მეგობარია, შესაბამისად, მან იცის ღვთის იღუმალი ზრახვები. მეორე მართალ კაცს არ აქვს ღვთის შიში, ამიტომ არც ღმერთი ემეგობრება. მან არ იცის, თუ რას აპირებს უზენაესი.

ლოტს მართალი ენოდება, მაგრამ ხორციელია. ის წარმოადგენს მორწმუნეს, რომელიც კუთხეში მიმწყდევის შემთხვევაში ჯერ საკუთარ ინტერესებზე იზრუნებს კორინთელთა და ბევრი ჩვენი დასავლური ეკლესიის მსგავსად. ამ „მართალ“ კაცებსა და ქალებს ღმერთთან ურთიერთობა კი აქვთ, მაგრამ ეს ჩემი და ამერიკის პრეზიდენტის ნაცნობობისგან დიდად არ განსხვავდება. შესაძლოა, სარგებელი მივიღო მისი გადანყვეტილებებისა და წინამძღოლობისგან, მაგრამ არ ვიცი, რა ხდება მისი აპარატის შიგნით – რა გეგმები და პირადი განცდები აქვს ან რას ფიქრობს, სანამ რაიმეს გადანყვეტს.

ლოტის ბუნება ადვილად ამოსაცნობია იქედან, თუ სად არჩია დასახლება, როგორი ცოლი მოიყვანა და როგორი შვილები შვა ინცესტის შედეგად – მოაბელები და ყამონელები. ლოტმა თავიდანვე ის აირჩია, რაც მისთვის საუკეთესოდ გამოიყურებოდა. ერთმანეთისგან გაყოფისას აბრაჰამმა პირველად არჩევს უფლება მას მიანიჭა და მის სანინაღმდეგო მხარეს დასახლებაზე დათანხმდა. წერილი აცხადებს: „ალაპყრო თვალები ლოტმა და დაინახა, რომ იორდანეს მთელი ტაფობი, ცოყარის მისადგომამდე კარგად ირწყებოდა“ (დაბ. 13:10). რა საჭირო იყო თვალების აპყრობა და დაკვირვება? მან კარგად იცოდა დაბლობის ქალაქების ბოროტების ამბავი. ალბათ, ფიქრობდა, შეძლებდა თუ არა ქვეყნიერებიდან სარგებლობის მიღებას ისე, რომ მასში არ ჩაფლულიყო. ლოტმა გეგმა შეადგინა.

მან დაბლობზე დასახლება გადანყვიტა, რომელიც ბოროტების ბუნაგიდან საკმარისად უსაფრთხო მანძილზე იყო (დაბ. 13:12). მიუხედავად ამისა, მისმა დამთმობმა დამოკიდებულებამ ვერ გაამართლა. მოგვიანებით, ის და მისი ოჯახი პირდაპირ ქალაქის კარიბჭის შიგნით აღმოჩნდნენ – ბოლოს მაინც, ჩათრეულ იქნა.

როცა ნმიდა შიში გვაკლია, ყოველთვის ვეძებთ ქვეყნიერებასთან მაქსიმალურ სიახლოვეს ისე, რომ მასში თავით არ გადავეშვათ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოტივი თავის შორს დაჭერაა, დიდი დრო არ დასჭირდება, სანამ ის შიგნით შეგვითრევს. უნდა გვახსოვდეს, რომ მონოდებული ვართ ქვეყნიერების დაღუპულთა გადასარჩენად ისე, რომ მისი ნაწილი არ გავხდეთ.

ლოტის ცხოვრება ჩვენს გაფრთხილებას ემსახურება. აბრაჰამის შუამდგომლობა რომ არა, სასჯელი ისე დაატყდებოდა თავს, როგორც ქურდი ღამით. მის ხორციელობას საშინელი შედეგები მოჰყვა. ლოტის ცოლი ისე მიეკრო სოდომს, რომ ანგელოზის მითითება არად ჩააგდო, უკან მიიხედა და დაისაჯა – ის მეყსეულად გადაიქცა მარილის სვეტად. იესო სიყვარულით გვაფრთხილებს, რომ „გვახსოვდეს ლოტის ცოლი“ (ლუკ. 17:32).

ახლა გონივრული იქნება კითხვის დასმა: ამგვარი მეგობრობა ჭეშმარიტია ყველა ღვთის შვილისთვის? ამაზე მალე გიპასუხებთ, მაგრამ ჯერ ძველი აღთქმის მეორე ცნობილ მეგობარზე ვისაუბროთ.

გათავისება

მონაკვეთი: ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ. დაიბანეთ ხელები, ცოდვილნო! განიწმიდეთ გულები, ორგულნო! (იაკ. 4:8)

თემა: ღმერთი გეგმებს მის მოშიშებს უზიარებს. ის თავის გეგმებს მაღავს მათგან, ვისი ერთგულებაც ღმერთსა და ქვეყნიერებას შორის ნაწილდება.

დაფიქრება: იესო აცხადებს, „როცა მოვა იგი, ჭეშმარიტების სული ... მომავალს გამოგიცხადებთ“ (იოან. 16:13). როგორ შეესატყვისება ეს ღვთისა და აბრაჰამის დიალოგს? მსურს ასეთი ურთიერთობა ღმერთთან, რომ მან თავისი გეგმები გამიზიაროს?

ლოცვა: ძვირფასო უფალო, მინდა, შენი დაფარული ზრახვების შესახებ ვიცოდე! ვაცნობიერებ, რომ ქვეყნიერებას ლოტის მსგავსად ვეკეკლუცებოდი. არსებითად, შენს დაფარულ რჩევებს განვუდექი. ამას ვინანიებ. გთხოვ, საფუძვლიანად გამწმიდო ჩემი უფლის, იესოს სისხლით! მიმიღე როგორც ერთი მათგანი, ვისაც საიდუმლოებებს უზიარებ! იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: არჩევანს ღმერთზე ვაკეთებ და უარვყოფ ქვეყნიერებას.

მხოლოდ მაშინ ვინცებთ
ღვთის თაყვანისცემას სულით
და ქეშმარიტებით, როცა
შიშისა დამოკრძალების
ძლიერი გრძნობა
დაგვიპყრობს მის
თანდასწრებაში.

– ალისტერ ბეგი

34 | პირისპირ

ახლა ძველი აღთქმის სხვა მამაკაცს გადავხედოთ, რომელიც ღვთის „მეგობრად“ იწოდა მასთან ურთიერთობაში.

„და ლაპარაკობდა უფალი მოსესთან პირისპირ, როგორც თავის მეგობარს ელაპარაკება კაცი“. (გამ. 33:11)

გონებისთვის მიუწვდომელია, რომ წმიდა წერილი ღვთისა და მოსეს მეგობრობის აღწერაში „პირისპირ ლაპარაკის“ ფრაზას იყენებს. გაითვალისწინეთ, რომ ეს ყოვლისშემძლე ღმერთია და არა რიგითი გამვლელი ან თუნდაც რომელიმე ცნობილი პიროვნება. სწვდებით ამ განცხადების სრულ მასშტაბს? ამგვარი სიახლოვის აღმნიშვნელი ტერმინი მხოლოდ ერთხელ არ არის გამოყენებული; მეორედ ვხვდებით მაშინ, როცა უფალი აჰარონსა და მირიამს განურისხდა მოსეს გაკრიტიკების გამო. მან მკაცრად განაცხადა:

„მთელ ჩემს სახლში ის არის ერთგული. პირისპირ ველაპარაკები, პირდაპირ და არა იგავებით. უფლის სახეს ჭვრეტს იგი“. (რიცხვ. 12:7-8)

ღვთისგან უდიდესი ქების ნიშანია „ერთგულის“ წოდება, რომელიც ადამიანმა შეიძლება მიიღოს. ნდობის საფუძველი უფრო მეტ გაგებას გვანვდის ღმერთთან მეგობრობის შესახებ. რა ამტკიცებს ღვთის ნდობას?

მოზიზება ღვთისა

უპირობო მორჩილება – ნათქვამის განუხრელი შესრულება;
აბსოლუტური სინაფელი – მისი სიტყვის გამუდმებული
დაცვა;

ურყევი პრიორიტეტი – მისი სურვილების პირველ რიგში
დაყენება;

მისი გულის ცნობა – ღვთის ნებისთვის უპირატესობის
მინიჭება, როცა მისაღებია კონკრეტული გადაწყვეტილება;

ოთხივე პუნქტში თანმიმდევრულობა პირველხარისხოვანია. თუ რომელიმე სფეროში ჩავარდნაა, სწრაფი და წრფელი მონანიება ისე დაგაყენებთ ნდობის გზაზე. წმიდა შიში აღძრავს ამ სანდობას ოთხივე კატეგორიაში და მოსემ ეს უმაღლეს დონეზე გამოავლინა. ამ თავში მესამე და მეოთხე კატეგორიას განვიხილავთ – ღვთის გულის სიღრმისეულად შემეცნებას და არჩევას.

დავფიქრდეთ მოსეს ცხოვრებაზე – სანყისი ორმოცი წელი სავსე იყო დიდი სიმდიდრით, დახვეწილი საკვებით, მოდური სამოსით, საუკეთესო მატერიალური ქონებით და ნებისმიერი სასურველი სიამოვნებით. ის თვალსაჩინო სახლში ცხოვრობდა. დედამინის ზურგზე არავინ იყო ფარაონზე, მის პაპაზე მდიდარი და ძლევამოსილი. და ამ ფონზე ვკითხულობთ:

„ღვთის ხალხთან ერთად ტანჯვა ამჯობინა ... ქრისტესათვის ლანძღვა მეტ სიმდიდრედ მიიჩნია, ვიდრე ეგვიპტის საგანძურები, ვინაიდან *საზღაურს უყურებდა*“.
(ებრ. 11:25-26)

მოსემ ამ ყველაფრისგან განზე გადგომა არჩია. მას შეეძლო ღმერთს სასახლეში მომსახურებოდა, მაგრამ *საზღაურის* მიღება შეუძლებელი იქნებოდა ეგვიპტეში დარჩენის შემთხვევაში. ეს ალტქმული მინა იყო? სავარაუდოდ, არა, რადგან რძითა და თაფლით მდინარი ქვეყანა რა არის იმასთან შედარებით, რასაც უკვე ფლობდა?

მოსესთვის სასურველი საზღაურის აღმოსაჩენად მისი სასახლის გარეთა ცხოვრება განვიხილოთ. იქედან წასვლა გონივრული საქციელი ჩანდა? უკეთესი პირობები მოიპოვა ვიდრე ეგვიპტის უფლისწულობისას ჰქონდა? მან მმართველი ერი მიატოვა უდაბნოში ორმოცწლიანი მწყემსობისთვის! ეს საკმაოდ

დიდი დროა ცხვრის მოსავლელად! ამის შემდეგ ფარაონისგან ღვთის ერის გასათავისუფლებლად ძალზე დაძაბული და ხანგრძლივი პროცესი გაიარა და თითქოს ეს საკმარისი არ იყო, კარავში ცხოვრება უწევს მრავალი გამონწვევით სავსე უნაყოფო უდაბნოში. ხალხი, რომელსაც წინ მიუძღვის, გაღიზიანებული, მებრძოლი და მისი ხელმძღვანელობით უკმაყოფილოა.

ამ ყველაფრის ფონზე, ღმერთი მოსეს რაღაცას სთავაზობს, რაც სტრესსა და მღელვარებას შეუმსუბუქებს. იგი მას ხალხის შეკრებისა და აღთქმული მიწისკენ გამგზავრების მითითებას აძლევს და წინამძღოლად რჩეულ ანგელოზს უყენებს მტრულად განწყობილი ერების აღსაგველად. უფალი მოსეს ახსენებს, რომ მიწა მდიდარი და ნაყოფიერია, თუმცა ბოლოს ამატებს: „გი კი აღარ ვივლი შენ შორის“ (გამ. 33:3).

შეჩერდით და დაფიქრდით, თუ რა წინააღმდეგობებს ხვდებოდნენ მოსე და ისრაელიანები ყოველდღიურად! იქაურობა დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა – არანაირი ლამაზი მდელოები, მდინარეები, ტყეები, ნაყოფიერი ნიადაგი, ბაღები, ბაღჩეები ან საძოვრები. არავის შეეძლო ცხელი შხაპის მიღება, მოხერხებულ სანოლში დაძინება, ახალგარეცხილი სამოსის ჩაცმა და დროდადრო, შოპინგზე სიარული. მათი საკვები მენიუ უკიდურესად მოსაწყენი იყო: არანაირი ახალი ხილი და ბოსტნეული, არა თევზი ან ხორცი, არა დესერტი, მხოლოდ პური, რომელიც ყოველ დღით მიწაზე ეფინებოდა, მაგრამ არც არაქისის კარაქი ახლდა თან და არც ჯემი ან ცივი საუზმეული!

ეგვიპტის მონობა საზარელი იყო, მაგრამ არც გამომშრალ უდაბნოში ცხოვრება ჩანდა უკეთესი. ორივეგან საშინელი ცხოვრების პირობები ჰქონდათ, თუმცა სხვადასხვაგვარად. და მაინც, ისრაელს უდაბნოში იმედი ასულდგმულეებდა: საკუთარი მდიდარი, ნაყოფიერი და მშვენიერი მიწა. ამას თაობების განმავლობაში ელოდნენ.

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ ღვთის ეს საოცარი სიტყვები? ალბათ, მოსე მათ მიიღებს, მთიდან ჩამოსვლას იჩქარებს და დიდებულ ახალ ამბავს მთელ ერს გამოუცხადებს. ისინი იზიარებენ, მას დიად წინამძღოლად შერაცხავენ და ბედნიერები შეუდგებიან ნანინანატრ მოგზაურობას მრავლისაღმთქმელი მიწისკენ. მოუსმინეთ მოსეს პასუხს ღვთის ამ შემოთავაზებაზე:

მოზიზება ღვთისა

„თუ თავად შენ არ წაგვიძღვები, აქედან ნუ გაგვიყვან“.
(გამ. 33:15)

უბრალოდ, შეგახსენებთ, რა ადგილია „აქედან“! ეს გახლავთ განსაცდელების, სტრესისა და სირთულეების ადგილი. მოსეს პასუხი გამაოგნებელი და საარაკოა საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვის. არსებითად, ის ამბობს: „თუ არჩევანის საშუალება მექნება შენს თანდასწრებასა და შენს კურთხევებს შორის, შენს თანდასწრებას ავირჩევ!“ რატომ? პიროვნების შესახებ ინფორმაციის გაგება მისი არყოფნის დროსაც შეგიძლიათ, მაგრამ მას ვერ დაუახლოვდებით. აი, რა იყო მოსეს სანატრელი საზღაური!

ალბათ, კითხვა გაგიჩნდებათ, თუ რატომ ეამებოდა ღმერთს მოსეს უარი მის შემოთავაზებაზე. მოსე ღვთის გულს იცნობდა. დაფიქრდით: ოდესმე გითქვამთ საყვარელი ადამიანისთვის, რომ რაიმე სასიხარულოს ან სასარგებლოს მიღების შესაძლებლობას აძლევდით და ამას გულწრფელად სთავაზობდით, მაგრამ გაოცებული დარჩით მისი უარის მიზეზით: „არა, მე შენთან ყოფნა მირჩევნია, ვიდრე შენ გარეშე გახარება.“ ასეთი პასუხი ძალზე იშვიათი, სასიხარულო ემოციებით ამავსებელი და ყველაზე მშვენიერია.

მოსეს ღვთის ეშინოდა, ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანი ყოველთვის უპირატესად მიაჩნდა. მას ღვთიური გული ჰქონდა, ამიტომ მისი ნდობაც მოიპოვა. ხალხს, რომელსაც ის წინამძღოლობდა, სხვა მოტივები ამოძრავებდა. წერილში ვკითხულობთ:

„აუწყა [ღმერთმა] თავისი გზები [ბუნება] მოსეს, ისრაელის ძეთ - თავისი საქმენი“. (ფს. 103:7)

ღმერთმა აბრაჰამის მსგავსად, მოსესაც გაუცხადა თავისი ბუნება. *The Good News Translation* გვეუბნება, რომ ღმერთმა თავისი გეგმები გაუმხილა მოსეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი დაფარული საიდუმლოებები მოსემ იცოდა, მაგრამ არა – ისრაელმა. ხალხმა მხოლოდ ის იცოდა, თუ როგორ პასუხობდა ღმერთი მათ ლოცვებს – მისი საქმეები.

რამდენი მორწმუნეა დღეს, რომელიც ღმერთს მხოლოდ ნაპასუხები ლოცვებით იცნობს? უზენაესთან მათი ურთიერთობა

უფრო საქმიან გარიგებას ჰგავს, ვიდრე სიახლოვეს. მათ იციან უფლის სიტყვები, მაგრამ არ იცნობენ მის გულს. წმიდა წერილი, ხშირად, წესებისა და ისტორიული თხრობის ერთობლიობად ან შთაგონების წყაროდ წარმოგვიდგენია. უარესიც, დამახინჯებულია ურჯულო ქმედების ნებართვის მისაღებად იმის ნაცვლად, რომ ღვთის გული იქნას ამოცნობილი ცხოვრების გარდაქმნელი ჭეშმარიტებების მეშვეობით.

მოსეც და ისრაელიც მართლები იყვნენ ისევე როგორც, აბრაჰამი და ლოტი. თუმცა ღვთის გულის — მისი ბუნების, საიდუმლოებებისა და გეგმების – ცოდნის უფლება მხოლოდ მის მოშიშებს აქვთ მინიჭებული. რატომ ენდობოდა ღმერთი მოსეს და არა ისარელიანებს? იმიტომ, რომ უფალი კარგად იცნობდა მოსეს და იცოდა, რომ ყოველთვის მისი გულისთვის საამო მიმართულებას აირჩევდა და არა იმას, რაც ამ უკანასკნელს სასარგებლო მოეჩვენებოდა. ეს წმიდა შიშია.

როცა ისრაელმა ხბო აღმართა უდაბნოში, ღმერთმა რისხვით განაცხადა:

„ახლა მიმიშვი, რათა აინთოს ჩემი რისხვა მათზე და მოვსპო, შენ კი დიდ ერად გაქცევ“. (32:10)

კიდევ ერთხელ იქნა შეთავაზებული მნიშვნელოვანი წინადადება – მოსეს ქცევა დიდ ერად. წარმოუდგენელია! როგორი იყო მოსეს პასუხი? მან კიდევ ერთხელ აირჩია ღვთისთვის საუკეთესო გზა და საკუთარ თავზე არ უფიქრია. მან გაბედულად შეახსენა ღმერთს ეგვიპტეში მოპოვებული სახელი და დამკვირვებელი ქვეყნების დამოკიდებულება, თუ როგორ ჩათვლიდნენ მას საკუთარი ერის მოღალატე ღმერთად. დიალოგმა ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ მოსემ მკვეთრად უთხრა: „დაიცხრე მგზნებარე რისხვა და გადაიფიქრე შენი ხალხის დაღუპვა!“ (მ. 12). მათ შორის არსებული დამოკიდებულებიდან გამომდინარე, მოსეს შეეძლო ღვთის მრისხანების ჟამს ამაზე მიეთითებინა და აზრის შეცვლა ეთხოვა! ასე არასოდეს მოხდება, თუ ადამიანს ღვთისმოშიშება არ აქვს და ყოველთვის ღვთის გულისთვის საამოსა და სასარგებლოს არ ეძებს.

მოზიზება ღვთისა

სწორედ ამიტომ ენდობოდა ღმერთი მოსეს და არ ენდობოდა თავის ერს, თუმცა მონობისგან ყველა მათგანი დაიხსნა. მან ისრაელიანები ძლიერი მკლავით გამოიყვანა ეგვიპტის ბორკილებიდან, მაგრამ თავისი გულისნადები მათთვის არ გაუზიარებია. მეგობრობის ასეთი პირობების ქონის იმედი ახალი აღთქმის მორწმუნეებისთვისაც უნდა ჰქონდეთ? ამას მომდევნო თავში ვნახავთ.

გათავისება

მონაკვეთი: ყოველივე ჩემი მამისგან გადმომეცა და მომენდო მე ... მამას სრულად არავინ იცნობს და ზუსტად არ ესმის მისი, გარდა ძისა. (მათ. 11:27 *AMPC*)

თემა: ღვთისგან ნათქვამი „გენდობი“ უდიდესი საქებარი სიტყვაა, რომელიც კი ადამიანს მისგან შეუძლია მიიღოს. ნდობის საფუძველი უმთავრესია ღმერთთან ურთიერთობისთვის. ის მათში იპოვება, ვისაც ღვთისმოშიშება აქვს.

დაფიქრება: მოსეს ღვთის შიში ჰქონდა და ღმერთიც ენდობოდა. იესო სიამოვნებას პოულობდა უფლის მოშიშებაში. იგი კარგად იცნობდა მამის გულს და მისგან ყველაფერი მოენდო. რა ურთიერთკავშირი არსებობს? რა ხდება, როცა ღვთისმოშიშება სიამოვნებას გვანიჭებს?

ლოცვა: ძვირფასო უფალო, მინდა, რომ მენდობოდე! გთხოვ, მაპატიო ის შემთხვევები, როცა არ გემორჩილებოდი, შენს სიტყვებს არ ვიცავდი და ჩემთვის სასარგებლო სურვილებზე მაღლა შენსას არ ვაყენებდი! ამის შეცვლა მინდა და გთხოვ, ამავსო წმიდა შიშით, რომელიც ამ ცხოვრებისეული ცვლილების განხორციელების ძალას მომცემს! იესოს სახელით გთხოვ, ამინ!

აღიარება: ვირჩევ, გავხდე პიროვნება, რომელსაც ჩემი უფალი იესო ენდობა.

განა არ გიზგიზებდა
ჩვენში გული, როცა
გველაპარაკებოდა გზაში
და განგვიმარტავდა
წერილებს?

– ლუკ. 24:32

35 | ჩეგი მეგობრები ხართ

აბრაჰამისა და მოსეს ცხოვრება სანიმუშოა იმის დასანახად, თუ რა გვჭირდება ღმერთთან მეგობრობის დასაწყებად. უფალი იმდენად შორს წავიდა, რომ თქვა: „მთელ ჩემს სახლში ის არის ერთგული“ (რიცხვ. 12:7). ღმერთმა განაცხადა, რომ მთელ იმ თაობასა და მის ერში არავინ იყო მოსეზე ერთგული, რომელსაც იგი ნამდვილად მიენდობოდა. რა საოცარი ნათქვამია!

შეცვალა თუ არა იესომ ეს კრიტერიუმი? გახსნილია თუ არა მეგობრობის კარი ყველა მისი მორწმუნისთვის? სწრაფი პასუხი გახლავთ, „არა“, მაგრამ ეს საკითხი იესოს მსახურების დასაწყისში იოანეს განცხადების მეშვეობით გამოვიძიოთ:

„იერუსალიმში, პასექის დღესასწაულზე ყოფნისას, ბევრმა ირწმუნა მისი სახელი, როცა იხილეს მის მიერ მოხდენილი სასწაულები. თვითონ იესო კი არ ანდობდა მათ თავის თავს, რადგან ყველას იცნობდა“. (იოან. 2:23-24)

ნდობა საინტერესო ბერძნული სიტყვა გახლავთ და „სრულ მინდობამდე რწმენას, დაყრდნობას – რაიმეში გაბედულების ქონას“ ნიშნავს.¹ საინტერესოა, რომ ამ ნდობას იესო არ იზიარებს. მიუხედავად ადამიანების სრულყოფილი მინდობისა და მასზე დაყრდნობისა, თავად იესო მათ არ ენდობოდა. მან კარგად იცოდა, რომ ადამიანთა დიდი უმრავლესობა სანდო

მოზიზება ღვთისა

არ იყო. იესოს ისინი უყვარდა და ემსახურებოდა, მაგრამ მეგობრობის დონემდე არ აჰყავდა. ღვთის მიერ მოსეს მიმართ გამოვლენილი ნდობა იესოს (ღმერთს გამოვლენილს ხორცში) არ განუვრცია იმ ადამიანებზე, რომელთაც მისი სწამდათ.

მოდით, წინ წავიდეთ და საიდუმლო სერობაზე ვიმსჯელოთ! ადამიანები იესოს ერწმუნენ ბოლო სამი წლის მსახურების მანძილზე, მაგრამ ისინი არ იყვნენ სანდონი. ბევრი ფარულად მიჰყვებოდა მას, სხვები გარკვეულ მანძილზე ან მაშინ, როცა მისგან სარგებელს მოელოდნენ. მრავალმა მოწაფემ მიატოვა იგი, ხოლო იუდამ გაყიდა.² ეს გვეხმარება იმის გაგებაში, თუ რატომ არ ჰქონდა იესოს საპასუხო ნდობა?

სერობაზე ქრისტე მის უახლოეს გარემოცვასთან ერთად იმყოფება. იგი დიდი მადლიერებით და გრძნობით ამბობს: „თქვენ კი ისინი ხართ, რომლებიც ჩემთან დარჩით ჩემს განსაცდელში“ (ლუკ. 22:28). არსებითად, ისინი ერთგული ადამიანები იყვნენ. მართალია, პეტრეს იმავე საღამოს ექნებოდა მთავარი უკანდახევა, მაგრამ მოინანიებდა და ძველ ერთგულებას დაიბრუნებდა. იესომ ეს იცოდა.

იუდა ღალატის საქმით იყო დაკავებული, ამიტომ იესო დარჩენილ თერთმეტს მიუბრუნდა: „მსახურებს აღარ გინოდებთ“ (იოან. 15:15). სიტყვა „აღარ“ ნიშნავს, რომ ერთ დროს მათ მსახურებად თვლიდა. ეს არ არის გამოცხადება, არამედ უბრალო დასკვნა. პავლე ამ პრინციპს წერილში განავრცობს:

„მემკვიდრე-მეთქი, მაგრამ ვიდრე ის ჩვილია, არაფრით განირჩევა მონისგან, თუმცა ყოვლის მფლობელია“. (გალ. 4:1)

უნდა დავსვათ კითხვა, თუ რატომ გვტოვებს ღმერთი მსახურის დონეზე, როცა მისი სამეფოს მემკვიდრენი ვართ? პასუხი ასეთია: ის გვიცავს. მას არ სურს, რომ ანანიასა და საფირას ხვედრი გვერგოს; ეს სიამოვნებას საერთოდ არ ანიჭებს.

1980-იან წლებში მე და ლიზა ორი გლობალური მსახურებისთვის ვშრომობდით, რომელთაგან ერთს 450 შტატიანი თანამშრომელი ჰყავდა, ხოლო მეორეს – 150. ორივეგან დავინახეთ ხელმძღვანელობის პრობლემები, რომლებიც უგულებელყოფილი იყო და როცა საკუთარი მსახურება დავინწყეთ, შევეცადეთ

ისრის მაჩვენებელი მეორე უკიდურესობისკენ მიგვემართა ჩვენი თანამშრომლების წარმართვის საქმეში. ზოგიერთი იდეა კარგი გამოდგა, სხვები – არა. ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც წამოვიწყეთ, გახლდათ მიდგომა: „ყველა თანამშრომლის საუკეთესო მეგობარი ვიქნები“. ალბათ, უკვე მიხვდით ამ მოსაზრების უგუნურებას.

ჩვენი პირველი კადრი იყო ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჯასტინს ვუწოდებ. საუკეთესო მეგობრად გავიხადე. კალათბურთს ერთად ვთამაშობდით, ვიდეოებს ერთად ვუყურებდით, ხშირად ერთად ვსადილობდით და საუკეთესო მეგობრებისთვის ნიშანდობლივ სხვა საქმეებს ვაკეთებდით. თავდაპირველად ეს ყველაფერი დიდებულად გამოიყურებოდა. თუმცა ერთი წლის შემდეგ მის საქმიანობაში რაღაც პატარა შესწორება შევიტანე. ის ჩემს პირდაპირ მაგიდასთან იჯდა და საუბარი ჩვეული თავაზიანობით დავინყე:

– ჯასტინ, როცა ჩემთან ერთად მოგზაურობ, ჩვენი რესურსების მაგიდასთან მოსულ ადამიანებს გულისხმიერებით მოექეცი. გთხოვ, გაიღიმო და მათთან დიალოგში შეხვიდე, რადგან ისინი ძვირფასები არიან ღვთის თვალში.

ამის შემდეგ მომხდარმა გამოგნა. მან თითი მომიშვირა და ყოველგვარ შეცდომაში დამდო ბრალი. დაიწყო იმის ჩამოთვლა, რასაც არასწორად ვაკეთებდი. ვიფიქრე: *ღმერთო! ნუთუ ამ ყველაფერს მართლა ჩავდივარ?* რამდენიმე წუთში გავაცნობიერე, რომ ეს ადამიანი კრიტიკის თვალით მიყურებდა. გავჩერდი და სულიწმიდას ვკითხე, რა უნდა მექნა. მან წყნარად მითხრა: „გაუშვი მსახურებიდან!“

დავაცადე, სანამ ყველაფერს ამოთქვამდა და ვუთხარი:

– ჯასტინ, სამსახურიდან უნდა გაგათავისუფლო.

ის მთლად გაცოფდა და სახლიდან გავარდა. ცრემლები მომანვა, რადგან მასზე ვდარდობდი. მოულოდნელად სულიწმიდამ მითხრა:

– უკან დაბრუნდება და ორმაგ ერთგულებას გამოიჩენს.

სამი თვის შემდეგ ჯასტინმა დამირეკა. მან თქვა:

– ღმერთი დამელაპარაკა და საქციელი შემისწორა. პატიების სათხოვნელად გირეკავ. დავკარგე ხედვა, თუ სად დამაყენა ღმერთმა შენსა და ლიზას მსახურებაში და იმ პოზიციასაც ველარ ვხედავდი, რაზეც თქვენ დაგაყენათ ჩემს ცხოვრებაში.

მოზიზება ღვთისა

ორივე რიგით ადამიანებად, ჩემს თანასწორებად მიგიჩნიეთ და არა ხელმძღვანელებად. ძალიან ვწუხვარ.

სწრაფად მივუგე:

– გპატიებ, ჯასტინ!

სხვა შესარიგებელი ფრაზების გაცვლის შემდეგ ვკითხე, ჩვენთან სამუშაოდ ხომ არ დაბრუნდებოდა. ის სიხარულით დათანხმდა და მას შემდეგ იმ სფეროში არავითარი პრობლემა არ ჰქონია.

ახლა სხვაგვარად ვაზროვნებ. თავს ვიკავებ ნებისმიერ თანამშრომელთან გულის საიდუმლოებების გამჟღავნებისგან, სანამ არ დავრწმუნდები, რომ მყარად დგანან იმ შემეცნებაში, რის ხედვაც ჯასტინმა დაკარგა. ასე იმიტომ არ ვიქცევი, რომ ჩემი გუნდის წევრების მიმართ გაუცხოებული ან უემოციო ვარ. ამით მათ ვიცავ. არ მინდა ჯასტინისნაირ მდგომარეობაში ჩავარდნენ. როგორც კი დავრწმუნდები, რომ თანამშრომელს კარგად ესმის პოზიციის საკითხი, სამეგობროდ ვინვევ. ჩვენი გუნდის რამდენიმე წევრი ჩემი უახლოესი მეგობარია.

არსებითად, უფალი გვეუბნება: „სანამ მყარად არ გააცნობიერებ, თუ ვინ ვარ შენს ცხოვრებაში და ვინ ხარ ჩემთან ერთად – მომიშება უფლისა – მანამ მეყოლები მსახურის დონეზე, თუმცა მემკვიდრე ხარ – ჩემი ძე ან ასული ცათა სამეფოში. ეს შენს დასაცავადაა, რომ ანანიასა და საფირას მსგავსი სასჯელი არ დაგატყდეს“.

იესო იმ კაცებს ეუბნება:

„მონებს აღარ გინოდებთ, რადგან მონამ არ იცის, რას აკეთებს მისი ბატონი. არამედ მეგობრები გინოდებთ, რადგან ყველაფერი გამცნეთ, რაც მამაჩემისგან მსმენია“.
(იოან 15:15)

ფაქტობრივად, იესო ამბობს: „აქამდე არ ჩაგიხედავთ შიდა სამზარეულოში და არაფერი იცოდით ჩემი გეგმების, დაფარული განზრახვებისა და გულისნადების შესახებ. ახლა კი შემიძლია, გენდოთ, როგორც მოსესა და აბრაჰამის შემთხვევაში გავაკეთე.“ სწორედ ამიტომ გვიცხადებს ყველა ჩვენგანს:

„თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ ...“ (იოან. 15:14)

ვგალობთ, ვქადაგებთ და ჩვეულებრივად წარმოვთქვამთ, რომ იესო ჩვენი მეგობარია და ზოგი ისე შორს იჭრება, რომ თავი მის „ძმაკაცად“ წარმოუდგენია. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ განცხადებას იშვიათად ვამთავრებთ. კავშირი თუ პირობას ნიშნავს. მეგობრობა ავტომატურად არ მოდის, თუნდაც მისი გვწამდეს. რაში მდგომარეობს მეგობრობის პირობა?

„თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ იმას აკეთებთ, რაც გამცნეთ.“

აი, ეს არის პირობა: უფლის შიში – მის სიტყვაზე თრთოლა, მისი მცნებების მეყსეული დამორჩილება საქმის ბოლომდე მიყვანით მაშინაც კი, როცა აზრი გაუგებარია, სარგებელს ვერ ვხედავთ ან მტკივნეულია. თუ აბრაჰამი და მოსე ყოვლისშემძლე ღმერთთან მეგობრობაში უფლის შიშმა შემოიყვანა, სხვაგვარად ჩვენს შემთხვევაშიც არ იქნება. როცა უფლის გულისნადები და ნება ჩვენთვის პირველხარისხოვანი გახდება, ჩვენი ნდობა შეეძლება და სამეგობროდ მოგვინვეს. რა პატივი და პრივილეგიაა, რა წამახალისებელია სამყაროს შემოქმედის მეგობრობა!

სანამ დავასრულებდე, მინდა ერთი დროში განელილი საკითხი წამოვწიო: იესო მცნებებს გვაძლევს? დიახ, მარტო ახალ აღთქმაში ხუთასზე მეტი მცნებაა. ესენი არ გახლავთ გადარჩენისთვის საჭირო მცნებები, რადგან ეს უსასყიდლო საჩუქარია. ისინი ღმერთს განადიდებენ, როცა წმიდა შიშით ვართ აღვსილნი. ამაღლებამდე იესოს ბოლო სიტყვები ასეთი იყო: „ამიტომ წადით და დაიმონაფეთ ყველა ხალხი ... ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ“ (მათ. 28:19-20).

წმიდა შიშის უდიდესი სარგებელი გახლავთ იესოსთან მეგობრობის შესაძლებლობა. მომდევნო ნაწილში ღვთისმოშიშების სხვა სარგებელსაც გამოვიკვლევთ.

გათავისება

მონაკვეთი: „თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ იმას აკეთებთ, რაც გამცნეთ.“

(იოან. 15:14)

თემა: იესოს ნდობას მისი რწმენით ვერ მოვიპოვებთ. უფალთან მეგობრობა მხოლოდ მის მოშიშთათვის არის შესაძლებელი.

დაფიქრება: ღირს თუ არა იესოს დაუყოვნებელი და სრული მორჩილება მაშინ, როცა მისი მითითება გაუგებარია, პირადი სარგებელი არ ჩანს ან მტკივნეულიც კი არის? ღირს ამაღ იესოსთან მეგობრობის სარგებელი?

ლოცვა: ძვირფასო უფალო, ყველაფერზე მეტად შენთან ახლო მეგობრობა მსურს! არ მინდა შორიდან გიცივობდე; მინდა შენთან ახლოს ვიყო. უფლის მოშიშებას ვარჩევ – შენს უპირობო მორჩილებას; მთელი გულით, სამშვიინველით, სხეულით და ძალით სიყვარულს და შენი ხალხის სიყვარულს ქვეშარიტებაში, როგორც თავად შენ გიყვარს. ამას გთხოვ იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: ვარჩევ იესოს მეგობრად გახდომას! დავემორჩილები, რა მცნებაც არ უნდა იყოს.

საბანძურის სარბეზელი

კვირა 6

მოასწორე შენი ფეხის
ბილიკი და ყველა შენი გზა
განმტკიცდება.

– იგ. 4:26

36 | მისი აღთქმების დაფუძნება

ახლა ჩვენი ყურადღება წმიდა შიშის არაერთ სარგებელს მივაპყროთ. რამდენიმეზე უკვე ვისაუბრეთ ყველაზე მთავრის ჩათვლით, რაც არის ღმერთთან სიახლოვე. მოდით, ფარდა ავხადოთ შემდეგ ცოდნას: „რაოდენ დიდია სიკეთე შენი, რომელსაც შენს მოშიშთათვის ინახავ“ (ფს. 31:19).

სანამ ამ საოცარ მსჯელობას წამოვიწყებდეთ, მნიშვნელოვანია ერთი მცდარი მიდგომის გამოაშკარავება. ხშირად ადამიანები წმიდა წერილს საკუთარი თუ სხვისი გამოცდილების შუქზე განმარტავენ და ბიბლიას ამ გამოცდილების ჩამოყალიბების საშუალებას არ აძლევენ. არსებითად, ღვთის დაპირებები „მიზანში მოხვედრის ან აცდენის“ სცენარით განიხილება, სადაც დომინანტურია შემდეგი აზრი: *თუ ღმერთს ეს ჩემთვის უნდა, შესანიშნავია. თუ არ უნდა, იგია უზენაესი და მისი ნება უნდა მივიღო.* ამგვარი შეხედულება გვეუბნება, თითქოს ღმერთი მიკერძოებულია თავისი შვილების მიმართ, რაც არასწორია. ამას ადვილად მივყავართ უფლის სანინაალმდეგო დაფარულ და გამოუთქმელ წყენამდე.

სინამდვილე სხვაგვარია. ხშირად იმის მოპოვება გვინევს, რასაც ღმერთი აცხადებს. მეტი დეტალებისა და ამ ჭეშმარიტების

მოზიზება ღვთისა

გამყარებისთვის წერილს მივმართოთ. მოდით, ბიბლიური ალექმა მოვიყვანოთ, რომელსაც უმრავლესობა თავისთავად გამომდინარედ ჩათვლიდა! ღმერთმა აბრაჰამს უთხრა: „ისაკში ინოდება შენი თესლი“ (დაბ. 21:12). ეს და ღვთის მიერ უნინ ნათქვამი სიტყვები ნათელს ჰფენს მის ალექმას: მრავალი ერის მამობის დაპირების რეალობას და მომავალი მესიის მოვლინებას ისაკის შთამომავლობიდან.

ეს აზრი მხედველობაში ვიქონიოთ და ვნახოთ, როგორ დაიწყო ისაკის შთამომავლობა მისთვის შესაფერისი ცოლის არჩევით. აბრაჰამის მსახური ბატონის სამშობლოში მიემგზავრება ისაკისთვის საპატარძლოს მოსაძებნად. გრძელი გზის შემდეგ ის საერთო ჭასთან ჩერდება და ღვთისგან უდავო ნიშანს ითხოვს – თუ გოგონა ათ აქლემს საკუთარი ინიციატივით დაარწყულებს, „სწორედ ის იქნება დადგენილი შენი მორჩილი ისაკისთვის“ (დაბ. 24:14).

აქ შევჩერდეთ და ყურადღება მივაქციოთ, რომ ვრცელი უდაბნოს გადალახვის შემდეგ ერთ აქლემს შეუძლია თხუთმეტ წუთში ოცდაათიდან ორმოცდაათ გალონამდე (113.5-189.2 ლიტრამდე) წყალი დალიოს და თუ ამ რიცხვს 10-ზე გავამრავლებთ ყველა აქლემის დასარწყულებლად, ძალიან დიდ რაოდენობას მივიღებთ იმისთვის, რომ ახალგაზრდა გოგონამ საკუთარი სურვილით მოინდომოს ამის გაკეთება. მსახურის ლოცვა სასწაულებრივ პასუხს მოითხოვდა, მაგრამ რებეკამ ეს თხოვნა სრულყოფილად შეასრულა! ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ის გახლდათ ისაკისთვის დადგენილი საცოლე.

მსახური სახლში მასთან ერთად დაბრუნდა და ისაკი და რებეკა შეუღლდნენ. მიუხედავად ამისა, ალექმის შესრულებას დიდი წინალობა ახლავს – ქალი უნაყოფოა და არ შეუძლია შვილების ყოლა! ნუთუ ღმერთმა შეცდომა დაუშვა? არ იცოდა, რომ ბერნი იყო? როგორ აღსრულდება ალექმა? რატომ აირჩია ეს ქალი? რა უნდა ქნან ისაკმა და რებეკამ? უნდა ელოდონ, როდის ასრულდება დაპირება და ერთ დღესაც როდის გაიხსნება რებეკას საშო სასწაულებრივად?

პასუხის ძიებაში ჯერ აბრაჰამს გადავხედოთ, როგორც პირველ მინიშნებას. ის გაბედული ლოცვის კაცია. ის პირველია, ვინც ღმერთს მოუწოდა, რომ თავისი ბუნების ერთგული დარჩენილიყო და სოდომი და გომორა არ გაენადგურებინა ამ

ქალაქებში ათი მართალი ადამიანის აღმოჩენის შემთხვევაში. წერილიდან ვიცით, რომ თავის შვილსაც იგივეს კეთებას ასწავლიდა (დაბ. 18:19). ამის გათვალისწინებით, ვკითხულობთ:

„ემუდარებოდა ისაკი უფალს თავისი ცოლისთვის, რადგან ბერნი იყო იგი; ისმინა მისი უფალმა და დაორსულდა რებეკა, მისი ცოლი“. (დაბ. 25:21)

კიდევ ვიმეორებ, თუ ღვთის აღთქმა აუცილებლად აღსრულებოდა ადამიანის ჩარევის გარეშე, მაშინ რებეკას ექნებოდა შვილის გაჩენის უნარი, მაგრამ ასე არ იყო. დაპირების შესრულებას ისაკის კონკრეტული მოქმედება დასჭირდა. ის ღმერთს ევედრებოდა. ებრაული ლექსიკონის თანახმად, ამ სიტყვის ძირეული მნიშვნელობა ასეთია: „უფლისადმი ღალადი“. ამრიგად, ეს არ იყო რიგითი ლოცვა, არამედ მხურვალე ვედრება, რომელიც პასუხად „არა“-ს არ მიიღებდა. ასეთი თხოვნა უყვარს ღმერთს. წერილი გვეუბნება:

„ბევრი რამ შეუძლია მართლის გაძლიერებულ ლოცვას“. (იაკ. 5:16)

იაკობ მოციქული აცხადებს, რომ შედეგი მოაქვს წრფელ და მხურვალე ლოცვას. მას წვიმისთვის ელიას ლოცვის მაგალითი მოჰყავს. წინასწარმეტყველს შვიდჯერ დასჭირდა ღალადი მუხლებში თავჩარგულს და შვიდჯერ გაგზავნა მსახური მომავალი წვიმის ღრუბლის სანახავად. მისი რწმენა უარს ამბობდა დანებებაზე, სანამ ღვთის მიერ აღთქმული არ შესრულდა დედამინაზე (1 მეფ. 18:41-45).

ისაკმა იცოდა ღვთის ნება და გულმოდგინედ ლოცულობდა მის მოსატანად დედამინაზე. მართებულია ასეთი მიდგომა ყველა მორწმუნისთვის? ჩვენ გვეუბნებიან:

„უფალო, უკუნისამდე განმტკიცებული შენი სიტყვა ზეცაში“. (ფს. 119:89)

ღვთის სიტყვა ზეცაშია გამყარებული. შემთხვევითი არ არის, რომ ნახსენებია მხოლოდ ზეცა დედამინის გარეშე.

მოზიზება ღვთისა

რატომ? მეფსალმუნე ამბობს: „ცანი - ცანია უფლისა, ქვეყანა კი კაცთა შვილებს მისცა“ (ფს. 115:16). უფალს ეკუთვნის ცა და მიწა (1 კორ. 10:26), მაგრამ დედამინა გარკვეული პერიოდით კაცობრიობის განკარგულებაშია.

მე და ლიზამ ქორწინების პირველ ხანებში ბინა დავექირავეთ. ის ჩვენ არ გვეკუთვნოდა, მაგრამ შიგ ცხოვრება და სახლის მოწყობა შეგვეძლო. მესაკუთრეები არ მოდიოდნენ იმის შესამონებლად, თუ როგორ განვალაგეთ ავეჯი, როგორ მოვრთეთ ოთახები და როგორ მოვანყვეთ სხვა ცხოვრებისეული ასპექტები, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მათი დახმარების იმედი გვექონდა.

ანალოგიური შეთანხმება არსებობს დედამინის მესაკუთრე ღმერთსა და კაცობრიობას შორის, რომელსაც ის იჯარით აქვს აღებული. ეს ხსნის, თუ რატომ არ მოვიდა ღმერთი ედემის ბაღში და ადამს ხილი ხელიდან არ გამოგლიჯა. მან კაცობრიობას დედამინაზე ბატონობის უფლება მისცა (დაბ. 1:26-28). ამ გაგებით კითხვა უნდა დავსვათ: როგორ არის განმტკიცებული მისი სიტყვა დედამინაზე? წერილი გვეუბნება: „ორი ან სამი მოწმის პირით დამტკიცდება ყოველი სიტყვა“ (2 კორ. 13:1). და ღმერთი ესაიას წიგნში აცხადებს:

„ასე იქნება ჩემი სიტყვა, რომელიც გამოდის ჩემი ბაგიდან - ფუჭად არ დამიბრუნდება იგი, რადგან იმას მოიმოქმედებს, რაც მსურს“. (ეს. 55:11)

საინტერესოა, რომ ორივე მონაკვეთში ხაზგასმულია ბაგე. ღვთის ბაგე მის ნებას აცხადებს, მაგრამ საჭიროა ადამიანმა – რომელსაც დედამინაზე მართვის ძალაუფლება მიეცა – გამოაცხადოს ის თავისი ბაგით მიწაზე განსამტკიცებლად. ამის შემდეგ მისი აღთქმა დედამინაზეც ისევე გამყარდება, როგორც ზეცაშია. მარტივად რომ ვთქვათ, ღმერთი „იჯარით გაცემულ“ დედამინაზე მისი ნების განხორციელების ძალას არ დაგვატანს, სანამ თავად არ ვთხოვთ.

ღმერთმა აღთქმა მისცა აბრაჰამს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ ევედრება მას ისაკი? „მამაჩემის ღმერთო, აღთქმა მომეცი, რომ ჩემგან ერი გამოვიდოდა და ჩემი შთამომავლობა იკურთხებოდა. გთხოვ, საშო გაუხსნა ჩემს ცოლს, რომ შვას, ამინ!“ შედეგი? ღვთის ნება გამყარდა დედამინაზე.

ახლა გადავხედოთ ჩვენს უდიდეს სამაგალითო პიროვნებას, იესოს.

„მან ხორცში ყოფნის დღეებში ძლიერი ღალადითა და ცრემლით შესწირა ლოცვა და ვედრება მას, ვისაც შეეძლო სიკვდილისგან ეხსნა იგი, და შესმენილ იქნა მისი ღვთისმოშიშების გამო“. (ებრ. 5:7)

კიდევ ერთხელ ვხვდებით სიტყვა ვედრებას, მაგრამ ამჯერად ის შერწყმულია ღვთისმოშიშებასთან. კიდევ ერთი გასაღები გვაქვს. საკმარისი არ არის მხოლოდ დაჟინებული რწმენა, რომელიც ლაპარაკობს (ღალადებს) მანამ, სანამ ღვთის ალთქმა დედამინაზე ცხადი არ გახდება, არამედ უფლის მოშიშებაც, რომ ღვთის ალთქმები განმტკიცდეს მისი ერის მიმართ. ყურადღება მიაქციეთ, რომ ღმერთმა „შეისმინა“ იესოს ლოცვები. ერთია ლოცვის აღვლენა და მეორეა მისი შესმენა. არსებობს ისეთი ლოცვები, რომლებიც შესმენილი არ არის? რასაკვირველია! იაკობი წერს: „ითხოვთ და ვერ იღებთ, რადგან ბოროტი განზრახვით ითხოვთ, რათა თქვენი გულისთქმებისთვის გაფლანგოთ“ (იაკ. 4:3). კიდევ ერთხელ გვეუბნებიან, რომ ჩვენს მოტივებს უნდა დავაკვირდეთ და უფლის მოშიშებაა ის, რაც მათ სწორ მდგომარეობაში ინახავს.

როცა ღვთისმოშიშება გვაქვს, გაბედულად ვლოცულობთ და ვაცხადებთ, რომ ღვთის ალთქმები ისე შესრულდეს და განმტკიცდეს დედამინაზე, როგორც ზეცაშია. ეს ხომ არ არის პავლეს სიცოცხლის ბოლო წლებში ნათქვამის უკან მდგარი მიზეზი: „იბრძოლე რწმენის კეთილი ბრძოლით, ჩაეჭიდე მარადიულ სიცოცხლეს“ (1 ტიმ. 6:12)? ეს ბრძოლაა და რწმენით ვიმკვიდრებთ იმას, რასაც მარადიული სიცოცხლე გვთავაზობს.

გათავისება

მონაკვეთი: მის მოპიპთა სურვილს ასრულებს, მათ ღალადისს ისმენს და იხსნის მათ. (ფს. 145:19)

თემა: ხშირად ადამიანები წმიდა წერილს საკუთარი თუ სხვისი გამოცდილების შუქზე განმარტავენ და ბიბლიას თავიანთი გამოცდილების ჩამოყალიბების საშუალებას არ აძლევენ.

დაფიქრება: სარგებლის მიღების მიზნით ხომ არ გადავუხვიე წერილში გაცხადებულს საკუთარ თუ სხვათა გამოცდილებაზე დაყრდნობით? არსებობს ალტეჟმები, რომლებიც ჯერ არ აღსრულებულა ჩემს ცხოვრებაში, ოჯახში ან ჩემი გავლენის სფეროში? ღვთიური ალტეჟმების გარეშე ხომ არ მოვანყვე ჩემი ცხოვრება? მაქვს სურვილი, რომ ვიბრძოლო ალტეჟმების დასამკვიდრებლად ღვთის წინაშე ღალადით, რომ აღსრულდეს დედამინაზე?

ლოცვა: ძვირფასო უფალო, იესოს სახელით მომიტევე ჩემი სულიერი სიზარმაცე, აღუსრულებელი ალტეჟმები და უბრძოლველობა შენი სიტყვის დამკვიდრების საქმეში! წარსულის გამოცდილებას ვეყრდნობოდი ჩემი სავალი გზის გასაკვლევად და არ ვიბრძოდი შენი ნების დედამინაზე განტკიცებისთვის. ვინანიებ და რწმენის კეთილი ღვანლით ბრძოლას ვირჩევ, რომ შენი ნების დედამინაზე აღსრულებისთვის ვილოცო ისე, როგორც ზეცაში სრულდება. ამინ!

ალიარება: ვირჩევ რწმენის კეთილი ღვანლით ბრძოლას, რომ ჩავეჭიდო მარადიული სიცოცხლის ყოველ შემოთავაზებას და დავინახო ღვთის ნების განმტკიცება ჩემი გავლენის სფეროში.

ღვთისმოშიში კაცი
ცხოვრებას უშიშრად ხვდება.
ვისაც ღვთის შიში არ აქვს,
ყველაფრის შიშით
ასრულებს სიცოცხლეს.

– რიჩარდ შალვერსონი

37 | შიში, რომელიც ნებისმიერ სხვა შიშს ღეჰნის

შეჭირვებულ და შიშით სავსე ქვეყნიერებაზე ვცხოვრობთ. ფაქტობრივად, იესო გვაფრთხილებს, რომ ყველაფერი კიდეც უფრო გამძაფრდება. მომავალი მოვლენების იესოსეულმა აღწერილობამ უნდა გამოგვაფხიზლოს: „ხალხს გული ნაუვა შიშით და დედამინაზე მომავალთა მოლოდინით, რადგან შეირყევინ ციური ძალები“ (ლუკ. 21:26). შიში და აფორიაქება ჩანაცვლებს იმედს, მშვიდობას და სინყნარეს და მხოლოდ შფოთვა, დამძიმებული გულები და გამუდმებული მღელვარება დარჩება. რა არის ამის ანტიდოტი?

„რადგან ასე მელაპარაკა უფალი ძლიერი ხელით და გამაფრთხილა - ამ ხალხის გზით არ მევლო. მითხრა: „ნუ უწოდებთ შეთქმულებას ყველაფერს, რასაც ეს ხალხი უწოდებს შეთქმულებას; ნუ შეგეშინდებათ და შეგზარავთ ის, რისაც მათ ეშინიათ. ცაბაოთ უფალი შერაცხეთ წმიდად; ის იქნება თქვენი შიში და ის იქნება თქვენი ძრწოლა, ის იქნება თქვენი სანმიდარი“. (ეს. 8:11-14)

წმიდა შიში აქრობს ყველა სხვა შიშსა და შფოთვას, რადგან მას ზურგს უმაგრებს ღვთის აღთქმა ჩვენს დაცულობაზე. ერთი წუთით შეჩერდით და ამ რეალობაზე დაფიქრდით! წარმოიდგინეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთელი არმია მზად არის თქვენს დასაცავად. ყველა გენერალი თავის ქვემდგომ ოფიცრებს უბრძანებს, რომ უპირატესობა თქვენ გენიჭებათ და ყველა საშუალება უნდა იქნას გამოყენებული, რასაც თქვენი უსაფრთხოება მოითხოვს. მათი შეიარაღების სრული სპექტრი ამ საქმეს მოხმარდება თქვენი ადგილზე დარჩენის თუ წასვლის შემთხვევაში. ეს თითქმის შეუძლებელია, მაგრამ თუ ასე მოხდა, დარწმუნებული ვარ, რომ ყველაზე დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნობთ თავს. და მაინც, ეს მაგალითი სრულიად უფერულდება ყოვლისშემძლე ღვთის ნათქვამთან: „მე დაგიცავ“. გასაკვირი აღარ არის მისი სიტყვა:

რაოდენ დიდია სიკეთე შენი, რომელსაც შენს მოშიშთათვის ინახავ, შენში თავშესაფრის მძებნელთ რომ განუმზადე, ადამის ძეთა წინაშე. შენ იფარავ მათ შენი პირის საფარველქვეშ ადამიანთა ხრიკებისგან, იცავ მათი ერთ მომხდარი დავიდარაბისგან. (ფს. 31:19-20)

სანატრელი სიკეთის დაპირება – ღვთის თანდასწრების თავშესაფარში შენახული და რაიმე ზიანისგან დაცული – მხოლოდ უფლის მოშიშთათვისაა. მე და ღვთის ნების მანძილზე ვიტანდით ჩვენს წინააღმდეგ ნათქვამ ტყუილებს, ჭორს, ცილისწამებას და მუქარას. მეგობრებს ხუმრობით ვეუბნებოდი: „ჩემი სახელი არ „დაგუგლოთ“, თორემ ცილისმწამებლური სტატიები დაგეყრებათ თავზე.“ წესად დავიდეთ, რომ ჩუმიად ვყოფილიყავით და საკუთარი თავი არ დაგვეცვა. ამის ნაცვლად, ყოველგვარი შემოტევა მას მივანდეთ, ვისიც გვემინია და მუდამ მისი დაცვის მოწმენი ვხდებოდით. ეს ადვილი არ იყო. ყოფილა შემთხვევები, როცა სიმწრისგან ხელებს ვიმტვრევდი და ჰაერში მქონდა აპყრობილი, თითქოს უფალს გადავცემდი ყველა იმ ბრალდებას. სიმწრით ვლალადებდი: „მამა, შენს ხელთ გადმომიცია ყველაფერი! გთხოვ, დამიცავი!“ მას იმედი არასოდეს გაუცრუებია.

წმიდა მოშიშების გამო დაცულობა მრავალი ჩემი ნაცნობის შემთხვევაშიც მინახავს. რამდენიმე წლის წინ მშობლიურ ქალაქში 1 500 ადამიანის წინაშე ვიქადაგე. მსახურებაზე ბევრმა გაცვალა თავისი შიშები უფლის მოშიშებაში. ერთ დედასა და ქალიშვილს, რომლებიც შიშისგან განთავისუფლებულთა შორის იყვნენ და მომდევნო საღამოს საყიდლებიდან ბრუნდებოდნენ, სამი დანებითა და თოფებით შეიარაღებული კაცი დახვდა. მათ მკაცრად უბრძანეს სახლში შესვლა. სავარაუდოდ, ქალების გაქურდვა, მათზე ძალადობა და შესაძლოა, მოკვლაც კი უნდოდათ.

მოგვიანებით დედამ გვიამბო: „ერთი ღამით ადრე რომ მოსულიყვნენ, შიშით მოვკვდებოდი, ენა ჩამივარდებოდა და ყველა მათ მოთხოვნას დავთანხმდებოდი, მაგრამ ახლა უარი ვთქვი სახლში შესვლაზე და ხმამაღლა ლოცვა დავიწყე, რომ იესოს ჩვენთვის ეშველა. რაც უფრო მეტს შევლაღადებდი, ჩემი გაბედულება, ძალა და სიმშვიდე მით უფრო იზრდებოდა. სამივე კაცი აკანკალდა და მტკიცედ მიბრძანეს ლოცვისთვის თავის დანებება. მათი მოთმინება თანდათან ქრებოდა და ბოლოს, ბრაზიანიად მიყვიროდნენ, „შენყვიტე ასე ლოცვა!“ ისინი არ ელოდნენ ამგვარი გაბედული ქალების შეხვედრას. თავდამსხმელები დაიბნენ და სანამ დედას შეჰყურებდნენ, ქალიშვილმა დრო იხელთა, სახლში შეიპარა და დახმარებას მოუხმო. როცა კაცები მიხვდნენ, რომ გოგონა იქ აღარ იყო, მაშინვე გაიქცნენ.

იმავე წელს ჰიუსტონში, ტექსასის შტატში ვმსახურობდი, სადაც კიდევ ერთმა ახალგაზრდა ქალმა გაცვალა თავისი შიშები უფლის მოშიშებაში. ერთი კვირის შემდეგ, როცა თავის ავტომობილში ჩაჯდა, უკანა სავარძელში დანიანი კაცი აღმოაჩინა. მან მკაცრად უბრძანა ქალს მანქანის დაძვრა. შიშით ავსების ნაცვლად ქალმა იესოს უხმო ლოცვაში და არ გაჩერებულა. ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში მანქანით მიდიოდნენ და კაცი მას ლოცვის შეწყვეტას სთხოვდა, თუმცა ქალი უარზე იყო. ბოლოს თავმდამსხმელმა უთხრა: „გადააყენე მანქანა!“ და როცა ასე მოიქცა, კაცმა კარი გააღო და გაიქცა.

ერთხელაც არამელთა მეფე ელისეზე განრისხდა და მის დასაჭერად რაზმი გაგზავნა. მოახლოებული მეომრები, ცხენები და ეტლები პირველად წინასწარმეტყველის მსახურმა შენიშნა.

მოზიზება ღვთისა

მას შიშის ზარი დაეცა. „ნუ გეშინია!“ – უთხრა ელისემ. შემდეგ მან ასე ილოცა: „უფალო, გთხოვ, აუხილე თვალი, რომ დაინახოს“ (2 მეფ. 6:16-17). უფალი ასეც მოიქცა და მსახურმა დაინახა გორაკებზე მყოფი უამრავი ანგელოზისებრი ცხენი და ცეცხლოვანი ეტლები.

იესო ხშირად ხვდებოდა ბრბოს, რომელიც მზად იყო ქვისთვის წამოეგლო ხელი მის ჩასაქოლად. ერთხელ ხალხმა მისი კლდიდან გადაგდება განიზრახა, მაგრამ ყოველ სიცოცხლისთვის საშიშ ვითარებაში იგი მათ შორის უვნებლად გაივლიდა ხოლმე (იხილეთ ლუკ. 4:29; იოან. 8:59, 10:39).

ერთადერთი შემთხვევა, როცა ღმერთი უშვებს, რომ მისმა მოშიშმა იტანჯოს, ეს ზემოდან არის მოცემული ღვთის განსაზღვრულად. ასეთ დროსაც არსებობს წმიდა შიშისგან მოსული გაბედულება, რომელიც ადამიანურ შიშს აქრობს. გაიხსენეთ სამი ებრაელი ყმანვილი, რომელიც დედამიწის ყველაზე ძლევამოსილი მეფის, ნაბუქოდონოსორის წინაშე ბაბილონში მიიყვანეს. მან უზარმაზარი კერპი აღმართა და ბრძანება გამოსცა, რომ ყველა ხალხსა და ერს ინსტრუმენტების ხმაზე მისთვის თაყვანი უნდა ეცა.

ამ სამ ახალგაზრდას ღვთის შიში ჰქონდა და წინამძღოლის ბრძანების შესრულებაზე უარი თქვა. ისინი გარისხებული ნაბუქოდონოსორის წინაშე წარადგინეს, რომელმაც ყმანვილები დაუყოვნებლივ მოისროლა გახურებულ ღუმელში. ეშინოდათ ახალგაზრდებს? ამის გადანყვეტა თქვენთვის მომინდვია. დააკვირდით, რა უთხრეს მათ მეტისმეტად გაბრაზებულ მეფეს: „ჩვენს ღმერთს, რომელსაც ვემსახურებით, შეუძლია ცეცხლით გავარვარებული ღუმლიდანაც გვიხსნას და შენი ხელიდანაც გადაგვარჩინოს, მეფევ, მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, დაე, ცნობილი იყოს შენთვის მეფევ, რომ მაინც არ მოვემსახურებით შენს ღმერთებს და არც შენს მიერ აღმართულ ოქროს კერპს ვცემთ თაყვანს!“ (დან. 3:17-18).

რა სითამამეა! მათ სიმშვიდე და სიმამაცე შეინარჩუნეს, თუმცა წერილი ამბობს: „მაშინ რისხვით აღივსო ნაბუქოდონოსორი; შადრაქზე, მეშაქსა და ყაბედ-ნეგოზე გაბრაზებულს სახის გამომეტყველება შეეცვალა“ (მ.19).

ამ კაცებს ღვთის ეშინოდათ და იცოდნენ, რომ იგი აუცილებლად დაიხსნიდა, სიკვდილით იქნებოდა თუ სიცოცხლით.

ისინი ღუმელში ჩაყარეს, მაგრამ იქედან უვნებელნი გამოვიდნენ ისე, რომ კვამლის სუნიც კი არ ასდიოდათ. ისინი უშიშრად დაუპირისპირდნენ სიკვდილის საფრთხეს.

პავლე მოციქულს, ღვთის დიდად მოშიშ კაცსაც იგივე დამოკიდებულება ჰქონდა. შესაძლო სასჯელის წინ ასე განაცხადა: „ველოდები და ვიმედოვნებ, რომ ... ახლაც განდიდება ქრისტე ჩემს სხეულში - სიცოცხლით იქნება თუ სიკვდილით, რადგან ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა და სიკვდილი — მონაგები“ (ფილ. 1:20-21). რატომ არის სიკვდილი ქრისტეს უფრო მეტად განდიდება ან როგორც ბიბლიის თარგმანებშია – „მონაგები“? ღვთის შიში, რომელიც სიბრძნის დასაწყისია, ამ და მომავალი სიცოცხლის მართებული ხედვის სინათლით მოგვიცავს. სწორედ ამიტომ აცხადებს იესო: „ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ შეუძლია. უფრო მეტად იმის გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვაც შეუძლია და სხეულისაც გეენაში“ (მათ. 10:28).

წლების წინ, მსახურებისას გზაზე მომავალს ღმერთი დამელაპარაკა, როცა ჩემი შვილების გამო ვდარდობდი. მან მითხრა: „ჯონ, შენს ცხოვრებაში არსებული ნებისმიერი შიში ცხადყოფს, რა არ მოგიტანია ჯვართან. იმ სფეროს ჯერ კიდევ შენ ფლობ.“ იმ საღამოსვე მოვინანიე, ჩემი ვაჟები მთლიანად ღმერთს გადავეცი და მათ უსაფრთხოებაზე აღარ მინერვიულია. უფლის შიშს იესოს წინაშე სრული დანებებისკენ მივყავართ. როცა ამას გავაკეთებთ, ვხოვრობთ ისე, როგორც სხვებს ძალიან უნდათ, მაგრამ არ აქვთ: სიმშვიდეში, გაბედულებასა და შიშისგან თავისუფლებაში.

გათავისება

მონაკვეთი: უფლის შიშს სიცოცხლისკენ მიჰყავს კაცი; კმაყოფილი დაიძინებს და ბოროტება არ ეწევა. (იგ. 19:23)

თემა: თქვენს ცხოვრებაში არსებული ნებისმიერი შიში ავლენს იმ სფეროს, რომელიც ჯვართან ჯერ არ მოგიტანიათ და ისევ თქვენ ფლობთ.

დაფიქრება: ცხოვრების რომელ სფეროში ვებრძვი შიშს? არის ეს ჩემი ჯანმრთელობა, ფინანსები, ქორწინება, შვილები, სამსახური, სკოლა, უარყოფა, რწმენის გამო დევნა ან რომელიმე სხვა ასპექტი? სრულად მივიტანე ეს სფერო იესოს უფლობის ქვეშ თუ ჯერ კიდევ ჩემს ხელთ არის?

ლოცვა: ძვირფასო უფალო, მაპატიე, რომ არ მოგიძღვენი (დაასახელებე)! როცა დავფიქრდი, ნათელი გახდა, რომ ამ სფეროს ისევ მე ვფლობ. ჩემი დაუცველობა ცხოვრების ამ მხარეში წმიდა შიშის ნაკლებობას ავლენს. ვინანიებ და შენს წინაშე მომაქვს (დაასახელებე) ჩემი ცხოვრების ყოველი სფერო და იესოს უფლობას ვუმორჩილებ, ამინ!

ალიარება: იესო ჩემი უფალია. მის უფლობას ვუმორჩილებ ჩემი ცხოვრების ყოველ სფეროს. დაე, მეყოს მისი ნებისამებრ!

**განვრთენი ყმანვილი,
რომ სწორ გზაზე იაროს
და სიბერეშიც არ
გადაუხვევს მას.**

– იგ. 22:6

38 | მემკვიდრეობა

წმიდა მოშიშებაში კიდეე ერთი სარგებელია: ღვთიური მემკვიდრეობა. ნება მომეცით, რამდენიმე კითხვა დაგისვათ! რა აზრი მოგდით თავში ბენედიქტ არნოლდზე ფიქრისას? გახსენდებათ თუ არა „მოლაღატე“? რას იტყვით დედა ტერეზაზე? მოწყალების დებზე ფიქრობთ? ადოლფ ჰიტლერი? განა აზრად არ მოგდით „ტირანი დიქტატორი, რომელმაც მილიონობით ადამიანი დახოცა“? ალბერტ აინშტაინი? ეს ხომ ის არის, ვინც ფარდობითობის თეორია აღმოაჩინა?

აზრები იმის მიხედვით მოდის თქვენს გონებაში, რა მემკვიდრეობაც დატოვეს ამ ცნობილმა პიროვნებებმა. ფაქტია, რომ ყველა ჩვენგანი რაღაც კვალს ტოვებს. ამიტომ საკუთარ თავს კითხვა უნდა დაეუსვათ: ჩემს საქმეებს კარგად გაიხსენებენ თუ განაჩენს გამოუტანენ? უფრო მნიშვნელოვანი კითხვა იქნება, თუ როგორ განიხილება ჩემი ცხოვრება ზეცაში – ღვთის მარადიული სამეფოსთვის სარგებლობის მომტანად თუ დამანგრეველად?

მემკვიდრეობის ერთ-ერთი განსაზღვრება მირიამ-უებსტერის ლექსიკონის მიხედვით ასეთია: „წინაპრის ან წინამორბედის მიერ გადმოცემული ან მისგან მიღებული“.¹ რა გავლენას ახდენს ღვთის შიში ჩვენს შთამომავლობაზე? დასაწყისისთვის ჩვენი რწმენის მამას, აბრაჰამს მივუბრუნდეთ. მთაზე, სადაც ერთელ ანგელოზმა შეაჩერა ისაკის მოკვლისგან, უფალმა ასე უთხრა მას:

მოზიზება ღვთისა

„ამიტომ კურთხევით გაკურთხებ შენ და გამრავლებით გავამრავლებ შენ შთამომავლობას ... და დაიმკვიდრებს შენი შთამომავლობა თავის მტერთა კარიბჭეს“. (დაბ. 22:17)

წლების მანძილზე ვკითხულობდი ამ მონაკვეთს და ყოველთვის მაინტერესებდა, რატომ იყო აქ ორმაგი მინიშნება. ბოლოს, ჩემმა ცნობისმოყვარეობამ იმძლავრა და ამის გასარკვევად ერთ რაბინს მივმართე. მან ასე მიპასუხა: „ებრაული თვალსაზრისით, ორმაგი მინიშნება ყოველთვის გამრავლებაზე მიუთითებს ... და რადგან ერთი ზმნა ახლანდელ დროშია, ხოლო მეორე – მომავალში, ერთი კურთხევა მამა აბრაჰამზეა და ღმერთი მისი შთამომავლობის კურთხევასაც ჰპირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ამბობს, რომ აბრაჰამის კურთხევით გააგრძელებს მის კურთხევას მისი შთამომავლობის მეშვეობით.“

წმიდა შიშს სარგებლობა მოაქვს ჩვენი შთამომავლობისთვის – „ისინი თავიანთი მტრების კარიბჭეებს დაიმკვიდრებენ“. ეს შესანიშნავია და ამას მალე განვიხილავთ, თუმცა ჯერ რაბინის განმარტებიდან კიდევ ერთი ჭეშმარიტების ხაზგასმა მოგვიწევს. წმიდა შიში ჩვენს კურთხევას განაგრძობს ჩვენი შთამომავლობის მეშვეობით და ეს არა მარტო სააქაო ცხოვრებას შეეხება, არამედ მარადისობასაც.

ჩვენს მარადისობაზე ზეგავლენას ახდენენ ჩვენი შთამომავლები და უფრო მეტ პატივსა და გავლენას გვიქმნიან როგორც უახლოეს მომავალში, ისე მომავალ ცხოვრებაში. მეტი სიცხადისთვის ერთ მაგალითს მოვიყვან. არჩი მენინგმა ეროვნულ საფეხბურთო ლიგაში ქუთთერბექის პოზიციაზე ათი სეზონი ჩაატარა New Orleans Saints-ის რიგებში. მისი შემტევი წინამძღოლობის პირობებში გუნდმა .500 მხოლოდ ერთხელ მოიპოვა. დანარჩენ ცხრა შემთხვევაში ისინი დამარცხდნენ. ეს ადამიანი, ალბათ, ყველას მიავიწყდებოდა, რომ არა მისი ორი ვაჟი, პეიტონი და ილაი, რომლებმაც ოთხჯერ მოიგეს სუპერთასი და ყველაზე ძლიერ მოთამაშეებად აღიარეს, როგორც სუპერთასის, ისე ლიგის შეჯიბრებებში. ახლა არჩის უფრო მეტი ადამიანი იცნობს მისი შვილების წყალობით და შესაბამისად, მან მეტი დიდება და ზეგავლენა მოიპოვა სპორტის სამყაროში.

მარადისობაში ბევრს ერგება მეტი დიდება და ზეგავლენა მათი შთამომავლობის მორჩილების მეშვეობით, რაც ცათა

სამეფოს შენებისას გამოიჩინეს. აბრაჰამი ამის შესანიშნავი მაგალითია. მამამთავრის ზეგავლენა კიდევ უფრო გაიზრდება მისი შთამომავლობის – იოსების, სამუელის, დანიელის, ესაიას და რასაკვირველია, იესოს მეშვეობით და ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია. მის მიერ დატოვებული კვალი ახლაც გრძელდება. კურთხევა ეკუთვნის ყველა ღვთისმოსიშის. „მარადიული იქნება მართლის ხსოვნა“ და „დიდებით აუმაღლდება რქა“ (ფს. 112:6,9). ბევრი ფიქრობს, რომ ყველაფერი ზეცაში იწყება, მაგრამ ჩვენ უკვე ვაშენებთ მარადიულ ისტორიას, რადგან წერილი ასე გვეუბნება: „სიმართლე მისი მარადიულია“ (ფს. 112:9).

ახლა ღვთის აღთქმას მივუბრუნდეთ, რომლის თანახმად, ჩვენი შთამომავლობა გამარჯვებული იქნება და „მტრების კარიბჭეებს დაიმკვიდრებს“. თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ჩვენს შვილებს ვერ დაძლევენ ღვთის მოძულენი. ნაცვლად ამისა, ისინი წარმატებული ხელმძღვანელები და გავლენიანი პირები გახდებიან (2 რჯ. 28:13). შესაძლოა, იფიქროთ, რომ ეს მხოლოდ აბრაჰამსა და მის უშუალო შთამომავლობას შეეხება, მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან: „იმისთვის, რომ აბრაჰამის კურთხევა ქრისტე იესოს მიერ იყოს წარმართებზე, რათა რწმენის მეშვეობით მივიღოთ სულის აღთქმა“ (გალ. 3:14). ეს შესანიშნავი ახალი ამბავია!

„ნეტარია კაცი მოშიში უფლისა, რომელიც დიდად ნეტარებს მის მცნებებში“. (ფს. 112:1-2)

სიტყვა თაობა „ხაგრძლივ დროზე“ მიანიშნებს² და ამაში ჩვენი შთამომავლობა იგულისხმება.³ ზაქარია წინასწარმეტყველებდა: „წყალობა მისი თაობიდან თაობამდეა მის მოშიშთათვის“ (ლუკ. 1:50). არა მარტო ჩვენი შვილები იქნებიან წარმატებულები, არამედ ეს აღთქმა თაობებს მოიცავს. ამის საოცარი მაგალითია ორი ადამიანის ისტორია, რომლებიც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ.

პირველი გახლდათ მაქს ჯუკსი. 1874 წელს სოციოლოგმა რიჩარდ დაგდეილმა ნიუ იორკის შტატის 13 საოლქო ციხე მოინახულა. მან ოთხი სხვადასხვა გვარის მქონე ექვსი პიროვნება აღმოაჩინა, რომლებიც სისხლით ნათესავები იყვნენ. ამან მისი ცნობისმოყვარეობა გააღვივა და იმ ოჯახის გენეალოგიის

მოზიზება ღვთისა

უფრო ღრმად შესწავლა გადაწყვიტა. ძიებამ ჰოლანდიელ ახალ-მოსახლე მაქს ჯუკსთან მიიყვანა, რომელიც დაახლოებით, 1720 და 1740 წლებს შორის დაიბადა. წლების გულმოდგინე კვლევის შემდეგ დაგდელმა ჯუკსის 540 შთამომავალი იპოვა. მათ შორის 76 განაჩენგამოტანილი დამნაშავე იყო, 18 – საროსკიპოს მფლობელი, 120 — მეძავი და 200 – სახელმწიფო შემწეობაზე მყოფი. მოკლედ, სახეზე იყო თაობების ცოდვები, რამაც მრავლად წარმოშვა დისფუნქციური ქცევები და დღევანდელი კურსით მათი შენახვა მთავრობას ათი მილიონი დოლარი დაუჯდა.⁴

ახლა ჯონათან ედუარდსის მაგალითი მოვიყვანოთ, რომელიც დაახლოებით, იგივე პერიოდში დაიბადა. ეს ადამიანი გამოღვიძების მქადაგებელი და უამრავი წიგნის ავტორი გახლდათ, რომელმაც მრავალი მსახური ენთუზიაზმით აავსო ამერიკელ ერში სახარების გასავრცელებლად. ის 1727 წელს დაქორწინდა სარა პიერპონტზე. წყვილი დიდად ღვთისმოსავი იყო. ისინი მოხუცებულობამდე ყოველ საღამოს ერთად კითხულობდნენ ბიბლიას და ლოცულობდნენ. მათ თერთმეტი შვილი ეყოლათ და ჯონათანი თითოეული მათგანის კურთხევაზე ყოველდღიურად ლოცულობდა. ის აცხადებდა: „ყოველი სახლი პატარა ეკლესია იყოს!“

ჯონათანისა და სარას 1394-მა ცნობილმა შთამომავალმა გამოავლინა ღვთის აღთქმა მოშიშებისთვის – მათ თავიანთი მტრების კარიბჭეები დაიმკვიდრეს და მათი შვილები ყველგან წარმატებულნი იყვნენ. მათ შთამომავლობაში 13 კოლეჯის ან უნივერსიტეტის რექტორი, 65 კოლეჯის ან უნივერსიტეტის პროფესორი, 3 შტატის სენატორი, 30 მოსამართლე, 100 ადვოკატი, 60 ექიმი, 75 არმიის ან ფლოტის ოფიცერი, 100 ეკლესიის მსახური ან მისიონერი, 60 გამოჩენილი ავტორი და 1 აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი აარონ ბარია. ამ წყვილის შთამომავლობისთვის სახელმწიფოს ერთი პენიცი კი არ დაუხარჯავს.⁵

ერთ დროს ვებრძოდი შიშს, რომ ჩვენი ოთხი პატარა ვაჟი სიცოცხლეს ნაადრევად დაასრულებდა მათ გულებში დაბუდებული წყენის გამო, რომ მამა წელიწადში 200 დღეს მსახურებისთვის მოგზაურობაში ატარებდა ან ღმერთზე გაბრაზდებოდნენ, რომელმაც ამ საქმის საკეთებლად მომიწოდა. ერთ საღამოს, როცა სახლიდან შორს ჩატარებული კონფერენციიდან ვბრუნდებოდი, გავაცნობიერე, რომ წმიდა მოშიშების

ნაკლებობა ხელს მიშლიდა მათი ცხოვრების იესოსთვის გადაცემაში. ლოცვაში შეეძახე: „ზეციერო მამა, ეს ოთხი ბიჭი მე აღარ მეკუთვნის. ახლა ისინი იესოსია. რაც გინდა, ის უყავი მათ, მაგრამ ეშმაკო, შენ ვერასოდეს მიეკარები ჩემს შვილებს!“ იმ დღიდან მოყოლებული, მათი ცხოვრების გამო შიში გულში აღარასოდეს დამიშვა.

ძალიან მალე ღმერთმა მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება გამიცხადა მისი სიტყვის მეშვეობით. ფინხასი აჰარონ მღვდელმთავრის შვილიშვილი გახლდათ. მას დიდი მოშურნეობა ჰქონდა ღვთისა და ისრაელის მიმართ. ძლიერი ღვთისმომშიშება ამ ადამიანს ისეთ რამეს აკეთებინებდა, რისიც სხვებს ეშინოდათ. ის გაბედულად იდგა იმაზე, რაც სწორად მიაჩნდა. ამის გამო ღმერთი ამბობს: „ამიტომ უთხარი, რომ მშვიდობის აღთქმას ვაძლევ მას. და იქნება ეს მისთვის და მისი შთამომავლობისთვის მის შემდგომ მღვდლობის მარადიულ აღთქმად“ (რიცხვ.25:12-13). არსებითად, მის შთამომავლობას ღმერთთან უფრო მეტად დაახლოების აღთქმა მიეცა ფინხასის ღვთისმომშიშების გამო. სულწინამდამ მაჩვენა, რომ ჩვენი ოთხი შვილის დაცვა ღვთის ნებისადმი ჩემი და ლიზას მორჩილებაზე დამოკიდებული.

ახლა, წლების შემდეგ ჩემი ოთხივე ვაჟი *მესენჯერ ინთერნეტში* შრომობს, სულ ცოტა, ცხრა წელია. ორი მათგანი გამოცემული წიგნების ავტორია, ოთხივე წინამძღოლია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა მათგანი ღვთისმომშიშობით ცხოვრობს. ადამიანები გამუდმებით გვეკითხებიან, თუ რა გავაკეთეთ ასეთი ღვთისმოსავი შვილების აღსაზრდელად. პატიოსნად ვაღიარებ, რომ ამას საერთო არაფერი აქვს ჩვენს სიბრძნესთან და ჩვენი, როგორც მშობლების მიერ დაშვებული შეცდომები წიგნის ტომებს გაავსებდა. თუმცა, ერთადერთი, რასაც ვაკეთებდით, ეს იყო ღვთისმომშიშების მაღალ დონეზე ცხოვრება.

როცა ჩვენმა შვილებმა მოზარდობის ასაკში ცოტათი გადაუხვიეს დანესებული საზღვრებიდან, მე და ლიზამ უფალს შევლაღადეთ და მისი აღთქმა გავახსენეთ ჩვენი შვილების მიმართ, ჩვენ კი ისევ მოშიშებით ცხოვრება გავაგრძელებთ. რწმენა არასოდეს დაგვიკარგავს და არც თქვენ უნდა დაკარგოთ. ღვთის აღთქმა მის მოშიშთათვის ამბობს, რომ თქვენი შთამომავლობა „ძლიერი იქნება ქვეყანაზე“ (ფს. 112:2).

გათავისება

მონაკვეთი: შენი შვილები ზეთისხილის ყლორტებით იქნებიან შენი სუფრის გარშემო. აი, ასე იკურთხება უფლის მოშიში კაცი. (ფს. 128:3-4)

თემა: როცა ღვთისმოშიშებაში მკვიდრობთ, თქვენს შთამომავლებს რაღაც მნიშვნელოვანი გადაეცემათ. ისინი არა მარტო ზეგავლენას მოახდენენ, არამედ თქვენი კურთხევაც გაგრძელდება მათი მეშვეობით.

დაფიქრება: როგორ ვხედავ ჩემს შვილებს (ან მომავალ შვილებს)? ვდარდობ მათ მომავალზე? ისინი სრულად გადავეცი იესოს უფლობას? წმიდა მოშიშებით დავდივარ მათ თვალწინ? მათი ახლანდელი საქციელის მიხედვით აღვიქვამ, ვლოცულობ და ვლაპარაკობ თუ ღვთის სიტყვის აღთქმებს ვაღიარებ?

ლოცვა: ძვირფასო უფალო, შენი სიტყვა აცხადებს, რომ წმიდა შიშით სიარულისას მარადიულ მემკვიდრეობას ვიქმნი! მნამს შენი აღთქმის, რომ ჩემი შვილები ძლიერები იქნებიან დედამიწაზე, გავლენას და წარმატებას მოიპოვებენ და პატივს მოუტანენ როგორც შენს სახელს, ისე ჩემსას. პირობას ვდებ, რომ გაბედულად ვილოცებ ამ აღთქმებზე დაყრდნობით, როგორც საბოლოო ჭეშმარიტებაზე. ამას გთხოვ იესოს სახელით, ამინ!

აღიარება: ჩემი შვილები ძლიერები არიან ქვეყანაზე, წარმატებას მოიპოვებენ ყველგან, სადაც კი წავლენ და მათი მტრების კარიბჭეებს დაიმკვიდრებენ.

როცა ადამიანის ნამდვილი
სიბრძნის განმარტებას
ვეძებთ, ყველაზე შესაფერის
და გამორჩულ
სიტყვად ღვთისმოშიშება
გვევლინება.

– ნეტარი ავგუსტინე

39 | ყველაზე მნიშვნელოვანი

ამ თავის თემა იმდენად ვრცელია, რომ მთელი წიგნი დასჭირდებოდა, თუმცა მისი განხილვისგან თავის არიდებით სათქმელს სრულად ვერ გადმოვცემდი. ამრიგად, ეს თავი წმიდა მოშიშების ამ მნიშვნელოვანი ასპექტის შესავლად ჩათვალეთ.

მოუსმინეთ ჩვენი შემოქმედის გულისნადებს: სიცოცხლის სიტყვებს, ჭეშმარიტების სიტყვებს, დაცვის სიტყვებს, რომლებიც მზეზე, მთვარესა და ვარსკვლავებზე მარადიულია; სიტყვებს, რომლებიც იმაზე მყარია, ვიდრე მიწა ჩვენ ფეხქვეშ:

„ნეტარია კაცი სიბრძნის მპოვნელი და ადამიანი - გონიერების მომხვეჭი! ... შენი არც ერთი საწადელი არ შეედრება მას“. (იგ. 3:13,15)

ამ ქვეყნად არაფერია ღვთიური სიბრძნის ფასი. ეს მნიშვნელოვანია – არაფერი! სწორედ ამიტომ გვეუბნებიან: „სიბრძნის დასაწყისი სიბრძნის მოხვეჭაშია, მთელი შენი ქონებით გონიერება შეიძინე“ (იგ. 4:7) და როცა იპოვი, ნახავ, რომ „მისი გზები საამურია, ბილიკები — მშვიდობიანი“ (იგ. 3:17).

ღვთური სიბრძნე ყველა გადაწყვეტილებაში უნდა ვეძებოთ, რომლის მიღებაც გვინევს. წერილი გვეუბნება: „დააფასე იგი და აგამაღლებს; პატივს მოგაგებს“ (იგ. 4:8). რა საოცარი დაპირებაა! როცა ღმერთი წინ წაგწევთ, არანაირ გარემოებას არ შეუძლია

მოზიზება ღვთისა

თქვენი უკანდახევა! ამრიგად, სიბრძნე ხანგრძლივი პატივისკენ მიმავალი გზაა.

სიბრძნეს აღმოჩენა სჭირდება; ის დაფარულია, მაგრამ არა მიუწვდომელი. როცა იპოვით, უზარმაზარ სარგებელს მიიღებთ. მამ, როგორ ვიპოვოთ ის?

„უფლის შიში სიბრძნის სათავეა“. (ფს. 111:10; იგ. 9:10)

სათავეს აღმნიშვნელი ებრაული სიტყვა მნიშვნელოვანია. მას ბიბლიაში თავიდანვე ვხვდებით: „დასაწყისში ღმერთმა შექმნა ცანი და მიწა“. სიტყვა აღნიშნავს „საწყის ნერტილს“. წმიდა შიში სიბრძნის მოსაპოვებელი საწყისი პუნქტია. ასეთი სურათი წარმოიდგინეთ: საწყობი სავსეა ყოველგვარი სიბრძნით, რომელიც ხანგრძლივ წარმატებას უზრუნველყოფს. თუმცა მას მხოლოდ ერთი კარი და ერთი გასაღები აქვს, რომელიც უნდა მოძებნოთ: წმიდა შიში. ესაია ამბობს: „დაგიდგება უსაფრთხო ყვამი: ხსნის, სიბრძნისა და ცოდნის სიუხვეში და ღვთისმოშიშებაში - რომელიც მისი საგანძურია“ (ეს. 33:6).

არსებითად, გრძელვადიანი სიბრძნე ღვთის შიშის გარეშე არ არსებობს. წმიდა შიში მისი საწყისი ნერტილია, თუმცა სარგებლობის მოტანას მის შემდეგაც აგრძელებს:

„უფლის შიში სიცოცხლის წყაროა, სიკვდილის მახეთაგან გამომხსნელი“. (იგ. 14:27)

მინდა ორი საკვანძო სიტყვა გამოვკვეთო: *წყარო* და *მახეები*. *წყაროს* აღმნიშვნელ ებრაულ სიტყვას „მდინარების“ მნიშვნელობა აქვს. სიკეთით სავსე ცხოვრება აქა-იქ მიღებული სწორი გადაწყვეტილებების კი არა, ბრძნული გადაწყვეტილებების გამუდმებული მდინარების შედეგია, რომელიც ხანგრძლივ ნაყოფს გამოიღებს.

მეორე სიტყვა *მახეები*, ხაფანგზე ან სატყუარაზე მიანიშნებს. „ამ ებრაული სიტყვის სწორი მნიშვნელობა გახლავთ მონადირის ხაფანგში არსებული სატყუარა“. ¹ ნებისმიერმა მონადირემ იცის, რომ ხაფანგს ორი რამ სჭირდება, რომ შიგ რაღაც გაეხას. ის დაფარული უნდა იყოს იმ იმედით, რომ ცხოველი ვერ ამოიცივობს და სატყუარა უნდა ჰქონდეს, რითაც მას ხაფანგის სასიკვდილო კბილებისკენ მიიზიდავს. ამ საკვანძო სიტყვების ბეჯითად

გამოკვლევის შემდეგ სხვა მონაკვეთს გადავხედოთ, რომელიც ხსენებულ ჭეშმარიტებაში უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს:

„უფლის შიში სიბრძნის ასწავლის კაცს“. (იგ. 15:33)

ამ ორ მონაკვეთში გადმოცემული ჭეშმარიტებების შეჯერებით მივიღებთ, რომ წმიდა შიში ღვთიური სიბრძნის მითითებების გამუდმებით მომდინარე წყაროა. ის ყოველთვის თანმხლები მრჩეველია, რომელიც არ თვლემს და არ იძინებს, არამედ განუწყვეტილად გვწვთნის, რომ ცხოვრებაში ბრძნული გადაწყვეტილებები მივიღოთ.

როცა საკუთარი თავის ანაბარა ვრჩებით და ღვთიურ სიბრძნეს ვშორდებით, კაცობრიობა ათასწლეულების გამოცდილებით ამტკიცებს, რომ გამანადგურებელ გადაწყვეტილებებს ვიღებთ, თუმცა მათ სიკარგეში დიდად დარწმუნებული ვართ. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ სიკვდილისა და ნგრევის გზები დაფარულია და სატყუარაც აბია, რაც არაფრით განსხვავდება მონადირის ხაფანგისგან. რაც კარგი, გონივრული და სასიხარულო ჩანს, ხშირად სატყუარის ფუნქციას ასრულებს, რომ საბოლოოდ, ცუდ, უგუნურ, დამანგრეველ და დამანადგურებელ მდგომარეობაში ჩაგვაგდოს. უფლის შიში ამისგან გვიცავს *მახეებისგან ჩვენი ფეხის არიდებით*.

დღევანდელ საზოგადოებას თუ გადავხედავთ, ბევრი დიადი და განათლებული მამაკაცი და ქალი გვყავს, რომლებიც დამანგრეველ გავლენას ახდენენ ადამიანებზე. ამავდროულად, სხვები დაბრმავებული არიან მათი უგუნურების მიმართ. წერილი აცხადებს, რომ წმიდა შიშის უგულვებლყოფით „ამაო გახდა მათი გონიერება და დაუბნელდათ უმეცარი გული. თავიანთ თავს ბრძენთ უწოდებენ და გამოსულელდნენ“ (რომ. 1:21-22). როცა გონება დაბინდულია, ხედვაც ბუნდოვანია. მხოლოდ დროის ამბავია, როდის შეგვიტყუებენ ფარულ და სასიკვდილო ხაფანგში.

თუმცა საწინააღმდეგო მოსაზრებაც ჭეშმარიტია. როცა მყარად ვართ დაფუძნებული წმიდა შიშში, ყოველთვის თანმხლები, მუდმივად მდინარე რჩევის სიბრძნე გვაქვს, რომელიც სასარგებლო გადაწყვეტილებების ხანგრძლივად მიღების უნარს გვაძლევს. მაშინაც კი, როცა არაფერი ვიცით ჩვენთვის დაგებულ სახიფათო მახეებზე, წყარო განუწყვეტილად გვიცავს, რომ შიგ არ ჩავვარდეთ.

მოშიშება ღვთისა

მოდით, ხსენებულ პრინციპს გადავხედოთ იმ ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც ღმერთთან აღთქმაში არ იყო, მაგრამ მისი მოშიშება ჰქონდა. ეს გახლავთ გერარის მეფე აბიმელექი. მან აბრაჰამის ცოლი, სარა თავის ჰარემში წაიყვანა. მალევე ღმერთი სიზმარში ეცხადება და ეუბნება: „აჰა, მოკვდები იმ ქალის გამო, რომელიც მოიყვანე, რადგან ქმრიანია იგი!“ (დაბ. 20:3).

აბიმელექმა შეჰლაღადა: „უფალო, განა მართალ ხალხსაც დალუპავ?“ (მმ. 4-5) რაც შეეხება სიტყვას „უფალო“, გვეუბნებიან, რომ „ეს სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით „ჩემს უფალს“ ნიშნავს“¹, მისი ღვთისმოშიშება ცხადად ჩანს ღვთისადმი მიმართვასა და მის პასუხში. ახლა მოისმინეთ, რას ეუბნება ღმერთი:

„ვიცი, რომ გულმართლად გააკეთე ეს, ამიტომ განგარიდე ცოდვას ჩემს წინაშე და არ მიგაკარე მაგ ქალს“ (დაბ. 20:6).

უფლის შიში მისი მრჩეველი იყო და დაიცვა სიკვდილის მახისგან, რომლის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. ხაფანგი შეფარვით და მაცდურად – აბრაჰამის დის სახით – წარმოუდგა, მაგრამ ნმიდა შიშმა ცოდვის ჩადენის უფლება არ მისცა. როგორ მოხდა, რომ წარმართი მეფე, რომელსაც ღმერთთან აღთქმა არ ჰქონდა და არც მის დაწერილ სიტყვას კითხულობდა, შიშით თრთოდა სხვა კაცის ცოლის თავისთან წაყვანის გამო? ამის პასუხს პავლეს წერილში ვხედავთ: „როცა წარმართნი, რომელთაც რჯული არ გააჩნიათ, ბუნებით რჯულისმიერს აკეთებენ, თუმცა რჯული არა აქვთ, თავისი თავის რჯული არიან. ისინი წარმოაჩენენ გულებში დაწერილ რჯულის საქმეს, რასაც მოწმობს მათი სინდისი და აზრები, ხან ბრალს რომ სდებენ ერთიმეორეს და ხან ამართლებენ“ (რომ. 2:14-15).

უფრო მეტიც, როგორ ხდება, რომ წარმართი მეფე კანკალებდა სხვა კაცის ცოლის თავისთან წაყვანის გაფიქრებაზეც კი, თუმცა გამოცდილ პასტორს ან ეკლესიის წევრს არ ერიდება სხვა კაცის ცოლთან მრუშობა, რის მოწმენიც ამ ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად ვხდებით? ამაში გარკვევას დიდი თავის მტვრევა არ სჭირდება. მოიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის წინამძღოლი ან წევრი ბაგით აღიარებს იესოს კუთვნილებას, ღვთის შიში არ აქვს გულში. ჩვენ გვეუბნებიან:

„აღმოვაჩინე, რომ სიკვდილზე მწარეა ქალი, რადგან ხაფანგია ის, მისი გული - ბადე და მისი ხელები კი - ბორკილები! უფლის წინაშე კეთილი დაუსხლტება მას, ცოდვილი კი გაებმება მასში“. (ეკლ. 7:26)

წერილი არ მიუთითებს, რომ ბოროტი გაებმება მასში, არამედ ცოდვილი, რომელიც ღვთისმოშიშების გამო მიზანს აცდენილია. ეს მარტივად შეიძლება იყოს ვინმე ქრისტიანობის მალიარებელი. იაკობი ასეთ მორწმუნეებს წერს: „დაიბანეთ ხელები, ცოდვილნო! განიწმიდეთ გულები, ორგულნო!“ (იაკ. 4:8)

ჩვენში ფართოდ გავრცელებული დასავლური სახარება სისტემატურად გვაცლის გულიდან ღვთის შიშს ყალბი მადლის სწავლებით, რომელიც ღვთის სიბრძნისგან განსხვავებულად გვწვრთნის. ის არაჯანსაღი რჩევის წყაროს ქმნის, რომელიც შეცოდებისგან შემაკავებელ ძალას გვართმევს. თუმცა ნამდვილი მადლი ღვთის შიშთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

„ვინაიდან გამოჩნდა ღვთის მადლი, რომელიც ყველა ადამიანის მხსნელია, რომელიც გვასწავლის, რომ უარ-ვყოთ უღმერთობა და ამქვეყნიური გულისთქმანი, და გონივრულად, სიმართლითა და ღვთისმოსაობით ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში“. (ტიტ.2:11-12)

ღვთის ჭეშმარიტ მადლს მისი წმიდა მოშიშებისგან ვერ განვაცალკევებთ. ისინი გაერთიანებული არიან და ორივენი გვასწავლიან – გამუდმებით გვარიგებენ, რომ გავექცეთ სიკვდილის ხაფანგებს.

მალიარებელ და აღთქმაში მყოფ ქრისტიანთა შორის უღვთო ქცევის ჭირი ახალი არ არის. ისრაელისა და ეკლესიის ისტორიაში ანალოგიური მაგალითები გვინახავს, მაგრამ მათი რიცხვი მკვეთრად გაიზარდა უკანასკნელ დღეებში, რომელთა შესახებაც იესო ამბობდა, რომ ცდუნებებით გამორჩეული იქნებოდა. წმიდა შიშის დაკარგვა ადამიანთა გულებს ბნელეთის რჩევებისადმი გახსნილს ხდის, თუმცა ისინი ჭეშმარიტებად სალდება. რეალურად, მათ გაუცნობიერებლად მიყვავართ ცოდვისა და სიკვდილისკენ.

თანამედროვე საზოგადოებაში ურჯულოების ძალა დაჩქარებით მოქმედებს, თითქოს ექსპონენციური მრუდის უმაღ-

მოზიზება ღვთისა

ლეს ნერთილში იმყოფებოდეს. თუ ფართოდ მიღებული ყალბი მადლი კვლავ გააგრძელებს მორწმუნეთა გულებიდან წმიდა შიშის გაქრობას, უამრავი მაღიარებელი ქრისტიანი გადავარდება ურჯულოების საცდურში. ჩვენ წმიდა მოშიშების განახლება გვჭირდება, რადგან ის გამუდმებით გვიცავს უგუნურებისგან. მისი მეშვეობით ჩვენი გულები ჭეშმარიტებას უსწორდებიან მაშინაც კი, როცა ადამიანთა უმეტესობა თავით ხტება ცდუნებაში.

წმიდა შიში თქვენს ყველაზე დიდ საგანძურად ჩათვალეთ. მილიონობით დოლარზე, თვალისმომჭრელ ქვებსა და უმშვენიერეს სახლებში ძვირფასად მიიჩნიეთ. ჩამოთვლილ ქონებას სახელმწიფოს მიერ დაზღვეულ ბანკებში, საცავებში და სეიფებში ვათავსებთ ან სიგნალიზაციას ვაყენებთ მათ დასაცავად, თუმცა უდიდესი საგანძური ღვთის შიშია. სწორედ ამიტომ გვეუბნებიან: „ყველაფერზე მეტად დაიცავი შენი გული, რადგან მისგან მოედინებიან სიცოცხლის წყაროები“ (იგ. 4:23).

გათავისება

მონაკვეთი: განა არ მოუხმობს სიბრძნე? ... რადგან ჩემი მპოვნელი სიცოცხლეს ჰპოვებს და კეთილგანწყობას იღებს უფლისგან. ჩემს წინააღმდეგ შემცოდე კი თავს იზიანებს. (იგ. 8:1,35-36)

თემა: ჩვენთვის, როგორც ქრისტეს მიმდევრებისთვის უმნიშვნელოვანესია სიბრძნის მოპოვება. უფლის შიში სიბრძნის წყაროა. ის სიკვდილის ხაფანგებისგან გვიცავს.

დაფიქრება: ნუთუ საზღვრებს სილაში ვავლებ? ხომ არ გადავწყვიტე ქვეყნიერების სიბრძნეზე მინებება, რომელიც ღვთის სიტყვაში გაცხადებულს ეწინააღმდეგება? მაქვს სურვილი, რომ ჩემი რწმენის და ღვთის სიტყვის მორჩილებისთვის მდევნონ? როგორ მოვძებნი იესოს სიბრძნეს უფრო მეტი გულმოდგინებით ჩემს ყოველდღიურ გადანყვეტილებებში?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, იესოს სახელით შემოგლადადებ, რომ მომანიჭო შენი სიბრძნე და გაგება! გთხოვ, თვალები და ყურები გამიხსნა მის მისაღებად! არ მინდა გავუგუნურდე საკუთარ თვალში ბრძენად გამოჩენის გამო. უფალ იესო ქრისტეს სიბრძნეს ყველაზე დიდ საგანძურად ჩავთვლი და მასზე ვიქნები დანდობილი იმაზე მეტად, რასაც ქვეყნიერება მთავაზობს. მაინც მის მორჩილებას ვარჩევ, თუნდაც ჩემი რწმენისა და მორჩილების გამო დევნილი ვიყო, ამინ!

ალიარება: გადავწყვიტე, რომ უფალ იესო ქრისტეს სიბრძნე ვეძებო ყოველ გადანწყვეტილებაში, რომლის მიღება მომიწევს.

**ღვთის შიში თავმდაბალს
შეესაბამება.**

– ნეტარი ავგუსტინე

40 | წარმატებული ცხოვრება

იგავთა წიგნის სიღრმეებში არის რალაც, რასაც „ტყუპ ძალას“ ვუნოდებ. წმიდა წერილში ეს ორი სათნოება მხარდამხარ მიაბიჯებს და ხშირად ერთმანეთს ავსებს. მათი ნახვა შემდეგ მუხლში შეგვიძლია:

„თავმდაბლობის და უფლის შიშის საზღაური: სიმდიდრე, პატივი და სიცოცხლე“. (იგ. 22:4)

წამდვილი თავმდაბლობა და წმიდა შიში ერთმანეთთან კავშირშია. ვერ იპოვით ღვთისმობში ადამიანს, რომელიც თავმდაბალი არ იქნება და ვერც წამდვილ თავმდაბლობას ნახავთ უფლის მოშიშების გარეშე. სიტყვა „წამდვილი“ მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ყალბი თავმდაბლობის სხვადასხვა ფორმებიც არსებობს. ამაზე დანვრილებით მომდევნო თავში ვილაპარაკებთ.

მოდით, მოკლედ გადავხედოთ ჩამოთვლილ დაპირებებს: სიმდიდრე, პატივი და სიცოცხლე. „სიმდიდრის“ გამომხატველი ებრაული სიტყვა გახლავთ *ოსერ* და ნიშნავს „ქონებას და ყოველგვარ სიმდიდრეს მიწის, საქონლისა და შთამომავლობის ჩათვლით“. მნიშვნელობა ცხადია და ეს არ გახლავთ ერთჯერადი დაპირება ღვთისმობითათვის. მეფსალმუნე წერს:

მოზიზება ღვთისა

„ნეტარია კაცი მოშიში უფლისა, რომელიც დიდად
ნეტარებს მის მცნებებში ... ქონება და სიმდიდრეა მის
სახლში, მარადიულია მისი სიმართლე“. (ფს. 112:1,3)

სიმდიდრის აღსანიშნავად გამოყენებულია იგივე ებრაული სიტყვა *ოსერ*. სახეზეა გარკვეული წინააღმდეგობა. ზოგიერთები თვლიან, რომ სიმდიდრე და ქონება ღვთისმოსაობის საპირისპიროა. თუ ჩვენი ტრადიციის გამო აშკარა ბიბლიურ ჭეშმარიტებას უარვყოფთ, საქმე სიამაყესთან ხომ არ გვექნება, რომელიც წმიდა შიშის ანტითეზა გახლავთ?

ამ საკითხთან გამკლავება წლების წინ მომიხდა. მსახურების დასაწყისში მე და ლიზა ისეთი მქადაგებლების მომწინე გავხდით, რომლებიც აყვავების სახარებაზე ასწავლიდნენ. ამან ბევრი ადამიანი წააქეზა გამხრწნელი ფუფუნების ძიებისკენ. ნაყოფი დამანგრეველი იყო და მრავალი გადავარდა სიხარბეში, რომელიც კერპთაყვანისცემაა. საკმაოდ დიდი რაოდენობა აცდა ჭეშმარიტი რწმენის გზასა და თავს სხვადასხვა განსაცდელი და დარდი დაატეხა. ამ შემთხვევების დანახვამ ქანქარა საწინააღმდეგო მხარეს გადაგვახრევინა. დავიწყეთ ნებისმიერი სწავლების უგულებელყოფა, რომელიც სიმდიდრეს, ქონებას ან ფინანსურ წარმატებას ახსენებდა. ბოლოს, ჩვენი ეს უმწიფარობა სულიწმიდამ შეგვისწორა. დავდექით ჭეშმარიტების წინაშე, რომ ნამდვილად ღვთისმოშიში ადამიანი სწორად განკარგავს ქონებას და ანგარების მახეში არ ებმება.

რა მიზანი აქვს სიმდიდრესა და ქონებას? ისინი სხვათა კურთხევის საშუალება გახლავთ. ამ წიგნის წერის მომენტისთვის ჩვენმა მსახურებამ 53 მილიონზე მეტი მატერიალური რესურსი გასცა წიგნებისა და პროგრამების სახით, რომლებიც 130 ქვეყნის პასტორებმა და წინამძღოლებმა 118 ენაზე მიიღეს. ასევე შევქმენით აპლიკაცია – *MessengerX* – სადაც დამონაფების რესურსები 122 ენაზე ინახება და მათი ჩამოტვირთვა და გამოყენება 230 ერში არის შესაძლებელი. ამისთვის არანაირი ფასის გადახდა არ სჭირდებათ. ეს პროექტები ათობით მილიონი დოლარი დაჯდა. რა მოხდებოდა, ჩვენი მსახურების მხარდამჭერ მამაკაცებსა და ქალებს ღვთისმოსაობა ფინანსურ უკმარისობასთან ან სიღარიბესთან რომ გაეიგივებინათ? ასე რომ მოქცეულიყვნენ, ვერ მივწვდებოდით მილიონობით ადამიანს, რომლებიც ჩვენმა რესურსებმა გააძლიერა.

ძალზე დიდი სხვაობაა ანგარებასა და ქონების ფლობას შორის სხვებზე ზეგავლენის მოსახდენად. ვისაც ნამდვილი ღვთის შიში აქვს გულში, ამ განსხვავებას ხედავს და პირველისგან სრულიად თავისუფალი რჩება. ახალ აღთქმაში იესოს ჯვარცმის შემდეგ ვკითხულობთ:

„როცა მოსალამოვდა, მოვიდა მდიდარი კაცი არიმათიიდან, სახელად იოსები, რომელიც იესოს მოწაფე იყო. მივიდა პილატესთან და გამოითხოვა იესოს გვამი. და ბრძანა პილატემ, რომ მიეცათ“. (მათ. 27:57-58)

იოსები მდიდარი გახლდათ და წერილი მას იესოს მოწაფეს უწოდებს. ბედის ირონიით, იესოს მოწაფეთა უმეტესობა გაქცეული ან დამალული იყო. ამ მდიდარ კაცს კი საკმარისი გაბედულება აღმოაჩნდა, რომ იუდეველ წინამძღოლთაგან და შესაძლოა, რომაელთაგანაც მოსალოდნელი შერცხვენისთვის ყურადღება არ მიექცია და პილატესგან იესოს სხეული გამოეთხოვა. რა მამაცი ადამიანია!

გთხოვთ, სწორად გაიგეთ. თუ ვინმე ღარიბია, ეს ნიშნავს, რომ ღვთის შიში აკლია? არა! წერილი სავესეა კაცებით ქალებით, რომლებიც მატერიალურ სიიმდიდრეს არ ფლობდნენ. ამით ისინი ნაკლებად ღვთისმოსავეები ხდებოდნენ? არავითარ შემთხვევაში! ნამდვილი სიმდიდრე ფულით და ქონებით არ იზომება, არამედ სხვების მხარდაჭერის საშუალებად გვევლინება. აი, ჩვენი აღთქმა:

„გეშინოდეთ უფლის, წმიდანო მისნო, რადგან არაფერი მოაკლდება მის მოშიშთ. ახალგაზრდა ლომები იტანჯებიან და შიმშილობენ, უფლის მაძიებლებს კი არავითარი სიკეთე არ მოაკლდებათ“. (ფს. 34:9-10)

ცათა სამეფოსთვის სხვა ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენა ღვთიური სურვილია, იქნება ეს ლოცვებით, საკვების განაწილებით, ფინანსებით, სწავლებით, დამონაფებით, სტუმართმოყვარეობით თუ მომსახურებით. კარგია რესურსების სიუხვე, რომ მიღწეულ იქნას ყველაფერი, რაც ღვთიური მისიის შესასრულებლად დაგვჭირდება. ღვთისნიერი ადამიანები ამას მიჰყვებიან

მოზიზება ღვთისა

და პროცესის მიმდინარეობისას თავადაც იკუროთებიან. ამაყი, რელიგიური და შურიანი ადამიანები ენერგიას მორწმუნეებთან კამათში ხარჯავენ, თუ რატომ უნდა იყვნენ უქონელი და სხვებს ისეთ შეხედულებებს ახვევენ თავს, რომლებსაც წმიდა წერილში არავითარი საფუძველი არ აქვთ.

მეფე სოლომონი თავის ქვეშევრდომებს უფლის შიშით უძღვებოდა და ასწავლიდა. ამ დროს „მშვიდად ცხოვრობდნენ იუდა და ისრაელი, თითოეული თავისი ვაზისა და ლელვის ძირას, დანიდან ბეერ-შებაყამდე, სოლომონის მთელი მეფობის მანძილზე“ (1 მეფ. 4:25). გარდა ამისა გვეუბნებიან, რომ ისინი „ჭამდნენ, სვამდნენ და მხიარულობდნენ“ (1 მეფ. 4:20). ერთი წუთით შეჩერდით და დაფიქრდით: ყველა ოჯახს ჰქონდა თავისი სახლი და ბაღი. მთელ ერში არ არსებობდა სახელმწიფო შემწეობა, უმუშევრობა ან სიღარიბე – ყველას ყველაფერი საკმარისად ჰქონდა! ღვთის შიში იძლევა სიბრძნეს, რომელსაც სარგებლობა მოაქვს მისი ზეგავლენის ქვეშ მყოფთათვის. ამ შემთხვევაში საქმე გვექონდა მთელ ერთან. რა მოხდებოდა, ყველა ჩვენი წინამძღოლი რომ უფლის შიშით დადიოდა?

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ეს აღთქმა ლოცვით მოსაპოვებელი არ არის, როგორც ისაკს დასჭირდა რებეკას შვილიერების გამოთხოვა. იესო ასე გვპირდება: „თქვენ კი უწინარეს ყოვლისა ღვთის სამეფო და მისი სიმართლე ეძიეთ, ხოლო ყოველივე ეს შეგემატებათ“ (მათ. 6:33).

გადავხედოთ შემდეგ აღთქმას – *პატივის მიღებას*. „პატივის“ გამომხატველი ებრაული სიტყვა ჩვენს საწყის მუხლში გახლავთ *ქაზოდ* და ნიშნავს „დიდებას, სიდიადეს, სიმდიდრეს“. წინა თავებიდან ერთ-ერთში ვნახეთ, რომ ეს სწორედ ის სიტყვაა, რომელიც მოსემ გამოიყენა ღვთის დიდების ხილვის თხოვნისას. ის გამოხატავს წონას, რომელიც წოდებიდან ან პოზიციიდან კი არ მომდინარეობს, არამედ პიროვნების ბუნებას ახლავს. ამრიგად, წმიდა მოშიშების კიდევ ერთი სარგებელი აღმოვაჩინეთ: კეთილშობილება. ის თქვენ ღირსეულ და პატივსაცემ პიროვნებად გარდაგქმნით. იგავების წიგნი ერთადერთი როდია, სადაც ეს აზრია ხაზგასმული. მეფსალმუნე იგივე ებრაულ სიტყვას იყენებს ღვთისმოშიშთა მიმართ: „გააბნია, მისცა ლატაკებს; სიმართლე მისი მარადიულია, დიდებით აუმაღლდება რქა“ (ფს. 112:9).

გაიხსენეთ იგავთა წიგნის სათნო ქალი. ის საოცარ თვისებებს ფლობდა. ეს ქალი სანდო, ბრძენი, ბეჯითი, ენერგიული, შრომისმოყვარე, წარმატებული, მდიდარი, კეთილი, გაჭირვებულთა შემწე და უძღურთა საყრდენია. ჩვენი მსჯელობისთვის შესაფერისი კიდევ ერთი გამორჩეული თვისება, რომელიც ზოგჯერ უგულებელყოფილია, გახლავთ „ძალითა და ღირსებით არის შემოსილი“ (იგ. 31:25). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას პატივი სამოსელივით აქვს ჩაცმული, რაც ჩვენი ტანსაცმლისგან არ განსხვავდება – ხილულია და მის გარშემო მყოფები ამჩნევენ. რომელია მისი ბოლო სათნოება?

„მაცდურია მომხიზვლელობა და ამათა სილამაზე, უფლის მოშიში ქალი კი განდიდებული იქნება“. (იგ. 31:30)

ეს არის ღვთის შიში! აი, გასაოცარი რეალობა – ამ ქალში აღწერილი კეთილშობილება და ღირსება ყველა ღვთისმოშიში მამაკაცისა და ქალისთვის ხელმისაწვდომია. ჩემი მოგზაურობების მანძილზე უამრავი მნიშვნელოვანი წინამძღოლი და ცალკეული პიროვნება ვნახე. ბევრმა მათგანმა დიდი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, მაგრამ მათ მიერ აშენებულზე მეტად ჩემს ყურადღებას ის ღირსება იპყრობს, რომელიც საცნაური ხდება ამ მამაკაცებთან და ქალებთან შეხვედრისას. მათ იქ ყოფნაში წონა იგრძნობა. ისინი სინათლეს, სიყვარულს, პატივისცემასა და კეთილშობილებას ასხივებენ. შვილებს ისინი უყვართ და პატივს სცემენ, ხოლო თანამშრომლები და მეგობრები მათთან ახლოს ყოფნას ესწრაფვიან. საინტერესოა, რომ მათი დიდი ნაწილი სულაც არ წარმოადგენს საჯარო სახეს. რა არის მათი სავიზიტო ბარათი? ღვთის შიში!

მესამე აღთქმა ჩვენი საწყისი მუხლიდან გახლავთ *ხანგრძლივი სიცოცხლე*. ეს ახლო კავშირშია ნამდვილ თავმდაბლობასთან. ამ საკითხს მომდევნო თავში ვრცლად განვიხილავთ.

გათავისება

მონაკვეთი: უფლის შიში ბოროტების სიძულვილია; მიყვარს ჩემი მოყვარულნი და გულმოდგინედ მაძიებელნი მიპოვნინან. ჩემთანაა სიმდიდრე და პატივი, ულევნი დოვლათი და სიმართლე. (იგ. 8:13,17-18)

თემა: წმიდა შიში და თავმდაბლობა სიმდიდრეს, პატივსა და ხანგრძლივ სიცოცხლეს გვპირდება. სიმდიდრე უფლის ან ქონების ოდენობით არ იზომება, არამედ სხვების დახმარების უნარით. კეთილშობილება ჩვენს ბუნებასთან არის შერწყმული და არა ჩვენს ნოდებასა თუ საზოგადოებრივ მდგომარეობასთან.

დაფიქრება: სიმდიდრის მიმართ ჯანსაღი დამოკიდებულება მაქვს? იქნებ მისი ფლობა დაუცველობის გრძნობის, შიშის ან ანგარების გამო მინდა? ხომ არ აჯობებს წმიდა შიშის ძიება და აღთქმის რწმენა, რომ სიუხვე მექნება სხვებზე ზეგავლენის მოსახდენად?

ლოცვა: ძვირფასო ზეციერო მამა, გთხოვ, შეასრულო დანაპირები, რომ ნამდვილი თავმდაბლობისა და წმიდა შიშის ძიების შემთხვევაში სიმდიდრე, პატივი და ხანგრძლივი სიცოცხლე მექნება, რაც სხვების მომსახურების ღვთიური მისიის შესრულებისთვის არის საჭირო! იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: ზეციერი მამა სიმდიდრეს, პატივსა და ხანგრძლივ სიცოცხლეს შემპირდა, თუ წმიდა მოშიშებასა და ნამდვილ თავმდაბლობაში ვიცხოვრებ.

გონიერი კაცი კი
სწორი გზით დადის.
– იგ. 15:21

41 | კარბად დასრულება

ცხოვრებას კარგს ვერ ვუნოდებთ, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ის კარგად უნდა დასრულდეს. მე-18 თავში ხანგრძლივობას შევებეთ, მაგრამ ახლა მას კიდევ უფრო განვავრცობთ და გამოვიკვლევთ, რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს აქ უფლის შიში და თავმდაბლობა.

„თავმდაბლობის და უფლის შიშის საზღაური: სიმდიდრე, პატივი და სიცოცხლე“. (იგ. 22:4)

წმიდა შიშის საარაკო სარგებელია ღლეების გახანგრძლივება. წერილში ვკითხულობთ: „უფლის შიში სიცოცხლეს ახანგრძლივებს“ (იგ. 10:27). რა დაპირებაა! და ეს არ გახლავთ ერთჯერადი შემთხვევა, რადგან წმიდა მოშიშების სიბრძნით „გაგიმრავლდება ღლენი და მოგემატება სიცოცხლის წლები“ (იგ. 9:11). არა მარტო სიცოცხლის წლებს გვიმატებენ, არამედ მათ ნაყოფიერებასაც გვპირდებიან.

კიდევ ერთ დასტურს ათიდან ერთ-ერთ მცნებაში ვხედავთ. უფლის შიში მშობლების უპირობო პატივისცემისკენ გვიბიძგებს და ამის გაკეთებისას ვიღებთ დაპირებას: „მოგეცეს სიკეთე და დღეგრძელი იყო დედამინაზე“ (ეფეს. 6:3). კიდევ ერთხელ ვხედავთ არა მარტო დღეგრძელობას, არამედ პროდუქტიულობასაც. ეს ის დაპირებებია, რომლებიც ლოცვაში შეიძლება ვითხოვოთ.

მოშიშება ღვთისა

ნათქვამის გათვალისწინებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ხარისხიანი ცხოვრების გარეშე წლების მატებას სიამოვნება არ მოაქვს. სოლომონმა პესიმისტური განწყობის წლებში დაწერა: „სიკვდილის დღე [სჯობს] შობის დღეს“ (ეკლ. 7:1). ნათელია, რომ სიცოცხლით სიამოვნებას არ განიცდიდა ამ სიტყვების წერისას. რა განაპირობებს ცხოვრების ხარისხს? ნამდვილი თავმდაბლობა და უფლის შიში.

წლების წინ ლოცვისას ერთი მუხლი წავიკითხე:

„მეფე ყუზიას სიკვდილის წელს ვიხილე უფალი, დიდებულ და აღზევებულ ტახტზე მჯდარი და მისი სამოსლის კალთები ავსებდა ტაძარს“. (ეს. 6:1)

ესაიამ უფალი იხილა მთელი თავისი დიდებით. ერთ-ერთ წინა თავში ვიმსჯელებთ, რომ მან ყოვლისშემძლე ტახტზე მჯდომარე ნახა ძლიერი ანგელოზებით გარშემორტყმული, რომელთა ძახილზე შენობის წირთხლები ზანზარებდა. ამ განცდის შემდეგ მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა.

მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ შევლაღადე:

– უფალო, სწორედ ეს მჭირდება, იესოს ცოცხალი ხილვა!

სულიწმიდამ გულში მიჩურჩულა:

– მუხლი ამით არ დამინცია. უკან დაბრუნდი და ხელახლა წაიკითხე!

შევშფოთდი, მაგრამ მითითებას მივყევი და ამჯერად ამოვიკითხე სიტყვები: „მეფე ყუზიას სიკვდილის წელს“.

შემდეგ ისევ გავიგონე:

– ყუზია მოკვდა, სანამ ესაია ჩემს ცოცხალ ხილვას ნახავდა.

იმ დროისთვის მეფე ყუზიაზე ბევრი არაფერი ვიცოდი გარდა იმისა, რომ ისრაელისა თუ იუდას ერთ-ერთი მეფე იყო. მისი ცხოვრების გამოკვლევა დავინწყე და რამდენიმე საინტერესო რეალობა აღმოვაჩინე. ის მხოლოდ თექვსმეტი წლის გახლდათ, როცა იუდას მეფედ აკურთხეს და ორმოცდათორმეტი წელი იმეფა. წარმოდგენა რომ შეგექმნათ, წიგნის წერის მომენტისთვის ბოლო ორმოცდათორმეტი წლის მანძილზე აშშ-ს ათი პრეზიდენტი გამოვიცვალე. ყუზია ამდენი ხანი მეფობდა.

თექვსმეტი წლის ასაკში მილიონობით ადამიანის მართვა ადვილი საქმე არ იყო, ამიტომ მან გონივრული ნაბიჯი გადადგა

– ღვთის ძიება დაიწყო. წერილში ვკითხულობთ: „შორს განითქვა მისი სახელი, რადგან საკვირველი შეწევნა ჰქონდა, ვიდრე არ გაძლიერდა“ (2 ნეშტთ. 26:15). თუმცა, სოლომონის მსგავსად, უფლის შიში არ აქცია თავის საგანძურად. სამწუხაროდ, შემდეგში ვკითხულობთ:

„როცა გაძლიერდა, გაუამაყდა გული თავის დასაღუპად“.
(2 ნეშტთ. 26:16)

ცხოვრების რაღაც პერიოდში დაკარგა მეფობის დასაწყისში არსებული თავმდაბლობა და წმიდა მოშიშება. აი, მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება: ამ ტყუპი ძალის სათნოება ნაყოფიერების იმპულსს წარმოშობს, რაც ნიშნავს, რომ წარმატება ისევ გრძელდება მის უკან მდგარი და მამოძრავებელი სათნოებების გაქრობის პირობებში. დიდად საინტერესოა მომდევნო ტექსტი:

„ულალატა უფალს, თავის ღმერთს და სამსხვერპლოზე საკმევად შევიდა უფლის ტაძარში“. (2 ნეშტთ. 26:16)

სულიწმიდამ კითხვა დამისვა:

– შვილო, ყუზია უფრო მეტად სულიერი გახდა თუ ნაკლები სულიერება გამოიჩინა, როცა მის გულში სიმაყე შევიდა?

მაშინვე მივხვდი, რომ პასუხი პარადოქსული იქნებოდა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ადამიანი ნაკლებად სულიერი ხდებოდა, როცა მისი გული გაამაყდებოდა. თუმცა ყუზია ტაძარში სულიერი საქმის აღსასრულებლად შევიდა. ამას ვერასდროს გავიაზრებდი, სულიწმიდას პირდაპირი კითხვა რომ არ დაესვა.

გაოგნებულმა ხმამალა ვთქვი:

– ის უფრო სულიერი გახდა!

სულიწმიდამ გულში ისევ მიჩურჩულა:

– სიამაყისა და რელიგიოზურობის სულები მხარდამხარ მიაბიჯებენ და ერთმანეთს აძლიერებენ იმით, რომ ერთმანეთის ზურგს უკან იმალებიან.

სიამაყე ადამიანს ხელს უშლის იმის აღიარებაში, რომ მეტისმეტად რელიგიოზური გახდა, ხოლო რელიგია სიამაყეს ფარავს სულიერი ქცევების წარმოჩინებით.

მოზივება ღვთისა

მაშინ იესოსდროინდელი ფარისევლები გამახსენდა. ალბათ, მათაც ყუზიასავით თავმდაბლობით და იაჰვეს შიშით დაიწყეს, მაგრამ რალაც მომენტში გულებში სიამაყე შეეპარათ. ისინი ღმერთს უფრო დაშორდნენ, თუმცა სულიერ საქმიანობაში მათი ჩართულობა კიდევ უფრო გაძლიერდა.

ყუზიას მღვდლები შეენინაალმდევნენ და მიუთითეს, რომ მის საქციელს წმიდა წერილში საფუძველი არ ჰქონდა. ამ ჭეშმარიტებამ ყუზია უფრო მეტად განარისხა (თავმდაბლობის დაკარგვის კიდევ ერთი ნიშანი). მოულოდნელად, მეფეს შუბლზე კეთრი გამოაჩნდა. მისი დარჩენილი ცხოვრება ტრაგიკული იყო. ამიერიდან განცალკევებულ სახლში მიუჩინეს ბინა. სასახლეში მმართველობა მისმა ძემ ითავა და ბოლოს ყუზია კეთროვანი გარდაიცვალა.

მოდით, ეს ამბავი ფართო საზოგადოების თვალთახედვით განვიხილოთ! იუდასა და იერუსალიმის მცხოვრებთათვის ერთადერთი რეალობა ის იყო, რომ მეფე კეთრით დაავადდა. წარმოიდგინეთ, როგორ აფეთქდებოდა სოციალური მედია? ქსელებს ასეთი კომენტარები წალეკავდა: „ოჰ, არა! ჩვენი მეფე კეთროვანია! რა ტრაგედიაა!“ არავის ეცოდინებოდა, თუ რა იდგა ამ დაავადების მიღმა. თუმცა ჩვენ სულიწმიდის მეშვეობით ვიცით, თუ რა ტრიალებდა შიდა სამზარეულოში – წმიდა შიშისა და თავმდაბლობის დაკარგვა.

ამის დანახვამ უფლისთვის კითხვების დასმის სურვილი გამიჩინა ჩვენს დროსთან დაკავშირებით. გულდამწუხრებული ვიყავი არაერთი წინამძღოლის დაცემის ხილვით. უმეტეს შემთხვევაში მიზეზი ქორწინების გარეშე კავშირები იყო, თუმცა გვხვდებოდა ალკოჰოლიზმი, წამალდამოკიდებულება, სიხარბე და სხვა უმართლო ქცევები. დანაღვლიანებული ვაკვირდებოდი იმ ლიდერების დაცემას, რომლებმაც მსახურება ჩვენზე უწინ, ჩვენს დროს და ჩვენს შემდეგაც კი წამოიწყეს. ყველა მათგანი დაშურებით იწყებდა იესოს განდიდების განზრახვით. როგორ მოხდა, რომ ბნელი საქმეების კეთებამდე დაემუნენ? ნუთუ ვერ ხედავდნენ, რომ სხვებიც იგივე ნიმუშს მიჰყვებოდნენ?

სულიწმიდა კიდევ დამელაპარაკა:

– შვილო, ამ დაცემულ წინამძღოლებს ჰორმონების კი არა, სიამაყის პრობლემა აქვთ.

ყველამ დავინახეთ მათი კეთრი შუბლზე – მათი საქმეები, ნაკლოვანებები ან სხვა ქცევები, რომლებმაც ისინი დაცემამდე მიიყვანა. რასაც ვერ ვხედავთ, ეს გახლავთ სიამაყე, რომელმაც წმიდა შიში და თავმდაბლობა ჩაანაცვლა. მხოლოდ ღმერთმა იცის, როდის ხდება ეს. არც თავად წინამძღოლმა არ იცის, რადგან სიამაყე თავის მსხვერპლს სულიერ მხედველობას უბინდავს.

წარმატებისგან წარმოქმნილი იმპულსის გამო ადვილად შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს, თუ რამ მოგვიტანა ეს ყველაფერი – ღვთის ძიებამ თავმდაბლობით და წმიდა მოშიშებით. სწორედ ამიტომ, უკიდურესად მნიშვნელოვანია წარმატების პირობებში იესოს სიტყვები თვალთახედვის არედან არ მოვიშოროთ: „უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ“ (იოან. 15:5).

არსებითად, სულიწმიდამ იმ დღეს ასე მითხრა:

– ჯონ, რა ხარისხითაც სიამაყე კვდება შენში, იმდენად განახლებული იქნება იესოს ხედვა.

გარდაქმნა უპირატესია და იესოს ხელახალი ხილვის გარეშე სულიერი ზრდის შესაძლებლობას ვკარგავთ და მას ვერ ვემსგავსებით. ბევრმა დიდებულმა მამაკაცმა და ქალმა კარგად ვერ დაასრულა, თუმცა ყველა მათგანი დარწმუნებული იყო, რომ თავმდაბლობისა და ღვთის შიშის დაკარგვის გარდაუვალ შედეგებს თავიდან აიცილებდა. თავს ნუ მოიტყუებთ და მტკიცედ ჩაეჭიდეთ თავმდაბლობას, იესოზე უკიდურეს დანდობას და უფლის შიში თქვენს საგანძურად გაიხადეთ! თუ ასე მოიქცევით, ღმერთი სიმდიდრეს, პატივს და ხანგრძლივ სიცოცხლეს გპირდებათ.

გათავისება

მონაკვეთი: „ისმინე შვილო ჩემო, და მიიღე ჩემი ნათქვამი და გაგიმრავლდება შენი სიცოცხლის წლები“. (იგ. 4:10)

თემა: რა დონეზეც სიამაყე კვდება ჩვენში, იმ დონეზე გვექნება იესოს ახლებური ხედვა. ნამდვილი თავმდაბლობა წმიდა შიშშია ფესვგადგმული. ეს გახლავთ გაცნობიერება, რომ იესოს გარეშე არაფერი შეგვიძლია. ამრიგად, ვირჩევთ მასზე სრულად და საბოლოოდ დამოკიდებულებას.

დაფიქრება: არის თუ არა თავმდაბლობა ჩემის ცხოვრების რეალობა? მაქვს თუ არა გარკვეულ სფეროებში ასეთი დამოკიდებულება: ამას ადვილად მივხვდავ? გეგმებს უფალთან მოთათბირების გარეშე ხომ არ ვადგენ? ხომ არ ვიღებ გადაწყვეტილებებს ისე, რომ მის შინაგან მოწმობას არ ველოდები? თუ ასეა, როგორ შეიძლება შევცვალო ჩემი მიდგომა? როგორ შემინარჩუნებს მადლიერება გამბედაობას და თავმდაბლობას ერთდროულად?

ლოცვა: ძვირფასო მამა, იესოს სახელით გთხოვ, მაპატიო ჩემი სიამაყე ჩემი ცხოვრების ამ სფეროებში (ჩამოთვალეთ)! ვინანიებ საკუთარი თავის იმედად ყოფნას და სხვებზე მეტად დაფასებას. გამწმიდე იესოს სისხლით! თავს ვიმდაბლებ შენს წინაშე და ამის გაკეთებით ვარჩევ, რომ სხვა ადამიანები ჩემზე მნიშვნელოვნად ჩავთვალო, ამინ!

ალიარება: ჩემი ცხოვრების წინამძღოლად თავმდაბლობასა და უფლის შიშს ვარჩევ.

ხშირად ასე ვლოცულობ:
„ო, ღმერთო! გამოგზავნე
მონაწიების განახლება და
უფლის მოშიშება, რომელიც
მთელ კონტინენტს წალეკავს,
რათა გადავრჩეთ და შენ
მოგაგოთ დიდება!“

– ა. უ. ტოზერი

42 | საბანძურის პოვნა

(შენიშვნა მკითხველისთვის: ეს თავი ჩვეულებრივზე გრძელი იქნება, რომ სათქმელი სრულად ჩამოყალიბდეს. თუ წიგნს ყოველდღიურად კითხულობთ, მას ორ ნაწილად გავყოფ – დილას და საღამოს წასაკითხად).

დილის საკითხავი: სარგებლის შეჯამება

წმიდა შიშის სარგებლობის სიღრმე ერთი წიგნისთვის მეტისმეტად დიდია. მასზე საფუძვლიანად მსჯელობას ტომები დასჭირდებოდა. მის რაობას თითქმის სამი ათეული წელია ვიკვლევ, მაგრამ დღემდე მაოცებს, რასაც სულიწმიდა წერილიდან მიცხადებს. ამრიგად, ნაშრომი კიდევ რამდენიმე დაპირების განხილვით დავასრულოთ. თითოეული მათგანი შემდგომი კვლევისა და აღმოჩენის შესავლად ჩათვალეთ! გულით მიიღეთ ეს აღთქმები! ნუ ეცდებით მათ ჩამოწერას ან მნიშვნელობის დაკნინებას! ღმერთს უკანვე წარუდგინეთ! უფლის მოშიშთათვის ისინი დიდად საძებარი და შესანახი ძვირფასი ქვებია.

„ნეტარია ყოველი, ვინც უფლის მოშიშია და მისი გზებით დადის! შენი ხელების ნაყოფს შეჭამ, ბედნიერი იქნები და სიკეთე გექნება!“ (ფს. 128:1-2)

ყურადღება მიაქციეთ ძირეულ სიტყვებს *ნეტარი* და *ბედნიერი*! ადამიანი, რომელსაც ნამდვილად აქვს ღვთისმოშიშება, დიდი სიხარულით ხარობს. ნეტარების ერთი ასპექტი გამოკვეთილია და ეს ჩვენი შრომა გახლავთ. არასოდეს დამავინწყდება შემთხვევა, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე, როცა IBM-ის ინჟინერი ვიყავი ადრეულ 1980-იან წლებში.

მოზიზება ღვთისა

ერთი თანამშრომელი ინჟინრის ოცდამეთვრამეტე წლისთავს ვზეიმობდით. დღის დასაწყისიდანვე ბევრმა ჩვენგანმა თავი მის ოფისში მოიყარა.

ერთ მომენტში ზეიმის ობიექტმა ასეთი სიტყვები წამოისროლა:
– ოცდათვრამეტი წელია მეზიზლება ყოველი დღე, როცა ამ შენობაში მოსვლა მიწევს!

დანარჩენებმა გაიცინეს და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს.

მათ შორის ერთადერთი გახლდით, ვისაც იქ მუშაობის მხოლოდ რამდენიმე თვის სტაჟი ჰქონდა. ახალგაზრდა და გამოუცდელი ვიყავი, ამიტომ მისმა ნათქვამმა გამაკვირვა და ვკითხე:

– ასე რატომ იქცეოდი?

მისი გამომეტყველება მეყსეულად შეიცვალა. მოხითხითე ადამიანს სახეზე ზიზღი აღებეჭდა ისევე როგორც ყველა დანარჩენს და დამცინავად თქვა:

– ჯონ, ამას სამუშაო ჰქვია?! მხოლოდ საჭმლისა და ტანსაცმლისთვის უნდა იმუშაო!

სხვა მამაკაცების სახეების შემხედვარეს შემეძლო, მეთქვა, რომ მის ამ დამოკიდებულებას იზიარებდნენ. ვიცოდი, რომ ხმა აღარ უნდა ამომელო, რადგან გონიერი ადამიანების გარემოცვაში არ ვიმყოფებოდი.

ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ინჟინრობა შევისწავლე, იყო შიში, რომ სხვაგვარად კარგად ანაზღაურებად სამსახურს ვერ ვიშოვნიდი. იმ კაცის შენიშვნამ ჩემი არაწმიდა შიში გამოავლინა. იმ დღეს გადავწყვიტე, რომ ოცდათვრამეტი წლის შემდეგ იგივე სიტყვებს არ გავიმეორებდი. ეს შიში ვერ წარმართავდა ჩემს ცხოვრებას, რადგან ღმერთს მივენდობოდი. შემიძლია, სიხარულით განვაცხადო, რომ იქედან მოყოლებული მახარებს ჩემი შრომის ნაყოფი და ეს აღთქმა ყველას ეკუთვნის, ვინც ღვთისმოშია.

მეფსალმუნე განაგრძობს:

„შენი ცოლი, მსხმოიარე ვაზივით იქნება შენს სახლში; შენი შვილები, ზეთისხილის ყლორტებივით იქნებიან შენი სუფრის გარშემო. აი, ასე იკურთხება უფლის მოშიში კაცი“. (ფს. 128:3-4)

შენი შრომის ნაყოფით გაიხარებ, შენი მეუღლე აყვავდება და ერთუზიაზმით სავსე შვილებს შენს გვერდით ყოფნა გაახარებთ. ძალიან ბევრ ადამიანს აკლია ის, რაც ამ მონაკვეთშია აღწერილი.

ფაქტობრივად, აქედან ჩანს, თუ რას აცდა ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი. მრავალ ადამიანს ცხოვრება არ უხარია, თუმცა ფულს საკმარისად შოულობს. ისინი მეუღლეებს ვერ ეწყობიან და მათ შვილებს ოჯახთან არაფერი ესაქმებათ. მათი ოჯახი კი არ ყვავის, არამედ ჭკნება, თუმცა ღვთიური იმედი ისევ არსებობს.

ამ აღთქმის იმედი კონკრეტული და ყველაზე საოცარია. ეს ეკლესიის მსახურებაზე დამსწრე ან თუნდაც იესოსთან ურთიერთობის მაღიარებელ ყველა ადამიანს როდი ეკუთვნის! მუხლი ნათლად ამბობს, რომ „ასე იკურთხება უფლის მოშიში კაცი“.

ძვირფასო მკითხველო, ამ სათქმელით თითქმის უკვე დაასრულეთ წიგნში მოგზაურობა. რახან აქამდე მოხვედით, ღვთისმოშიშება აგიჩვევიათ. ამრიგად, ეს აღთქმა შეგიძლიათ, ლოცვაში ითხოვოთ. შეჰღალადეთ ღმერთს, როგორც ისაკი მოიქცა, რომ წმიდა მოშიშების აღთქმათა შესრულება იხილოთ. ჩვენს სახლეულში ეს დაპირებები ხანგრძლივი თვეების მანძილზე არ სრულდებოდა; ისეთი მინიშნებებიც გვექონდა, რომ შეიძლებოდა, ვერც დაგვემკვიდრებინა, მაგრამ იმედს ჩავეჭიდეთ და დაჟინებით მოვითხოვდით ლოცვებში. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ წლების მანძილზე ისინი ჩვენს ოჯახში აღსრულდა.

მოდით, სხვა ფსალმუნს მივმართოთ, რომელიც სიღრმისეულად ლაპარაკობს ღვთის მოშიშებზე:

„ნეტარია კაცი მოშიში უფლისა, რომელიც დიდად ნეტარებს მის მცნებებში. ძლიერი იქნება ქვეყანაზე შთამომავალი მისი. კურთხეულ იქნება მართალთა თაობა“. (ფს. 112:1-2)

კიდევ ერთხელ ვხედავთ, რომ ნეტარება ღვთისმოშიშებას უკავშირდება. სიხარული სულიერი ძალაა. მას გარემოებებში ვერ ვიპოვით ბედნიერების მსგავსად. სიხარული ღვთის მარადიულ სიტყვაშია დაფუძნებული. ის უფრო შედეგიანს და ნაყოფიერს გვხდის.

ასევე, ამ მუხლებიდან ჩანს, რომ წმიდა შიში ჩვენს შთამომავლობაზეც ახდენს ზეგავლენას. არა მარტო ჩვენ, არამედ ისინიც წარმატებულები იქნებიან. მოდით, გავაგრძელოთ:

მოზიზება ღვთისა

„ქონება და სიმდიდრეა მის სახლში, მარადიულია მისი სიმართლე. უკუნისამდე არ ნაბორძიკდება; მარადიული იქნება მართლის ხსოვნა. ცუდი ამბისა არ შეეშინდება, მტკიცეა მისი გული, უფალზეა მინდობილი. მტკიცეა მისი გული; არ შეშინდება და ბოლოს გამარჯვებით დახედავს თავის მტრებს“ (ფს. 112:3,6-8).

ამას წინათ ერთ მორწმუნე ქალს ვესაუბრებოდი და მან აღნიშნა, თუ როგორ დავტოვებთ სააქაო ცხოვრებას ერთ დღეს და ჩვენი მარადისობა დაიწყება. მაშინვე შევეწინააღმდეგე: „არა, ზეციდან შობილებისთვის უკვე დაიწყო მარადისობა“. ჩვენი ამჟამინდელი სიყვარულის შრომა საუკუნოდ გაგრძელდება. თუმცა იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომელთაც ღვთის შიში აკლიათ, ყველაფერი სწორედ რომ პირიქით მოხდება: „მათი სიყვარულიც, სიძულვილიც და შურიც უკვე გაქრა“ (ეკლ. 9:6).

ღვთისმოშიშებს ცუდი ამბის არ ეშინიათ. სოციალური და სატელევიზიო მედიის დღევანდელი სიუხვის, ასევე სხვა ახალი ამბების და საჭორაო ინფორმაციის სიჭარბის პირობებში ცუდი ამბების წილი წარმოუდგენლად დიდია. ბევრს აქვს მომავლის შიში, მაგრამ უფლის მოშიშებს მომავალი არ აძრწუნებს. ისინი გაბედულები და შეუპოვრები არიან. წერილი ისევ გვეუბნება:

„უფლის შიში მტკიცე სიმაგრეა; თავშესაფარია იგი შენთვის და შენი შვილებისთვის“. (იგ. 14:26)

წმიდა შიშს შინაგანი დაჯერებულობა ახლავს. ეს ისეთი რამაა, რასაც ბევრი ნატრობს, მაგრამ მალე აღმოაჩენს, რომ მისთვის მიუწვდომელია. ერთი მეგობარი მყავს, ჯონ ჰაგი, რომელიც მეტად პატივისცემი პასტორია ტექსასის შტატში. მას ისეთივე ღვთისმოშიშება აქვს, როგორც ჩემს ნაცნობ სხვა წინამძღოლებს. 1973 წელს მის მსახურებაზე ერთი კაცი მივიდა და როგორღაც მისგან რვა ფუტის (2.43 მ) მანძილზე მიახლოება მოახერხა, 38-კალიბრიანი რევოლვერი ამოიღო და ექვსი ტყვია ესროლა. პასტორი ჯონი მტკიცედ იდგა და არც კი განძრეულა. ექვსივე ტყვია ასცდა. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ის კიდევ ცოცხალია ორმოცდაათი წლის შემდეგ და ისევ სახარებას ქადაგებს. მის ადგილას ბევრი სხვა ადამიანი

წყობილებიდან გამოვიდოდა, ყვირილს მორთავდა, ძირს დაეცემოდა ან თავშესაფრის ძებნას დაიწყებდა. ჯონი არც კი შერხეულა და იმ თავდამსხმელს მზერა გაბედულად გაუსწორა. ჩვენ გვეუბნებიან:

„დაიბანაკებს უფლის ანგელოზი მის მოშიშთა ირგვლივ და იხსნის მათ“. (ფს. 34:7)

ანგელოზები ღვთისმოშიშთა დასაცავად არიან დადგენილი. მოგვიანებით კრიმინალისტებმა გაარკვიეს, რომ ტყვეების ნახევარმა პასტორ ჯონს სხეულის მარცხნივ ექვის ინჩის (დაახლოებით, 15 სანტიმეტრი) დაშორებით ჩაუქროლა, ხოლო მეორე ნახევარმა მარჯვნივ – იგივე მანძილზე. მსროლელმა სულ რაღაც რვა ფუტიდან ააცდინა! გამოუცდელ ადამიანსაც კი შეუძლია რვა ფუტის მანძილზე ექვისივე ტყვიის მიზანში სროლა. დარწმუნებული ვართ, რომ ღვთის ანგელოზმა ტყვეებს მიმართულება შეუცვალა.

იუდას მეფე იოშაფატი „უფლის გზების ერთგული“ იყო (2 ნეშტ. 17:6). მეფობის მესამე წელს მთელ ერში დაგზავნა მღვდლები, რომ ხალხისთვის ღვთის სიტყვა ესწავლებინათ. წერილში ვკითხულობთ:

„უფლის შიშმა მოიცვა ყველა ის სამეფო იუდას ირგვლივ რომ იყო; და არ ებრძოდნენ იოშაფატს“. (2 ნეშტ. 17:10)

წმიდა მოშიშებაში დამკვიდრებულებზე დიდი დაცვაა. იაკობი ამის კიდევ ერთი ბიბლიური მაგალითია. მან თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახი ღვთისმოშიშებისკენ მიმართა და კერპები მოაშორა. ამის შემდეგ ვკითხულობთ: „და გაემგზავრნენ. ღვთის შიში იყო ირგვლივ მდებარე ქალაქებზე და არ დაედევნენ იაკობის ძეებს“ (დაბ. 35:5).

ღვთისმოშიშებზე ბევრი დაპირებაა. გადახედეთ ამ სიტყვებს:

„ნურც ცოდვილებისა შემურდება შენს გულს, არამედ უფლის შიში გქონდეს მუდამ, რადგან არსებობს მომავალი და შენი იმედი არ მოისპობა“. (იგ. 23:17-18)

მოზიზება ღვთისა

ყურადღება მიაქციეთ ორ გამოკვეთილ სიტყვას. პირველი, *იმედის* ნაკლებობისას ბევრი სულიერი წინამძღოლის მთავარ მიზანად ხალხის შთაგონება იქცევა, ხოლო ღვთის სიტყვას დამატებით საშუალებად განიხილავენ. წერილის ერთ-ორ ადგილს სერიოზული მსმენელების დასამშვიდებლად იყენებენ, მაგრამ ძირითად აქცენტს წამახალისებელ ამბებზე აკეთებენ. მართალია ამ ამბებს გარკვეული სარგებლობა მოაქვთ და ადამიანებს მოკლევადიან სტიმულს აძლევს, მაგრამ ისინი არაფრით განსხვავდებიან ჰოლივუდის შთამაგონებელი ფილმებისგან და მათ არც ღვთისმოშიშთათვის დაპირებული *მომავალი* მოსდევს.

უფლის შიში მრავალგზის საზღაურს გვთავაზობს: შესრულებული სურვილები (იხილეთ ფს. 145:19), ერთგული მეგობრები (ფს. 119:63,74,79), სხეულის კურნება (იგ. 3:7-8), ამოცნობა (ფს. 60:4) და ცხოვრებისეული მიმართულება, რასაც ბევრი ნატრობს.

„ვინ არის კაცი მოშიში უფლისა? მას უჩვენებს გზას, რომელიც უნდა აირჩიოს. სიკეთეში იცხოვრებს იგი და მისი შთამომავლობა დაიმკვიდრებს ქვეყანას“. (ფს. 25:12-13)

წარმოუდგენელია, რატომ არ უნდა ეძვირფასებოდეს ადამიანს ღვთის შიში. ჩემი წრფელი სურვილია, რომ ეძიოთ მისი ფასეულობა და მარტო თქვენთვის კი არ შეინახოთ, არამედ მეფე იოშაფატივით სხვებს გადასცეთ.

სალამოს საკითხავი: წმიდა შიშის პოვნა

უფალი ოცდაათ წელზე მეტის ხნის წინ დამელაპარაკა, რომ ამ საუკუნეში ღვთის უკანასკნელ მოძრაობაში წმიდა მოშიშება იქნება ხაზგასმული. ამ გამოღვიძების დიდი უპირატესობა იქნებოდა პატარძლის წმიდა წერილში წარმოდგენილი ერთადერთი აღწერილობის შესაბამისობა, ვის წასაყვანადაც იესო ბრუნდება. ის არ უნდა იყოს „შესაფერისი“, თუმცა შესაფერისობა აუცილებელია დაღუპულ სულთა მოსაპოვებლად. ის არ უნდა იყოს „წინამძღოლობაზე მიმართული“ ეკლესია, თუმცა წინამძღოლობა მნიშვნელოვანია ძლიერი ეკლესიის ასაგებად. ის არ

უნდა იყოს „საზოგადოებრივი ეკლესია“, თუმცა საზოგადოება მნიშვნელოვანია, რადგან არ არის კარგი კაცის მარტო ყოფნა. აი, როგორია ერთადერთი აღწერილობა იმ პატარძლისა, რომლისთვისაც იესო ბრუნდება:

„ასე წარედგინა თავისთვის დიდებულ ეკლესიად, რომელსაც არა აქვს ლაქა, არც მანკი, ან რაიმე მსგავსი, არამედ პირიქით, წმიდა და უბინო ყოფილიყო“. (ეფეს. 5:27)

ეს არის წმიდა ეკლესია! ძვირფასო მკითხველო, ვინაიდან ღვთისმოსიშება სინმიდეს სრულყოფილს ხდის, ჩვენი უფლის წრფელი სურვილია, რომ თქვენ იყოთ ზეგავლენის მომტანი ამ დიდ გამოღვიძებაში! ამრიგად, უპირიანი იქნებოდა ჩვენი მსჯელობის დასრულება წმიდა მოშიშების ზრდის გზების განხილვით.

ნება მომეცით, უკან დავბრუნდე და მაღალიზიის საოცარი და საყურადღებო მსახურება გავიხსენო. ღვთის დიდებული და ძლიერი თანდასწრების გამოვლინებისას შიშითა და მოკრძალებით ვერთოდი და თან ჩემთვის ვფიქრობდი: *ჯონ ბევირ, არც ერთი არასწორი სიტყვა ან არასწორი მოძრაობა!*

როცა სცენაზე ამ აზრით დავაბიჯებდი, ბაგიდან რაღაც სიტყვები აღმოჩნდა. ჩემმა ყურებმა პირველად გაიგონა ისინი. ამაზე ადრე არასოდეს მიფიქრია და არც განმიხილავს. გაბედულად გამოვაცხადე: „ეს უფლის მოშიშების სულია!“

მოულოდნელად, ჩემს გონებაში შუქი აინთო. შინაგანში შევყვირე: *ეს არის, ეს არის – ეს სულიწმიდის ერთ-ერთი გამოვლინებაა!* ადრე ეს კავშირი არ დამინახავს, მაგრამ ნახეთ, რას ამბობს წერილი იესოს შესახებ:

„და დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და ძლიერებისა, სული ცოდნისა და უფლის მოშიშებისა. უფლის მოშიშებით აღივსება იგი.“ (ეს. 11:2-3)

აქ ჩამოთვლილია შვიდი გზა, თუ როგორ ვლინდება სულიწმიდა და იესო სრულად დადიოდა ყოველ მათგანში, თუმცა მისი ნეტარება უფლის მოშიშებაში იყო. ჩნდება კითხვა,

მოზიზება ღვთისა

თუ როგორ უნდა მივიღოთ უფლის მოშიშების სული. იესო გვეუბნება: „თუ თქვენ, ბოროტებმა იცით თქვენი შვილებისთვის კეთილ მისაცემთა მიცემა, მით უმეტეს ზეციერი მამა მისცემს სულნიმდას იმათ, ვინც სთხოვს“ (ლუკ. 11:13).

უბრალოდ, ზეციერ მამას უნდა ვთხოვოთ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს რიგითი თხოვნა, არამედ გულიდან ამოძახილი და ღალადი, რომელიც უარს ამბობს პასუხად „არა“-ს მიღებაზე. ზუსტად ამ სიტყვების წინ იესო ამბობს: „ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგელებათ“ (ლუკ. 11:9). აქ გამოკვეთილია დაჟინებულობა.

ისევ 1994 წლის კონფერენციას დაეუბრუნდეთ, სადაც პასტორმა უფლის შიშზე სწავლება შემისწორა. მეორე დილას სამშენებლო არეალში ლოცვა დავინყე ასეთი მოტივით: „რა შემეშალა?“ ბოლოს ხმამაღალი ღალადით დავასრულე და უფლისგან წმიდა შიშს ვითხოვედი. ეს იყო შეუპოვარი ვედრება, რომელიც პასუხად „არა“-ს არ იღებდა. იმ დროისთვის ამის მნიშვნელობას ვერ ვხვდებოდი, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ჩემი ცხოვრების გადამწყვეტ და გარდამქმნელ მოვლენასთან მქონდა საქმე. ახლაც კი თითქმის ყოველდღე დაჟინებით ვთხოვ ჩემს ზეციერ მამას, რომ ხელახლა ამავსოს უფლის მოშიშების სულით. მოდით, წერილის კიდევ ერთ მონაკვეთს გადავხედოთ, რომელიც ზუსტად შეესაბამება ჩვენს ამჟამინდელ მსჯელობას!

„შვილო, თუ ჩემს სიტყვებს მიიღებ და ჩემს მცნებებს გულში დაიუნჯებ, სიბრძნეს ყურს მიაპყრობ და გონიერებისკენ მიმართავ გულს, თუ საზრიანობას მოუხმობ და გონიერებისთვის აიმაღლებ ხმას, თუ ვერცხლივით მოიძიებ მას და დაფარული განძივით დაუნყებ ძებნას, მაშინ ჩანვდები უფლის მოშიშებას და ღვთის შემეცნებას მოიპოვებ“. (იგ. 2:1-5)

წმიდა შიშისთვის ლოცვა გულის სიღრმიდან ამოსულ ღალადს უნდა წარმოდგენდეს, რომელიც მის გულმოდგინე ძიებასთან არის შერწყმული და არაფრით განსხვავდება ადგილიდან გამქრალი ნიშნობის ბეჭდის ან დაკარგული ოქროს სამკაულის ძიებისგან. დარწმუნებული ვარ, გინახავთ პროგრამები და ფილმები განძის მაძიებლებზე, რომლებიც ყოველთვის გადმოგვცემენ მაძიებლის მხრიდან დაუოკებელი სწრაფვის

შეგრძნებას. ამასთან დაკავშირებით ფანტასტიკის ჟანრის ფილმი მახსენდება სახელწოდებით *ეროვნული საგანძური*.¹ 2004 წლის გადაღებაში აღწერილია კაცი, ბენჯამინ გეიტსი, რომელმაც ცხოვრება 1700 წელს დამალული დიდი განძის ძიებას შეაღია. მან მთელი დრო და ენერგია ამ საქმეს მიუძღვნა იმ დონემდე, რომ რეპუტაციისა და თავისუფლების დაკარგვის საფრთხეშიც აღმოჩნდა. თუმცა მისი ძიების ობიექტი ერთ დღეს უკვალოდ გაქრება, მაგრამ ჩვენთვის სამაგალითო მისი დაუღალავი ჟინი უნდა იყოს.

თუ ღვთის სიტყვას, მის სიბრძნეს, რჩევას და წმიდა შიშს იგივე შეუპოვრობით მოვძებნით, ყველაზე კურთხეული ადამიანები ვიქნებით. ჩვენ ხომ ისეთ რამეს ვითხოვთ, რაც არასოდეს გადავა და ეს ღვთის საგანძურია. მას ეს *ჩვენგან* არ დაუმალია, პირიქით, *ჩვენთვის* დამალა. იგი გვაქეზებს, რომ ვიპოვოთ და როცა ვიპოვით, გავიხაროთ. იგი მაშინაც ხარობს, როცა წმიდა მოშიშების საზღაურს ვიღებთ.

ჩემი გულწრფელი იმედია, რომ სულიწმიდის დახმარებით თქვენშიც იშვას ის, რაც იმ სამშენებლო მოედანზე ჩემში დაიბადა – უფლის მოშიშების დაუოკებელი წყურვილი. თვალის ჩინივით გაუფრთხილდით და ჩაეჭიდეთ მას, როგორც უძვირფასეს ქონებას! თუ ასე მოიქცევით, გეყვარებათ ის, რაც ღმერთს უყვარს და შეიძულებთ იმას, რაც ღმერთს სძულს. მისთვის მნიშვნელოვანი თქვენთვისაც მნიშვნელოვანი გახდება. გულით გეყვარებათ ადამიანები და მთელი არსებით შეიძულებთ ცოდვას, რომელიც მათ ანგრევს. ამით თქვენი გავლენის სფეროში მყოფი ხალხი შეიცვლება და მარადიული შედეგებით გაიხარებთ.

გთხოვთ, დაიმახსოვროთ, რომ *მნიშვნელოვანი რბოლის დასაწყისი კი არა, მისი დასრულებაა*. ამ თემაზე დიდ იმედსა და ძალას შეგმატებთ მომდევნო ორი მონაკვეთი:

„ვისაც ძალუძს დაგიცვათ *დაცემისგან* და უბინონი წარგადგინოთ თავისი დიდების წინაშე სიხარულით, ერთადერთ ღმერთს ... დიდება!“ (იუდ. 24)

„ვინც ბოლომდე განგამტკიცებთ, რათა უმნიკვლონი იყოთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს დღეს“. (1 კორ. 1:8)

მოზიზება ღვთისა

კარგი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი კარგი დასასრულია და ღმერთმა წმიდა შიში მოგვმადლა ამ საქმის გასაკეთებლად. ჩემთვის დიდი პატივი გახლდათ ამ საგანძურის თქვენთვის წარდგენა. გთხოვთ, მხოლოდ თქვენთვის არ დაიტოვოთ! მიმოიხედეთ, რამდენი ადამიანია თქვენს ირგვლივ! გააზიარეთ ის თქვენი გავლენის სფეროში! თუ ასე მოიქცევით, ნაკლები დანაკარგები და უფრო ჯანსაღი ეკლესია გექნებათ.

ახლავე აირჩიეთ, რომ გახდეთ წმიდა შიშის ძლიერი გარდამქმნელი მოძრაობის ნაწილი, რომელიც პატარძალს ჩვენი ნეფის დაბრუნებისთვის მოამზადებს! ნუ იქნებით გარეშე მაცურებელი, არამედ შიგნით ჩაიხედეთ! წმიდა შიშის მიღება ძალიან დაგაახლოვებთ ჩვენს ნეფესთან, თქვენი გადარჩენა სიმწიფეს მიაღწევს, ნაყოფიერება გაიზრდება და მარადიულ მემკვიდრეობას ააშენებთ.

გათავისება

მონაკვეთი: ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისგან და უბინონი წარგადგინოთ თავისი დიდების წინაშე სიხარულით, ერთადერთ ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, დიდება, სიდიადე, ძალა და ხელმწიფება ყოველთა საუკუნეთა უწინარეს, და ახლა და უკუნითი უკუნისამდე! ამინ! (იუდ. 24-25)

თემა: კარგად დასრულება კარგი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ღმერთი მისი წმიდა მოშიშების ნიჭით შევინარჩუნებთ სიძლიერეს და უბინოებით წარგადგენთ ნუთისოფლის დასასრულს.

დაფიქრება: რა მჭირდება წმიდა მოშიშების გასაზრდელად ჩემს ცხოვრებაში? ვნატრობ და შესაბამისად, დაულალავად ვესწრაფი წმიდა შიშის საგანძურით მოპოვებას? ვეჭიდები თუ არა მას, როგორც უძვირფასეს ქონებას? რა უნდა გავაკეთო რეგულარულ საფუძველზე, რომ შევინარჩუნო ის?

ლოცვა: ძვირფასო მამა, შემოგლალადებ, რომ უფლის, სიბრძნის, გაგების, რჩევის, ძალის, ცოდნისა და უფლის მოშიშების სულით ამავსო! გამაძლიერე დასასრულამდე, რომ უმნიკვლო ვიყო ჩემი უფლის, იესო ქრისტეს დღეს, იესოს სახელით, ამინ!

ალიარება: უფლის შიში ჩემი საგანძურია.

ღვთიური სიღიაღისთვის თვალის შევლება

ისრაელის ისტორიის ერთ მომენტში ღმერთმა მისი ერის წმიდა მოშიშების განახლება შემდეგი კითხვის დასმით გადანყვიტა:

„და ვის მიმამსგავსებთ, რომ გავეტოლო?“ (ეს. 40:25)

თუკი ისტორიის განმავლობაში ოდესმე ყოფილა ამ კითხვაზე ღრმად დაფიქრების დრო მისთვის თვალის ზედაპირულად გადავლების ნაცვლად, ეს სწორედ ახლანდელი დროა. ამ საათსა და ამ ჟამს კაცობრიობის „სიღიაღეზე“ განუწყვეტილად გადაიცემა სოციალური მედიის, მთავარი მაუწყებლობისა თუ ტელევიზიების და სხვადასხვა პლატფორმების საშუალებით. ნიჭიერი ათლეტების, ულამაზესი ჰოლივუდის ვარსკვლავების, უნარიანი მუსიკოსების, ბიზნესის გურუების, ხარიზმატული ლიდერებისა და სხვა მსგავსი ინდივიდების ქება-დიდება გამუდმებით გვესმის სხვადასხვა არხების მონინავე პოზიციებიდან. მათი დიდება ხმამაღლა ყვირის, თუმცა ერთი შეხედვით უწყინარი ადამიანური სიღიადით გამუდმებული კვება ღვთის დიდების რეალობის განხილვასა და მასზე დაფიქრებაში გვაფერხებს.¹

ღვთიური სიღიაღისთვის თვალის ჰეველა

მე და ლიზა ამაში თავით გადავეშვით ოცდახუთი წლის წინ, როცა ჩვენს ოთხ ვაჟს ვზრდიდით. იმ დროს ინფორმაციის დიდი სიჭარბე არ იგრძნობოდა, რადგან არც აპლიკაციები გვექონდა და არც სოციალური მედია. და მაინც, შევნიშნეთ, რომ ჩვენი ვაჟები საჭიროზე მეტად იყვნენ დაინტერესებული კონკრეტული პროფესიონალი კალათბურთელით. იმ დროისთვის ის ამერიკის ყველაზე პოპულარული სპორტსმენი იყო და ბევრის კერძს წარმოადგენდა. მან ათეული წლების შემდეგაც შეინარჩუნა ძველი დიდება.

ჩვენი ოჯახი მაშინ აღმოსავლეთ სანაპიროზე მსახურობდა და ოკეანისპირა ერთ-ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით. ოკეანეში რამდენიმე საათი გავატარეთ და ჩვენს ნომერში ვბრუნდებოდით. ბიჭები ატლანტის ოკეანის ტალღებმა სულ აბურთავა და ყირამალა ატრიალა. ისინი სიხარულით და გაოცებით აღავსო წყლის ძალამ.

ჩვენს სამ უფროს ვაჟთან სალაპარაკოდ დავჯექი. გაღებულ მინის სასრილო კარზე მივუთითე და ვკითხე:

– ბიჭებო, რა მძლავრი ოკეანეა, არა?

მათ ერთხმად მიპასუხეს:

– დიახ, მამა!

მე განვაგრძე:

– თქვენ მხოლოდ რამდენიმე მილზე ხედავთ, მაგრამ სინამდვილეში ოკეანე ათასობით მილზეა გადაჭიმული.

პირსახოცებში თბილად გახვეულმა ბიჭებმა აღტაცებით წამოიძახეს:

– ოჰო!

– თან ეს ყველაზე დიდი ოკეანე არც არის. უფრო დიდია არსებობს – წყნარი ოკეანე. ამ ორის გარდა კიდევ ორია.

ბიჭები თავს მიქნევდნენ ჩუმი გაოცებით და თან ღია კარიდან ტალღების ძალუმი ტყლაშუნის ხმას ვუსმენდით.

ჩვენი მოგზაურობის დროს NBA-ის ჩემპიონატი სრული სვლით მიმდინარეობდა. კალათბურთის იმ სუპერვარსკვლავის მიღწევების შესახებ განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ პრესა, ESPN, ჩვენი ვაჟები და მათი მეგობრები. ჩემი ბიჭები აღფრთოვანებული იყვნენ მისი უნარით, თუ როგორ იჭერდა ბურთს ცალი ხელით. როცა მივხვდი, რომ მათ რალაც დონეზე წარმოიდგინეს ჩემ მიერ აღწერილი წყლის ოდენობა, ვიკითხე:

– ბიჭებო, იცით, რომ ღმერთმა მთელი ეს წყალი, რასაც ხედავთ და სხვები, რომლებზეც წელან გაიმბეთ, ცალი ხელით აწონა (ეს. 40:12)?

მათ სახეებზე ნამდვილი გაცემა აღიბეჭდა.

შემდეგ მარტივი ენით გაუზიარე ინფორმაცია არა მარტო ოკეანის ზომაზე, არამედ მის ძალაზეც. ბიჭებს ვუთხარი, რომ ნიუ იორკის სანაპიროდან რამდენიმე ასეული მილის მანძილზე ატლანტიკის ოკეანეში ერთი მილის სიგანის მეტეორის ჩავარდნის შემთხვევაში უდიდესი ცუნამი წარმოიქმნება, რომელიც მიწის პირისგან აღგვის ამერიკის, კარიბის კუნძულებისა და სამხრეთ ამერიკის ატლანტიკური სანაპიროს ყველა საქალაქო სტრუქტურას!² უფრო მეტიც, ეს მოვლენა ზეგავლენას მოახდენს მთელ ოკეანეზე და ჩრდილო ევროპისა და აფრიკის სანაპიროს ქალაქებს ააოხრებს. თუმცა ეს ტალღა ისე მაღალი არ იქნებოდა, როგორც ატლანტიკისა. შემდეგ ვკითხე:

– რა მოხდება, ოკეანის წყლების მთელი წყლები რომ აღდგეს კაცობრიობის წინააღმდეგ? ოკეანეებში დიდი რაოდენობით წყალია, მაგრამ ღმერთმა მისი ყოველი წვეთი თავისი ხელის გულით გადაზომა!

შემდეგ ლამის ცის განხილვას შევუდექი. გაგონილით დატყვევებულ ბიჭებს ვკითხე:

– იცით, კიდე რას ამბობს ბიბლია ღვთის სიდიადეზე?

– რას ამბობს, მამა?

– ის ამბობს, რომ ღმერთს სამყაროს გადაზომვა მტკაველით შეუძლია (ეს. 40:12). ჩემი ხელისგული მათ წინ დავიჭირე და ვაჩვენე მანძილი ცერიდან ნეკა თითის წვერამდე. ახლა იგივე კითხვას გისვამთ, რაც მაშინ ჩემს ბიჭებს დავუსვი:

– წარმოგიდგენიათ სამყაროს სიდიდე?

ეს ჩვენს გონებრივ უნარს სცდება. შესაძლოა, სამყაროს სივრცეზე თვალის შევლებით ღვთის დიდების წარმოდგენას მივუახლოვდეთ.

რასაც ახლა დავწერ, ტექნიკური ტერმინებია, მაგრამ გთხოვთ, კითხვა განაგრძოთ, რადგან სათქმელის გამარტივებას შევეცდები, როგორც მაშინ ჩემს შვილებთან გავაკეთე! როცა ამ ფაქტებზე ვფიქრობთ, მონინების გრძნობა გვიპყრობს მისი სიდიადის გამო, რადგან ჩვენ გვეუბნებიან: „ცანი ღალადებენ ღვთის დიდებას“ (ფს. 19:1).

ღვთიური სიღიაღისთვის თვალის ჰეველა

მეცნიერების გამოთვლებით, სამყაროში მილიარდობით გალაქტიკა და თითოეულ მათგანში, დაახლოებით, 100 მილიონი ვარსკვლავი შედის. გალაქტიკათა ზომები საკმაოდ მცირეა მათ შორის არსებულ მანძილთან შედარებით.

ჩვენი მზე ერთ-ერთ ასეთ გალაქტიკას ეკუთვნის. ის იმდენად დიდია, რომ ლამის ცაზე დაკვირვებისას მთელი სამყაროს სურათს ვერ ვხედავთ, არამედ მხოლოდ ერთი ბნო გალაქტიკას (სამყაროსთან შედარებით), რომელშიც ვცხოვრობთ და რომელსაც ირმის ნახტომი ეწოდება. ცოტა უფრო წინ რომ წავინიოთ, რეალურად, მთლიან ირმის ნახტომს ვერც კი ვხედავთ, არამედ მის ნაწილს, რადგან ჩვენი გალაქტიკის ვარსკვლავები მეტისმეტად შორს არიან შეუიარაღებელი თვალით დასანახად.

მოდით, მხოლოდ ის ვარსკვლავები მიმოვიხილოთ, რომელთაც ლამის ცაზე ვხედავთ! მზის გარდა დედამიწის უახლოესი ვარსკვლავი ჩვენგან 4.3 მილიონი წლით არის დაშორებული. სინათლე წამში 186 282 მილის სიჩქარით მოძრაობს – საათში კი არა, წამში. ეს გახლავთ, დაახლოებით 670 000 000 მილი/საათში. ჩვენი თვითმფრინავები საათში 500 მილის სიჩქარეს ავითარებენ. ამრიგად, როგორც ხედავთ, სინათლე წარმოუდგენლად სწრაფია!

მის სიჩქარეზე წარმოდგენის შესაქმნელად ვივარაუდოთ, რომ მზისკენ აერობუსით მიფრინავთ. აზიაში გადასაფრენად, რომელიც დედამიწის მეორე ნახევარსფეროში მდებარეობს, დაახლოებით, ოცდასამი საათი დამჭირდა. იგივე თვითმფრინავით მზემდე შეუჩერებელი ფრენისთვის ოცდაერთი წელი დამჭირდებოდა! ახლა იფიქრეთ, სად იყავით ოცდაერთი წლის წინ და წარმოიდგინეთ იმ წერტილიდან დღემდე მთელი ამ ხნის თვითმფრინავში გატარება (თუ საბედნიეროდ, ადგილი ფანჯარასთან შეგხვდათ). ვისაც ფრენის ნაცვლად ავტომობილის მართვა ურჩევნია ... იცით, ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან საბოლოო პუნქტს მხოლოდ ორასი წლის შემდეგ მიაღწევდით სანვავის შეესების და დასვენებისთვის განკუთვნილი შეჩერებების გარეშე! ახლა ვიკითხოთ: რა დრო სჭირდება სინათლეს დედამიწამდე მოსაღწევად? პასუხია 8 წუთი და 20 წამი!

მოდით, თავი დავანებოთ მზეს და შემდეგ უახლოეს ვარსკვლავზე გადავიდეთ! დედამიწის, მზისა და უახლოესი

ვარსკვლავის მაკეტი რომ ავაგოთ, ასეთი სახე ექნება. პროპორციულად, დედამინა წინაკის მარცვალზე დიდი არ იქნება. მზედ გამოდგება რვა ინჩის დიამეტრის მქონე ბურთი. დედამინასა და მზეს შორის მანძილი ამ მაკეტის თანახმად იქნება ოცდაექვსი იარდი – საფეხბურთო მოედნის სიგრძის მეოთხედი. გაიხსენეთ, რომ თვითმფრინავს ამ ოცდაექვსიარდიანი მანძილის დაფარვისთვის ოცდაერთ წელზე მეტი დასჭირდება.

თუ ასეთია მოდელის თანაფარდობა დედამინასა და მზეს შორის, მიხვდებით, რამდენად შორს არის უახლოესი ვარსკვლავი ჩვენი წინაკის მარცვლისოდენა დედამინიდან? ათასი იარდი გაიფიქრეთ, ორი ათასი თუ ერთი მილი? ახლოსაც კი არ ხართ. ჩვენი უახლოესი ვარსკვლავი წინაკის მარცვლიდან ოთხი ათასი მილის მანძილზე განთავსდება! ესე იგი, თუ წინაკის მარცვალს ანუ დედამინას ნიუ იორკში დავდებთ, მზე მისგან ოცდაექვსი იარდით იქნება დაშორებული სადმე ქალაქში, ხოლო უახლოესი ვარსკვლავი ამ მაკეტის მიხედვით ლოს ანჯელესს გასცდება და 1000 მილის დაშორებით, წყნარ ოკეანეში განთავსდება! თვითმფრინავით ამ ვარსკვლავთან მისაღწევად, დაახლოებით, 51 მილიარდი წელი შეუჩერებელი ფრენა იქნება საჭირო! ეს 51 000 000 000 წელია! თუმცა იმ ვარსკვლავიდან წამოსული სინათლე ჩვენამდე, სულ რაღაც, 4.3 წელში მოაღწევს!

მოდით, კიდევ უფრო შორს წავიდეთ! ლამის ცაზე ვარსკვლავთა უმეტესობა, რომელთაც შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ, ჩვენგან ასიდან ათასამდე სინათლის წლით არის დაშორებული. რამდენიმე ისეთი ვარსკვლავის დანახვაც შეგვიძლია, რომელიც ოთხი ათასი სინათლის წლის იქეთ მდებარეობს (გახსოვდეთ, რომ ისინი ჩვენი პანანინა გალაქტიკის ყველაზე შორეული ვარსკვლავები როდი არიან), არც კი შევეცდები დროის ოდენობის გამოთვლას, რაც თვითმფრინავს ამ ვარსკვლავებამდე მისვლისთვის დასჭირდება. თუმცა იფიქრეთ ამაზე: როცა ლამით გარეთ გამოდხართ და ერთ-ერთ მათგანს დაინახავთ, რომელიც ჩვენგან ოთხი ათასი სინათლის წლით არის დაშორებული, რეალურად აბრაჰამისა და სარას ქორწინების დროიდან წამოსულ გამოსახულებას ხედავთ. მან საათში 670 000 000 მილის სისწრაფით შეუჩერებლად იმოგზაურა და დედამინას მხოლოდ ახლახან მოაღწია!

ღვთიური სიდიადისთვის თვალის შეკვება

გაიხსენეთ, რომ ესენი ირმის ნახტომად წოდებული ჩვენი პატარა გალაქტიკის ვარსკვლავებია. ალბათ, ვერც კი გავებდავთ სხვა მილიარდობით გალაქტიკაზე ფიქრს! არ დაგავიწყდეთ, რომ გალაქტიკებს შორის უზარმაზარი მანძილია! მაგალითად, ჩვენი უახლოესი მეზობელი გალაქტიკა ანდრომედა გახლავთ. ის ჩვენგან, დაახლოებით, 2.3 მილიონი სინათლის წლით არის დაშორებული! იფიქრეთ იმაზე, რომ სინათლეს ორ მილიონზე მეტი წელი სჭირდება საათში 670 000 000 მილის სიჩქარით მოძრაობის პირობებში, რომ იმ გალაქტიკიდან დედამიწამდე მოაღწიოს. ვლავარაკობთ უახლოეს მეზობელ გალაქტიკაზე. მის გარდა მილიარდობით სხვა გალაქტიკა არსებობს! უკვე გავცდით ჩვენი წვდომის უნარის ფარგლებს?

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ესაიას განცხადებით ღმერთმა ეს უკიდევანო სამყარო მტკაველით გადაზომა! ფაქტობრივად, სოლომონი ღვთის სულით წარმოთქვამს: „ნუთუ ნამდვილად დამკვიდრდება ღმერთი დედამიწაზე? აჰა, ცანი და ცანი ცათანი ვერ გიტევენ შენ“ (1 მეფ. 8:27). ცოტათი მაინც თუ შეგექმნათ წარმოდგენა, ვისზე ვლავარაკობთ?

როცა ეს ყველაფერი ჩემს შვილებს ვუამბე, NBA-ს სუპერვარსკვლავის სტატუსი მისთვის შესაფერის ადგილს დაუბრუნდა. ჩვენი შემოქმედის სიდიადის გააზრების შემდეგ ბიჭებმა იმ სპორტსმენის უნარების მიმართ არაჯანსაღი აღფრთოვანება დაკარგეს.

ვისურვებდი, რომ თქვენ, მკითხველო, ერთი ნაბიჯით წინ წახვიდეთ! ჩვენმა ზეციერმა მამამ არა მარტო ამხელა სიდიდისა და პროპორციების საკვირველებანი შექმნა, არამედ დეტალებიც კი მის დიდებულებაზე ლავარაკობს. მეცნიერება წლებს და წარმოუდგენელ ფინანსებს ხარჯავს ფიზიკური სამყაროს კვლევაზე. მათ სიბრძნის მხოლოდ მცირე რაოდენობა აქვთ, რაც ღვთის ქმნილებაში შევიდა. ჯერ კიდევ არსებობს ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა. ღვთის ჩანაფიქრი და სამშენებლო მასალა გვაოცებს.

შექმნილი სიცოცხლის ყველა ფორმას უჯრედოვანი საფუძველი აქვს. უჯრედები ადამიანის, მცენარის, ცხოველის და ყველა სხვა ცოცხალი ქმნილების სამშენებლო მასალა გახლავთ. ადამიანის სხეული, რომელიც თავისთავად საინჟინრო საქმის სასწაულია, დაახლოებით, 100 000 000 000 000 უჯრედისგან

შედგება (შეგიძლიათ ამ რიცხვის წარმოდგენა?), რომლებშიც უამრავი სახესხვაობაა. ღმერთმა თავისი სიბრძნით ამ უჯრედებს კონკრეტული დავალებები დაუდგინა. ისინი იზრდებიან, მრავლდებიან და ბოლოს კვდებიან – ზუსტად გრაფიკის მიხედვით.

მართალია უჯრედები შეუიარაღებელი თვალისთვის უხილავია, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ ადამიანის უმცირეს ნაწილაკებს. ისინი შედგებიან მოლეკულებისგან, ხოლო მოლეკულა თავის მხრივ, უფრო პატარა სტრუქტურების – ელემენტებისგან შედგება. ამ უკანასკნელებში კიდევ უფრო პატარა ატომებია.

ატომები იმდენად მცირეა ზომით, რომ ამ წინადადების ბოლოს არსებული სასვენი ნიშანი მილიარდობით მათგანს შეიცავს. რაც არ უნდა ციცქნა იყოს ატომი, მას ძირითადად ცარიელი სივრცე ავსებს. ატომის დარჩენილი ნაწილი პროტონების, ნეიტრონებისა და ელექტრონებისგან შედგება. პროტონები და ელექტრონები ერთად ჯგუფდებიან ნამცეცა და უკიდურესად შემჭიდროებულ ბირთვში, რომელიც ატომის ცენტრშია მოთავსებული. ელექტრონებად წოდებული ენერჯის პატარა კვანძები ბირთვის გარშემო სინათლის სიჩქარით მოძრაობენ. ეს გახლავთ ძირითადი სამშენებლო მასალა, რომლებიც ყველაფერს ერთიანობაში იკავებს.

მაშ, საიდან იღებს ატომი თავის ენერჯიას? რა ძალა იჭერს ამ ენერგეტიკულ ნაწილაკებს ერთად? მეცნიერები ამას *ელექტრომაგნიტურ და ბირთვულ ძალებს* უწოდებენ. ესენი უბრალოდ ექსტრავაგანტური სამეცნიერო ტერმინებია, რომლებიც განმარტავენ იმას, რაც ბოლომდე და სრულად ვერავინ ახსნა. ღმერთმა უკვე განაცხადა, რომ „თავისი ძალის სიტყვით უპყრია ყოველივე“ (ებრ. 1:3). კოლას. 1:17 ამბობს: „ის არის უწინარეს ყოვლისა და ყოველივე მისით დგას“.

შეჩერდით და ამაზე დაფიქრდით. აქ არის დიდებული შემოქმედი, რომელსაც მამა ღმერთს ვუწოდებთ და რომელსაც ცათა ცანი ვერ იტყვენ. მას სამყაროს გადაზომვა მტკაველით შეუძლია, თუმცა ისე დეტალურად ჩაიფიქრა პატარა დედამიწა და მასზე მცხოვრები ქმნილებები, რომ თანამედროვე მეცნიერებას წლების კვლევის შემდეგაც კი ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას უტოვებს. გასაკვირი აღარ არის მეფსალმუნის ღილადი:

ღვთიური სიღიადისთვის თვალის შივლევა

„როცა შენს ზეცას ვუმზერ—შენი თითების ნამოქმედარს, მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე, რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი ან - ადამიანის ძე, რომ ზრუნავ მასზე?“ (ფს. 8:3-4)

ვფიქრობ, ეს მონაკვეთი ყველაფერს აჯამებს. თუ სწორად ვხვდები, მეფსალმუნე ერთ-ერთი ძლიერი ანგელოზის ფიქრებს ახმოვანებს, რომელიც ღვთის ტახტის წინაშე დგას. ღვთის წარმოუდგენელი და უსაზღვრო სიღიადით გაცემული ანგელოზები განუწყვეტლივ შესძახიან: „წმიდაა!“. სწორედ ისინი იყვნენ მოწმენი, როცა ღმერთი ვრცელ სამყაროს ქმნიდა მთელი მისი სირთულით. მათ დაინახეს ადამიანთა შექმნა და შეჰყვირეს: „ეს რა არის? რატომ აქცევს ღმერთი ამხელა ყურადღებას ციციქნა ლაქის მსგავს ადამიანებს ამ ციციქნა პლანეტაზე?“

მას შემდეგ, რაც ჩემს ბიჭებს ამაზე ველაპარაკე, ჩვენი დროის სელებრიტების დიდება უკვე აღარ ხიბლავდათ. მათ გააცნობიერეს, რომ დედამიწაზე დიდად წოდებული სრულიად უფერულდება ჩვენი ღვთის სიღიადესთან შედარებით. იმედი მაქვს, რომ დანართის ნაკითხვამ თქვენც იგივე განცდა გაგიჩინათ. ნაკითხული იმ კითხვის ფონზე გაიაზრეთ, რომელიც ღმერთმა თავის ხალხს დაუსვა წინასწარმეტყველ ესაიას მეშვეობით: „და ვის მიმამსგავსებთ, რომ გავეტოლო?“ (ეს. 40:25).

რასაკვირველია, მისი ქმნილების სასწაულებსა და სიბრძნეზე ბევრი წიგნი დაიწერა. ამის ხაზგასმა არ გახლდათ ჩემი განზრახვა. უბრალოდ, მიზნად მაქვს, რომ მისი ხელით ნამოქმედარმა აღტაცების სასწაულებრივი განცდა გაგიღვიძოთ, რადგან ეს შემოქმედის სიღიადეზე მეტყველებს!

შენიშვნები

შესავალი

1. ჩარლზ სპარჯენის ციტატა <https://quotefancy.com/quote/786372/Charles-H-Spurgeon-The-fear-of-God-is-the-death-of-every-other-fear-like-a-mighty-lion-it>.

თავი 1

1. ეკლესიასტე 1:8 (msg)
2. ეკლესიასტე 1:9
3. ეკლესიასტე 7:1
4. ეკლესიასტე 1:15
5. ეკლესიასტე 12:2–6

თავი 3

1. The Complete Word Study Dictionary
2. Webster, Noah. “Awe.” In Webster’s 1828 American Dictionary of the English Language. Editorium, 2010.

თავი 5

1. ებრაელთა 12:29 გვეუბნება, რომ ღმერთი „მშთანთქმელი ცეცხლია“; რომ. 8:15 ამბობს, რომ იგია ჩვენი „აბბა, მამაო!“

თავი 6

1. Butler’s Lives of the Saints: Concise Edition Revised & Updated, Michael Walsh, ed. (New York: HarperSanFrancisco, 1991), 29–30.

შენიშვნები

თავი 8

1. რამდენი მარცვალაა ერთ კუბურ ინჩ ქვიშაში? ვიკი-პასუხები; https://math.answers.com/other-math/How_many_grains_of_sand_are_in_one_square_inch.

თავი 11

1. Johannes P. Louw and Eugene Albert Nida, Greek-English Lexicon of the New Testament: Based on Semantic Domains (New York: United Bible Societies, 1996), 684.
2. Louw and Nida, Greek-English Lexicon of the New Testament: Based on Semantic Domains, 540.
3. “Signs of Decline & Hope among Key Metrics of Faith: Barna Access.” barna.gloo.us, 2021. <https://barna.gloo.us/articles/signs-of-decline-and-hope>.

თავი 12

1. Louw and Nida, 765.

თავი 13

1. იხილეთ ლუკ. 5:14; იოან. 6:15; ფილიპ. 2:7; ებრ. 5:4 ეს. 42:2

თავი 15

1. Spiros Zodhiates, *The Complete Word Study Dictionary: New Testament* (Chattanooga, TN: AMG Publishers, 2000).
2. Louw and Nida, 433.

თავი 16

1. Louw and Nida, 429.
2. Leon Morris, *The Gospel according to Matthew, The Pillar New Testament Commentary* (Grand Rapids, MI; Leicester, England: W.B. Eerdmans; Inter-Varsity Press, 1992), 175.

თავი 19

1. C. S. Lewis and Clyde S. Kilby, *C.S. Lewis: Letters to an American Lady* (Grand Rapids, MI: Eerdmans, 1997).

თავი 20

1. Louw and Nida, 662.

თავი 29

1. “Intimate Definition and Meaning: Collins English Dictionary,” Intimate definition and meaning | Collins English Dictionary (HarperCollins Publishers Ltd), accessed November 15, 2022, <https://www.collinsdictionary.com/us/dictionary/english/intimate>; “intimus”–WordSense Online Dictionary (15th November 2022) URL: <https://www.wordsense.eu/intimus/>

თავი 35

1. Louw and Nida, 375.
2. იბილეთ იოან. 3:1-2; 6:26, 66; 12:42; 19:38; Matthew 26:14–16.

თავი 38

1. Merriam-Webster.com Dictionary, s.v. “legacy,” accessed November 1, 2022, <https://www.merriam-webster.com/dictionary/legacy>. Notes Treasure’s 354
2. Ludwig Koehler et al., The Hebrew and Aramaic Lexicon of the Old Testament (Leiden: E. J. Brill, 1994–2000), 217.
3. Warren Baker and Eugene E. Carpenter, The Complete Word Study Dictionary: Old Testament (Chattanooga, TN: AMG Publishers, 2003), 231.
4. Richard Louis Dugdale, The Jukes: A Study of Crime, Pauperism, Disease and Heredity, Georgia State University College of Law Reading Room, January 1, 1969, <https://readingroom.law.gsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1000&context=buckvbell>.
5. Robert Alan Ward, “The Descendants of Jonathan Edwards,” White Mountain Independent, September 27, 2019, https://www.wmicentral.com/community_beat/religion/the-descendants-of-jonathan-edwards/article_9e54e16d-59c5-5cf2-a99f-dea187da978a.html.

თავი 39

1. ამ ებრაული სიტყვის სწორი მნიშვნელობა იქნება სატყუარა, რომელიც მონადირის ხაფანგშია მოთავსებული. Warren Baker and Eugene E. Carpenter, The Complete Word Study Dictionary: Old Testament (Chattanooga, TN: AMG Publishers, 2003), 585.
2. Baker and Carpenter, The Complete Word Study Dictionary: Old Testament, 18.

თავი 42


1. Jon Turteltaub, dir., National Treasure, (2005; Burbank, CA: Walt Disney Entertainment), 2005, DVD.

დანართი

1. Facts and figures are from a book I wrote years ago, A Heart Ablaze, in Chapter 4, titled “The Glory of the Lord” (Nashville, TN: Thomas Nelson, 1999), 31–44.
2. მას შემდეგ, რაც ეს ნიგნი პირველად დავწერე, მრავალი მეცნიერული მოდელი შეიქმნა. კვლევების თანახმად, სანაპირო ქალაქები გადარჩებიან, თუ მეტეორი შუა ოკეანეში ჩავარდება, მაგრამ სინამდვილეში არავინ იცის, რა მოხდება. ამ საკითხზე რამდენიმე საინტერესო სტატიას შემდეგ ვებგვერდზე იპოვით: <https://www.nytimes.com/1998/01/08/us/what-if-huge-asteroid-hits-atlantic-you-don-t-want-to-know.html> and <https://www.space.com/35081-asteroid-impact-ocean-computer-simulations-solar-system.html>.

სატანის სატყუარა

იცხოვრეთ წყენის საშინელი
ხაფანგისგან თავისუფლებმა



სატანის სატყუარა წარმოაჩენს ერთ-ერთ ყველაზე შეცდომაში შემყვან ხაფანგს, რომელსაც მტერი იყენებს მორწმუნეების ღმერთის ნებიდან გადასაყვანად: წყენას. ადამიანების უმრავლესობა ისე არიან გაბმულები ამ ხაფანგში, რომ ვერც კი მიმხვდარან.

ნუ მოტყუვდები! ქრისტემ თქვა: „შეუძლებელია არ მოვიდნენ ცდუნებანი“ (ლუკ. 17:1). შენ ვერ აირჩევ განაწყენდები თუ არა, მაგრამ შენ ირჩევ, თუ რა იქნება შენი პასუხი ამაზე. თუკი წყენას სწორად მიუდგები, სიმწარის ნაცვლად გაძლიერებას გამოცდი. მხოლოდ სწორ პასუხს შეუძლია მოგცეს ძალა, რომ დაუბრკოლებელი ურთიერთობა გქონდეს ღმერთთან.

ამ უწყებით, ჯონ ბეკირი ძალას გაძლევს დარჩე ღვთის ნებაში და გათავისუფლდე ეჭვისა და ნგრევისაგან. შენ შეგიძლია თავი დააღწიო გონების მსხვერპლობას და იცხოვრო სიმძიმისა და მარცხის ტვირთის გარეშე. ღმერთის მორჩილების უფრო მაღალი დონის აღმოჩენასთან ერთად, შენს ცხოვრებაში უხვად შემოვა პატიება,

მიახლოება

ღმერთთან ახლო ცხოვრება ცხოვრებაში



წმიდა წერილი ხშირად აცხადებს, რომ ღმერთს ჩვენთან ახლო ურთიერთობა სურს. როცა მას ვუახლოვდებით, ვხვდებით, რომ უფლის წმიდა სულის თანდასწრება ყველაზე მაცოცხლებელი, ამაღლებელი და გარდამქმნელი გამოცდილებაა, რომელიც კი ოდესმე გვექონია. ძნელია, მოგინდეთ რალაც ისეთი, რის დაკარგვის შესაძლებლობაზე არაფერი გსმენიათ.

სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი მიეჩვია გონებაში არსებული რელიგიის ნარევს და ღმერთთან სიახლოვის ერთუაზიანს ასცდა. ღვთის სინმიდეს უგულვებლევყოფთ და სულიწმიდით ავსებას ჩვენი ცხოვრების განმედი გარეშე ვცდილობთ მისი მიღების მიზნით. თუმცა ჩვენ უზენაესთან მოზიარებისთვის ვართ შექმნილი. სამყაროს შემოქმედის ნარმოუდგენელი მონვევა არ გულისხმობს მხოლოდ შორიდან თაყვანისცემას სიტყვებით და რიტუალებით, არამედ მასთან ისეთი აზრიანი და ახლო ურთიერთობის დამყარებას, რომ შედეგად, ღვთის გულისნადები გესმოდეთ, ხოლო მას - თქვენი.


ჩამოტვირთეთ:



MessengerX.com

X MessengerX

დამონაწივის მოგზაურობა ყველასთვის და ყველგან




- უფასოდ 125 სხვადასხვა ენაზე
- ხელმისაწვდომია როგორც აპლიკაციით ისე ონლაინ რესურსის სახით
- თქვენი ზრდის ჯედაგმედველური რესურსები
- თქვენი ისტორიისა და დამონაწივის გზისთვის თვალის მიღვენება



მიიღეთ დამინაწივის რესურსები მთელი მესინჯერ-ბიბლიოთეკა ელექტრონული წიგნების, აუდიო-წიგნების, მოკლემეტრაჟიანი ფილმების, ვიდეო სწავლების, ბიბლიებისა და სხვათა სახით, რომ უყუროთ, წაიკითხოთ და მოუსმინოთ ყველა ციფრულ მონყობილობაზე.

MessengerX.com



მიიღეთ მსოფლიოს გაშთაგით _ App Store და Google Play.

რას ნიშნავს ღვთის შიში?

გულით ესწრაფვით თქვენს შემოქმედთან ახლო ურთიერთობას? შორეული და თითქმის მოუხელთებელი გეჩვენებათ? ჯონ ბევირი გვარწმუნებს, რომ ღმერთი ახლოს არის, მაგრამ მის წინაშე სიარულისას რაღაც უკიდურესად მნიშვნელოვანს არ ვითვალისწინებთ – ღვთის შიშს.

თავის წიგნში „მოშიშება ღვთისა“, ავტორი ჩვენი სულის ხსნის შიშით და ძრწოლით მოპოვების ახლებურ ხედვას გვთავაზობს. ეს ფართოდ დავიწყებულ სათნოება სრული და ნაყოფიერი ცხოვრების უჩვეულო გზა გახლავთ. თქვენ აღმოაჩენთ, რომ წმიდა შიში:

- სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ღმერთთან ურთიერთობაში
- გვათავისუფლებს ყველა სხვა სახის შიშისა და შფოთვისგან
- წმენდს ჩვენს შინაგან მოტივებსა და ზრახვებს
- ქეშმარიტი სიბრძნის, გაგებისა და ცოდნისკენ მიგვიძღვის

წმიდა მოშიშება ალებს ღვთის მიერ განზრახული ცხოვრების კარს. მხოლოდ იმ შემთხვევაში ვპოვებთ ბევრისთვის დღემდე მიუღწეველ მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სიხარულს, თუ ამ სათნოების განვითარებას შევუდგებით და მყარად მივინებებით. ღვთის წინაშე მობუზულ დგომას გვირჩევნია მისი მოშიშება მივიღოთ, რაც ცხოვრების უფრო მაღალ საფეხურზე აგვიყვანს და სამუდამოდ შეგვცვლის.



ჯონ ბევირი მსახური და ბესტსელერების ავტორი გახლავთ, რომელიც ცნობილია ღვთის სიტყვისადმი გაბედული და უკომპრომისო მიდგომით. მისი წიგნების მილიონობით ეგზემპლარი გაიყიდა და მსოფლიოს 125-ზე მეტ ენაზე ითარგმნა. ჯონი და მისი მეუღლე, ლიზა – Messenger International-ის დამფუძნებლები არიან. ეს მსახურება ორიენტირებულია ქრისტეს მტკიცე და ენთუზიაზმით სავსე მიმდევრების გამოზრდაზე გარდაქმნილი დამონაწებების მეშვეობით მთელი მსოფლიოში.



უფასოდ ჩამოსატვირთად და ვიდეო რესურსებისათვის ეწვიეთ [MessengerX.com](https://messengerx.com)

გსურს მეტი?
დაასკანირე



წიგნი ავტორის საჩუქარია და არ იყიდება